

რევაზ ბარამიძე

# ლიტერატურული ფტუდიები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი, 1988

ნაშრომში განხილულია ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიის ცალკეული საკითხები. საგანგებო ადგილი ეთმობა თანამედროვე მწერლებისა და ლიტერატურათმცოდნეების ლიტერატურულ შეხედულებებსა და კვლევის მეთოდებს.

წიგნი დახმარებას გაუწევს მოსწავლე ახალგაზრდებსა და პედაგოგებს, ასევე ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი ო. კ ა ს რ ა ძ ე  
რეცენზენტები: რ. ს ი რ ა ძ ე ,  
ლ. კ ე კ ე ლ ი ძ ე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988

4603000000

Б \_\_\_\_\_

M608(06)—88

ISBN 5—511—00256—9

# ი ა კ ო ბ ც უ რ ტ ა ვ ე ლ ი ს ა ვ ტ ო პ ო რ ტ რ ე ტ ი

ჩვენი მწერლობის გარიჟრაჟზე შექმნილი იაკობ ცურტაველის შესანიშნავი მოთხრობა მრავალმხრივ იპყრობს თანამედროვე მკითხველის ყურადღებას. მასში აღძრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სოციალური პრობლემები, ჰუმანისტური იდეები თუ თხრობის საოცარი ოსტატობა დღესაც საამო საკითხავს ხდის ამ შესანიშნავ ქმნილებას.

ნაწარმოების მოქმედ პერსონაჟთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თვით ავტორს—იაკობ ცურტაველს. საერთოდ, იშვიათი არაა, როდესაც მხატვრულ ნაწარმოებში თვით ავტორი გვევლინება მოქმედ პირად; ავტორი უშუალო მიმართებაშია სხვა პერსონაჟებთან.

ძველ მწერლობაში, განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, თითქმის მუდამაა წარმოდგენილი ავტორის სახე, რომელიც ნაწარმოებში ხშირად გვხვდება; ასევე ხშირად მეორდება ერთი და იგივე ხერხები თვითდახასიათებისა, ერთი და იგივე ფორმულები, რომელნიც გამოხატავენ ავტორის მოკრძალებულობას, ერთი და იგივე ფორმულები მკითხველისადმი მიმართვისა. ასეთ შემთხვევაში ჩვენ იმდენად ავტორს არ ვხედავთ, რამდენადაც ვგრძნობთ მის დამოკიდებულებას ფაქტებისა და მოვლენებისადმი, უფრო იგრძნობა მისი შემფასებლობითი პოზიცია, მისი ემოციები.

სულ სხვაგვარად არის ცურტაველი წარმოდგენილი ნაწარმოებში. იგი ერთ-ერთი ძირითადი და აქტიური პერსონაჟია მოთხრობისა. ცურტაველს ნაწარმოებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არა მარტო კომპოზიციის თვალსაზრისით, რადგანაც ის აკავშირებს ცალკეულ ეპიზოდებს, არამედ მასთან მიმართებაში ვლინდება შუშანიკისა და ვარსკენის ხასიათებიც.

ცურტაველი თვით არის ერთ-ერთი იმ პერსონაჟთაგანი, რომელიც უაღრესად ახლო კავშირშია მთავარ მოქმედ პირებთან, რომლისთვისაც მისი გმირების ცხოვრება თავისი ცხოვრების ნაწილად გამხდარა. ის თვით ცხოვრობს შუშანიკის ცხოვრებით, მისი ფიქრებითა და მიზანსწრაფვით, ამიტომაც ადვილად ნახულობს დედოფლის სახისა და განცდების გამომსახველ სიტყვიერ საღებავებს. იაკობის მამაცური და შუშანიკისათვის თავგანწირული მოღვაწეობა აიხსნება არა მარტო საერთოდ ცხოვრების სიხალისისადმი ასკეტური სიძულაკილით, არამედ, ამასთანავე, ადამიანური მწუხარების, უბედურებისადმი უსაზღვრო თანაგრძნობით. ავტორი არა მარტო თვითმხილველია შუშანიკის მოღვაწეობისა, არამედ თანაზიარი მისი ტკივილებისა და სიხარულისა. იგია შუშანიკის უახლოესი მესაიდუმლე და მანუგეშებელი. ავტორის თვითგამოვლენის უნარის მხრივ „მარტვილობა შუშანიკისი“ განცალკევებით დგას ძველ მწერლობაში. ამ თვალსაზრისით ეს ნაწარმოები ახალი მწერლობის ძეგლებს უფრო უახლოვდება. საერთოდ, აღიარებულია, რომ ძველ მწერლობაში ავტორის პიროვნება ბევრად უფრო მკრთალადაა გამოსახული, ვიდრე ახალი დროის ლიტერატურაში. მართებულადაა შენიშნული, რომ ძველ მწერლობაში ავტორისეული საწყისი უკიდურესად მცირე როლს ასრულებდა. ყოველივე ამის ფონზე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივაც „მარტვილობა შუშანიკისი“ უნიკალური მოვლენაა.

აღნიშნულ თხზულებაში ავტორი ისეთივე სიცოცხლისუნარიანი, ინდივიდუალობით აღსავსე, მკვეთრად წარმოდგენილი პერსონაჟია, როგორც სხვა დანარჩენნი.

ჩაკობ ცურტაველი არაფერს ამბობს თავისი თავის შესახებ, არ იძლევა თვითდახასიათებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა მკითხველი, ადევნებს რა თვალყურს მის მოქმედებას, მის მსჯელობას, დიალოგებს, საესებით საკმარისი ხდება, რომ გამოიძიროს ამ უაღრესად კოლორიტული პერსონაჟის პორტრეტი; ეს არის უაღრესად დინჯი, საოცრად გაწონასწორებული და თავშეკავებული, ფაქიზი და ალერსიანი ბუნების ადამიანი. შუშანიკისადმი გამოვლენილი მისი მსრუნველობა და სითბო, ხოლო ვარსკენისადმი ტაქტიანი და შინაგანი ღირსების დაცვით დამყარებული ურთიერთობა მისი სიღარბაისლის უეჭველი დადასტურებაა. არანაკლებად მომხიბვლელია მისი მტკიცე ნებისყოფა, თანამიმდევრული, რაინდული თავგანწირვით მოქმედება, რაც მოკლებულია ყოველგვარ გარეგან ეფექტსა და აუდიტორიაზე გამიზნულობას.

ავტორის პირველად ვეცნობით იმ ეპიზოდის აღწერისას, როდესაც იგი მოგვითხრობს, თუ რა მოხდა პიტიახშის კარზე. ამ დროს ეპისკოპოსი იოვანე და ხუცესი იქ არ იყვნენ და „მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვჰყავდი ეპისკოპოსს მას.“ აქედან ვგებულობთ, რომ ნაწარმოების ავტორი არის სასახლის კარის ხუცესი. მისი სახელი ჯერ კიდევ უცნობია, ავტორი თანდათან გვაცნობს თავის თავს და, რაც მთავარია, თხრობის უაღრესად ბუნებრივ განვითარებაში გარკვეული ეპიზოდის ჩართვით თავის სახელსაც გვაგებინებს. კერძოდ, ხუცესის შუშანიკთან ყოფნის დროს მივიდა ერთი ყმა და იკითხა: „იაკობი მანდა არსა!“ და იმართება დიალოგი: „მე ვარქუ—რაი გინებს? და მან მარქუა—„უწესს პიტიახში“. და მე გამიკვირდა, თუ რაისა—მე მიწესს ამას ჟამსა? და მივისწრაფვე და მივედ“. ამ ეპიზოდიდან ვგებულობთ, რომ პირველ პირში მოუბარ ავტორს რქმევია იაკობი. ეს მონაკვეთი ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ცოცხალი, ბუნებრივი დიალოგით.

საერთოდ, ავტორს ყველაზე უშუალოდ და გამოკვეთილად სწორედ ამ დიალოგების საშუალებით ვეცნობით. განსაკუთრებით მიშხიდველი და დიდი შინაგანი სითბოს გამომხატველია ავტორისა და შუშანიკის დიალოგები, რომლითაც ვგებულობთ, თუ რამდენად იყო მინდობილი და გულგახსნილი შუშანიკი ამ მისთვის უახლოეს ადამიანთან და ეს უკანასკნელიც როგორი გულისხმიერებით, თანაგრძნობითა და თავგანწირვითაა გამსჭვალული თავისი დედოფლისადმი. იაკობის ბუნებაში ბევრი რამ გვხიბლავს, განსაკუთრებით ის, რომ ამ ტრაგედიას იგი აღიქვამს არა მარტო მემატიანის ისტორიული თვალთახედვით, რომელსაც მთელი სიღრმით აქვს გააზრებული ამ კონფლიქტის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ხალხისათვის და სურს შთამომავლობას დაუტოვოს გამირობისა და სიმტკიცის მღაღადებელი ფაქტი, არამედ ავტორი იმითაც გვატყვევებს, რომ ყოველივე ეს წმინდა ადამიანური კუთხით აქვს აღქმული და მას განიცდის როგორც საკუთარ ტკივილს, როგორც პირად უბედურებას და ისიც ისეთივე ტანჯულად და უმწეოდ გამოიყურება, როგორც მისი გაზრდილი და სათაყვანებელი შუშანიკი. მკითხველი ვერც კი ახერხებს ზღვარის გაღებებს მემატიანესა და განცდით მთხრობელ პერსონაჟს შორის, რომლისათვისაც შუშანიკის განცდათა მთელი სამყარო საკუთარი ცხოვრების ნაწილად ქცეულა. იშვიათია, რომ ასეთი ემოციური ავტობიოგრაფიული ამონაკვეთის ასე ორგანულად ეზავებოდეს მემატიანის ეპიკურ თხრობას.

იაკობ ცურტაველის ავტოპორტრეტი განსაკუთრებულად დამაჯერებლად და მიმზიდველად სწორედ ვარსკენთან და შუშანიკთან საუბარში იძერწება და ეს ხდება თითქოსდა ავტორის უნებურად, თხრობის ბუნებრივი განვითარების გზით. მომხიბვლელია შუშანიკისა და იაკობის ურთიერთობა. ეს უკანასკნელი ყოველნაირად ცდილობს დედოფლის მდგომარეობის შემსუბუქებას. ეფერება და ეალერსება: ხან ანუგეშებს და არიგებს, სიმტკიცესა და იმედს უსახავს, ხან ნებისყოფა ღალატობს, ტირის. და თვით ხდება დასამშვიდებელი. ყველა ამ გამოვლენაში მკითხველი გრძნობს ამ მხცოვანი ბრძენის სულის სისათუთესა და გონების გამჭრიახობას, ფაქიზ ბუნებასა და გულჩვილობას. გავიხსენოთ, როგორი სინაზით წმენდს ჭრილობებს იაკობი შუშანიკს, ან როგორი მზრუნველობით ცდილობს ღვინოში ჩამბალი პური მაინც მიაღებინოს განაწამებსა და დამშეულს; მისი ალერსიანი ტონი მაღამოსავით ესაღბუნება დედოფალს. ამავე დროს იაკობის მგრძნობიარე სული არასოდეს არ ვლინდება წუწუნსა და გოდებაში, ის უმძიმეს წუთებშიც ინარჩუნებს გონების სიფხიზლეს, შინაგან სიმტკიცეს. იშვიათი სიბრძნითა და შთაგონებით მოძღვრავს დედოფალს და ამით განმაცვიფრებელ სულიერ სიმტკიცეს მატებს მას. იაკობი მოქმედი, ინიციატივიანი პიროვნებაა, რომელიც ყოველგვარ რთულ სიტუაციაში ადვილად ნახულობს გამოსავალს. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია იაკობის მიერ სენაკში შუშანიკის ნახვის ეპიზოდი. გამძვინვარებულმა ვარსკენმა სასტიკი განკარგულება გასცა, რომ შუშანიკი არავის ენახა სენაკში. ამ განკარგულების დარღვევა სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა მნახველსაცა და დამცველსაც. ვარსკენის მუქარას არ შეუშინდა იაკობი და გადაწვეცა შესულიყო სენაკში. მაგრამ ვარსკენისაგან დაშინებულმა დარაჯმა, ერთი მხრივ, ვერ შეძლო იაკობის ავტორიტეტის შებღალვა და წინააღმდეგობის გაწევა, რაც ნათლად მოწმობს, თუ რაოდენ დიდი გავლენა ჰქონდა იაკობს, და, მეორე მხრივ, შეშინებულმა გაუბედავად წაილულლუდა: „ნუკუე მცნას და მომკლას მე“ (ვარსკენმა—რ. ბ.). იქმნება გამოუვალი მდგომარეობა: იაკობს თითქმის გადაეჭრა გზა, მაგრამ ის დაბეჯითებითა და კატეგორიულად მიმართავს: „უბადრუკო, არა მისი გაზრდილი ხარა და თუცა მოგკლას შენ მისთვის რაი არს?“. კაცმა რომ თქვას, ეს ვერაფერი ნუგეშია, მაგრამ იმდენად მკაცრი და მოულოდნელია, რომ მცველი გაოგნებულია და იძულებული ხდება დაემორჩილოს ხუცესის შეუვალ ნებას. (ამ ეპიზოდით იაკობი გრიგოლ ხანძთელსაც გვაგონებს). იაკობის ხასიათის სიმტკიცე და უკომპრომისობა კიდევ უფრო მკვეთრ

გამოხატულებას პოულობს ვარსკენთან დამოკიდებულებაში. შუშანიკ-თან მიმართებაში ბუნებით ნაზი და ალერსიანი იაკობი, ვარსკენთან მკაცრი მსაჯულის სახით წარმოგვიდგება. სულ სხვა დამოკიდებულებას ამჟღავნებს ვარსკენიც იაკობისადმი, რომელსაც ეთათბირება და ანგარიშსაც უწევს, მისადმი გარკვეულ მორიდებასაც კი ამჟღავნებს: ყოველივე ეს მოწმობს იაკობის დიდ პიროვნულ ღირსებას, ის არის თანამიმდევრული, მტკიცე ნებისყოფისა და სიღინჯით აღსავსე მთლიანი პიროვნება, რომელსაც თხზულების ძირითად პერსონაჟთა შორის უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

მართალია იაკობ ცურტაველი როგორც მწერალი თითქოს არაფერს ლაპარაკობს თავის ეროვნულობაზე, მაგრამ როგორც ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი, იგი საკმაოდ მკვეთრად გამოპყოფს თავის ეროვნულ პოზიციებს.

შესავლიდანვე ვგებულობთ, რომ იაკობი ქართლში იმყოფება, სწორედ ქართლში ვითარდება მოქმედება და თვით ავტორი ქართლის მოქალაქეა, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვარსკენი სპარსეთიდან ქართლში მოემართება: „და ვითარცა მოიწია იგი სჰსლუართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა“. ზმნის ფორმა „მოიწია“ გამოხატავს, რომ ავტორი ქართლში იმყოფება და ქართლის მოქალაქეა. ორიოდვე სტრიქონის შემდეგ კვლავ იმეორებს აღნიშნულ ფაქტს—„მოიწია“, „მოვიდა“. საერთოდ, ნაწარმოებში ხშირად ფიგურირებს ქართლი და ქართლის მოქალაქენი; ამას ავტორი არაერთგზის ხაზგასმით გამოჰკვეთს. მაგალითად, შუშანიკის მოღვაწეობა მეტად პოპულარული გახდა მთელს ქართლის სამეფოში და ამაზე მრავალგზის ამახვილებს ავტორი ყურადღებას: „მიერთაგან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმეი მისი“; ანდა სხვა შემთხვევაშიც კვლავ აქცენტირებული აქვს ქართლის მოქალაქეთა საქმიანობა: „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“. როგორც ვხედავთ, ქართლის მოტივი მთელ ნაწარმოებს გასდევს. ეს ფაქტი დამარწმუნებლად მიგვითითებს იაკობის ეროვნულობაზე. საქმე ის არის, რომ შუშანიკი წარმოშობით სომეხი იყო, დიდგვაროვანი ოჯახის შვილი და არანაკლებ პოპულარული სომეხთა შორის, მაგრამ ავტორი არსად არ აღნიშნავს შუშანიკის პოპულარობას სომეხთა შორის, არსად არ ფიგურირებენ მის თანამგრძობელად სომეხი მოქალაქეები, რაც აშკარად მიგვანიშნებს, რომ ავტორი გამოდის თავისი ეროვნული პოზიციებიდან და პოპულარიზაციას უწევს იმ იდეას, თუ რამდენად ღრმად მორწმუნენი და შუშანიკის თანაზიარნი არიან მისი (ავტორის—რ.ბ.)

თანამოქალაქენი, ქართლის მოქალაქენი. ასეთი დეტალებით ავტორი სარწმუნოებრივთან ერთად ამკვიდრებს ეროვნულ იდეას, ვინაიდან ამით ხაზს უსვამს შუშანიკისადმი ქართლის მოქალაქეთა თანამგრძობელობას და თანაზიარობას. ეს კი პატრიოტიზმის გამოვლენის ფორმაა.

ანგარიშგასაწვეია ერთი თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ არსებითად მეტად საყურადღებო დეტალი. ავტორი გვაცნობს, რომ ვარსკენი იყო „ძეი არშუშაისი“ და არაფერს ამბობს არშუშას ეროვნულობის შესახებ, ხოლო შუშანიკის დახასიათებისას ხაზგასმულია, რომ ის იყო ასული ვარდანისი „სომეხთა სპაიპეტისა“. როგორც ვხედავთ, ავტორმა საჭიროდ არ ჩათვალა რენეგატი ვარსკენის მამის ეროვნულობის აღნიშვნა, რადგან მკითხველისა და თანამოქალაქეთათვის ნათელია, რომ არშუშა, ავტორი და მკითხველი ერთ ეროვნებას ეკუთვნიან, ხოლო ვარდანის ეროვნულობა ისეთ კონტექსტშია ხაზგასმული, რომ ავტორი არაა მისი თანამოქალაქე და ამას აცნობს, აგებინებს მკითხველს. შეიძლება წამოიჭრას კითხვა, რომ ავტორს, როგორც თანამემამულეს, ეამაყება და იმიტომ აღნიშნავს არშუშას ეროვნულობასო. მაგრამ ეს არსაიდან არ ჩანს. ჯერ ერთი, ასეთ შემთხვევაში იტყოდა არა უბრალოდ „სომეხთა“, არამედ ხაზს გაუსვამდა, რომ ის იყო ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის, ჯარის „სპაიპეტიო“, ხოლო, მეორე მხრივ, ისეა ნათქვამი „ძეი არშუშაისი“, რომ აშკარაა — არშუშა მისთვის უფრო ახლობელი და მკითხველისთვისაც ცნობილია და იმიტომ აღარ მიიჩნია საჭიროდ მისი ეროვნულობის აღნიშვნა. პირიქით, რენეგატის აღმზრდელი რომ ავტორისაგან განსხვავებული ეროვნების ყოფილიყო, ამას ავტორი დუმილით არავითარ შემთხვევაში არ აუვლიდა გვერდს. ანდა, როგორც ზემოთ ვთქვით, თუ ვარდანის „სომეხობით“ იამაყებდა, მაშინ ამის შესაბამისად არშუშას „ქართველობას“ მით უფრო გაუსვამდა ხაზს. ამ ფაქტიდანაც იგრძნობა, რომ არშუშა და ავტორი თანამემამულეები არიან, ხოლო ვარდანი უადრესად მახლობელი და საყვარელი, მაგრამ სხვა, უცხო ერის წარმომადგენელია. ამასთანავე, შუშანიკის სომეხური წარმომავლობა, რომ ის სწორედ სომეხთა და არა ჩვენი სპასპეტის ასული იყო, ისეთ კონტექსტში და ტონალობაშია ხაზგასმული, რომ აშკარაა, ავტორი და შუშანიკი სხვადასხვა ეროვნების არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორი მოცემულ კონტექსტში ყურადღებას არ გაამახვილებდა შუშანიკის სომეხობაზე. ის გვაწვდის იმ ბიოგრაფიულ ცნობას, რომელიც აღუნიშვნელად, თავისთავად მკითხველს შეიძლება არ სცოდნოდა. ახლა მეორე მხრიდან მივუდგეთ საკითხს: ავტორი და ვარსკენი



რომ სხვადასხვა ეროვნებისა ყოფილიყვნენ, მაშინ ავტორი საგანგებოდ აღნიშნავდა რენეგატი ვარსკენის ეროვნულობას. ის ხაზს გაუსვამდა მის წარმომავლობას და ვარსკენის რენეგატულ მოქმედებას განაზოგადებდა, მის უარყოფით დახასიათებაში გარკვეული ფორმით, ძინიშნებით გამოჰონავდა ავტორის დამოკიდებულება იმ ოჯახისა და ერისადმი, ვინც ასეთი მოღალატე წარმოშვა. მაგრამ ვარსკენის უარყოფითი თვისება ავტორს გააზრებული აქვს, როგორც მისი პირადი, ინდივიდუალური თვისება და მის მოქმედებაზე პასუხისმგებლობას მხოლოდ მას აკისრებს და არა მის წრეს, მის თანამემამულეებს, რომელნიც ასეთი სიმპათიით არიან დახატულნი. იგი ვარსკენის ეროვნულობის შესახებ შეგნებულად დუმს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, როგორც ვთქვით, ვარსკენის ეროვნულობა თავისთავად ცნობილია თანამოქალაქეთათვის და, მეორე მხრივ, ავტორს ერთგვარად ეთაკილება თავისი თანამემამულის რენეგატობა და მას განკერძოებით ხატავს, ხოლო თავის თანამოქალაქეებს, ქართლის მცხოვრებთ, ისე, როგორც თავის თავს, წარმოშობით სომეხი ასულის თანამგრძობლად წარმოგვისახავს. მოკლედ, შეუძლებელია ავტორი და რენეგატი ვარსკენი სხვადასხვა ეროვნების ყოფილიყვნენ და ეს აღუნიშვნელი დარჩენოდა იაკობს. შეუძლებელია, რომ ვარსკენის ნაკლოვანი მხარეები მას ეროვნულ ასპექტში არ წარმოესახა. ის შეგნებულად იკავებს თავს ვარსკენის ეროვნულობის აღნიშვნისაგან, რადგანაც ვარსკენის საქციელი ავტორის საკუთარი, ეროვნული ტკივილია და ამიტომ ვარსკენის მოქმედების კომპენსაციის მიზნით, მთელ ქართლის მკვიდრთ ვარსკენისაგან განდგომილად ხატავს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ავტორი და შუშანიკი რომ ერთი ეროვნების იყვნენ, ე. ი. ავტორიც რომ სომეხი იყოს, მაშინ ავტორი სულ სხვა ნიუანსებს შეიტანდა თხრობაში და ქართლის პოზიციებიდან აღარ ისაუბრებდა. სომეხი მოქალაქეების პოზიცია აუცილებლად იჩენდა თავს თხზულებაში.

ნაწარმოებში აშკარად შესამჩნევია, რომ სომეხი ვარდანიისა და შუშანიკის შესახებ მსჯელობს არა მათი თანამემამულე, არა მათი ერის შვილი, არამედ სხვა ერის წარმომადგენელი, რომელიც დიდი პატივისცემითაა გამსჭვალული ამ ორი ღირსეული პიროვნების მიმართ და განიცდის, რომ მისმა თანამემამულემ ესოდენ საძრახისი ნაბიჯი გადადგა. x

შუშანიკი და ავტორი რომ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან, კიდევ ერთი ეპიზოდისგან ვლინდება. გამძვინვარებული ვარსკენის შესახებ იგი ამბობს, რომ, ის „ავიწებდა თესლ—ტომსა მისსა“, ე.

.. შუშანიკისას, ხოლო შუშანიკი ეროვნებით იყო სომეხი. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ შუშანიკის თესლ—ტომნი ანუ სომხები სხვანი არიან, ავტორი კი სხვაა. წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა: ვარსკენი. ავინებდა თესლ—ტომსა „ჩვენსაო“. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ იაკობ ცურტაველი დიდი სიყვარულით მოგვითხრობს შუშანიკის შესახებ და ღრმა პატივისცემას გამოხატავს მოძმე და თანამებრძოლი სომეხი ერისადმი, როგორც მწერალი და მოაზროვნე, ამავე დროს, როგორც ნაწარმოების მოქმედი პირი, იგი ვკუთვნის შუშანიკისაგან განსხვავებულ ეროვნებას; ქართლის მოქალაქეთა ეროვნების წარმომადგენლის პოზიციიდან ჭკრეტს მოვლენებს.

გასათვალისწინებელია შემდეგი ისტორიული ფაქტი: როგორც ცნობილია, შუშანიკმა ვარსკენზე გათხოვების შემდეგ ქართლში, ცურტავის ეკლესიაში დაამკვიდრებინა წირვა—ლოცვა სომხურად (შუშანიკის გადედოფლებამდე მხოლოდ ქართულად წარმოებდა წირვა—ლოცვა). ამ ისტორიულ ფაქტს, ავტორი შეგნებულად უვლის გვერდს. და ეს არ არის შემთხვევითი. სომეხი ავტორი კი ამას საგანგებოდ აღნიშნავდა, როგორც დიდ დამსახურებას სომხური ეკლესიის წინაშე და სომეხ მკითხველში კიდევ უფრო გაზრდიდა შუშანიკის ავტორიტეტს. იაკობი კი დაბეჯითებით დუმს. ეს სავსებით გასაგებია. იაკობი წერს თხზულებას თავისი ქართველი თანამოქალაქეებისათვის, რომელთაც უნდა შეაყვაროს სარწმუნოების (ამდენად სახელმწიფოებრივი) დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქალი და, ბუნებრივია, შუშანიკის სომხოფილური განწყობილების დემონსტრირებისაგან თავს იკავებს. ცურტაველი სომხური წირვა—ლოცვის დამამკვიდრებელი შუშანიკის პოპულარიზაცია ქართველთა შორის არცთუ იოლი იქნებოდა. იაკობის მიზანი კი ის არის, რომ შუშანიკის მოწამეობრივ მოღვაწეობას მისცეს სულ სხვა რეზონანსი, ეს ფაქტი გამოიყენოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იმპულსად და ამ დიდი მიზნით გამსჭვალული მწერალი გარკვეულ ტენდენციურობასაც იჩენს ისტორიული ფაქტების გააზრებასათუ წარმოჩინებაში და აქა ჩანს მისი ეროვნული პოზიცია.

იაკობ ცურტაველის ავტოპორტრეტის წარმოსახვაში მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტიც. როდესაც იაკობმა გაიგო შუშანიკის თავს გარდამხდარი ამბავი, ის მსწრაფლ მიიჭრა მასთან და უთხრა: „ვითარ გეგულების, მითხარ მე, რაითა უწყობი და აღწერო შრომა შენი“. ვარსკენისა და შუშანიკის ბუნებათა შესანიშნავმა მცოდნემ, ღრმა ფსიქო-

ლოგმა იაკობმა თავიდანვე მისთვის ჩვეული სიბრძნით განჭვრიტა, თუ რა სახეს მიიღებდა ამ ორი პიროვნების ხასიათთა ჭიდილი, ავტორისათვის არც შუშანიკის ტრაგიკული აღსასრული იყო მოულოდნელი. ამას განაპირობებდა როგორც ვარსკენისა და შუშანიკის ხასიათები და ის პრინციპები, პოზიცია, რომელზედაც ისინი იდგნენ, ისე მოვლენათა განვითარების შინაგანი ლოგიკა. ყოველივე ამას სწრაფად აუღო ალლოცხოვრებაზე ღრმად დაკვირვებულმა იაკობმა და თავიდანვე მართებული გადაწყვეტილება მიიღო: რაც შეიძლება სრულად და დამარწმუნებლად აღეწერა ის ისტორიული სიმართლე, რომელიც მის თვალწინ გადაიშალა ან, უფრო სწორად, რომელსაც ელოდა გაშლა. მეორე მხრივ, მისი გადაწყვეტილების მართებულობა იმაშიც მდგომარეობდა, რომ ის, როგორც ბრძენი მემკვიდრე და დიდი მამულიშვილი, ამ კონკრეტულ ფაქტში ხედავდა დიდ პრინციპულ ისტორიულ მოვლენას, რომელსაც ძლიერი მორალური ზეგავლენა უნდა მოეხდინა როგორც თანამედროვეებზე, ისე მემკვიდრეობაზე. ამ ფაქტშიც ჩანს ავტორის ეროვნულ—სარწმუნოებრივი პოზიცია, მისი დიდი პატრიოტულობა—მას თავიდანვე გამოაქვს გადაწყვეტილება დაწეროს ნაწარმოები, რომელიც გააძლიერებდა თანამემამულეთა ეროვნულ—სარწმუნოებრივ სულისკვეთებას. ასე რომ, ნაწარმოების ღრმა იდეური შინაარსი თავიდანვეა თხრობაში ჩაქსოვილი, რაც ერთხელ კიდევ გვაგრძობინებს ავტორის ამაღლებულ მიზანსწრაფვას. კერძოდ, ის სხვისი დავალებით, დაკვეთით კი არ წერს, არამედ ეს არის მისი შინაგანი მოთხოვნის ილება, შემოქმედებითი შთაგონება.

ცურტაველის თხრობის სტრუქტურის შესწავლისას თვალში საცემია მისი, როგორც მთხრობელისა და პერსონაჟის პოზიცია. ავტორი ხშირადან ჩართული სიუჟეტის გადმოცემაში, ხან მიმართავს მკითხველებს, ხან კი სხვა პერსონაჟებს, არაიშვიათად წარმოგვიდგენს ნეიტრალური თხრობის ნიმუშს. მთხრობელის პოზიცია გამოიხატება როგორც გაშლილ მსჯელობაში, ავტორისეულ ფიქრებში, შეგონებებში, ისე შორისდებულებში. არაიშვიათია, როდესაც შეფასება და ემოციები გამოხატულია ცალკეული სიტყვებით. იაკობი ხშირად ერთვება თხრობის განვითარებაში, წინასწარ მიგვანიშნებს მოვლენის განვითარებაზე და ეთათბირება მკითხველს. შუშანიკის „მარტილობა“ განკუთვნილია იმ ტიპის მოთხრობებს, სადაც, ძირითადად, მთხრობელი პირველ პირში საუბრობს. მთხრობელი მოვლენებს შლის ისე, რომ თავისი თავის შესახებ გვიყვება, როგორც პირველი პირი და, ამავე დროს, გვევლინება რე-

აღურ ადამიანად, რომელიც „ფიზიკურად“ იმავე სამყაროში არსებობს, რომელშიც მოქმედებენ ნაწარმოების დანარჩენი პერსონაჟები. არაიშვიათია, როდესაც მთავარი როლი მიეკუთვნება დიალოგს, ხოლო ავტორის „სიტყვა“ კი მინიმალურია მოცულობით და ატარებს მცირე სიუჟეტოვან დატვირთვას. ამასთანავე, ავტორის ხმა თხრობას ერთვის ძახილის, რიტორიკული კითხვების სახით და ეს ხმა ტექსტში ვლინდება ცალკეულ ექსპრესიულ—შემფასებლურ სიტყვებში. ცურტაველი ორი ასპექტით წარმოგვიდგენს მოვლენებს: ერთი, როგორც მთხრობელი, რომლისთვისაც ნიშანდობლივია როგორც სურათისა და მოვლენების ობიექტურად წარმოსახვა, ისე თავისი სუბიექტური განცდებისა და დამოკიდებულების გამოვლენა, მეორე, ის არის ნაწარმოების აქტიური პერსონაჟი. ამ დროს სუბიექტური ჭვრეტის ხვედრითი წონა შესამჩნევად იზრდება. ავტორი—მთხრობელი უშუალოდ „თავისი თავიდან“ მიმართავს მკითხველს, აფრთხილებს, აცნობს ან ხსნის მოვლენებს.

იაკობისათვის ნიშანდობლივია მთხრობელის აქტიური პოზიცია. სწორედ ეს შემფასებლური ეპითეტები, მკითხველისადმი მიმართვის სხვადასხვა ფორმა, დიალოგებითა და მოქმედებით წარმოდგენილი თვითდახასიათება განსაკუთრებულად რეალისტურ ელფერს მატებს ნაწარმოებს. მეტყველების ექსპრესიული ფორმა, რომელიც აქტიური მთხრობელის უცილო კუთვნილებაა, არის ამავე დროს მთხრობელის ძირითადი სუბიექტური თვისება. იაკობისეული ნეიტრალური, აღწერიითი თხრობისა და სუბიექტურ-ლირიკული ნაკადის მკაცრად მოწესრიგებული მონაცვლეობა არა მარტო ცვლის ნაწარმოების რიტმს, არამედ, ამასთანავე, საოცრად დინამიკურსა და ცოცხალს, მეტად უშუალოსა და კომპაქტურს ხდის თხრობას.

ჩვენი დაკვირვებით, იაკობისათვის თითქმის უცხოა აბსოლუტური ნეიტრალური თხრობა, რომელიც არ შეიცავს არავითარ სუბიექტურ შეფასებას—არც მთხრობელისა და არც პერსონაჟისას. მაშინაც კი, როდესაც მის თხრობაში ერთი შეხედვით ხდება ფაქტის მხოლოდ კონსტატირება, მოვლენების თითქოსდა თვითდინებით გაშლა, ამ შემთხვევაშიც ვგრძნობთ ავტორის ხმას, მის პოზიციას. იაკობი თითქმის არასოდეს არ გვევლინება სუბიექტურობისაგან დაცლილ, მოვლენებისაგან განზგ გამდგარ მთხრობელ—დამკვირვებლად. ამის შესაბამისად, ნაწარმოებში თითქმის არ გვხვდება ისეთი ობიექტური (პოზიციის თვალსაზრისით) თხრობა, რომელშიც არ იგრძნობოდეს მთხრობელის სუბიექტურობა, ბატონობდეს გმირის სიტყვები და თვალსაზრისი. მართა-

ლია, არიან ისეთი პერსონაჟებიც, მაგალითად, ვარსკენი, რომელთა მეტყველებაში გამოვლენილი შეფასება არაა ავტორის პოზიციის თანხვედრი, მაგრამ ამ ობიექტურობაშიც იგრძნობა ავტორისეული თვალსაზრისი, ასე რომ, ავტორი—მთხრობელი არც ერთ სიტუაციაში არაა ნეიტრალური, გულგრილი მოვლენებისადმი.

ამით აიხსნება, რომ თხრობა დატვირთულია შეფასებითა და ემოციებით. ამასთანავე, სუბიექტურობა მოდის არა მთხრობელისაგან, არამედ პერსონაჟისაგან, თუმცა იქაც კი, სადაც ჭარბობს გმირის სიტყვები და ფიქრები, უნებლიედ იჭრება თვით მთხრობელის ემოციებიც და ამ გზით მთხრობელისა და გმირის სუბიექტურობა ურთიერთს ერწყმის. ასეთ ვითარებაში მთხრობელის ხმა ვლინდება როგორც მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტი მთელი თავისი გამოხატვის სუბიექტურ-შეფასებლობითი ფორმებით, განსაკუთრებით ეპითეტებით, რომელნიც ყველაზე მკვეთრად გამოხატავენ მთხრობელის ემოციურ დამოკიდებულებას.

სინამდვილისადმი თავისებური დამოკიდებულების გამო იაკობ ცურტაველთან სამყარო აღქმულია მთავარი გმირის თვალთახედვის პრიზმში და ეს მხატვრული მიკროსამყარო სწორედ პერსონაჟის მიერ შეცნობილი სამყაროა. იაკობ ცურტაველის პოეტიკის ერთ—ერთი ძირითადი პრინციპი ისაა, რომ სინამდვილე ასახულია პერსონაჟის აღქმის საშუალებით, რის შედეგადაც ავტორი არა მარტო გადმოგვცემს სინამდვილეს, არამედ თვით გადადის პერსონაჟში და იქიდან ჭვრეტს მოვლენებს. თეატრალური ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი ეს ერთგვარი გარდასახვა თავს იჩენს მის შესანიშნავ მოთხრობაში. ამრიგად, თხრობის სტრუქტურული საფუძველია სუბიექტურ—ემოციური პოზიცია, ნეიტრალური თხრობა და შინაგანი მონოლოგები. „შუშანიკის მარტილობაში“ ავტორისა და პერსონაჟის სიტყვათა ურთიერთმიმართებისას გმირის (ამ შემთხვევაში შუშანიკის) სიტყვაში ჩაქსოვილი შეფასება უახლოვდება ავტორის საერთო პოზიციას, პერსონაჟის ფიქრები და გრძნობები გადმოცემულია ან შინაგანი მონოლოგით, რომელიც მოცემულია პირდაპირ მეტყველებაში, ან ნეიტრალური თხრობით. ნაწარმოებში მკვეთრად გამოვლენილი სწორედ ეს სიმპათია—ანტიპათია გვაძლევს უფლებას ვილაპარაკოთ მწერლის სუბიექტურ მანერაზე.

მართალია, „შუშანიკის მარტილობაში“ მთხრობელის ხმას უმთავრესი ადგილი უკავია. მაგრამ, მიუხედავად ამისა ავტორმა შეძლო, რომ გმირის სახე გაეხადა თხრობის სისტემის მთავარ კონსტრუქციულ პრინციპად.

იაკობ ცურტაველისათვის, როგორც მთხრობელისათვის, დამახასიათებელია აგრეთვე ის თავისებურება, რომ მისთვის, სხვა ავთოგრაფებისაგან განსხვავებით, მართალია, ერთ—ერთი არსებითია ისტორიული ამოცანა, მაგრამ ამავე დროს ასევე მძაფრად დგას მორალური საკითხები. სინამდვილის ობიექტური, დამშვიდებული ასახვა ავტორს ხელს არ უშლის მძაფრად განსაჯოს ცხოვრებისეული ბოროტებანი, წარმოგვიდგინოს არა მარტო ფაქტი, არამედ ფაქტის ეთიკა, ის ხშირად გვევლინება მორალისტად და ეს ყველაფერი განზავებულია მხატვრულ ქსოვილში. ის ხშირად თვითონ ან გმირის საშუალებით მკვეთრად გამოხატავს აღშფოთებისა თუ ტყვიელის საკუთარ განცდას და, ამასთანავე, არ ქმნის მორალის მქადაგებლის მომაბეზრებელ შთაბეჭდილებას. ჩვენ ყოველ სტრიქონში ვგრძნობთ მთხრობელის სუბიექტურ დამოკიდებულებას ან, უფრო სწორად, მწერლის აზრს მოვლენებზე. იაკობი, როგორც პერსონაჟი, თავისი ფსიქომორალური პოზიციებით ისე ახლოა მთავარ გმირთან—შუშანიკთან, რომ დისტანცია თითქმის ნულამდეა დაყვანილი და მისეული შეფასება თითქმის მთლიანად თანხვედრილია თავისი გმირის შეხედულებებისა. ამიტომაცაა, რომ იაკობის, როგორც მთხრობელისა და პერსონაჟის ხმა მუდამ იგრძნობა შუშანიკის ხმასთან ერთად. თუმცა, ავტორი თითქოს შეუმჩნეველი, დამალულია, მაგრამ სინამდვილეში ლანდივით განუყოფელია. აქ აშკარად ვგრძნობთ ავტორისა და გმირის თანხვედრას, შერწყმას და ამის გამო სინამდვილის ასახვაც თითქმის ექვემდებარება გმირისეულ შერწყმას და ამის გამო სინამდვილის ასახვაც თითქმის ექვემდებარება გმირისეულ აღქმას. მთხრობელისა და გმირის ეს პოზიციური იდენტურობა განაპირობებს იმასაც, რომ თხრობის კვანძის გახსნისას მთხრობელი იოტისოდენად არ შორდება გმირს, მან გმირთან ერთად „არ იცის“ ან ინტუიციით გრძნობს, თუ რა მოხდება.

მთხრობელის თავისუფლებას განსაზღვრავს ისიც, რომ ის არაა მიჯაჭვული რომელიმე სამეთვალყურეო პუნქტზე. იგი თავისუფლად მოქრაობს სივრცეში, მისი კოორდინატები სივრცეში განუსაზღვრელია, ესეც მისი სუბიექტური დამოკიდებულების გამოვლენის ერთ—ერთი ფორმაა, რაც მთხრობელის აქტივობის ნათელი დადასტურებაა. ამასთან, თხრობა ისეა განვითარებული, რომ აღწერა მოცემულია არა ყოვლისმხედველი მთხრობელის თვალთახედვით, არამედ იმ მთხრობელისა, რომელიც მიჯაჭვულია ერთ—ერთ პერსონაჟზე — შუშანიკზე.

როგორც ვხედავთ, „შუშანიკის მარტვილობაში“ იაკობ ცურტაველი წარმოდგენილია როგორც ავტორი—მთხრობელი და როგორც ავტორი პერსონაჟი.

ამრიგად, ჩვენს წინაშე ცოცხლდება გარდასულ დღეთა დიდი მემბრტიანი, რომლის პიროვნულ ღირსებებს მთელი სისრულით მისსავე ნაწარმოებიდან შევიაგრძნობთ.

## აღზრდისა და ოჯახის პრობლემა ძველ საქართველოში

ადრეულ საუკუნეებიდანვე ჩვენში საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ აღზრდის პრობლემებს. იწერებოდა საგანგებო პედაგოგიური ტრაქტატები და იქმნებოდა თავისი დროისათვის უაღრესად ფასეული სახელმძღვანელოები.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქადაგებებს, ანუ „სწავლანს“. ამ ჟანრის სფეროში მოდვანობდნენ სიტყვის ისეთი დიდი ოსტატები, როგორებიც იყვნენ იოანე ბოლნელი და სულხან-საბა ორბელიანი, აბიბოს ნეკრესელი და ანტონ ბაგრატიონი. ამ ლიტერატურული „გენერლების“ გვერდით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ისეთი „მეორეხარისხოვანი“ მწერლებიც, რომელთა სახელებიც კი არ შემორჩა ისტორიას, მაგრამ მათი თხზულებები მრავალი თვალსაზრისით არის ჩვენთვის ფასეული.

უპირველეს ყოვლისა, მათ თხზულებაში დასმულია უაღრესად აქტუალური ეთიკური პრობლემები.

ჩვენამდე შემონახული სწავლა-დამოძღვრებითი ხასიათის ძეგლები ნათლად გვარწმუნებენ, თუ რაოდენ დიდი ყურადღება ექცეოდა ძველ საქართველოში აღზრდის პრობლემებს. ამ ჟანრის ნაწარმოებებს როგორც ჩვენში, ისე სხვა ერის ცხოვრებაში დიდი დიდაქტიკური ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული. მართებულად შენიშნავს აკად. ვ. ანდრიანოვა-პერეტცი: ქრისტიანული მორალის ქადაგებასთან ერთად „სწავლანში“ ვხვდებით ადამიანის ზნეობის, ვნებების შესახებ მსჯელობას. ავტორი დამოძღვრებას ახდენს პირდაპირ, უარყოფითი და დადებითი მხარეების ჩვენებითა და გაანალიზებით.<sup>1</sup>

<sup>1</sup> В. П. Андрианова-Перетц, Человек в учительной литературе древней Руси, Кн.: История жанров в русской литературе X—XVIII вв., 1972, М., стр. 311.



XVIII საუკუნის ქართულ ხელნაწერთა კრებულებში დაცულია „სწავლათა“ ისეთი ტექსტები, რომლებშიც საგანგებოდაა საუბარი აღზრდისა და საერთოდ ეთიკის პრობლემებზე. ამ თხზულებათა საშუალებით ჩვენ, ერთი მხრივ, ვგებულობთ, თუ რა დონეზე იყო დასმული ძველ საქართველოში სწავლა-აღზრდის საკითხები, მეორე მხრივ, ამ თხზულებებში ჩამოყალიბებული დებულებები რიგ შემთხვევაში დღესაც ინარჩუნებენ აქტუალურ მნიშვნელობას.

ძველი დროის მოაზროვნეთა დიდაქტიკურ მოძღვრებაში მრავალ ეთიკურ პრობლემათა შორის ერთ-ერთი აჩვენებთია შვილის აღზრდის პრობლემა.

ერთ-ერთ ქადაგებაში პირდაპირაა დასმული ახალთაობის აღზრდის პრობლემა. ავტორი ავითარებს მოსაზრებას, რომ მართალია მშობლიური სიყვარული არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი შვილთან ურთიერთობაში, მაგრამ მთავარია თვით სიყვარულის რაობაში გარკვევა. ის აყალიბებს, თუ რას ნიშნავს სიყვარული და როგორ უნდა იქნეს გამოვლენილი ის შვილის მიმართ. ორატორი დასაწყისშივე გამოკვეთს თავისი ქადაგების ძირითად თეზისს, რომელიც შემდგენაირადაა ფორმულირებული: „რა სიყვარული უნდა ჰქონდეს ერთს დედამამსა თავისი ძიხა, რომლითაც კეთილად აღზარდოს“.

შვილისადმი სიყვარული არ უნდა იქცეს ბავშვის დამამახინჯებელ ფაქტორად. სიყვარული უნდა იყოს ჯანსაღი და ფხიხელი, რათა ბავშვი აღზარდოს საზოგადოებისათვის სასარგებლო მოქალაქედ. სიყვარულმა ბავშვში უნდა განავითაროს შრომისუნარიანობა, სიფაქიზე, საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა. მშობლის ვითომდა სიყვარულით გამოწვეული შვილის გადაჭარბებულად უზრუნველად ყოფნა, ბავშვს უკარგავს ინიციატივის, ქმედითობის უნარს და მას აქცევს არასოციალურ არსებად. ორატორი ოდნავ პრიმიტიულ ფორმებში, მაგრამ საკმაოდ გონივრულად აყალიბებს სიყვარულით დაბრმავებული მშობლის აღზრდის მეთოდების უბადრუკობას: „მრავალ მშობელთ უყვარან თავიანთი ძე,—მოძღვრავს ორატორი,—იმისთანა ურიგო და ბრმა სიყვარულითა, რომ ერთი მტერი თავისის შეძლებით იმთონს ზიანს ვერ მისცემს, რამდენსაც დედამამანი თავიანთ სიყვარულითა ავნებენ თავიანთგან შობილთა.“

ასრე რომ რამდენი სიბოროტე ერთს ახალსგაზრდაშიდ ნახულა, მთელის პირველი მიზეზი ყოფილა ის დაუფიქრებელი და უთავბოლო

სიყვარული დედამამისა, რომელთაც სათუთად და დაუტუქსავად გაუზრდიათ.

ასრე რომ თავიანთი სიყვარული თუ არ იქმნება სიტყვიერი და ბრძენი, გახდებიან უფროს მტერნი თავიანთი შვილისა, ვიდრემც თუ მოყვარული, რაფერათაც ის ფრინველი სახელით სტრუცი, რომელიც მეტის სიყვარულითა, რომ თვალიდამ არ მოვიშოროვო, მშვიერს დახოცავს თავის ბარტყებს<sup>1</sup>.

ორატორი უაღრესად პრაქტიკული, რეალისტური თვალთ ჭვრეტს ცხოვრებისეულ მოვლენებს და ამზეურებს აღზრდის მახინჯ მხარეებს. მას გონებამახვილურად აქვს შენიშნული ზოგიერთ მამის უბადრუე მდგომარეობა, რომელსაც დაუკარგავს ინდივიდუალობა, თავისთავად არსებობის მიზანი, პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და თავის არსებობის გამართლებას ხედავს მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ შვილი უზრუნველყოს მატერიალურად და ამის გამო ის უამრავ დანაშაულს ჩადის მომხვეჭელობისა და მტაცებლობის, სიმკაცრისა და დაუნდობლობის, უსამართლობისა და უპატიოსნობის გზით; თვით იქცევა არარაობად მხოლოდ იმიტომ, რომ შვილს შეუქმნას მდგომარეობა, ხოლო ეს უკანასკნელი ყალიბდება აბსოლუტურად პასიური, მცონარე, უინტერესო და უმოქმედო სუბიექტად. ასეთი მამა კარგავს ადამიანურ ღირსებას, საზოგადოებრივ ინტერესებს, ხელიდან ეცლება მოქალაქეობრივი განცდა და პასუხისმგებლობა, ამას ყველაფერს ამართლებს ეგრეთ წოდებული „შვილზე ზრუნვის“ გრძნობებით. ხოლო ასეთი შვილი, ადამიანის ღირსების შეწირვის ფასად შეიძლება დებულობს დიდ მატერიალურ დოვლათს და თვით იქცევა ამ დოვლათის, ნივთების მონად, რომელსაც შრომის აღარც უნარი აქვს და არც პატივისცემა, რომლისთვისაც აღარაფერი წმინდა და კეთილშობილი აღარ არსებობს, გარდა საგნებისა და რომლის ტვინის ყოველი უჯრედი მხოლოდ ნივთებითაა დაკავებული. ასეთი არასოციალური, ანტისაზოგადოებრივი სუბიექტი ყალიბდება მხოლოდ და მხოლოდ „თავგანწირულ მშობლებად“ წოდებული ადამიანების წყალობით. საყურადღებოა ისიც, რომ ამგვარ შვილებს თავიანთ მშობლებების ერთადერთ ფუნქციად მიაჩნიათ მათი გაცხოველებული ინსტიქტების დაკმაყოფილება. ასეთი შვილების რწმენით, მშობლებს სხვა ინტერესები არ უნდა გააჩნდეთ; მათ არ უნდა ჰქონდეთ არც პიროვნული და არც საზოგადოებრივი მიზნები, მათი ერთადერთი დანიშნულებაა შვილების კეთილმოწყობა. ამის გამო ორა-

<sup>1</sup> კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Q 1277, გვ. 18.

ტორი აღნიშნავს „არცადა ცოტა უგუნურობა იქმნება ერთი მამისა, რომელმაც შვილის სიყვარულის გულისათვის, ანუ რაიმე მისის სიკეთის გულისათვის თავისი სული დაჰკარგოს; მაგრამ ოჰ, თუ რამდენს ვუმზერთ ამისთანა დედამებებსა, რომელნიც თავიანთი შვილებისათვის თუ რამდენი ჩხუბი, რამდენი ტყუილი, რამდენი უსამართლობა და უსამართლობით მოგება, რამდენი უწყალობა, რომ ჩემს შვილს ბევრი დარჩეს, ბევრი შეეძინოს; რამდენი დავიდარაბა მამულზედ, სახლზედ, მერა ვიცი, რამდენნაირი თავის სულის დაბრკოლება ერთი შვილის ხათრისათვის“<sup>1</sup>.

ორატორი შვილის აღზრდის პრობლემას სხვადასხვა კუთხით განიხილავს, თუ ზემოთ მოყვანილი მსჯელობის დროს ის აშიშვლებს და კიცხავს შვილებზე მზრუნველ ე. წ. „აქტიურ მშობლებს“, იმავე ქადაგებაში უყურადღებოდ არ რჩება იმ ტიპის მშობლებიც, რომელნიც უღარდებლობასა და ერთგვარ გულგრილობას იჩენენ შვილის აღზრდაში. მათი შვილები თვითღინებით, ყოველგვარი ზედამხედველობისა და უფროსის წარმმართველი ძალის გარეშე იზრდებიან; ასეთ ჩაურევლობასა და თვით დაიმედებას მეორე უკიდურესობამდე მიყვავართ. კერძოდ, ბავშვი ვერ ერკვევა ცხოვრების ავ-კარგში, ადვილად ცდება და მისდაუნებურად ჩადის დანაშაულს და თუ თავიდანვე უყურადღებოდ დატოვა მშობელმა ბავშვის უნებლიე შეცოდებანი, შემდეგ ეს თანდათან იზრდება და ბავშვი დამნაშავედ ყალიბდება. ქადაგებაში ხაზგასმითაა თქმული: „რომ დედამის უნაღვლობაზედ ჰკიდია შვილის წახდენაო: რათა, იმიტომ რომ ჯერ შენი შვილი დიად კარგია, მანამდის ჩავარდებოდეს და ისწავლიდეს სიბოროტეს, რომელსაც შენის ყურის უგდებლობით იწავლის სიბოროტესა. რა საკვირველია, რომ თავისით კარგი აღარ იქმნება“<sup>2</sup>. ამ დებულების განსამტკიცებლად და საილუსტრაციოდ მოაქვს ერთი არაკი: „პრომს, ერთ ქვრივს ქალს ერთი შვილი ჰყავდა და იმავე პატრობისავ ყმაწვილებს საშაგირდოდამ საყმაწვილო რამეებს დაჰპარემდა და დედა მისი ნახევდა ხოლმე, მაგრამ არას დროს შვილს არ დაუშლიდა. ეს ვაჟი საუბედუროდ გაიზარდა, თანდათან ქურდობას შეეჩვია, ასრე რომ ბოლოს მოსამართლემ დაიჭირა და სასიკვდილოდ გაასამართლა. თოკის ძირზედ რომ მიიყვანეს შეევედრა კაცებსა, რათა ერთი დედაჩემი მაჩვენეთო და მათაც მოჰგვარეს. მიახლოვდა დედა

<sup>1</sup> ი ქ ვ ე, გვ. 22.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე.

მისსა და გარდაეხვია, რომ უნდა ეპაპბოროს, ერთი ასეთი მწარეთ უკბინა დედა მისსა, რომ მთელი ცალი გვერდი ლოყისა გამოგლიჯა და თან უთხრა, შენ ჩემი დედა კი არ ხარო, თუ რათა იმ პატარობისას ჩემი ქურდობა დაგეშალა, მე ახლა ამ თოკს არ ვნახავდიო<sup>1</sup>!

აქედან აკეთებს ბუნებრივ დასკვნას, რომ შვილის აღზრდის პასუხისმგებლობა, ძირითადად, მშობელს ეკისრება. ამავე დროს, მსჯელობს რა ორი ტიპის მშობლის ბუნების შესახებ, ის უარყოფს ამ ორივე უკიდურესობას, ერთი მხრივ, ისეთ მშობლებს, რომლებიც მხოლოდ შვილის უზრუნველყოფაზე ფიქრობენ და ეს გაუხდიათ თავის მიზნად, და, მეორე მხრივ, ისეთ მშობლებს, რომლებიც გულგრილობას, ერთგვარ ჩაურევლობას იჩენენ ბავშვის აღზრდაში. ეს ორი ერთმანეთის საპირისპირო და ურთიერთგამომრიცხველი მეთოდი აღზრდისა, ერთნაირად დამღუპველია, ერთნაირად უარყოფით შედეგამდე მიმყვანია.

აქედან გამომდინარე, შვილის აღზრდაში მთავარია ზომიერება, სისტემატურობა და თანამიმდევრობა, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდაში უნდა განვითარდეს სიბეჯითე, კეთილსინდისიერება და ამაღლებული საზოგადოებრივი იდეალები. ჯანსაღი მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესში მშობლის ხვედრითი წონა განუზომელია. ამიტომ ორატორი შვილის აღზრდის პრობლემის განხილვისას საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას მშობლის მოვალეობაზე. შვილის აღზრდის პრობლემა უშუალოდ ეჯაჭვება საერთოდ ოჯახის პრობლემას და ამიტომ ორატორი მიზანშეწონილად ცნობს მრევლი ამ ასპექტითაც დამოძღვროს. ის მსმენელებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, საგანგებოდ შთაავონებს, რომ ოჯახის შექმნა და გაძღოლა ერთ-ერთი ურთულესი და არსებითი პრობლემაა სამოქალაქო ცხოვრებაში. ის ისეთივე ცოდნას მოითხოვს, როგორც ყოველი სპეციალობა. თუ მკურნალობა ან ღურგლობა არ იცი, ხომ ვერ განკურნავ ავადმყოფს და ვერც საღურგლო საქმეს მოაწესრიგებ? ასევე, თუ ოჯახის გრძნობის განცდა და აღლო აღარა გაქვს არა ხარ მობილიზებული და ჩაკვირებული ოჯახური პრობლემების მოსაწესრიგებლად, მაშინ ვერც ოჯახს გაუძღვები, რის გამოც შენცა და შენი ოჯახის წევრებს სიცოცხლე ტანჯვად გექცევათ. ამიტომ, ვიდრე ოჯახს შექმნიდე, უწინარეს ყოვლისა, უნდა ჩაუფიქრდე, გაიზარო ყველა ის კომპონენტი, რომელიც ოჯახის წარმართვისათვის არის საჭირო. უპირველეს ყოვლისა უნდა ჩაუფიქრდე, ერთი მხრივ, შენს

<sup>1</sup> ი.ქ.ვე, გვ. 23

პიროვნულ შესაძლებლობას, და, მეორე მხრივ, იმ ადამიანის ასევე პიროვნულ ღირსებებს, რომელთანაც გადაწყვეტილი გაქვს ოჯახის შექმნა: „უწინარეს შეუღლებისა, — ვკითხულობთ ქადაგებაში, — ჯერ არს, რომ გაზომოთ საკუთარი ძალი თქვენი და გასჩხრიკოთ თუ შეგიძლიათ და გაქუსთ იმდენი გული, რომ სძლიოთ სიძნელესა და აღზიდოთ ტვირთი თვისი სიმძიმითა, რაოდენიც არის შეუღლება.“

თქვენ კარგად ხედავთ, რომ ეს ჩხრეკა და ეს წინა ფიქრი მუდამ გაქუსთ თვითო თვითო ხელობაში, რომელიც უნდა მიიღოთ (რომელითა მაგალითითა), გინდათ აიღოთ ერთი საქონელი და წახვიდეთ ერთს სავაჭროდ. მიბრუნდეთ ქალაქში. პირველი საქმე, რომელსა თქვენ ქმით ეს არის, იფიქროთ: ამფერად კარგად შემოძლია, ამოდენი სათავენო მექნება, კარგად გამოვა ის ჩემი სავაჭრო, მაქვს იმოდენი სახარჯო, გვექნება მართალი არის იმედი იმოდენი სარგებლისა, მაინც ამისათვის კიდევ და კიდევ შიში წაგებისა არის იმავე რიგში<sup>1</sup>. ასევე წინასწარი ფიქრი, აწონდაწონვა უნდა უამრავ ფაქტს, გარემოს, რათა გადადგა ნაბიჯი ოჯახის შესაქმნელად. იქვე აფრთხილებს ახალგაზრდებს, ამ გადაწყვეტილების გამოტანის დროს არ უნდა ავეყვით გულისთქმას, მომენტურმა განწყობილებამ და ჟინიანობამ არ უნდა გადაგადგმევიროთ ნაბიჯი. თვალთ ზერელე ჭვრეტას, გონების თვალთ ჩაღრმავება ამჯობინეთ: „გეტყვი შენ ქალო, ანუ ვაჟო გინდათ ჩაებათ სიგიჟით დაბრმავებულნი თქვენი ხორცის აღელვებისაგან. არ გინდათ, რომ პირველ იფიქროთ, მოსძებნოთ, განიხილოთ ის სიძნელეები და ჭირები, რომელიც მოგიბდებიან, რომლით უბედურნი და საწყალობელნი შეიქმნებიან არა მარტო თქვენს სიცოცხლეში, მაგრამ თქვენი წარწყმედის მიზეზიც შეიქმნებიან საუკუნოდ“<sup>2</sup>.

საუბარი რომ უფრო ეფექტიანი და შთამბეჭდავი იყოს, ორატორი ახალგაზრდებს თვალწინ უშლის ცხოვრების ყველა სფეროს, ჯერ უთვალისწინებს იმ უსიამოვნო შედეგს, რომელიც აუცილებლად მოჰყვება დაუფიქრებლად გადადგმულ ნაბიჯს; „ამის გარდა, უნდა ვიფიქროთ კარგად წინდაწინ და ვსთქვათ, როგორ შემოძლია აყოლვა, თუ შემხედვს ერთი ქალი სხუა ფერად ნაკლებ პირის წყლიანი. თუ ჩაცმა-დაბურებაში უწინსაფრო იყოს და არ უნდოდეს სახლში დაჯდომა, თვალის დაჭერა, როგორც ვალი არის ჯალაბობაზედ, როგორ მომცემს გული, რომ გავ-

<sup>1</sup> Q 1301, გვ. 485.

<sup>2</sup> იქვე.

წვდეს მას ცოლქმრობაში. ვხედავ, რომ არ ისმენს ჩემსას და ჩემს წინააღმდეგ შერებოდეს.

ოჰ, თუ რა დიდი იქმნება უბედურება ჩემი, ოდეს მყვანდეს ერთი ქალი ჯავრიანი, მოუთმენელი, ავგული, ცუდი და გაუწურთვნიელი, რა დიდი მოთმინება მომიხდება“<sup>1</sup>.

ამ არაჯანსაღი ურთიერთობის თავიდან აცილების მიზნით ორატორი მიმართავს ქალებს: „გიფიქრიათ მერმე და გიჩხრეკიათ მოვალეობა და სიმძიმე ტვირთისა რაიც არს ცოლქმრობაში“<sup>2</sup>. მთელ ქადაგებას ლეიტმოტივად გასდევს ძირითადი თეზისი, რომ, თუ მოქალაქეებს სურთ ჯანსაღი და ბედნიერი ოჯახი შექმნან, ამ გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აჩქარდნენ, გამოიჩინონ სიდინჯე და წინდახედულება, ღრმად ჩაუყვირდნენ როგორც მომავალი მეგობრის, ისე თავის ბუნებას, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი ურთიერთს, რამდენად არიან მომზადებული ოჯახის შესაქმნელად.

ქადაგებაში გამუდმებით უღერს გაფრთხილება: „არ უნდა ჩაებას (აღამიანი, რ. ბ.) ქორწინებაში ასრე მალე და უჭკუოთ. უნდა პირველად გამოსძებნოს, თუ მეუღლეობის რა მოვალეობა აქვს და მერმე ნახოს, თუ აქუს საკმაო ძალა და გარჯილობა, სამართალი და დარჩენად ცოლ-შვილსა“<sup>3</sup>. თუ ამ პრინციპების გათვალისწინებით შექმნის აღამიანი ოჯახს, მაშინ მას ექნება ნორმალური, მშვიდი და საკმიანი ცხოვრება, რის საფუძველზეც ქვეყანას მისცემს ჯანსაღსა და ღირსეულ შთამომავლობას. ოჯახის წინაშე ერთნაირად პასუხისმგებელია როგორც ცოლი, ისე ქმარი. ორატორის თქმით, „ყოველითურთ მზრუნავი არის წესსა და რიგსა ზედა ოჯახისასა რაფერად ქმარი, იმფერად ცოლი, ცოცხლობენ შვილების გასაწვრთნელად.

თუ არიან სიღარიბეში, ირჯებიან, იღალვიან, იმ ხელობაში, იმ დუქანში, იმ მოსავალზედ, რომ იმდენი ჰქონდეთ, რომ იცოცხლონ. თქვენ იტყვით: „ოჰ, რა ბედნიერი არის ეს იმათი ყოფა! როგორ ცოტანი არიან ის მეუღლენი, რომელთაც ამფერი სიცოცხლით იცოცხლონ ამ ქვეყანაში! იცით საყვარელნი, საიდან დაიბადება ეს ამისთანა მხიარული და ბედნიერი ყოფა“<sup>4</sup>, ამ ბედნიერების მიზეზია კეთილგონიერება.

<sup>1</sup> 1 Q 1301, გვ. 485.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე, გვ. 48.

<sup>4</sup> Q 1277, გვ. 11.

საყურადღებო ფაქტია, რომ ქადაგებაში ავტორი ხშირად ლაპარაკობს ქალის უფლების საკითხზე და ამახვილებს ყურადღებას ქალის ავტორიტეტზე. მეუღლებრივ ურთიერთობაში ქალი წარმოდგენილი ჰყავს მამაკაცის თანასწორუფლებიანად და შესაბამისად ოჯახური პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობაც გატოლფარდებულია. ავტორი საგანგებოდ აფრთხილებს მსმენელებს: „ქმარი მართალი არის როგორც თავი და უფროსი, უბრძანებს ცოლსა, მაგრამ ყოველი ტოლობითა და ყოველი სიყვარულითა“<sup>1</sup> და იქვე კატეგორიული ტონით დასძენს: „იცით, რომ ცოლი არის სიკვდილამდისინ თავისი ამხანაგი და არა მხლებელი და არა მსახური“. ეს ჯანსაღი, პროგრესული აზრი არ არის უმნიშვნელო ფაქტი და მოულოდნელი ქართულ ქადაგებებში. მათში ქალის ავტორიტეტის ამაღლების, ღირსების დაცვის მიზნით არაიშვიათად ვხვდებით განზოგადებულ მსჯელობას ამ საკითხზე და მორწმუნე მრევლის მეტი დარწმუნებისათვის საგანგებო თეოლოგიური არგუმენტები მოხმობილი. კერძოდ, ერთ-ერთი ბიბლიური ფაქტის — ნეტარი ავგუსტინესეული კომენტარით ავტორი ცდილობს დაამტკიცოს ქალის მამაკაცთან სწორუფლებიანობა. სახელდობრ, ის ავითარებს შემდეგნაირ მსჯელობას: „დაუჯერეთ წმინდა ავგუსტინესა, რომელიც ამბობს, რომ ამიტომ ღმერთმან ჰევა შვა, წიბოს ძელიდამ გააჩინა და არა თავის ძვალიდამ, არცა ფეხისა, რათა თანასწორი თავისი მეუღლისა ყოფილიყო, არც თავზედ გაყვანილი და არც ფეხქვეშ დაქეილი; თანასწორ სიყვარულს გვავალებს ღმერთი მრავალს ადგილსა“<sup>2</sup>. მართალია, თეოლოგიური ხასიათის მსჯელობითა და ასეთივე სახის არგუმენტებით, მაგრამ თავისთავად მნიშვნელოვან აზრს ავითარებს მქადაგებელი, როდესაც ცდილობს მსმენელთა შორის შთანერგოს თანასწორუფლებიანობა მეუღლებრივ ურთიერთობაში.

ავტორი ოჯახურ ურთიერთობიდან გადადის საერთოდ საზოგადოების წევრთა ურთიერთობაზე და თანასწორუფლებიანობის დამკვიდრებით საზოგადოებრივ ჰარმონიაზე ზრუნავს.

უფროს-უმცროსობის განცდა და აქედან გამომდინარე ეთიკური ნორმები საზოგადოების კეთილმდგომარეობის საფუძვლად მიაჩნია ორატორს. ხოლო ამ ნორმების დარღვევაში მუდამ ბრალი ახალგაზრდებს როდი მიუძღვით. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ კონსერვატორი ბუნების მქონე უფროსების მოქმედებაზე, რომელნიც ჯიუტად ჩემულო-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>2</sup> იქვე.

ბენ რა თავიანთი უფროსობით გამოწვეულ უფლებებს, ერთგვარად მოდუნებულნი და დაყრუებულნი არიან სიახლისადმი და ვერ ვგუებთან ვერც შეთათბირებას, ვერც ახალგაზრდის ინიციატივასა და დამოუკიდებლობისადმი სწრაფვას, რის გამოც რისხვისაგანაც ვერ იკავენბენ თავს და ეს ბუნებრივადაც მიიჩნიათ. „ამბობენ მამები, ჩემი შვილი ჩემზე უფრო მცოდინარობას იჩემებს, მის დღეში არ უნდა ერთი პატარა ჩემი მორჩილება, რაც თვითონ უნდა იმას შერება და არა რაც მე მინდა“. ამის გამო გაცემებით კითხულობს: „რა ვქნა, მიზეზი არა მაქვს გაჯავრებისა და მრისხანებისაო, არ მივყარო ათასი და ათასი წყევლა და გინებაო?!“<sup>1</sup> რასაკვირველია, უფროსისაგან უმცროსის დამოძღვრება, დატუქსვაც აღზრდის ერთ-ერთი სავესებით გამართლებული ფორმაა, მაგრამ ჰუმანისტური იდეებით გამსჭვალული ორატორი ყოველად გაუმართლებლად მიიჩნევს მრისხანებას და გაბოროტებას. ეს უკანასკნელი თვისება მიიჩნია საზოგადოებისათვის დიდად დამაზიანებელ მოვლენად, რის გამოც ავტორი ცდილობს დახატოს გაბოროტებული ადამიანის პორტრეტი და ამით შიადწიოს ამ მანკიერი გამოვლენის დათრგუნვას: „ოდეს გაჯავრებენ უმცროსნი და არ იქმნენ მსახურნი თქუენის ნებისა, ბოლოს ნახეთ ყოვლად ბოროტი მოქმედება, რომელი გამოოდის ამ ცოდვისაგან, კმარა მარტო რდმ დაგიყენონ თქუენ თუალწინ ერთი გაჯავრებული კაცი, ნახე როგორ დაუდიდროანდება თუალები, გარდაჰკრამს ფერსა, გამოვა ჭკუისაგან, ავესება თუალები სისხლითა, პირი დუჟითა, ხელები კანკალს დაუწყებს. თუ გამოვა რაიმე ხელითგან, მიჰყოფს ხელს იარაღს და თუ არ გამოვა რა ხელითგან, გაადებს პირსა და ვაი თუალსა და ვაი-ყურსა“<sup>2</sup>. გაბოროტებული, წონასწორობადაკარგული კაცის სახის რეალისტურად წარმოდგენით ავტორი ცდილობს ანტიპათია გამოიწვიოს მსმენელებში ამ მანკიერი ინსტინქტების გამოვლინებისადმი. ამ ინსტინქტების დასათრგუნავად ქადაგებაში ორიგინალური რჩევაა ჩამოყალიბებული: „გაჯავრების წამალი სარკე არისო, ერთმა ჭკვიანმა, ოდეს ჯავრიანად არის სარკეში გაიხედოს და თავის სახის დამნახავი ცუდ უბრალოდ არ გაჯავრდებაო“<sup>3</sup>. ეს თითქოსდა გულუბრყვილო რჩევაა, მაგრამ გარკვეულ დადებით ეფექტს მოკლებული არაა.

ქართულ ქადაგებებში, რომელი კრებულიც არ უნდა იყოს ის, ყველგან განსაკუთრებული დაბეჯითებითაა წარმოდგენილი დამოძღვრება

<sup>1</sup> Q 1301, გვ. 361.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> Q 1277, გვ. 132.



ბოროტებისა და რისხვის წინააღმდეგ. რისხვაა მიჩნეული ყოველივე დანაშაულის, ყოველივე უსამართლობის პირველ მიზეზად. დიხჯ დამრიგებლურ საუბართან, ლოგიკური მსჯელობისა და ცხოვრებისეული მაგალითების მოყვანასთან ერთად, რიგ შემთხვევაში ავტორები დიდი მხატვრული ოსტატობითა და მჭევრმეტყველური ხელოვნებით ახერხებენ თავიანთი აზრების ჩამოყალიბებას: ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ემოციურ ზეგავლენას ახდენს Q 1272 ხელნაწერში დაცული შესანიშნავი ქადაგება, რომელშიაც დიდი ექსპრესიით, ენაწყლიანობითა და სახეთა სიმდიდრით არის მხილებული და განკიცხული მრისხანე, გულცივი ადამიანი: „სიღამდინ უნდა მოითმინოთ ცანო და სინამდინ ქვეყანავ ამ უსამართლო ცოდვებისაგან.

სიღამდინ არ უნდა იქუხოთ ცანო და არ უნდა ჩამოჰყაროთ მათზე მეხნი რისხვისა.

შენ ქვეყანავ რაისთვის არ გაადებ პირსა და არ ჩაჰყლაჰავ მათა!“

მრისხანე და გულქვა პიროვნებათა გამოსავლენად რიტორიკული შეკითხვებით მიმართავს მსმენელებს:

„უკეთურნო, თუ ხართ ვინმე ამ საყდარში, სინამდინ არ უნდა დარბილდეს ეგე თქვენი გაქვავებული გული?“

და თითქოს თავისთვის გაოცებული ბუტბუტებს:

„რა არის, არ ვიცი!

თუ კლდე არის, არ არის!

თუ რკინა არის, არ არის!

თუ მხეცი არის, არ არის!

და თვითვე იძლევა განმარტებას: „ამიტომ, რომ კლდე დაინტერევა, დაიფხვნება და შეიმუსრვის ჩაქუჩისაგან.

რკინა დარბილდება და დაჰკარგავს სიმაგრესა და კიდევაც დადნება ცეცხლითა.

მხეცი დაჰკარგავს თავის მხეცურს ბუნებას დაჟვავებითა. მაგრამ თქვენი გული ვერ შეიძრა, ვერ დარბილდა და ვერც დაჰკარგა მხეცური ბუნება“<sup>1</sup>, ადამიანის გულცივობა თითქოს უსაზღვროა, თითქოს უსულო საგნები და თვით მხეციც კი მეტად მოსადრეკია, ამის გამო გაოცებითა და ერთგვარი სასოწარკვეთით ამბობს:

„სიმწრიო არ იქმნა.

სიტკობებით არ იქმნა.

დაყურებით სრულ არ იქმნა.

<sup>1</sup> Q 1277, გვ. 6.

უბადრუკნო, დაჟინებულნო, ცოდვილნო, არ ვიცი, თუ რა გზა უნდა დავიჭირო, რა სიტყვები უნდა ვიხმარო და რანაირათ უნდა ვილაპარაკო თქვენთანა: ვფიქრობ და ვერ მომიგონია რა, ვჩხრეკავ და ვეძებ, ვერა მიპოვნია რა, რომლითაც შევძლო დარბილება მაგ თქვენი გულისა<sup>1</sup>.

ეთიკურ პრობლემებზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოქალაქის ცხოვრებასთან დამოკიდებულების საკითხს. ის საგანგებოდ ეხება პრობლემას, თუ რაში მდგომარეობს ადამიანის მოქალაქეობრივი მოვალეობა, თუ როგორ უნდა გადაწყვიტოს ადამიანმა ცხოვრებისეული ამოცანები, როგორ უნდა დაუქვემდებაროს მატერიალური ინტერესები ზნეობრივად ამაღლებულ მიზნებს.

მატერიალური ინტერესებით გამსჭვალული ადამიანი დაცლილია ყოველგვარი საზოგადოებრივი იდეალებისაგან. მისთვის არ არსებობს ამაღლებული მიზნები და ამის ნაცვლად შეპყრობილია წვრილმანი ამოცანების მოგვარებით. მისი საზრუნავია ყოველდღიური პატარა პრობლემები, მისი ცნობიერება მთლიანად საგნებითაა დაკავებული და ეს უკანასკნელი გაუხდია საფიქრებლად და სათაყვანებლად, ამიტომ ის საოცარი ცინიზმით აშიშვლებს ამ პატარა ადამიანთა სულიერ სამყაროს, ამხელს მათი ყოფის უბადრუკობას და უყენებს მორწმუნეთათვის მომაკვდინებელ ბრალდებას:

„მაშ აბა, რომელსაც გიყვარს შენი თავი და შენი ნება დიდათა ეგე არს შენი ღმერთი.

შენ, რომელსაც გიყვარს ის ვინმე უფროის ღვთისაგან, ის არის შენი ღმერთი.

შენ, რომელსაც გიყვარს უფროს ღვთისა შენი ცოლი, ანუ ცოლო შენი ქმარი, ანუ შენი შეილარის არის შენი ღმერთი.

შენ, რომელსაც უფრო დიდად გიყვარს ღვთისა თეთრი, საქონელი ანუ ქონება, ის არის შენი ღმერთი.

შენ, რომელსაც დიდათ გიყვარს მუცელი ბოლოზი და სიამოვნე, სწორედ ის არის შენი ღმერთი,

შენ, რომელსაც უფრო დიდათ გიყვარს შენი სილამაზე და შეკაზმულობა, ის არის შენი ღმერთი.

შენ, რომელსაც უფრო გიყვარს ცოდვა და სხვა ფერად-ფერადი ურიგობა, ის არის შენი ღმერთი.

<sup>1</sup> ი ქ ვ ე, გვ. 7.

და ერთი სიტყვით, ვსთქვათ თქვენ, ვისაც რათაცა გიყვარსთ და ნდომულობთ დიდათა, ის არის თქვენი ღმერთი, ის აგიყულებიათ კერპათა იმას სცემთ თაყვანსა და ამისათვის კერპთმსახურნი ხართ და არა ღთის მსახურნი“<sup>1</sup>.

რასაკვირველია, კერპთმსახურებაში აქ იგულისხმება არა წარმართული სარწმუნოება, არამედ კერპად ქცეული ვნებები და საგნები, რომელთა მსახურად და მონებად გარდაქმნილან თავისუფლებისათვის შობილი ადამიანები. ასეთი ადამიანების მთელი სასიცოცხლო ენერგია მატერიალური კეთილდღეობისაკენაა წარმართული, კერპად ქცეული ნივთის შეძენა შთანთქავს მთელ მათ ცნობიერებას, ხოლო ამ სწრაფვაში მცირედი დაბრკოლებაც კი იწვევს საოცარ გაბოროტებასა და შურის გრძნობას. ორატორს შურიანობა ყველა მანკიერ თვისებაზე უფრო საშიშ და მომაკვდინებელ თვისებად მიაჩნია. ესაა თვისება, რომლით შეპყრობილი ადამიანი აბსოლუტურად უვარგისი ხდება საზოგადოებისათვის. საკუთარი წარუმატებლობით გაბოროტებული და შურით შეპყრობილი ადამიანი მეტად საშიში და დამაბრკოლებელი ხდება საზოგადოების განვითარებისათვის. ამის გამო ორატორი ყოველგვარად ცდილობს გამოააშკარავოს ამ მანკიერების საძრახი მხარეები და მსმენელებში აღძრას სიძულვილი ამ სენის გამოვლენის ყოველგვარ შესაძლებლობებისადმი. ორატორი, აყალიბებს რა ამ უაღრესად სამარცხვინო მოვლენის არსს, ამით ცდილობს მსმენელებზე მოახდინოს გარკვეული, ზემოქმედება: „ახლანდელს დროში, — ვკითხულობთ ქადაგებებში, — ამ ჩვენს ქრისტიანობაშიდაც იპოვებიან ადამიანები, რომელნი არიან მემშურნენი, რომელთა თვითონ არა რაი სიკეთე აქუსთ, ანუ თუ აქუსთ — ცოტა და რაჟამს რასმე სიკეთეს სხუაშიად იხილავენ; უნდათ, რომ მასშიდაც არ იყოს და მუდამ ცდილობენ, რომ გააფუჭონ ან თავიანთი ან სხვისით, ან სიტყვით ან საქმით.

მემშურნე რასაც სიკეთეს ნახამს სხვაშიდ, ან ქონებას, ან ღიდებას, ან მეცნიერებას, ან რასმე კაის ბუნებას, უნდა რომ თავისის სიმშურნეობით, თუ შეეძლოს წაართვას და თუ თვითონ წართმევას ვერ შეძლებს მაინც მას არ ჰქონდეს ის უნდა“<sup>2</sup>.

ავტორის ძირითადი თეზაა, რომ ყოველი მანკიერება საძრახისია, მაგრამ მემშურნეობა კი ყველას ერთად აღემატება. ამასთან დაკავშირებით მეტად ორიგინალურად ავითარებს თავის მსჯელობას: „თუ მერმე

<sup>1</sup> ი ქ ვ ე, გვ. 110.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 120.

წმინდათა ვსჩხრეკოთ ყოველნი ცოდვანი აოიას აირდაპირნი თვითო თვითო სათნოებათა, ასრე რომ ამპარტავენება უპირისპირდება სიმდაბლეს, სიძვირე—უხეობას, გარყვნილება (ქალისა)—ქალწულობასა და სხუაც ამფერათ. მაგრამ მემშურნე ყოველს მადლსა და კეთილმოქმედებას უპირისპირდება, რა სიკეთესაც ნახამს, ყოველი შეშურნდება<sup>1</sup>. მემშურნეობის კიდევ ერთი საშიში მხარეა ის, რომ ამ მანკიერებას ყველაზე ძნელად და გვიან შენიშნავენ, მაშინ როდესაც სხვა საძრახი თვისებები ადვილად შესამჩნევია, როგორც თვით ამ საძრახი თვისებების მატარებელი ადამიანისათვის, ისე მის გარეშე პირისათვის: „ყოველს ცოდვას,—ვკითხულობთ ქადაგებებში, —კაცი იზიზღებს და თავის დროს შეინანებს, რამეთუ თავისშიდ ნაკლებულობას დაინახამს, მაგრამ მარტო მოშურნე რადგან არ გამოჩნდება ადვილათა, ძნელად შეინანებს და ამიტომ ნელნელა სტანჯავს ჯცსა მოუცილებლად, ასრე რომ ზოგჯერ სიკეთეთაც მიანია“<sup>2</sup>.

შურიანობის მომაკვდინებელი მხარეა ისიც, რომ მას, გარდა იმისა, რომ აქვს ანტისაზოგადოებრივი ხასიათი, ამავე დროს ის სასტიკად ტანჯავს და ღრღნის თვით შურიან ადამიანს, რადგან ის მუდამ მოუსვენარია, მუდამ შეშფოთებულია და შეწუხებულია, მას დაკარგული აქვს ყოველგვარი სიმშვიდე და სილაღე: „რა არის უარესი ომი და პატიჟი მემშურნისა, ის არ არის მარტო, რომ თავის თავად იტანჯება და ცეცხლი ეკიდება?“<sup>3</sup>

ქართულ ხელნაწერებში შემონახული „სწავლანის“ ერთ-ერთი ძირითადი თემაა, როგორც ვხედავთ, მორალურ-ეთიკური პრობლემები, მაგრამ ამ პრობლემებზე მსჯელობა არ შეიცავს განყენებულ, წმინდა თეორიულ ხასიათს. ამ პრობლემებს ავტორები ხშირ შემთხვევაში მათი შესაძლებლობის ფარგლებში უკავშირებენ სინამდვილეს და იხილავენ ცხოვრებისეულ ამოცანებთან მჭიდრო კავშირში.

ერთ-ერთ ქადაგებაში ავტორი გულწრფელად გვესაუბრება იმის შესახებ, რომ ხშირად არის შემთხვევაო, როდესაც ადამიანი თავის შეცოდებებს, ზნეობის მანკიერი მხარის გამოვლენას ამართლებს ობიექტური, თითქოსდა იძულებითი მიზეზებით და სანიმუშოდ მოჰყავს ტიპური ობივატელური ფსიქიკის მქონე ადამიანის მსჯელობა: „ამასვე ამბობენ,—გკითხულობთ ქადაგებაში,— რომ არა რაი მაქვს სიღამ ვიცო-

<sup>1</sup> ი ქ ვ ე, გვ. 421.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე, გვ. 62.

ცხლო: დრო-დრო აღარ არის, სიძვირე მოგვერია, მოსავალი დაგვაკლდა, წამრთმევი გამრავლდა, მომცემი დაცოტავდა, უწინდელივით ისევ მიწაც აღარ ნაყოფიერობს, მაშ რა ვქნათ, რით დავრჩეთ“<sup>1</sup>.

რასაკვირველია, ამ არგუმენტებითა და მოტივით შეუძლებელია გამართლებული იქნას რაიმე შეცოდება და სულმოკლეობა, მაგრამ მოცემული ნაწყვეტი სხვა მხრივაც მეტად საყურადღებო. აქ სულ ხუთიოდე სტრიქონში უაღრესად რეალისტურად არის წარმოდგენილი ეპოქის სოციალური და ეკონომიური სურათი, ეს იშვიათი ისტორიული საბუთია გარკვეული ეპოქის შესასწავლად. მოქალაქის ჩივილი: „სიძვირე მოგვერია, მოსავალი დაგვაკლდა, უწინდელივით ისევ მიწაც აღარ ნაყოფიერობს“, აშკარად მიგვანიშნებს ქვეყნის ეკონომიკურ სიდუხჭირესა და მეურნეობის მოშლაზე, ხოლო მწარე ამონაკენისი „წამრთმევი გამრავლდა, მომცემი დაცოტავდა“—მძიმე სოციალური ყოფით გამოწვეული ჩივილია.

მაგრამ ყოველივე ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სრულიადაც არ ამართლებს მაღალ მორალურ პრინციპებისადმი ღალატს.

საერთოდ ცხოვრებასთან დამოკიდებულების პრობლემა, მატერიალური ინტერესებისადმი სწრაფვა—ეს არ იყო აღამიანთა არსებობის სასხვათაშორისო, მეორეხარისხოვანი სფერო. ერთ შემთხვევაში თითქოს გულუბრყვილო აღსარება მოქალაქისა: „აბა რა ვქნათ, ცოლი გვინდა, შვილი გვინდა, სძა და ჭამა გვინდა, ბატონს სამსახური უნდა“. თავისი გულწრფელობით თანაგრძნობასაც იწვევს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი ასეთი პრიმიტიული და შეზღუდული დამოკიდებულება, ცხოვრებაში სახელმძღვანელო პრინციპად არ გამოდგება, რის გამოც ორატორი მართებულად შენიშნავს. „მაგას ნუ მეტყვიით“. მას სრულიად სამართლიანად ასეთი არგუმენტების მოსმენაც კი არ უნდა და იქვე დასძენს: „მე ხომ არ გეუბნებით, რომ სრული მეუღაბნოელნი შეიქმენით მეთქი, მაგრამ სრულიად თქვენი სულ არ უნდა დაივიწყოთ, მაგრამ ორივე ხელი გაქვთ, ერთით სული და მეორეთი ხორცი დაიჭიროთ, უწინ სული და მერმე ხორცი“<sup>2</sup>. ამ საკითხის დასმა და ამგვარი გადაჭრა ახალი არ არის ქართულ ჰომილექტიკაში, ამის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს სულხან-საბა ორბელიანი, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, მართალია არა სულხან-საბასებური სიღრმითა და მასშტაბურობით, მაგრამ პრინციპულად იმავე პოზიციებიდან, ახალი მასალების მოშველიებით ანალოგიურ დასკვნამდე მიდის ჩვენნი ორატორი. ამ შემთ-

<sup>1</sup> Q 1301, გვ. 519.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 511.

ხვევაში, ჩვენ თითქოს საქმე გვაქვს სულხან-საბას თემის ვარიაციასთან.<sup>1</sup> თავისთავად ამ საკითხის დაყენება, მასზე ყურადღების გამახვილება, ფიქრების ხელახლა აღძვრა და მართებულ გადაწყვეტილებამდე მისვლა ავტორს თანამოქალაქეთა მორალურ დახვეწაზე ზრუნვის საშუალებას აძლევს.

სხვა შემთხვევაში ქადაგების ავტორი აშკარად გვაგრძნობინებს, რომ იგი შორსაა იმ აზრისაგან, რომ თანამოქალაქეებში ასკეტური იდეალები იქადაგოს. სულზე, მორალურ პრინციპებსა და ამაღლებულ იდეალებზე ზრუნვა სრულიადაც არ გამორიცხავს რეალური სასიცოცხლო პრობლემების მოწესრიგებას. ადამიანმა ზომიერების გრძნობის დაცვით ჯანსაღად და რეალისტურად უნდა გადაწყვიტოს სინამდვილესთან დამოკიდებულების პრობლემა. ყოველგვარი უკიდურესობა, რამიმართულებითაც არ უნდა იყოს იგი გამიზნული, ერთნაირად საზიანოა საზოგადოებისათვის. ავტორი იშველიებს რა სოლომონ ბრძენის სიტყვებს: „რომ ყოველის რასმე თავისი დრო აქვს“, იქვე დასძენს: „ასრე რომ, ყოველმან კაცმან სულიერობის დროს სულის საქმე და ხორციელობის დროს ხორცის საქმე უნდა ჰქმნას და დიად დააშავებენ მარტო სულიერებაზედ დროს დახარჯვითა, რომელთაც თავიანთი სახლის ზიანი მიეცემა და წვრილშვილი მშვიერი დაურჩებათ და არცა არა ნაკლებ ისინი დააშავებენ, რომელნიც მარტო ხორციელს საქმეში ისრე გაერთობიან, რომ სულისას არღარას ებებენ“<sup>2</sup>. აქ აშკარაა ავტორის მიზანდასახულობა. ამასთან დაკავშირებით, ქადაგებაში განვითარებულია კიდევ ერთი, ცხოვრებაში უდავოდ სახელმძღვანელო პრინციპი, კერძოდ, ადამიანის საზოგადოებრივი სახე, მისი პიროვნება ჩანს არა თეოთრეკლამაში, არა სიტყვიერ დეკლარაციაში, არამედ საქმეში, ნოქმედებაში. „მრავალნი არიან ამ ჩვენს დროში, — წერს ორატორი, — რომელნიც იქადნიან და თავიანთი თავი მოაქვთ კეთილად, რამეთუ ქრისტიანენი ვართ და კათოლიკე სარწმუნოების ეკლესიაში რადგან ვიწირებით ჩვენ ეს გვეყოფა და მეორე პირს წმინდა იაკობის ნათქვამს კი არ კითხულობენ, რომელი ამბობს ცხადად, რომ სარწმუნოება უნდა დამტკიცდეს კეთილმოქმედებითა, თვარამ მარტო სარწმუნოება კაცს არას არგია საცხოვნებლათ“<sup>3</sup>. ეს შორს გამიზნული მსჯელობა მარტო სარწმუნოების აღიარების საკითხით არ ამოიწურება. აქ დასმულია უფრო

<sup>1</sup> რევაზ ბარამიძე, ქართული საისტორიო და ორატორული პროზა, 1979.

<sup>2</sup> Q 1301, გვ. 512.

<sup>3</sup> იქვე.

არსებითი, პრინციპული პრობლემა—ადამიანის ქმედითობის პრობლემა. ადამიანის ბუნება, მისი პიროვნული ღირსება გამოვლინდება და შეიცნობა არა იმაში, თუ რას ამბობს ის, არამედ უპირველეს ყოვლისა მისი ქცევის, საქმიანობის, მოღვაწეობის შედეგად. ეს უკანასკნელია მისი შინაგანი ბუნების უტყუარი გამსაზღვრელი, მისი საზოგადოებრივი ღირსების გამომკვეთი. საზოგადოებრივი ავტორიტეტის მოპოვება კი მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებისადმი კეთილსინდისიერი სამსახურით შეიძლება. ამის აუცილებელი პირობაა, უპირველეს ყოვლისა, ეგოისტური ინსტინქტების ჩაკვლა, პირადი კეთილდღეობისა და მომხვეჭელობის ცდუნების დათრგუნვა. სიკეთე და მხოლოდ სიკეთე მიაჩნია ორატორს ადამიანის სიღიადის გამოვლენად. თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად იშველიებს იოანე ოქროპირის ავტორიტეტს: „მუდამ ქადაგებდა ოქროპირი და ამბობდა: „ის არის კარგი ქონება, რომელსაც გასცემ, და რომელსაც შეინახავ—შენათ ნუ გუგულვებაო“. ამ დებულების ცნობილ რუსთველურ აფორიზმზე იზრდებოდნენ თაობები და ამჟერადაც ამ პრინციპების დანერგვას ცდილობს ჩვენნი ორატორი თანამედროვეთა შორის.

აღზრდის პროცესში ორატორი დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდათა მიერ დროის დაზოგვასა და გამოყენებას. დროის განცდა, მისი გონივრულად გამოყენება არის შრომის პროდუქტიულობის სტრუქტურულ-საფუძველი. ამიტომ ამ საკითხს გაკვრით კი არ ეხებიან, არამედ მას საგანგებო ქადაგებასაც კი უძღვნიან. ქადაგების თვით სათაურშივე იგრძნობა პრობლემის სერიოზულობა: „დროისა და ჟამის ღირებულების ცნობასა ხმარებასა ზედა“. და ეს არ არის შემთხვევითი, რადგანაც დროის ფასის შთაგონება ახალთაობისათვის, დროის ჭკვიანურად განაწილება განაპირობებს პიროვნების ჩამოყალიბებას, მისი შრომისნაყოფიერების გამოვლენას. როდესაც ახალგაზრდა თავისი დაუდევრობით უპასუხისმგებლოდ ეპყრობა დროს, ტყუილუბრალოდ ფლანგავს მას, იგი თავისთავში ავითარებს მცონარობას და ამის შედეგად მისი დაოსტატებაც საეჭვო ხდება, რადგანაც, ვინც დროის მომჭირნეობა არ იცის, ის ვერც სათანადო ცოდნის მარაგს ვერ იძენს, დროის სახით კარგავს ისეთ განძს, რომლის ანაზღაურება და შემდგომში დაბრუნება შეუძლებელი ხდება. ამიტომ ორატორი საგანგებოდ აფრთხილებს ახალგაზრდებს: „ო, მინამდინ დროს პირი შენკენ აქუს, მაშინ დაიჭირა თმიდგან და ცუდათ ნუ დახარჯამ, თორემ როდის პირს მოგაქცევს და გაიქცე-

ვა, მაშინ უკანდგან ხელის ტაცებას გაიფიქრებ, მაგრამ აღარა აქუს რომლით დაიჭირო და აღარ გაუშვა და მერმე ინატრებ ბევრს, მაგრამ ხელში აღარ ჩაყარდება“<sup>1</sup>. და შთაბეჭდილების მოხდენის მეტი ეფექტურობისათვის ხატავს ახალგაზრდების უსაქმურად ყოფნის ამსახველ სურათს: „ო, როგორ მოიგონებთ თქვენს დროს და იტყვიტ, ახ დროება რა ტყვილად დაეხარჯეთ, რამდენი საათი გავაფუჭეთ ლხინსა და თამაშობაშიდ, რამდენი დრო დაეკარგეთ საყდრის კარზედ ცუდად ლაპარაკში, რამდენი დრო ტყვილად დაეხარჯეთ უბნებზე ერთმანეთთან მუსაიფობით“<sup>2</sup>. მაგრამ ეს დანაება უშედეგოა, რადგანაც დაგროვების, ათვისების, დაოსტატების წლებშია გაფლანგული ეს დრო და გაფლანგულია აუნაზღაურებლად. ამიტომ თავიდანვე უნდა შთააგონო და ასწავლო ახალგაზრდას დროის გონივრულად გამოყენების უნარი. ვინც იცის დროის გაფრთხილება, ის უდავოდ მობილიზებული, მიზანდასახული პიროვნებაა და საზოგადოებისათვის სასარგებლოც.

„სწავლანის“ ავტორი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ადამიანის პირად ღირსებებზე. ადამიანის პირადი ღირსება, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ის, არ უნდა იწვევდეს დიდგულობასა და ამპარტავნობას. დიდგულდებიან და ამპარტავნდებიან ისინი, რომელთაც თვითონ უკვირთ თავიანთი წარმატებები მაშინ, როდესაც ეს წარმატებები, საზოგადოების ბეგარად არ უნდა აქციონ, ამით არ უნდა შეაწუხონ და გააბეზრონ გარშემო მყოფნი. კაცობრიობის ისტორიამ იმდენად ბევრი, მორალურად და ინტელექტუალურად ამაღლებული პიროვნება იცის, რომ ჩვენ რა უფლება გვაქვს ზვიადობისა. ის ფაქტი, რომ რაღაც მცირედი უპირატესობა გვაქვს ჩვენს გვერდით მყოფთან შედარებით, განა გვამლევს უფლებას ამპარტავნობისას?! თვით ქრისტი, პავლე მოციქული, ან არისტოტელე და სოკრატე, რომელთა ღირსებებთან გაგვიჭირდება მიახლება, ისინი არ დიდგულობდნენ და შენ რამ გაგადიდგულაო.

გამორჩეულ ნიჭს, უნარს და საერთოდ ღირსებას მაშინ აქვს ფასი, როდესაც ის სხვასაც აკეთილშობილებს, სხვასაც ზრდის და საერთოდ საზოგადოებას სიკეთეს მატებს, თორემ ღირსების სამკაულად გააზრება და ამით დიდგულობა და სხვათა შეწუხება უკვე ღირსება არ არის. თავისი წარმატება აოცებს და ადიდგულებს მხოლოდ მას, რომელსაც ბუნებით გამორჩეული ნიჭი გამოჰყვა, მაგრამ არ გამოჰყვა სიბრძნე, შინაგანი სიდიადე, რათა მოერიოს თავის ნიჭს. დიდგულობის და ამპარტავ-

<sup>1</sup> Q 1301, 512.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 519.



ნობის მანკიერი მხარე რომ უფრო გამოკვეთილად დაანახოს მსმენელებს, ამ მიზნით ორატორი ხატოვან ანალოგებს იშველიებს:

„სირამაგის ქათამი ყოველს ფრინველშიდ დიად ამპარტავანი და კობტა არის, რადგან ცხადი და კარგი მზე რომ გამოვა, უნდა რომ სხვას ურვენოს თავისი თავი და მშვენიერება: გაიშლის იმ თავის ფულფულათ დაწყობილს და ოქროსნაირად შედებილს კულსა, შეიბერტყავს, გაისწორებს და იყურება ზედ და დაბრუნდება რომ მისი ელვანობანი ყველამ დაინახოს, მაგრამ იმთონს ყურებაში ერთიც მოუხდება, რომ ფეხებზედ დაიხედავს, რომელი შავათა და უკადრისაჲ თავის ტანის ეჩვენება, იმავე წამსვე მოეშლება ქეიფი, ჩამოჰყრის ფრთებსა და დაღონდება.

გაშალე შენც ქრისტეანო შენი ყოველი კეთილობანი... ზედიზედ დაიქადე, რომ მეც ამასთან კეთილმოქმედი ვართქო, რომ სხვა ავი კაცივით არა ვართქო, მაგრამ გვედრები ერთი სულზედაც დაიხედე, ვა თუ შავი იყოს იმ ფრინველის ფეხებივითა, ვა თუ სხვა და სხვა ნაირი ცოდვებით გაგაშავებინოს სული შენი იმ ნაირათა, რომ არ უხდებოდეს იმ შენს მოწონებულს თავსა“. ეს უკანასკნელი მაგალითი სირამაგის ქათმის შესახებ იმ მხრივათაცაა საყურადღებო, რომ ავტორი მოუწოდებს ყველას ღრმად ჩაიხედონ თავის თავში და მრავალ საამაყო ღირსებათა შორის, შესაძლოა რაიმე გარკვეული ნაკლიც იპოვონ და ამ ნაკლის აღმოფხვრაზე უფრო იფიქრონ, ვიდრე ღირსებით გამოწვეულ ამპარტავნობაზე.

საქმიანი და შინაგანად კეთილშობილი პიროვნება არ შეიძლება იყოს გულზვიადი და ქედმაღალი, მისი გამორჩეული ნიჭი და უნარი მას სჭირდება საქმისათვის და არა გამოსამზეურებლად. ღირსება არ არის სამკაული, რომელიც სხვისთვის მოსაწონებლად იყოს გამიზნული. ყოველი ღირსება ხელს უნდა უწყობდეს პიროვნების შინაგან სრულყოფას და არ უნდა ხდებოდეს მისი იაფფასიანი დემონსტრირება და მისით კეკლუცობა. ორატორი სასტიკად კიცხავს მათ, რომელნიც არიან ამპარტავანნი, რომელთა ჰნებავთ სხვაზედ უფროსობა და დაჩაგვრა თავიანთი ძმისა და მოყვასისა:

ამპარტავანნი სიტყვითა,

ამპარტავანნი ქცევითა,

ამპარტავანნი ლაპარაკითა,

ამპარტავანნი ჩაცმა-დაბურვითა

ამპარტავანნი და ლაღნი სიარულითა,

რომ ესენი და მათი მსგავსნიც შეურაცხყოფენ მაცხოვრის მოძღვრებას.

როგორც თავში აღნიშნეთ, მართალია, ეს სიტყვები არ აქვს წარმოთქმული რომელიმე ცნობილ მწერალს, საზოგადო მოღვაწესა თუ ორატორს და ამ თხზულებათა ავტორები არიან რიგითი განათლებული სასულიერო პირები, მაგრამ მათ თხზულებაში მაინც ჩანს ეპოქის ლიტერატურული დონე.

განსაკუთრებით საყურადღებოა მათ მიერ დასმული ეთიკური პრობლემები და გამოვლენილი ჩვენი ცხოვრების ის რეალისტური სურათები, რომელთა საშუალებით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა უფრო ღრმად გავიცნოთ და შევისწავლოთ ისტორიის გარკვეული მონაკვეთი.

ცნობილია, რომ ლიტერატურული პროცესების განვითარების თვალსაზრისით არა ნაკლებად საინტერესოა ე. წ. „მეორეხარისხოვან“ მწერალთა შემოქმედება. სწორედ მათი თხზულებების ანალიზი გვაძლევს საშუალებას გავითვალისწინოთ გენეზისი და სპეციფიკა ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენისა და გავარკვიოთ ის ლიტერატურულ-კულტურული ატმოსფერო, რომელიც გარს ეკრა და ასაზრდოვებდა ეპოქის წამყვან ლიტერატურულ ფიგურას. სწორედ ამიტომაც ქართული „სწავლანი“ მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ არა მარტო ეროვნული ორატორული ხელოვნების განვითარების ისტორიაში, არამედ საერთოდ ეპოქის სოციალური, ეთიკური, პოლიტიკური და ყოფითი ისტორიის, საერთოდ კულტურის დონის შესასწავლად.

აღნიშნული თხზულებები დაწერილია უბრალო, სასაუბრო, ყოველდღიური სამეტყველო ენით და, ამდენად, უაღრესად მდიდარ ლინგვისტურ მასალას შეიცავს. მოცემულ თხზულებებში დაცული ლექსიკური მასალა და ფორმები უდაოდ შესასწავლია სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისით, მით უფრო, რომ აქ მეტად უხვად გვხვდება დიდაქტიკური მასალა.

როგორც ვნახეთ, თითქმის ყოველ ქადაგებაში ამა თუ იმ დებულების, ამა თუ იმ შეგონების საილუსტრაციოდ მოყვანილია საკმაო რაოდენობის არაკები და ანდაზები, რომელნიც საინტერესო მასალას წარმოადგენენ ქართული ფოლკლორის ისტორიის განვითარებისასპექტში.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის გარემოება, რომ ქართველი ორატორების საუბრის ძირითადი თემაა მორალურ-ეთიკური პრობლემები. საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე.

ამდენად, ორატორული ძეგლები უაღრესად საინტერესო სფეროა ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით.

როგორც ვხედავთ, „სწავლანის“ საუბრის ძირითადი თემაა მორალურ-ეთიკური პრობლემები. ამასთან დაკავშირებით მდიდარი მასალაა მოხმობილი და დღესაც ანგარიშგასაწვევი შეხედულებებია ჩამოყალიბებული მასში.

ძველ საქართველოში აღზრდის პრობლემას საგანგებო ყურადღება ექცეოდა არა მარტო თეორიულ ასპექტში, კერძოდ, ამ საკითხებს არა მარტო ეძღვნებოდა მხატვრული, ორატორული თუ პედაგოგიური თხზულებები, არამედ პრაქტიკულ-ორგანიზაციულადაც მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ აღზრდის საკითხებს. ამ ასპექტში უპირველეს ყოვლისა დღის წესრიგში იდგა ჩვენში სასწავლებლების მოწყობის და განსაკუთრებით კი, ახალგაზრდათა უცხოეთში განსასწავლად გაგზავნის საკითხი.

უცხოეთის სასწავლებლებში ქართველ ახალგაზრდათა გაგზავნის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენში მოღვაწე ევროპელ კათოლიკე მისიონერებს: კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის შედეგად ქართველი მოწინავე საზოგადოება დინიტერესდა ევროპული კულტურით და დაიწყო ახალგაზრდობის გაგზავნა სასწავლებლად დასავლეთში, განსაკუთრებით რომში.

ცნობილია ისიც, რომ სულხან-საბას რომში ჩასვლამდე თხუთმეტი წლით ადრე რომიდან საქართველოში გამოგზავნეს წერილი, რომელშიაც ითხოვდნენ იქ ქართველი ახალგაზრდების გაგზავნას სასწავლებლად: „ეს წმინდა კრება ნატრობს—გკითხულობთ წერილში—და მასთანვე ზრუნავს, რომ ამჟამად ურბანოს კოლეჯიაში დარჩენილი ცარიელი ადგილი შეავსოს ორი ახალგაზრდა ქართველით, რათა მათ სწავლის შემდგომ, თავის დროზე შეიძლონ შეწევნა სულიერად თავიანთი ტომისა, რომელსაც ეგონნათ სჭირია კარგი მოციქულებრივი მუშაკნი. ამიტომ გთხოვთ მოსძებნოთ ორი ახალგაზრდა და რაც შეიძლება მალე გამოგზავნოთ აქ. ამასთანავე გაუწყებ, რომ ის ყმაწვილები უნდა იყვნენ კარგი აგებულობისა, მრთელნი და გონებით და სხეულით, გარეგნად უნაკლულნი; ჰქონდესთ საკმაო ნიჭი, რათა მათგან შემდგომში სარგებლობის იმედი იყოს; არ იყვნენ უმცროსი თხუთმეტი წლისა და უდიდესნი ოცისა, ანუ სულ ბევრი 21 წლისა, ეგრეთვე თუ შეიძლება ჰქონდეთ რომელიმე სწავლა დაწყებული“.<sup>1</sup>

როგორც ვიცით სულხან-საბა მოიხიბლა იტალიის ბიბლიოთეკებითა და იქ არსებული სწავლის სისტემით, რის გამოც რომში მას შეს-

<sup>1</sup> მის. თ ა მ ა რ ა შ ე ი ლ ი, ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის, გვ. 289.

თავაზეს, რომ დაბრუნებისთანავე იქ გაეგზავნათ ქართველი ახალგაზრდები სასწავლებლად.

და მართლაც, როგორც თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, სულხან-საბას ევროპიდან დაბრუნების შემდეგ რომში გაუგზავნია გორელი დავითი: „23 წლის გორელი ტულუკაანთ დავითა, რომელიც ბასილიანთ უფროსმა საბამ, ქართველი კათოლიკე თავადმა გამოგზავნა, პროპაგანდამ მიიღო 30 ივლისს, 1725 წ. კოლევიაში შევიდა 4 აპრილს. 10 ნოემბერს 1726 წ. მისცა ფიცი. 1732 წ. 22 მარტსა დაიცვა ფილოსოფიის საჯარო დისერტაცია პრეფექტო კარდინალის წინაშე; 21 მარტს 1733 წ. ეკურთხა მღვდლად ლათინურ ტიბიკონზედ და კაფუციანებთან მონაზვნად შევიდა. 1734 წ. ნოემბრის 28-ს გარდაიცვალა ექვსი თვის ავადმყოფობის შემდგომ.“<sup>1</sup>

გორელ დავითს როგორც ნიჭიერსა და მიზანდასახულ კაცს საკმაო სიბუჯითაც გამოუჩენია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას 1733 წ. დაუწერია ქართული კათეხიზმო. ეს კათეხიზმო მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, არამედ რამდენიმე ხელნაწერი ჯხემლარი გამოუგზავნიათ საქართველოში. ეს წიგნი პირველად დაიბეჭდა რომში 1741 წ. მღვდელის ივანე ჯიგანაანთის თაობით. ხოლო მეორედ გარკვეული მიზნით ფალსიფიცირებული დაიბეჭდა 1797 წ. ბაღინაანთ გრიგოლი მღვდლის თაოსნობით. გრიგოლს სათაურში ჩაუმატებია სიტყვა „სომეხი“, რაც არც ხელნაწერში და არც პირველ გამოცემაში არ იყო. ამ ფალსიფიკაციის მიზანი იყო დავითის სომხად გამოცხადება. ტულუკაანთ დავითი თავის თავს არსად არ უწოდებს სომეხს, ეს შემდეგი დროის ჩამატებაა, კერძოდ ასეა სიტყვა „სომეხი“ ჩამატებული: „საქრისტიანო მოძღვრება გინა წურთნა შვიდთა საიდუმლოთა ზედა, გადმოთარგმნილი იტალიანის ენისაგან ქართველის მხედრულის ენასა ზედა საქართველოს გორელი ტულუკაანთ სომეხი დავითისაგან“<sup>2</sup>. პირველი გამოცემის სათაური ასე იკითხებოდა „საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს მისიონერებში სახმარებლად, გადმოთარგმნილი იტალიურიდან ქართულის მხედრულს ენაზე ქართველი ტულუკაანთ დავითისაგან, ამავე გვარის კათოლიკების საყოველთაო და სასულიერო სარგებლობისათვის“, რომში 1741 წ. გორელი დავითის სომხობას ადასტურებს ამ წიგნის გამოცემისა და საქა-

<sup>1</sup> მხ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 343.

<sup>2</sup> იქვე.

რთველოში გაგზავნის ინიციატორი, დავითის თანამოღვაწე და „ძმა“ (იგულისხმება, რასაკვირველია სულიერი ძმა) კლაუდიო რეჯიელი კა-  
ფუცინი.<sup>1</sup>

გორელი დავითის კატეხიზმოს დაბეჭდვის ინიციატორი იუანე ჯი-  
განაანთი, თვით იყო ერთი იმ ახალგაზრდათაგანი, რომელიც რომში  
გაგზავნეს სასწავლებლად და იქ განსწავლულმა ნაყოფიერი მოღვაწე-  
ობა დაიწყო იტალიაში. მართალია, მას საქართველოში უნდოდა ჩამო-  
სვლა, მაგრამ ოსმალებს იმდენად ჰქონდათ გზები გადაკეტილი, რომ  
შეუძლებელი გახდა საქართველომდე მოღწევა, ამიტომ განკარგულება  
მიიღო შეჩერებულიყო გზაში და იძულებული გახდა დარჩენილიყო სმი-  
რნის ვენეციის კონსულთან 1749 წ.-მდე. იქ ის ტყვედ მიყვანილ ქართ-  
ველებს ასწავლიდა სარწმუნოებას, ამზადებდა ქადაგებანსა და თარგმ-  
ნიდა წიგნებს.<sup>2</sup>

გაყოფილი და დატყვევებული ქართველები ტყვეობიდან თავის დაღ-  
წევის შემთხვევაში რომ დასავლეთისაკენ მიიღტვოდნენ და იქ აფარებ-  
დნენ თავს ეს ჩვენ კარგად ვიცით თვით სულხან-საბას მოგზაურო-  
ბიდანაც. კერძოდ, როდესაც ის მალთაში შეხვდა ოსმალოს ტყვეობი-  
დან დახსნილ ქართველებს: „მალთაში ქართველებიც ვნახე: ზოგი  
აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისათვის წაერთ-  
მიათ. ენა ისევ კარგი იცოდნენ“<sup>3</sup>. სულხან-საბა მისთვის ჩვეული  
ოსტატობითა და ფსიქოლოგიური დაძაბულობით ხატავს იმ შემაზრზენ  
სურათს, როდესაც მალთელების მიერ ოსმალების ტყვეობიდან დახსნი-  
ლი ქართველები სულხანს ეხვეწებოდნენ მასთან ერთად სამშობლოში  
გამომგზავრებას, მაგრამ სულხანი არ ურჩევს, რადგან წინ კვლავ ოსმა-  
ლეთია გასავლელად და დატყვევებას ვეღარ გადაურჩებიან, აქ კი ქრის-  
ტიანულ სამყაროში თავისუფლად ცხოვრობენ. მალთელები ოსმალებს  
და მათდამი დაქვემდებარებულებს ბრძოლის დროს ატყვევებენ: „რასაც  
ქრისტიანს დაახლებენ არ დაატყვევებენ: თუ უნდა გაუშვებენ, თუ უნდა  
შეინახავენ. თათარი ტყვედ ჰყოლოდათ. ერთი აფხაზი, ოთხი გურული,  
ერთი გუგუნავა სეხნიას შვილი იყო. დედაკაცები გურიელი, მეგრელი  
დარჩომოდათ. კაის პატივით ინახავდნენ. წამოსვლა უნდოდათ. მე და-

<sup>1</sup> მხ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 344.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 422.

<sup>3</sup> ს. ს. ორბელიანი, თხზულებები, ტ. 1, გვ. 231; ამ საკითხთან დაკავშირებით  
მეტად მდიდარ მასალას გვაწვდის რევაზ თაბუკაშვილის შესანიშნავი ფილმი „სამი  
ნოველა“.

ვუშალე“<sup>1</sup>. სწორედ ამგვარად თათართა ტყვეობისაგან თავდახსნილი იყვნენ იქ ახალგაზრდები, რომელთაც ივანე ჯუგაანთი ასწავლიდა იტალიაში. ვინ იცის მალთისა თუ იტალიის სხვა ქალაქებში თავშეხიზნული და განსწავლული ქართველები რა წარმატებით მოღვაწეობდნენ და რამდენად საჭირო და სასარგებლოა მათი კვალისა და ნამოღვაწარის მიგნება და შესწავლა.

კათოლიკე მისიონერები არა მარტო რომში გაგზავნილ ახალგაზრდებზე ზრუნავდნენ, არამედ დიდი ღვაწლი დასდეს თვით საქართველოში სასწავლო ქსელის გაშლა-გაფართოების საქმეს. მათი ინტენსიური მოღვაწეობის შედეგად გაცხოველდა სასწავლებლების გახსნისა და ახალგაზრდათა სწავლა-განათლებისათვის ზრუნვა. მათ მიერ გახსნილ სკოლებში კათოლიკურ-ქრისტიანულ მოძღვრებასთან ერთად ასწავლიდნენ ქართულ, იტალიურ და ლათინურ ენებს. მარტო თბილისში 40-მდე კაცი სწავლობდა. მისიონერთა მოღვაწეობის შედეგად ახალგაზრდები სწავლას ეწაფებოდნენ გორში, ახალციხეში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში.

1670 წლიდან ქართველებს ორი ადგილი ჰქონდათ დათმობილი რომის უმაღლეს თეოლოგიურ სასწავლებელში. რომის მიბაძვით საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწეებიც არა ნაკლებად დაინტერესდნენ, რათა საფრანგეთში მიეზიდათ ქართველი ახალგაზრდები. ფრანგები ქართველებში ხედავდნენ დიდ პოტენციალურ ძალას, რომელიც მობილიზაციისა და ახალგაზრდათა განსწავლის შედეგად გადაიქცეოდა ძლიერ ანტიმამაძიანურ სახელმწიფოდ აღმოსავლეთში. ამისათვის ერთერთ ღუცილებელ პირობად მიიჩნევდნენ ქვეყნის ცივილიზაციას, საქართველოს კულტურის აყვანას ევროპის დონეზე, რისთვისაც საჭირო იყო ქართველი ახალგაზრდების გაგზავნა ევროპაში, რათა ისინი დაწაფებოდნენ მეცნიერებას, ტექნიკას, ვაჭრობასა და ხელოსნობას, ხოლო ამ სფეროში მოწინავე ევროპული დონის ათვისების შემდეგ საქართველოში დაბრუნებული სპეციალისტები იმდენად გააძლიერებდნენ სახელმწიფოს, რომ მათთვის სპარსეთ—ოსმალეთი პრობლემა არ იქნებოდა. ამ მიზნისათვის უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ქართველი ახალგაზრდების მიზიდვა საფრანგეთში. ამ დონისძიების შედეგი კარგად არის ჩამოყალიბებული იმ პროექტში, რომელიც ვერსალში წარადგინა პიერ დერნუმ თავის ვრცელ მემორანდუმთან ერთად, როდესაც სულხანუსაბა

<sup>1</sup> იქვე, გვ. 238.

წარსდგა ლუი XIV წინაშე. ეს პროექტი და მემორანდუმის ვრცელი მონაკვეთი, რომელიც შესწავლილი აქვს პროფ. ილია ტაბაღუას, მრავალ პოლიტიკურ—სამეურნეო და ვაჭრობის საკითხებთან ერთად ითვალისწინებს ქართველი ახალგაზრდების საფრანგეთში სწავლების ორგანიზაციას და სახავს იმ პერსპექტივებს, რომელსაც საქართველო და საფრანგეთი მიაღწევს ქართველ ახალგაზრდათა საფრანგეთში სასწავლებლად გაგზავნის შედეგად.<sup>1</sup> მემორანდუმში ვკითხულობთ: ქართლის მეფეს გარს არტყია ხალხები, რომლებზედაც მათ არავითარი ძალაუფლება არ გააჩნიათ, თუმცა სინამდვილეში ამ პროვინციების—აბაზების, აბაშიძეების, მეგრელებისა და გურიის მთავრები ან ბატონები ქართლის მეფეს ყოველთვის თავიანთ მეთაურად თვლიან.

აქედან შეიძლება დავასკვნათ—თუ სარწმუნოებამ ერთხელ შეძლო კავშირის კვანძების შეკვრა, რომელიც არსებულზე კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა იყოს... მათი საერთო ინტერესებისათვის; თუ სარწმუნოებაში მოქცეული ჩერქეზები შევლენ ამნაირ კავშირში და ყველა ერთმანეთს დაეხმარება, ვერავითარი ძალა მსოფლიოში ვერ შეძლებდა მათ განადგურებას მათი უპირატესობის გამო კავკასიის მთებში, რომლებიც ორივე მხრიდან თანაბრად აკრავთ.

შესაძლებელია ისინი (ქართველები და მათთან გაერთიანებული მეზობელი ხალხები — ი. ტ.) თვითონ გახდებოდნენ საშიში ორი ხალხისათვის (თურქებისა და სპარსელებისათვის — ი. ტ.), რომლებსაც ისინი დღემდე ბორკილებში ჰყავდათ.

... ასეთ ვითარებაში ქართველებს შეეძლოთ ესწავლათ რაიმე ხელოვნება და ხელოსნობა, რომელიც მათ აკლიათ, კერძოდ ლითონის ჩამოსხმა და ზარბაზნების გაკეთება, გვარჯილის წარმოება, დენთისა და ცეცხლმსროლელი იარაღის დამზადება; მათ უკვე იციან რკინის დნობა, რაც უხვად გააჩნიათ, და გვარჯილის სანახევროდ გაწმენდა. ამასთანავე მათ შეეძლოთ ჰყოლოდათ რამოდენიმე ინჟინერი, ამავე დროს ესწავლათ სამხედრო საქმე და ის, თუ რანაირად იბრძვიან და იცავენ თავს ევროპელები. „ამიტომ უკეთესი იქნებოდა ქართველებს თავიანთი ბავშვები თურქეთში გაყიდვის ნაცვლად 12 წლის ასაკის შემდეგ საფრანგეთში გაეგზავნათ სწავლა-განათლების მისაღებად.“ ბუნებრივია, სულხან-საბა ორბელიანს ფრანგების ეს პროექტი მეტად მოეწონებოდა, რის გამოც პიერ დ'არნუ წერს — ეს აზრი გამოითქვა

<sup>1</sup> ილ. ტ ა ბ ა ლ უ ა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 183—200.

სულხან-საბასთან საუბარში, მან დაგვიდასტურა, რომ დაწყებული ამ ქვეყნის ყველაზე დიდი ბატონებიდან ყველა სიამოვნებითა და საკუთარი თაოსნობით გაგზავნიდა თავის შვილს საფრანგეთში, რათა მიიღონ განათლება და ფრანგების მსგავსად აღზრდილიყვნენ და როგორც კი ისინი იქ დაბრუნდებიან, შეძლონ შემდგომში გაანათლონ და აღზარდონ ისინი, ვინც დარჩება მათ ქვეყანაში. საფრანგეთის მთავრობას შეეძლო მიეღო ყოველწლიურად თავადაზნაურული წრიდან გამოსული, ყველაზე უფრო ღირსეული 15 ან 20 ახალგაზრდა, რომლებიც ჩამოვიდოდნენ საფრანგეთში თავისი და თავიანთი მშობლების სურვილით 16 წლის ასაკში.

განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ისინი აღზრდილი იქნებოდნენ კოლეჯში, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლებოდა დაარსებულიყო საქართველოში,

საფრანგეთში ჩამოსული ახალგაზრდები მიიღებდნენ სამხედრო განათლებას სხვადასხვა პროფილით. აქ შეიძლებოდა მათი გაერთიანება პირველად რომელიმე რაზმში, მაგალითად, მარსელის ინტენდანტის გვარდიის რაზმში და ორი წლის შემდეგ კი ორ-ორის ან სამ-სამის გადაყვანა ფლოტში, ქვეით ჯარში, არტილერიისა და მესანგრე ნაწილში, სადაც მათ თანდათანობით დააწინაურებდნენ და სადაც ისინი იმსახურებდნენ ათი წლის განმავლობაში, რათა მათ არაფერი დარჩეთ შეუსწავლელი. ჩვენ უნდა აღვზარდოთ ისინი, — ეწერა მემორანდუმში, — რათა 12 წლის შემდეგ საფრანგეთიდან შინ დაბრუნებისას თვითონ აღზარდონ სხვები.

საფრანგეთში ქართველი ახალგაზრდობის პირველი ჯგუფის გამგზავრების მომენტიდან 12 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ჩავიდოდა იქ 15 ან 20 ქართველი ახალგაზრდა, ხოლო პირველი 12 წლის დამთავრების შემდეგ დაიწყებოდა მათი დაბრუნება საქართველოში. მემორანდუმში ნათქვამია — „პირველი 12 წლის ბოლოს საქართველო დაიწყებდა ყოველწლიურად ნაყოფის მიღებას ყველა ამ ახალგაზრდა ნერგიდან, რომელსაც ის მოაშენიანებდა საფრანგეთში. რაც თანმიმდევრობით მიაწვდიდა მას (საქართველოს — ი. ტ.) ოფიცერთა კორპუსს, რომელსაც უნარი ექნებოდა ყველაფერი წამოეწყო, რამდენადაც ეს ხალხი ბუნებრივად მამაცი“.

... საფრანგეთში ჩამოსული ქართველები, საფრანგეთის მეფის განკარგულებით თავიდანვე განაწილდებოდნენ ჯარში ან ფლოტში, რაც შეეხება კერძო პირებს, ისინი „დიდი სიამოვნებით აიყვანდნენ მათ, რა-



დგანაც თავიდანვე მიიღებდნენ 50 ან 60 კვიუს თვითეულზე და იძღვნი-  
ვს მხოლოდ 12 წლის გასვლის შემდეგ. ე. ი. სულ 120 კვიუს მთლიანად.“

მათ ეყოლებოდათ მოსამსახურე ან შეგირდი, რომელიც ემსახურე-  
ბოდა 12 წელიწადს ზედისეოდ, ისე რომ, არავის არ შესძლებოდა მათი  
წართმევა ან ამ ახალგაზრდებს ნება არ ექნებოდათ მათი მიტოვებისა.  
ისინი დარწმუნებულნი იქნებიან იმაში, რომ მათ ემსახურებოდნენ  
მთელი ერთგულებით, სიბეჯითით და მთელი შესაძლებელი სიმარ-  
ჯვით, რამდენადაც ეს ხალხი (ე. ი. ქართველები — რ. ბ.) წყნარია,  
ჭკვიანია, დახელოვნებულია და გარდა ამისა შეჩვეული მორჩილებას.

რადგან საქართველოდან საფრანგეთში ჩასულ ახალგაზრდებს იქ  
რაიმე პროფესია უნდა მიეღოთ, რათა შემდგომში გამოდგომოდნენ  
თავიანთ სამშობლოს, ამიტომ საჭირო იყო საფრანგეთში ქართველი  
ახალგაზრდების აღზრდის საქმე პატიოსან ადამიანებს აეღოთ ხელში.  
ასეთ ადამიანებად უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყვნენ ხელოსნები,  
რომელთა პროფესია კარგი იქნებოდა დაგვეჩერება საქართველოში; მათ  
შორის უნდა შეგვეჩინა ისეთები, ვისაც ყველაზე ნაკლებად შეეძლო  
ჩაედინა რაიმე უსამართლობა ამ ახალგაზრდა ადამიანების მიმართ; თუ  
საჭირო იქნებოდა ამ ახალგაზრდებს მკაცრად მოექცეოდით, არ გაგვე-  
ნებიერებინა და არ გადაგვექცია ისინი გამოუსადეგრად სამეფოსათვის  
და თავიანთი საკუთარი ქვეყნისათვის, როცა ისინი იქ დაბრუნდებოდ-  
ნენ. ქართველი ახალგაზრდების ყოფნა საფრანგეთში პირველ რიგში  
სახელმწიფოსათვის იქნებოდა მომგებიანი. სხვადასხვა სამსახური, სა-  
დაც მეფე შეძლებდა მათ განწესებას, დიდად ხელსაყრელი იქნებოდა.  
ამრიგად, მეფე შეძლებდა ჰყოლოდა ჯარისკაცები და მეზღვაურები  
იმავე ფასად, როგორც სამეფოშია.

ამდენად კათოლიკე მისიონერები რეალურად და მით უფრო მომავა-  
ლი გეგმების მიხედვით მეტად საშურ და სასარგებლო საქმეებს აკვარე-  
ბდნენ ახალგაზრდათა სწავლა — აღზრდით, რითაც მტკიცე საფუძველს  
ქმნიდნენ ერის ცივილიზაციისა და გაძლიერებისათვის.

ქვეყნის მოღონიერებისაკენ იყო აგრეთვე გამიზნული მათი ენერ-  
გიული მოღვაწეობა ჩვენი ცხოვრების სხვა სფეროშიც. ამ მხრივ უპირ-  
ველეს ყოვლისა ხაზგასასმელია მათი თავგანწირული ბრძოლა ახალ-  
გაზრდათა გაყიდვის წინააღმდეგ.

ისინი გაოცებულნი და აღშფოთებულნი იყვნენ იმის გამო, რომ  
ქართველები ატყვევებდნენ და ჰყიდდნენ თავიანთ თანამემამულეებს,  
რითაც ჭრიდნენ ერის სასიცოცხლო არტერიას. ამიტომ ისინი ყოველ-

ხაირად იბრძოდნენ ამ სამარცხვინო სენის წინააღმდეგ. ასეთ გადაგვარებულ ადამიანებს ამხელდნენ და წარმოუსახავდნენ იმ ეროვნულ უბედურებას, რაც შედეგად მოჰყვებოდა ადამიანებით შემადრწუნებელ ვაჭრობას. პიერ ღ'არნუ აღშფოთებით წერს: „ბევრი ამ ხალხებიდან, როგორცაა ჩერქეზები, მეგრელები და გურიაში მცხოვრები ხალხები მისდევდნენ დასაძრახ ჩვეულებას. თუმცა ისინი ქრისტიანები არიან, ჰყიდიან თავიანთ საკუთარ ბავშვებს და მათ თვითონ უნდა იგრძნონ, რომ ეს ჩვეულება არანაკლებ ეწინააღმდეგება ხალხისა და მათ საერთო ინტერესებს, ვიდრე სარწმუნოებას, რომელსაც ისინი აღიარებენ<sup>1</sup>. ამ ჩვენი სამარცხვინო ჩვეულებით აღშფოთებული მისიონერები, არა მარტო ამხელდნენ და კიცხავდნენ მათ, ვინც თანამემამულეებს და მით უფრო ოჯახის წევრებს, სტამბოლის ბაზარზე ყილდა, არამედ ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა აღმოეშინათ ჩვენს ფეოდალებში ყმებით ვაჭრობის მომაკვდინებელი ჩვეულება. ამ მხრივ ისინი ენერგიულად მოქმედებდნენ და რეალურ შედეგებსაც აღწევდნენ. მაგ. ჯუზეპე მილანელის მოწმობით XVII ს-ში სამეგრელოში ყმებით ვაჭრობაში ყოფილა გაწაფული ვინმე ქორთუა, მაგრამ მისიონერთა შთაგონებითა და ზეგავლენით მან „არა მარტო უარყო ყმაწვილების გაყიდვა თურქეთში, არამედ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა, როდესაც ესმოდა, რომ სხვები ჰყიდდნენ“<sup>2</sup>.

ეს მომაკვდინებელი სენი ღრღნიდა მთელ საქართველოს, იმავე ჯუზეპე მილანელის მოწმობით მისიონერები შესწრებიან, როდესაც გურიის მთავარ მალაქიას გავლენიანი პირი დაუსჯია, ხოლო მის ღამაზ მეუღლეს ყილდა ოსმალეთში: „თურქები ხშირად მოდიოდნენ ამ მხარეში ტყვე ქალების დიდი საფასურის შესაძენად. სხვათა შორის ერთ ღღეს მთავართან პატრები ისეთ დროს შეესწრნენ, როდესაც შემთხვევით ასეთი მოლაპარაკება წარმოებდა. ისინი თანაუგრძნობდნენ ამ არსებას, რომელიც შესაძლებელი იყო იოლად დაეთმოთ ასე დიდ ფასად, ამიტომ ისეთი საბუთიანობით და თხოვნით იმოქმედეს მთავარზე, რომ მას არამცთუ გადაათქმევინეს გაყიდვა, არამედ ხელი ააღებინეს იმ მავნე ჩვეულებაზეც, რომელსაც დღემდე მისდევდა“<sup>3</sup>. მოწინავე ქართველი მოღვაწეები მისიონერთა სიბრძნის, მჭერმეტყველებისა და ავტორიტეტის გამოყენებით ცდილობდნენ ზეგავლენა მოეხდინათ ტყვეებით

<sup>1</sup> ილ. ტ ა ბ ა ლ უ ა, საქართველო — საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 196.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 196.

<sup>3</sup> დონ ჯუზეპე ჯულინი მილანელი, წერილები საქართველოზე, გვ. 46.

მოვაჭრე გადაგვარებულ ფეოდალებზე და ხშირად მიმართავენ დახმარებისათვის მათ. ჯუზეპე მილანელს აღწერილი აქვს ერთი უაღრესად საყურადღებო შემთხვევა: „ელიზბარ მარაშვილმა, რომელიც დიდი პიროვნებაა და ყველაზე ბრძენი ამ მხარეში, ჩვენს სახლში თავადების ერთი ჯგუფი მოიყვანა (ისინი თათრებზე ჰყიდდნენ საკუთარ შვილებსა და ტყვეებს) იმ მიზნით, რომ პატრებს ექადაგათ ტყვეთა გაყიდვის უდიდეს ბიწიერებაზე, რაც უდიდესი სიამოვნებით შეასრულეს. ელიზბარ მარაშვილი ფიქრობდა, ამის საწინააღმდეგო ყველაზე უფრო ძლიერი წამალი მხოლოდ ფრანგების ქადაგებააო.

ამ მოსაზრებას ამართლებდა ერთი შემთხვევა, რომელიც ღირსია აღნიშვნისა. პატრებმა დიდ სათნოებაში აღზარდეს 13 წლის ერთი ქართველი ყმაწვილი, სახელად მიქელე, რომელიც დაჯილდოვებული იყო დიდი ნიჭით, კარგი სულიერი თვისებებით და სხეულითაც ლამაზი იყო. ამ ყმაწვილის შესახებ ამბავი მიუტანეს ახალ მთავარს, მისიონის მტერს, რომელმაც პატრეს გაუგზავნა შიკრიკი და აცნობა წერილობით, ხსენებული ვაჟი თურქების ერთ ფაშას უნდა მიეყიდოო, რადგან მთელ ჩემს მხარეში ვერ მოვნახე უკეთესი — კობტა ვაჟიო. ამაზე პატრებმა მთავარს დასაბუთებულად უპასუხეს და ემუდარებოდნენ არ მიეყენებინა მათთვის უსიამოვნება, რადგან ისინი თანახმანი იყვნენ საკუთარი სისხლი დაექციათ ამ ყმაწვილის გასანთავისუფლებლად. თუ მაინცა და მაინც ასეა გადაწყვეტილი, პატრები კმაყოფილები იქნებოდნენ ბავშვის მაგიერ მის მიერვე არჩეული ერთ-ერთი პატრი დაეთმოთ თურქებისათვის, რადგან პატრი ქრისტეს სარწმუნოებას არ უარჰყოფდა თურქების ხელში, ამავე დროს ერთ არსებას გადაარჩენდა, ვინაიდან ჩვენი ხსნისათვის ისურვა სიკვდილი თვით ღვთისშვილმაო.

ამგვარი მსჯელობა მთავარს მოეწონა და პატრების გულშემატკივრობამ მთელი ეს პროვინცია უზომოდ განაცვიფრა. ყველამ მოიწადინა, რომ თავიანთი შვილები, ასეთ შემთხვევაში, პატრების ხელში მოხვედრილიყვნენ“.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ კათოლიკე მისიონერები, თავიანთი მიზნებისათვის იღწოდნენ, მაგრამ ობიექტურად მეტად სასარგებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ ჩვენში. ჯერ ერთი საქართველოს უკავშირებდნენ ევროპას, თანამედროვეებში აღვივებდნენ ინტერესს ევროპული ცივილიზაციისადმი, მეორეს მხრივ ჩვენში წერგავდნენ ვაჭრობას, ხელოსნობას, მედიცინას, ხელოვნებას და საერთოდ ცოდნის სხვადასხვა სფეროს

<sup>1</sup> იქვე, გვ. 75.

ამკვიდრებდნენ. მათ დიდი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდათა სწავლა-განათლების სისტემის ორგანიზაციაში.

საქართველოს მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული ზნეობრივი მანკიერი მხარეების მხილებითა და დამოძღვრებით მისიონერები ცდილობდნენ მოქალაქეთა მორალურ დახვეწასა და ამადლებას. ისინი დიდი ენერგიით იბრძოდნენ ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ და აშკარა დადებით შედეგებსაც კი მიაღწიეს.

კათოლიკე მისიონერების საქართველოში მოღვაწეობა დიდ წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული. მათ დაბრკოლებას უქმნიდნენ როგორც მაჰმადიანური სამყარო, ისე მართლმადიდებლური ეკლესია და საქართველოში მცხოვრები სომხები.

თუ მაჰმადიანური სამყაროსა და მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ გაწეული წინააღმდეგობა პოლიტიკური და თეოლოგიური მიზნებით იყო გამოწვეული, სომხებისაგან წინააღმდეგობას სოციალური პრობლემები ედო საფუძველად.

სომხური სარწმუნოების მაღიარებელთა ანტიკათოლიკური განწყობილების მიზეზები კარგად აქვს შენიშნული პროფ. ვ. გაბაშვილს:

„კათოლიკე მისიონერებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი სომხური სარწმუნოების თბილისელი ვაჭრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში. ისინი კათოლიკე მისიონერებს თვლიდნენ, სავსებით მართებულად, დასავლეთ ჯვროპის კათოლიკური სახელმწიფოების სავაჭრო აგენტებად და საშიშარ მეტოქეებად. სომეხი ვაჭრები წინააღმდეგობას უწევდნენ კათოლიკე მისიონერების კომერციულ საქმიანობას, როგორც სპარსეთში, ისე საქართველოში“.<sup>1</sup>

საქართველოში მცხოვრები სომხები კათოლიკეებში ხელაღდნენ თავიანთ უშუალო კონკურენტებს ხელოსნობისა და ვაჭრობის სფეროში, გრძნობდნენ რომ მათი სასიცოცხლო ინტერესები თანდათან იზღუდებოდა და საქართველოში იშლებოდა ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარების ახალი პერსპექტივები, ამიტომ ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ქართველები ევროპას არ დაკავშირებოდნენ, ამიტომ საქართველოში მცხოვრები გრიგორიანული ეკლესიის მაღიარებელი თავიანთი მიზნების მიღწევისათვის არ თავილობდნენ არავითარ საძ-

<sup>1</sup> ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, როგორც დიპლომატი. კრ. სს. ორბელიანი, 1959 წ. გვ. 63.

რახი მეთოდების გამოყენებას, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატებოდა ათასგვარ პროვოკაციების მოწყობასა და კათოლიკე მისიონერების შვეიწროვებასა და დევნაში. სომეხთაგან განაწამები კათოლიკე-მისიონერები პაპისა თუ რომელიმე გავლენიანი პირის მიმართ წარდგენილ ყოველ მოხსენებაში ჩივიან სომეხთა შვეიწროების გამო; ერთერთ მოხსენებით ბარათში კათოლიკე კაფუცინი თავისი გორელი კოლეგების შესახებ წერს — გორში მოღვაწე მისიონმა ბევრი შეწუხება და დევნულე-ბაც გამოიარა, მეტადრე სომხებისაგან — „პირველში იმათთვის საჭირო იყო დიდის მოთმინებით აღჭურვილიყვნენ, რათა აეტანათ ის შეურაცხყოფა, რომელსაც მათ აყენებდნენ განსაკუთრებით სომხები. სომხები იმ ზომამდე გადაეკიდნენ, რომ ჯოხით ცემა დაუპირეს და როცა პატრებს ქუჩაში დაინახავდნენ ქვეს უშენდნენ. საქონმატიკი სომხების მძულვარება განსაკუთრებით ცხადდებოდა პატრებთან ბჭობის დროს, ყოველთვის დამარცხებულნი და შერცხვენილნი დგებოდნენ, რადგან პასუხის გაცემა არ შეეძლოთ; ბჭობის შემდგომ უფრო უარესად ემტერებოდნენ. გულში ჩადებულის ეშმაკეული სიმძულვარისაგან სომხები იქამდე მივიდნენ, მეტის სიბრაზის გამო პატრებს პირში ფურთხება დაუწყეს. თავიანთი მტრობით უეჭველად დიდად ავნებდნენ მისიონერებს, რომ ქართველები არ გამოჰქომაგებოდნენ, ქართველებისა კი სომხებს ძალიან ეშინიათ“.<sup>1</sup>

1679 წ. კათოლიკე პატრი იოსები ატყობინებს რომს: „თქვენს უაღმატებულესობას უნდა მოვახსენო ერთი დევნულობა, რომელიც ადღგომის უკან სომხებმა დაგვიწყეს. სომხების მღვდლებმა და ერის კაცებმა კრება ჰყვეს წინააღმდეგ მისიონისა, რათა ჩვენ გავედევნეთ საქართველოდან“.<sup>2</sup>

იმავე პერიოდში მეორე კაპუცინი იტალიაში ატყობინებს: „გავლილის წლის სექტემბერში, ჩვენი ტფილისის მისიონი, ეგონად შევნიერი და დიდებული ღვთისა და კაცის წინაშე; სომხების სიბრაზით, თუ სულ არ გაოხრდა, უკანასკნელ მდგომარეობაშია ჩაყენებული.“

ჩვენს მონასტერს ბევრს ადგილს ცეცხლი წაუკიდეს და გამოსწვეს, მერმე გაუჭირვებლად შევიდნენ შიგ. რადგან ამ დროს ორი პატრის მეტი არ იყო; შიგ შესულთა ტრაპეზი ერთიან დაანგრის, ყველა ხატები ნაკუნ-ნაკუნად დასჭრეს, ჯვრები და ჯვარცმები დაამტერიეს. ერთმა უბო-

<sup>1</sup> მის. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 235.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 252.

როტესმა სომეხმა აიღო ერთი დიდი დანა და მით ბევრს ადგილს დასჭრა წმინდა ღვთის მშობლის ხატი.

ამით არ დასრულდა მათი ურიული სიბრაზე. ამ სომეხების შესახებ შეიძლება ვსთქვათ, რომ ურიებზე უარესნი არიან.

სომხური სარწმუნოების აღმსარებელნი მეთვრამეტე საუკუნის შუა წლებში იმდენად მომძლავრებულან და გააქტიურებულან, რომ გავლენიანი ქართველი ფეოდალებიც კი გაუძევებიათ საქართველოდან, იმის გამო რომ მათ კათოლიკობა მიუღიათ. ამ ფაქტის შესახებ საყურადღებო ცნობებია სმირნის ეპისკოპოსის ორონემე ლანცას 1742 წ. წერილში რომის პაპისადმი: „პატივი მაქვს თქვენის მეუფების უმაღლესობას ვაუწყო, რომ სმირნაში მოვიდა მათი ბრწყინვალეობა ტფილისის არხი-ეპისკოპოსი ქრისტეფორე ყაფლანიანი. როცა გამომქლავებულა, რომ იგი კათოლიკე იყო, სქიზმატიკ სომეხთა პატრიარქს დაუწყია მისთვის სასტიკი ღვენა, ჩამოურთმევია ყველა მისი ქონება და გაუძევებია საქართველოდან. ეგრეთვე ამავე მიზეზის გამო გაუდარიბებიათ კეთილშობილნი ორნი ძმანი კათოლიკენი ივანე და ვახტანგ, ორბელიანთ წარჩინებულის გვარისა, რომელსაც პროპაგანდა კარგად იცნობს. სანუგეშებლად და შესაწევნელად იმ სამწუხარო მდგომარეობაში, რომელშიაც ყოველ შემწეობას მოკლებული იმყოფებოდა ეს ღირსეული ეპისკოპოსი, აქაურ ვაჭრებში ჩამოუჯრიფე მოწყალება და ეგრეთვე მოუხერხე, რომ უსასყიდლოდ ემგზავრა ვიდრე ლიგორნამდინ საიდანაც მოვა თქვენ ფეხთა წინაშე“<sup>1</sup>. კიდევ მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ შევიწროებული და მძიმე მდგომარეობაში ჰყავდათ სომეხებს საქართველოში მოღვაწე კათოლიკები. ზემოთ მოყვანილი ფაქტები იმასაც ადასტურებს, თუ რაოდენ გავლენიან და ქმედით ძალას წარმოადგენდა სომხური ეკლესია და საეპარქო გაერთიანებები, რომლებიც ასე უცერემონიოთ ერეოდა საქართველოს შინაგან საქმეებში.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები აშკარად მეტყველებენ სომეხების დიდ ხვედრით წონაზე, იმდროინდელ საქართველოს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი ახერხებენ ხელი შეუშალონ საქართველოს შესვეურებს თავიანთი პოლიტიკური მიზნებისადმი სწრაფვაში და რიგ შემთხვევაში ქართველ მეფე-მთავრებსა თუ მოსახლეობას თავზე ახვევენ თავიანთ ჭეხას. ამ გარემოებაზე იმიტომ შევაჩერეთ სა-

<sup>1</sup> მის. თ ა მ ა რ ა შ ე ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 252.

გახგებოდ ყურადღება, რომ აქედან გამომდინარე სხვა მოვლენებსაც ჩაუკვირდეთ.

კერძოდ, პოლიტიკური კატალიზებითა და ეკონომიური უილაჯობით შერყეულ სახელმწიფოში, ვერც ქართული ეკლესია იდგა სათანადოდონეზე, რათა ეკისრა ერის შემომკრები და დამრახმავეი ფუნქცია, როგორც ჩანს, სასიცოცხლო ძალებისაგან დაცლილი და დამაბუნებული ერი ვერც სათანადოდ მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ვერ განამტკიცა და ამ გარემოებით მოხერხებულად ისარგებლა სომხურმა ეკლესიამ, მან დაიწყო უადრესად აქტიური და ენერგიული მოქმედება, რათა გზადაბნეული და უხელმძღვანელო მოსახლეობა თავის მრევლად ექცია.

მის მოქმედებას პრაქტიკული შედეგიც მოჰყვა, უამრავი ქართველი გაგრიგორიანდა ე. ი. გასომხდა და ამის მიზეზია, რომ შემდეგშიაც ეროვნებით ქართველი, ქართული გვარის მატარებელი მოქალაქე სომხური ეკლესიის გავლენის შედეგად ეროვნულადაც სომეხად იქნა მიჩნეული.

ჯერ კიდევ 1899 წ. აღ. ხახანაშვილი სავესებით მართებულად წერდა: „საქართველოში მუდამ თავისუფლება იყო სხვა და სხვა სარწმუნოების აღსარებისა: მთავრობა არა თუ უშლიდა, არამედ განურჩევლად ყველას მფარველობდა და შემწეობას აძლევდა. ეს იყო მიზეზი რომ სომეხ-გრიგორიანებმა მართლმადიდებელ ქართველებში გაავრცელეს თავიანთი სარწმუნოება“: რის შედეგადაც გაგრიგორიანებული ქართველი უკვე სომეხად იწოდებოდა.

დღეს დღეობით შემონახულია უამრავი საბუთი იმის დამადასტურებელი, რომ ქართველი მოსახლეობა დებულობდა გრიგორიანულ სარწმუნოებას, ხოლო გაგრიგორიანებული ქართველი კი უკვე სომეხად იწოდებოდა. ნიკოლოს ირბახის მოწმობით: ყოველდღივ ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან.

ქართველთა გაგრიგორიანებას, როგორც ირკვევა, გარკვეული სოციალური საფუძველიც ჰქონია. კერძოდ, გავლენიანი სომეხი ვაჭრები და ხელოსნები მათდამი დაქვემდებარებულ შინაყმებსა და მოხელეებს აიძულებდნენ, რომ გრიგორიანული სარწმუნოება მიეღოთ, რის შემდეგაც უკვე ისინი სომეხად იწოდებოდნენ. ამ მხრივ მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის პატრი ამბროსი, რომელიც რომს წერს: „ჩვენი მონაზვნები ამ ქრისტიანებში დიდი სიკეთის ქმნას შეიძლებენ რავდენისამე სოფლის ყიდვით, როგორც შვრებიან სომხები. თუმცა ქართველებს დიდი სიმძულვარე აქვსთ სომხებისა სარწმუნოების მხრივ გარნა, რო-

ღესაც მათი ყმები ხდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზე. ამასზე უარესიც ვნახეთ: ზოგიერთმა მდიდარმა ურიებმა, რომლებიც საქართველოში სცხოვრობენ, გააურივეს რავდენიმე თავიანთი ყმა და იოსამსახურე“<sup>1</sup>

ეს უაღრესად მრავლის მეტყველი ფაქტია. როგორც ირკვევა გავლენიანი სოფდარები მთელ ქართულ სოფლებს ყიდულობდნენ და აგრიგორიანებდნენ, ანუ ასომხებდნენ, ასეთსავე ზემოქმედებას ახდენდნენ ისინი მათ შინაყმებსა და საერთოდ მათდამი დაქვემდებარებულ და მათზე მატერიალურად დამოკიდებულ მოქალაქეებზე. ყოველივე ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, რომ ათასობით ქართველი, რომელთა წინაპრები ოდითგანვე ქართველები იყვნენ, მათაც ქართული გვარები აქვთ, მეტყველებენ მხოლოდ ქართულად, არ იციან სომხური და ცხოვრობენ ქართულ სოფლებში და ნაწილობრივ ქალაქებში, რატომაა რომ იწოდებიან ეროვნებით სომხებად.

იშვიათი არ იყო, როდესაც ქართველ კათოლიკს, სომეხ კათოლიკად რაცხდნენ. ზოგიერთი ქართველი კათოლიკის სომეხ კათოლიკედ მიჩნევა შემდეგი ვიწრო რიტუალური მიზეზით იყო გამოწვეული. როგორც თავში აღვნიშნეთ XVII და განსაკუთრებით XVIII საუკუნეში მრავალი ახალგაზრდა იგზავნებოდა რომში სასწავლებლად და ბუნებრივია, კათოლიკობის მისაღებადაც. ამ ახალგაზრდათა კათოლიკედ კურთხევის დროს რომში არ აღმოჩნდა ქართული ტიპიკონი, სამაგიეროდ იქ ქონდათ სომხური ტიპიკონი, ამიტომ ყველა ქართველი კათოლიკედ აკურთხეს სომხურ ტიპიკონზე, რის შედეგადაც ეს კათოლიკები გაიზარეს ტომით სომხებად. ასეთი გააზრება რომსაც აწყოზდა, რადგან როგორც თავში ვნახეთ კათოლიკები სომეხთაგან ძლიერ დევნას ჭანიცდიდნენ, ხოლო სომხურ ტიპიკონზე ნაკურთხი ქართველების სომხად გასაღებით ისინი ცდილობდნენ, რომ სომეხი მოსახლეობა დაერწმუნებინათ — აი არა მარტო ქართველები კათოლიკდებიან, არამედ თვით სომხებიცო, ამდენად რომთან დაკავშირება სომხებისთვისაც არ იქნება საზარალოო.

ასეა თუ ისე უამრავი ქართველი; განსაკუთრებით ისინი ვინც ახალციხიდან გაემგზავრა რომს და გაკათოლიკდა სომხურ ტიპიკონზე, ისინი ყველა სომეხ კათოლიკებად იქნენ გააზრებული.

<sup>1</sup> მხ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 236.



ამის დაპადასტურებლად მიხ. თაძარაშვილს მოაქვს პატრი ივანე ბაპტიტას წერილი:

„რომ მოვიდა ერთი ახალგაზრდა ტუილელი ქართველი სომხის ტიპოკონისა, სახელად პეტრე ყორფანაანთი და ითხოვა ურბანოს კოლეგიაში მიეღოთ“. პატრი ივანე გარკვევით აღნიშნავს მის ეროვნულობას — ქართველობას და იქვე დასძენს, რომ ის იყო სომხის ტიპოკონისა.

ამავე ფაქტს ადასტურებს რომში გაგზავნილი მეორე ქართველი ივანე ჯივანაანთი (ეს ის ივანეა, რომელმაც ქართულად გამოსცა გორელი დავით ტულუკაანთის წიგნი და რომელიც ხაზგასმით ამტკიცებდა დავითის ქართველობას), რომელიც 1722 წ. 18 ივნისს 16 წლის ასაკში მიუღიათ რომის კოლეგიაში. ამ ივანემ 1731 წ. 2 იანვარს პროპაგანდის კოლეგიაში ფიცის მისცა, ხოლო 1740 წ. მღვდლად ეკურთხა სომხურ ტიპოკონზე. 1741 წ. 29 აპრილს მიიღო სამეცნიერო დოქტორობის ხარისხი ფილოსოფიისა და ღვთის მეტყველებისა და იმავე წელს 31 აგვისტოს წამოვიდა თბილისში“.<sup>1</sup>

საგანგებოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კაფუციანების წერილებში და პროპაგანდის საბუთებში ეს ივანე მუდამ დასახელებული იყო ქართველად; ხოლო როდესაც მღვდლად ეკურთხა სომხურ ტიპოკონზე, მაშინ მას მეტსახელად მიუმატეს „სომეხი“ და უწოდეს მღვდელი სომეხ-ქართველი. როგორც ვხედავთ კათოლიკე მისიონერებმა დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოში სწავლა-აღზრდის საქმის მოგვარებაში, მაგრამ ამავე დროს გარკვეული მიზეზების გამო კონფესიონალურ საკითხს შეწირეს ქართველთა ეროვნული ინტერესები.

<sup>1</sup> მიხ. თაძარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 381.

## დეტალების ხელოვნება

თომას მანი მისთვის ჩვეული სიმკვეთრით შენიშნავდა, რომ დიად ნაწარმოებთა წამყვანი კონსტრუქცია ძირითადად ბანალურია, გენიალობა ვლინდება დეტალებში. მახვილად შემჩნეული და მეცნიერული სიზუსტით დამუშავებული დეტალი დამაჯერებელსა და შთამბეჭდავს ხდის სიტუაციას, სახეს, და საერთოდ, სწორედ ნატიფად გამოძერწილი დეტალები არის ნაწარმოების ძირითადი ტონის მიმცემი. დეტალების წყალობით ხდება არამართო სახის, მოვლენისა თუ საგნის გაცოცხლება, რელიეფურად წარმოდგენა, არამედ, ამასთანავე, სწორედ დეტალების მომარჯვებაა ფსიქოლოგიური მოტივირების ძირითადი იმპულსის მიმცემი.

ადრეული საუკუნეების მხატვრული მეთოდი მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა. მის გამომსახველობით სისტემაში „მხატვრულ დეტალებს“ ნაკლები ადგილი ეთმობოდა. ანტიკურ თუ შუა საუკუნეების ლიტერატურის მხატვრულ ქსოვილში დეტალებზე აქცენტირება და მათი გამოკვეთა, მათი დამუშავება იმდროინდელი მხატვრული პრინციპების, გემოვნებისა და მოთხოვნილებების სფეროს მიღმა რჩებოდა. მართებულად შენიშნავს მკვლევარი სტეპანოვი, რომ „დეტალების ხელოვნება — XIX საუკუნის ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა“<sup>1</sup>. დეტალების შემეცნებელი და ესთეტიკური ფუნქცია მართლაც ახალი ეპოქის მონაპოვარია. სწორედ XIX საუკუნის დიდმა რეალისტებმა შეძლეს დეტალების „ხედრითი წონის“ წარმოჩენა და მისი მხატვრული ეფექტის განსაკუთრებულად გამოკვეთა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ერთგვარად მოულოდნელი და განსაკუთრებით ფასეულია, რომ ჩვენი მწერლობის გარიჟრაჟზე შექმნილ ნაწარმოებს განსაკუთრებული სიმკვეთრითა და იშვიათი მხატვრული დატვირთულობით ამშვენებს დეტალების დიდოსტატობა.

<sup>1</sup> П. Л. Степанов, Проза Пушкина, 1962, М., стр. 258.

მხატვრული დეტალების დამუშავებაში, მისი ესთეტიკური და სტრუქტურული ფუნქციის წარმოსახვაში იაკობ ცურტაველი შეუდარებელია ადრეული ეპოქის მწერალთა შორის. მას განსაცვიფრებლად ეხერხება არსებითი დეტალების შემჩნევა და მისი გამოკვეთით სურათის დახატვა. ფხიზელი მხატვრის თვალით ცურტაველი ისე ამოატივტივებს საგნისა თუ მოვლენის ნიშანდობლივ მხარეს, რომ მკითხველს წარმოუდგენს მთელ სურათს.

იაკობის ქმნილებაში ყოველივე თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტს თავისი გამართლება, ლოგიკური აუცილებლობის ბეჭედი ადევს. ყოველი მოქმედება მოტივირებული და შინაგანი კავშირითაა გადაჯაჭვული გარკვეულ სიტუაციასთან. მასთან არაფერი არ არის შემთხვევითი და უმიზნო. მართებულად შენიშნავდა ჩეხოვი, რომ თუ ნაწარმოების თავში ნათქვამია, რომ კედელზე ლურსმანია მიჭედილი, მაშინ ნაწარმოების ბოლოს ამ ლურსმანზე უნდა ჩამოეკიდოს პერსონაჟიო. ყოველი დეტალი უნდა ექვემდებარებოდეს ან სიუჟეტის განვითარებას, ან იდეის გაშლასა და დამკვიდრებას, ან ხასიათის გამოკვეთასა და სიტუაციის წარმოსახვას. ეს შემოქმედებითი პრინციპი იშვიათი თანმიმდევრობითა და მკაცრი სიზუსტით თავიდან ბოლომდე გასდევს იაკობ ცურტაველის ამ დიდებულ ნაწარმოებს. ამის საილუსტრაციო მრავალ მაგალითთა შორის გავიხსენოთ რამდენიმე. მოთხრობის შესავალ ნაწილში ნათქვამია ვარსკენის შესახებ, რომ მოვიდა „მგელი იგიო“. აქ მგელი შემთხვევით და გაკვრით როდია ნახსენები, და არც მხოლოდ მეტაფორადაა გამოყენებული, ის მუდმივი მელოდიაა პერსონაჟისა, რომელიც მთელი ნაწარმოების მანძილზე გასდევს მას და თხრობის დასასრულს აკი კვლავ შეგვახსენებს, რომ „იბრდღუნდა ვითარცა ცოფიო“, და მართლაც, ვარსკენი საავდრო ღრუბელივით მოქმედებს მთელი ნაწარმოების მანძილზე. მას მაშინაც ვგრძნობთ, როდესაც ის რეალურად არაა ჩვენს წინაშე, მაგრამ ის სწორედ რომ მგელივით დაძრწის ყველგან და ყოველთვის ქმნის ატმოსფეროს, განწყობას და მძიმედ აწვება ყოველივეს. შუშანიკის თანგამყოლი მელოდია კი „კრავია“, რომლის ხსენების დროსაც კონტრასტული სახით კვლავ „მგლის“ ასოციაცია წამოგვეჭრება და ეს შინაგანი დინამიკა შთაბეჭდილების უწყვეტ ხაზს ქმნის. მოთხრობის სხვადასხვა მონაკვეთში წარმოსახული „მგელი“ და „კრავი“ ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ერთ მთლიან სახეს ქმნის, რომელიც გვიადვილებს ხასიათთა შინაგან ბუნებასა და ურთიერთმიმართებაში გარკვევას.

ავტორის რეალისტური წერის მანერით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ხუთიოდე სტრიქონის შემცველი აბზაცით ის ხატავს რთულ ფსიქოლოგიურ სიტუაციას, ძერწავს პერსონაჟის ხასიათს. ამ მხრივ წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს შემდეგი ეპიზოდი: „დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისა და წმიდისა შუშანიკის თანა, მას უამსა, რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა, რაფთამცა ჰრქუა, თუ „მტკიცედ დეგ!“ და თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხვადა ვერღარაა სცადა სიტყუად, ესთენ ოდენ ჰრქუა: „მტკი...“ და დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო სწრაფით“.<sup>1</sup> ერთი მოხაზვითა დახატული დესპოტი პიტიახში, რომელსაც თავისი სიმძვინვარით ტერორიზებული ჰყავს თანამოქალაქენი, რომელნიც შიშით ხმის ამოდებასაც კი ვერ ბედავენ, მაგრამ განსაკუთრებით პლასტიურია ბერის პორტრეტი: ჯერ ერთი, რამდენად დიდოსტატური თქმა და სურათის წარმომსახველია „თუალი ჰკიდა“, მართო ეს დეტალიც მიგვანიშნებს სიტუაციის დაძაბულობასა და დინამიურობაზე, ხოლო რაც განსაკუთრებულად შთამბეჭდავია — ეს არის ბერის მიერ წარმოთქმული „მტკი —“. ეს გაწყვეტილი ფრაზა გვაგრძნობინებს სიტუაციის უკიდურეს სიმძაფრეს და მას მოჰყვება საოცრად მკვეთრი, პირდაპირ ფერწერული სურათი, დამფრთხალი, შიშისაგან თავზარდაცემული და ენაჩავარდნილი ბერი სწრაფად მიიპარება: „დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო სწრაფით“, თითქოს კინოს კადრივით ვითარდება მოქმედება.

ავტორის ფაქიზი გემოვნება და დეტალების ოსტატურად გამოვლენა შეიგრძნობა აგრეთვე ერთ თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ საგულისხმო გარემოში. შუშანიკი თავის მოწამეობრივ გზაზე თანდათან კნინდება ფიზიკურად და ეს გამოხატულებას პოულობს მის გარემოსთან დამოკიდებულებაში. კერძოდ, ავტორის მიერ დაღმავალი გრადაციითაა წარმოსახული შუშანიკის ადგილსამყოფელი: „ტაძარი“ — „სახლი“ — „სახლაკი“, საოცრად შეესატყვისება გმირის სულიერ მდგომარეობას, ამქვეყნიური ინტერესების გამოვლენას. ერთი შეხედვით, თითქოს ეს სინონიმური ცნებებია, მაგრამ მათში გამოვლენილ ნიუანსებს პრინციპული და არსებითი მნიშვნელობა აქვს. შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით სინონიმთა შეჯერება გარკვეულ ეფექტს ახდენს. სინონიმების ერთ-ერთი ფუნქციაა ამა თუ იმ ფაქტის მნიშვნელობის გაძლიერება. მათი სტილისტიკური ფუნქცია მდგომარეობს მნიშვნელობის და-

<sup>1</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, 1964, გვ. 20.

ზუსტებაში და არა ახალი მნიშვნელობით გამოქმუშავებაში და ასიტო-  
მაც სიტყვის ძალის უფაქიზესი შეპგრძნები ხელოვანი — ფლობერი  
კატეგორიულად უარყოფდა სინონიმების არსებობას და დაბეჯითებით  
ირწმუნებოდა რომ ყოველ ახალ სიტყვას ახალი დანიშნულება აქვსო,  
ისინი არასოდეს არ არიანო იდენტურნი, სიტყვის ეს მაგიური ძალა  
სწორედ რომ ახალი ეპოქის შემოქმედთათვის ნიშანდობლივი სიმახვი-  
ლით იგრძნობა ჩვენს დიდ იაკობთან.

ზემოთ მოყვანილი თითქოსდა სინონიმური ცნებები ტაძარი —  
სახლი — სახლაკი შუშანიკის განცდების, მდგომარეობისა და განწყო-  
ბილების, უფრო ზუსტად, ამქვეყნიური ინტერესებისაგან დაცილების  
უშუალო გამომხატველნი არიან.

რეალისტური, ცხოვრებისეული დეტალების გონებამახვილური  
მომარჯვებით იაკობ ცურტაველი პერსონაჟთა ხასიათების ჩამოყალი-  
ბებისა და გამოკვეთის იშვიათ უნარს ამჟღავნებს. საერთოდ, იაკობ  
ცურტაველი ადამიანის ფსიქოლოგიის შესანიშნავი მცოდნეა, რის  
გამოც ასე კარგად ხატავს ადამიანთა სულიერი ცხოვრების ნიუანსურ  
მხარეებს. ძველი მწერლობის ძეგლთა შორის იაკობის თხზულება  
თითქმის გამონაკლისია /თითქმის ვამბობთ იმიტომ, რომ ამ კუთხით  
იაკობს მერჩულე უმშვენებს მხარს/, რომელშიც დიდი ზომიერების  
გრძნობითა და სიმახვილითაა გადმოცემული ნაზი ინტიმური გრძნობე-  
ბი. ამ გრძნობათა გამოვლენა რთულ პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი  
კონფლიქტის ფონზე დიდ მხატვრულ დამაჯერებლობასა და მომხი-  
ბელელობას ანიჭებს ნაწარმოებს. მეტად ამდიდრებს თხრობას შუშანი-  
კის „კარად“ გაგზავნის ეპიზოდი. ამ პატარა, თითქოს გაკვრით ეპიზოდ-  
ში როგორი სიმკვეთრითა და უშუალოდით არის დახატული, ერთი  
მხრივ, ქალური ბუნება, რომელიც არ არის ეშმაკობას მოკლებული, და,  
მეორე მხრივ, ეჭვიანი მამაკაცის ხასიათი! ვარსკენი შუშანიკს დასჯის  
მიზნით ეშუქრება, რომ სხვა ქალაქში გაგზავნიო, ხოლო შუშანიკი კი  
ერთგვარი „ქალური ცბიერებით“ და გამაღიზიანებლობით თანხმდება:  
კერძოდ, იგი პასუხობს — სიამოვნებით წავალ, იქ შეიძლება უკეთეს  
რამეს შევემთხვეო. ამ გამომწვევმა პასუხმა დააფიქრა ვარსკენი. მამაკა-  
ცური, მეუღლეობრივი ეჭვები აღძრა მასში და იმ წუთშივე მხოლოდ ის  
იფიქრა: ვაი თუ ვინმეს შეეყაროსო. ვარსკენი თავისთვის ჩუმად ბუტბუ-  
ტებს: რას ნიშნავს შუშანიკის სიტყვები: „ვინ უწყის კეთილსა რასმე  
მივემთხვიო“, ვაითუ „მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს“. ეს უკვე დამა-  
ფიქრებელია მისთვის, თუმცა თვითონ კი წინა დღით საკმაოდ გესლია-

ნად და ნიშნისმოგებით ეუბნებოდა შუშანიკს: დამიბრუნე ჩემი სამკაულები, შეიძლება სხვას უფრო მოუხდესო, მაგრამ როდესაც შუშანიკმა ამავე კუთხით მიანიშნა ვარსკენს, ამ უკანასკნელს ეს უკვე აღარ ესიამოვნა, აქ უკვე გაიღვიძა მისმა მამაკაცურმა თავმოყვარობამ და აღძრულმა ეჭვებმა სრულიად გადააფიქრებინა შუშანიკის სხვაგან გაგზავნა, ან როგორც მოხდენილად ამბობს ავტორი „მიერთაგან არღარავინ მიავლინა მისა“. ვარსკენს აღარ სიამოვნებს ამ საკითხის დასმა.

მოცემულ მცირე ეპიზოდში როგორი უშუალობა და ოსტატობაა გამოვლენილი, როგორი მიზიდველობითა და სიმკვეთრით ხატავს ცურტაველი მეუღლეთა ინტიმურ ურთიერთობას, მათ სულიერ სამყაროს. ეს წმინდა ფსიქოლოგიური დეტალები არა მარტო სინათლესა და ცხოველმყოფელობას ანიჭებს პერსონაჟთა სახეებს, არამედ ერთგვარ სითბოსა და მიზიდველობას მათებს მთელ ნაწარმოებს. ადამიანის შინაგანი სამყაროს ასე სრულად და განცდათა მრავალფეროვნად წარმოდგენა, სულიერი ძვრების ნიუანსების შემჩნევა და მათზე ყურადღების გამახვილება, პერსონაჟთა პირადი ცხოვრებისა და ინტიმურ ურთიერთობათა გამოვლენა, ნაწარმოებს რომანტიული ეპოსის იერს უფრო აძლევს, ვიდრე საკულტო ძეგლისას. სწორედ ამიტომაცაა რომ მწერალი ვ. ჭელიძე სავსებით სამართლიანად უწოდებს იაკობის თხზულებას „ქარიშხლიან ზღვასავით მღელვარე მოთხრობას“. აგიოგრაფიულ მწერლობაში, ისიც მარტივლოლოგიურ ძეგლებში, არათუ იშვიათი, არამედ თითქმის მოულოდნელიცაა პერსონაჟთა კერძო ცხოვრების წარმოდგენა. იაკობ ცურტაველმა გარკვეული რეალისტური ტენდენციების წყალობით შეძლო პიროვნების ინდივიდუალობის გამოკვეთა.

მსგავსი დეტალებით იაკობ ცურტაველს როგორც შუშანიკის, ისე ვარსკენის სახეში შეაქვს ადამიანური შტრიხები. ამასთანავე თხრობაც უფრო მიზიდველად და ბუნებრივად მიმდინარეობს. ის იშლება თითქოს ოჯახური ცხოვრების ფონზე, რომელშიც სარწმუნოებრივი ბრძოლა მხოლოდ კონფლიქტისთვისაა გამოყენებული. იაკობთან დეტალები შემთხვევით და გამონაკლის ხასიათს როდი ატარებს, პირიქით, იგი მთელ სისტემადაა წარმოდგენილი, რომლის საშუალებითაც ცოცხლდება სიტუაცია, იძვრება სახეები, იკვეთება საგნები და მოვლენები, რომლებიც ქმნიან ერთ მთლიან მხატვრულ ქსოვილს. დეტალების ასეთი ნატიფი დამუშავებითა და სიუხვით იაკობ ცურტაველი გვიანი პერიოდის რეალისტ მწერალთა სიმადლზე დგას. შეიძლება

გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, მაგრამ აშკარად გულწრფელი განცდაა და შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ სწორედ დეტალების მომწესხველი ძალის წყალობით იაკობის ქმნილება შინაგანი დინამიკით და გამჭვირვალობით, სილადრითა და სიმსუბუქით, ხატოვნებითა და სურნელეობით ჩეხოვისა და მოპასანის ერთი ამოსუნთქვით შექმნილ მოთხრობებს გვაგონებს.

იაკობ ცურტაველის ქმნილების ეს მომწესხველი ძალა, უპირველეს ყოვლისა, თვით იაკობის მახვილი პოეტური ნიჭითაა განპირობებული, მაგრამ ამ ნაწარმოებში ჩაქსოვილ იშვიათ ხელოვნებას და მკვეთრად გამოვლენილ რეალისტურ ტენდენციებს ამასთანავე მტკიცე ისტორიული საფუძველიც ჰქონდა, რაც შემდეგში მდგომარეობს: ჯერ ერთი, იაკობის ეპოქაში ქრისტიანობა ჯერ კიდევ ახალი მოვლენა იყო და მთლიანად არ იყო გაბატონებული ქრისტიანობის კანონიკური ხასიათი. ხოლო ამასთან უშუალო კავშირში მყოფი მეორე მიზეზი სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ამავე დროს, ჯერ კიდევ ცოცხლობდა წინაქრისტიანული მდიდარი სამწერლობო ტრადიცია და ცურტაველიც ამ ტრადიციაზე აღზრდილი შემოქმედი იყო. სწორედ ესაა მიზეზი, რომ მის თხზულებაში ასე ძალუმაღლ ჩქეფს საერო ნაკადი; „ქართლის ცხოვრებაში“ შემორჩენილი წარმართული ეპოქის ლიტერატურული პლასტები და უპირველეს ყოვლისა „ცხოვრება ფარნავაზისა“, კომპოზიციური შეკრულობით, თხრობის დინამიურობით, ხასიათთა გამოსახვის სიმკვეთრით, მოვლენათა და საგანთა აღწერის დიდოსტატობით და ფართო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონცეფციით იაკობ ცურტაველის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მყარ საფუძველს ქმნიდა. აქედან გამომდინარე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს და საგანგებო კვლევის შედეგად კიდევ უფრო იზრდება რწმენა, რომ იაკობ ცურტაველის ასეთი თავისთავადობა და განუმეორებლობა აიხსნება არა მარტო მისი დამატვევებული შემოქმედებითი ნიჭით, არამედ, იმითაც, რომ ის უდავოდ აღზრდილი იყო წინაქრისტიანულ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებზე, რამაც აშკარა გამოხატულება პოვა მის თხზულებაში. საქმე ისაა, რომ ეს უძველესი ძველი პერსონაჟთა შინაგანი ბუნების, ფსიქოლოგიური ნიუანსებისა და საერთოდ, მხატვრობის, ჰაგიოგრაფიული ტრაფარეტისაგან დაცილებით, რეალისტური და საერო ნაკადის სიძლიერის თვალსაზრისით გაცილებით უფრო სრულყოფილი და დახვეწილია, ვიდრე შემდგომი პერიოდის ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებები.

ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ იაკობ ცურტაველი აღზრდილია მდიდარ წინაქრისტიანულ საერო ხასიათის მწერლობის ტრადიციებზე და ამ ტრადიციებმა ინერციით ერთგვარად ქვეცნობიერადაც გამოხატულება პოეის მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატის ქმნილებაში.

ასე რომ, ნაწარმოებში სინთეზური სახით ორგანულადაა შერწყმული წარმართული და ქრისტიანული ლიტერატურული ტრადიციები, ან როგორც ა. ვესელოვსკი იტყვოდა — წარმართულ პიედესტალზე აღიმართა ქრისტიანული ძეგლი.

ამგვარად, შუშანიკის „მარტილობა“ შექმნილია ქართული მწერლობის განვითარების იმ გზაჯვარედინზე, როდესაც დასრულდა წარმართული ქართული კულტურა და აღმოცენდა ახალი ქრისტიანული მსოფლმხედველობა და ეს პროცესი ჰარმონიულად შეზავებული წარმოგვიდგა ამ შესანიშნავ თხზულებაში.

იაკობ ცურტაველის ქმნილება, მართალია, ჩვენს სინამდვილეში არ წარმოადგენს „ყველა საწყისთა საწყისს“, მაგრამ ის ჩვენი კულტურის ახალი ეპოქის, ქრისტიანული ცივილიზაციის წარმმართველი და ზიძგის მიმცემია. მთელი ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელი მეტროპოლი პათოსი, რომელიც ვლინდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის დამკვიდრებაში, პიროვნების ღირსების აღიარებასა და დაცვაში, თავისუფლებისაკენ სწრაფვასა და სოციალური პრობლემების დაძლევაში — ყოველივე ეს ჩანასახოვანი სახითა თუ მკვეთრად გამოვლენილი, სათავეს პოულობს იაკობ ცურტაველის შესანიშნავ თხზულებაში.

„შუშანიკის მარტილობა“ გვევლინება ახალი ქართული მწერლობის დიად პროლოგად არა მარტო იმიტომ, რომ მისგან იღებს საწყისს ქრისტიანული მსოფლმხედველობის ლიტერატურა, არამედ იმიტაც, რომ მასში, როგორც ფოკუსში კონცენტრირებულია ყველა ის არსებითი პრობლემა, რომელიც ასე მდიდრად, მრავალფეროვნად და იაკობ ცურტაველის ქმნილებისათვის დამახასიათებელი დიდოსტატობით გაიშალა და განვითარდა მისგან სათავედადებულ ჩვენს ეროვნულ მწერლობაში.



# მოტივირების ხერხები და კომპოზიციის საკითხი ძველ ქართულ მხატვრულ პროზაში

მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის მოქმედების, ამბის განვითარების დამარწმუნებლობა არსებითად გაპირობებულია მათი მოტივირების დამაჯერებლობით. რამდენადაც მოტივირებულია პერსონაჟის ქცევა, განცდები და ამბის განვითარება, იმდენად უშუალო და ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მხატვრული ნაწარმოები. მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის ქცევა ფსიქოლოგიურად მოტივირებული უნდა იყოს. ყოველი მისი ქცევა, მოქმედება ემყარება გარკვეულ კანონზომიერებებს; მათ განაპირობებენ გარკვეული მიზეზები და მიზნები. რამდენადაც ბუნებრივი და დამარწმუნებელია მოტივირება, იმდენად გამართლებულია პერსონაჟის მოქმედება. მოტივირება გულისხმობს პერსონაჟის მოქმედების როგორც მიზეზს, ისე მიზანს. მოტივირების საშუალებით მწერალი, ერთი მხრივ, ახდენს მკითხველის ყურადღების მობილიზაციას, განწყობილების გამომუშავებას გარკვეული ფაქტისადმი და, მეორე მხრივ, თავისი ნაწარმოების პერსონაჟს სიცოცხლისუნარიანობას და მოქმედების დამაჯერებლობას ჰმატებს. მოტივირება განაპირობებს და ამართლებს ყოველ ფაქტს, ყოველ სიტუაციას. ამიტომ მოტივირებას მხატვრულ ნაწარმოებში განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს. მოტივირება მხატვრულ ნაწარმოებში მეტად მრავალფეროვნად ვლინდება, მას განაპირობებს როგორც მწერლის ინდივიდუალური გემოვნება და მსოფლმხედველობა, ასევე ნაწარმოებში დახატული სურათის კონკრეტული სიტუაცია.

მეტად თავისებურად არის წარმოდგენილი ფსიქოლოგიური მოტივირება ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში. ჰაგიოგრაფია, ჟანრობრივი შეზღუდულობის გამო, თავისი პერსონაჟის მოქმედების ფსიქოლოგიურ მოტივირებას თავისებურად ავლენს. კერძოდ, აგიოგრაფიული ნაწარმოების პერსონაჟი, ერთგვარად, ტრაფარეტულია, მისი სახის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ჩვენ ვერ ვხედავთ იმ დიდ შინაგან

ჭიდილს, რომელსაც ადგილი აქვს სხვა ხასიათის ნაწარმოებების გმირთა სახეების გაცნობისას. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების გმირის ხასიათის განვითარება თითქმის სწორხაზობრივად მიმდინარეობს. ის თავიდანვე ან დადებითი სახეა, ან უარყოფითი, მასში იშვიათად ვხვდავთ შინაგან ჭიდილს დადებითსა და უარყოფით საწყისებს შორის. ამასთანავე, გვხვდება შემთხვევები, როდესაც პერსონაჟის მსოფლმხედველობაში ხდება არსებითი ხასიათის გარდატეხა, როცა ის მთლიანად იცვლის მსოფლმხედველობას და ახალ, ადრეულის საწინააღმდეგო თვალსაზრისს ავითარებს. ამრიგად, დგება დიამეტრულად სხვა პოზიციაზე, ასეთი არსებითი გარდატეხა, ძველის სრულიად უარყოფა, და ამ ძველის სავსებით საპირისპირო თვალსაზრისზე დადგომა, ხშირ შემთხვევაში, ხდება არა შინაგანი ძიების, ან ღრმა ფსიქოლოგიური განცდისა და სოციალური ძვრების შედეგად, არამედ უეცრად, ერთ გარკვეულ მომენტთან დაკავშირებით.

აღმაინის ხასიათის ასეთი უეცარი გარდაქმნა, გარდატეხა დამარწმუნებელი რომ იყოს მკითხველისათვის, ამისათვის ხასიათის ასეთ ტრანსფორმირებას განსაკუთრებულად დამაჯერებელი მოტივირება ჭირდება და აგიოგრაფებიც იყენებენ ფსიქოლოგიური მოტივირების მათთვის სპეციფიკურ ხერხებს.

ფსიქოლოგიური მოტივირების ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა სიზმარი, ჩვენება და სასწაული. სიზმარს, ჩვენებასა და სასწაულს ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში აქვთ გარკვეული მხატვრული ფუნქცია. ჯერ ერთი, ისინი გარკვეულ როლს ასრულებენ ძეგლში კომპოზიციის თვალსაზრისით. და მეორეც, რაც უფრო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ისინი ფსიქოლოგიური მოტივირების ძლიერი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი საშუალებებია.

არც სასწაული, არც სიზმარი და არც ჩვენება არ არის ჰაგიოგრაფიული ძეგლისათვის ზედმეტი, დამატებითი სამკაულებრივი ფაქტორი, რომელიც ვითომდა მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური ფუნქციის მატარებელია. პირიქით, სასწაულები, სიზმრები და ჩვენებები ჰაგიოგრაფიული ძეგლების მხატვრული ქსოვილის უადრესად ორგანული უჯრედია და მათ გარეშე დაიშლება, როგორც არქიტექტონიკა ძეგლისა, ასევე გაუგებარი იქნება პერსონაჟთა ხასიათების ჩამოყალიბება, მათი ევოლუცია, და, ისედაც ერთგვარად ტრაფარეტული სახე ჰაგიოგრაფიული ძეგლის გმირისა, სავსებით სქემატური, ზერელე და არაბუნებრივი გახდება.

აგიოგრაფი ითვალისწინებდა ადრეული და საშუალო საუკუნეების მორწმუნეთა ფსიქოლოგიას, მათ მსოფლმხედველობას, ამიტომ სასწაული, სიზმარი და ჩვენება მხატვრულ ნაწარმოებში აქცია იმ ძლიერ ფაქტორად, რომელმაც განაპირობა პერსონაჟის მოქმედების დამარწმუნებლობა. სასწაული, სიზმარი და ჩვენება იმდენად უცილობელი კომპონენტებია აგიოგრაფიული ძეგლისა, რომ იმათ გარეშე გაუმართლებელი იქნება პერსონაჟის მოქმედება, აუხსნელი რჩება ნაწარმოების იდეური შინაარსი და, საერთოდ, აგიოგრაფიული ძეგლი დაკარგავს მხატვრულ ძალას. რადგანაც ისინი არიან გმირის მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივირების ძირითადი საშუალებები, ამდენად გაუმართლებელია, როდესაც აგიოგრაფიულ ძეგლს გამოსცემენ სასწაულებისა და სიზმრებისა ან ჩვენებების ეპიზოდების გამოწვლილვით, რადგან ამ შემთხვევაში აგიოგრაფიული ძეგლის პერსონაჟის შემაძმევნებელი ძალა ფერმკრთალდება, ზოგჯერ კი მისი მოქმედება, საერთოდ, გაუგებარი ხდება. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ არის სასწაულებისა და სიზმარ-ჩვენებების ერთი კატეგორია, რომელიც სარწმუნოებრივი ეფექტის გულისათვის მრავლად აქვს დართული ამა თუ იმ ძეგლს. ასეთი სასწაულები და სიზმარ-ჩვენებები, რასაკვირველია, არამც თუ არ ხსნიან გმირის ხასიათს, არ წარმოადგენენ კომპოზიციურ კვანძს, არამედ ამძიმებენ და მართლაც ზედმეტნი არიან ნაწარმოებისათვის. მაგრამ არსებობს ისეთი სასწაულები და სიზმარ-ჩვენებები, რომელნიც ორგანიულნი არიან ნაწარმოებისათვის, ხსნიან და დამარწმუნებელს ხდიან გმირის მოქმედებას, კრავენ კვანძს ან იძლევიან კულმინაციას, ანდა წარმოგვიდგებიან კონფლიქტისა თუ კოლიზიის ტოლფარდოვან ფაქტორებად და მათ ნაწარმოებში აქვთ, რასაკვირველია, არსებითი მხატვრული ფუნქცია, რომლის გარეშეც გაუმართლებელი იქნებოდა პერსონაჟის მოქმედება. გმირის სახე იქნებოდა მეტად სქემატური და არადამარწმუნებელი, ხოლო კომპოზიციურად ნაწარმოები იქნებოდა ერთფეროვანი, მკრთალი და მოკლებული იმ შინაგან მიზიდველობას, რომელსაც ქმნის სიზმარსა თუ ჩვენებაში მოხაზული ამბის ის ზოგადი ქარგა, რომლის განვითარებასა და ხორცშესხმას ელის მკითხველი.

სიზმრისა და ჩვენების მხატვრული ფუნქცია შენიშნულია ჯერ კიდევ ხალხურ სიტყვიერებასა და წინაქრისტიანულ, აღმოსავლურ და წარმართულ ბერძნულ-რომაულ ლიტერატურაში.

აგიოგრაფიულ მწერლობაში კი, სიზმრი და ჩვენების, მით უფრო სასწაულის მხატვრული ფუნქცია გენეტიკურ კავშირშია ბიბლიურ წიგნებთან.

როგორც ცნობილია, იოსების სიზმარს ძველი აღთქმის წიგნების კომპოზიციაში გარკვეული ადგილი უკავია, ის, ერთი მხრივ, წარმოადგენს კვანძის შეკვრას, მეორე მხრივ, ამავე სიზმარში წარმოდგენილია მოქმედების ზოგადი ქარგა, რომლის განვითარებასა და გაშლას დიდი ინტერესით ადევნებს მკითხველი თვალყურს. ჩვენ აღარ შევჩერდებით სიზმრისა და ჩვენების კომპოზიციურ ფუნქციაზე, რადგანაც ამ საკითხს საკმაოდ დაწვრილებით ქვემოთ ვეხებით. ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ სიზმრის, ჩვენების და სასწაულის მეორე მხატვრულ ფუნქციაზე, მათზე, როგორც ფსიქოლოგიური მოტივირების ფაქტორებზე.

ამ ახალი ფუნქციითაც აგიოგრაფები, უპირველეს ყოვლისა, დავალებული არიან ბიბლიისაგან. ბიბლიის როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის წიგნებში, პერსონაჟების, გმირების მოქმედებათა ფსიქოლოგიური მოტივირება ხდება სწორედ სასწაულების, ჩვენებებისა და სიზმრების საშუალებებით. მრავალ მაგალითთა შორის დავასახელებთ ერთს, ყველაზე მკაფიოსა და მნიშვნელოვანს.

ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტი, ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამაგრებელი, მოციქული პავლე, წარმოშობით იყო ებრაელი, შეძლებული ოჯახის შვილი. მას ერქვა სავლე, მიიღო დიდი განათლება და თავდაპირველად მეტად აქტიურად ებრძოდა ქრისტიანობას. სასტიკად დევნიდა ქრისტიანებს. მან მონაწილეობაც კი მიიღო პირველმოწამე სტეფანეს ჩაქოლვაში /მოც. VII, VIII/. ქრისტიანების ასეთი სასტიკი მდევნელი და მოძულე, ამ ახალი მოძღვრების ხელადებით უარყოფელი ებრაელი, ფარისეველთა სექტის წარმომადგენელი სავლე, შემდეგ ში იქცა ქრისტიანობის დიდ მედროშედ და პირველმოწამე სტეფანეს ჩამქოლველი, თვით ეწამა ქრისტიანობისათვის პავლეს სახელით.

რამ გამოიწვია ასეთი დიდი გარდატეხა პავლეს მსოფლმხედველობაში? ასეთი დიაპეტრულად სხვა პოზიციაზე გადასვლა არ გამოუწვევია შინაგან ჭიდილს, ჭეშმარიტების ძიების ღრმა ანალიზს, არამედ სახეცვლა გამოიწვია ერთმა კონკრეტულმა შემთხვევამ. კერძოდ, სავლე ქრისტიანების დევნის მიზნით გაემართა დამასკოსაკენ, გზაზე იხილა სასწაული: „და მიოდენრაჲ ვიდოდა იგი და მიეახლა დამასკესა, მეყუსეულად იყო გარემოჲს მისსა ბრწყინვალებაჲ ნათლისაჲ ზეცით გარდამო.

და იგი დაეცა ქუეყანასა ზედა და ესმა ემაჲ, რომელმან ჰრქუა მას: საულ, საულ, რაჲსა მდევნი მე? მან მიუგო და ჰრქუა: შენ ვინ ხარ,

უფალო? პრქუა მას: ძე ვარ იესო, რომელსა შენ მღევნი. ფიცხელ არს შენდა წიხნაჲ დეხისაჲ.

ძრწოდა და განსცუფრდებოდა და პრქუა: უფალო! რაჲ გნებავს ჩემდა ყოფად? და პრქუა მას უფალმან: აღდეგ და შევედ ქალაქად, და მუენ გეთხრას შენ, რაჲ — იგი ღირდეს შენდა საქმედ.

...აღსდა სავლე ქუეყანი, თუალნი ეხილვნეს და ხედვდა ვერარას. უპყრეს კელი მისთანათა მათ. და შეიყვანეს დამასკოდ.

...აღდგა ანანია და წარვიდა, და შევიდა ტაძართა მათ, და დაასხნა მის ზედა კელნი მისნი და პრქუა: საულ ძმაო, უფალმან მომავლინა მე, იესო, რომელი გეჩუენა შენ გზასა მას, რომელსა მოხვდოდე, რაჲთა აღიხილნე თუალნი შენნი და აღივსო სულითა წმიდითა.

...და მეყსეულად შესაკრებელთა შინა ქადაგებდა ქრისტესა, ვითარმედ: ესე არს ძე ღმერთისაჲ“ (საქმე მოციქულთა, 1—22<sup>9</sup>).

ამ სასწაულმა იქონია უდიდესი ზეგავლენა ამ უადრესად განათლებულ და მოაზროვნე ადამიანზე და ქრისტიანობის მღევნელი სავლე იქცა ქრისტიანობის გამავრცელებელ პავლედ. ეს არსებითი გარდაქმნა, მსოფლმხედველობის ცვლა ნაჩვენებია არა ღრმა ფსიქოლოგიურ განცდებში, დიდ სულიერ ტკივილსა და ჭიდილში, არამედ სასწაულის საშუალებით. სასწაული არის ის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც იწვევს სრულიად ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას. სასწაულის საშუალებით ხდება გმირის მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივირება, სასწაულია ის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს გმირის ასეთ მოულოდნელ სახეცვლას და, რაც მთავარია, სრულიად დამარწმუნებელს, გამართლებულს ხდის პავლეს ხასიათის ასეთ რადიკალურად გარდაქმნას.

მსგავს შემთხვევებს, როდესაც სასწაულისა თუ სიზმარ-ჩვენების შედეგად დიამეტრულად იცვლება მოქმედი გმირის ხასიათი, განწყობილება, მსოფლმხედველობა, ხშირად ვხვდებით ქართულ აგიოგრაფიულ ორიგინალურ ძეგლებში.

ქართველი აგიოგრაფები თავიანთ ნაწარმოებთა მოქმედი გმირების ქცევის განმსაზღვრელ და გამამართლებელ ერთ-ერთ ძლიერ ფაქტორად სასწაულებსა და სიზმარ-ჩვენებებს წარმოგვიდგენენ. დამაბულ, რთულ ფსიქოლოგიურ სიტუაციაში, სადაც მძაფრად არის გამოვლენილი პერსონაჟთა მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება, ხასიათთა ჭიდილი, როდესაც ამა თუ იმ გმირზე ვერავითარი ლოგიკური მსჯელობა, ვერავითარი არსებითი არგუმენტი ზეგავლენას ვერ ახდენს, სწორედ

ამ დროს ზემოქმედ ფაქტორად აგიოგრაფი იყენებს სასწაულს, და ამ უკანასკნელის საშუალებით მოქმედი გმირი ხელალებით თმობს თავის ძველ პოზიციას, თავისი შინაგანი მისწრაფებისა და განწყობილების მიუხედავად მოქმედებს სრულიად ახლებურად, თავდაპირველი პოზიციის საპირისპიროდ და რაც მთავარია, მისი ასეთი უეცარი, რადიკალური ცვლილება სრულიად გამართლებული, სავსებით დამარწმუნებელი და ფსიქოლოგიურად მოტივირებულია სწორედ სასწაულისა თუ სიზმარ-ჩვენების საშუალებით. ამ მხრით, მეტად საყურადღებოა გიორგი მერჩულეს მიერ აღწერილი ჯავახეთის კრება, რომელზედაც იდგა კათალიკოსის კანდიდატურის შერჩევის საკითხი. გუარამ ხელმწიფე სასტიკი წინააღმდეგი იყო არსენის კანდიდატურისა, მაშინ, როდესაც გრიგოლ ხანძთელი თავგამოდებით უჭერდა მხარს არსენს. გრიგოლ ხანძთელი თავისი პირადი ღირსებით, ფართო განათლებით, ორგანიზაციული ნიჭით, დიდი მასშტაბის კულტურულ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც სასულიერო, ისე ერის უფალთა შორის. მთელი ნაწარმოები გამსჭვალულია მისდამი დიდი მოკრძალებისა და პატივისცემის გამოხატვით. მას უნარი შესწევს აქტიურად იმოქმედოს არა მარტო როგორც საეკლესიო, საგანმანათლებლო და სახელმწიფოებრივ სფეროში, არამედ ის უშუალოდ, და ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ უხეშადაც ერევა თვით მეფეთა ინტიმურ სამყაროში მაგრამ ისეთი გავლენიანი შედეგიც კი, როგორიც აშოტ კურაპალატი და ადარნასე იყვნენ, ვერ ბედავენ გრიგოლისადმი წინააღმდეგობის გაწევას. გრიგოლის ასეთი დიდი ავტორიტეტიც კი არ აღმოჩნდა საკმარისი ჯავახეთის კრების მსვლელობის დროს გუარამ ხელმწიფეზე ზემოქმედებისათვის. საყურადღებოა, რომ თვით კრების მსვლელობაშიაც მერჩულე შარავანდედით მოსავს გრიგოლ ხანძთელს, გვიხატავს თუ რა მოკრძალებითა და რიდით ეპყრობიან გრიგოლს, საკითხის ერთადერთ გადაწყვეტად ყველა ერთხმად გრიგოლს აღიარებს, ერუშნელი ეპისკოპოსის სიტყვით, „ოდეს მოვიდეს ვარსკვლავი უდაბნოთა, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვავი ყოველთაი“ და „ვარსკვლავი იგი მნათობი“ არის მხოლოდ და მხოლოდ გრიგოლი. კრების დროს ყველა გრიგოლს შეჰყურებდა, მხოლოდ მას შეეძლო გადაწყვეტი სიტყვის თქმა, თვით ეფრემ ეპისკოპოსმა გულწრფელად განაცხადა: „სადა მამაი გრიგოლ იყოს, მე მუნ არა ვიკადრებ სიტყუად“, და ასეთ სიტუაციაში გუარამ ხელმწიფეც მოუთმენლად ელის გრიგოლისაგან ახრის გამოთქმას და ეს უკანასკნელი გარკვევით და დაბეჯითე-

ბით არსენს უჭერს მხარს. გრიგოლის პოზიციამ წონასწორობა დააკარგვინა გუარამს, პირადმა, დაჯინებითმა სურვილმა დააკარგვინა გონების სიფხიზლე და როგორც მოხდენილად ამბობს მერჩულე: „რამეთუ ნება სიბრძნესა სძლევედა და შური პატივისა არა პრიდებდა“. და მასზე, არამცთუ არავითარი ზემოქმედება არ იქონია გრიგოლის განუსაზღვრელმა ავტორიტეტმა, მისმა მსჯელობამ და არგუმენტებმა, არამედ თავისი მიზნის მიღწევისათვის თავგამოდებით მებრძოლმა მეფემ შეურაცხყოფაც კი მიაყენა ყველასაგან პატივცემულ გრიგოლს, მე ბევრი ქება და დიდება მსმენია გრიგოლისო, მაგრამ ეხლა, სიბერისაგან ჭკუა დაუარგავსო. ასე ჯიუტად და უხეშად დაიცვა თავისი კანდიდატურა. გრიგოლის ავტორიტეტი და არგუმენტები მისთვის არარაობად იქცა და თითქოს საკითხიც მის სასარგებლოდ გადაწყდა. ხოლო მისგან დაშინებულ ეპისკოპოსებს სხვათა შორის მიმართა. მათ კი გრიგოლის შემდეგ რაიმე ახლის თქმა ვერ გაბედეს, მხოლოდ მოკრძალებით უთხრეს „ღმერთის-მსახურო გუარამ, ქრისტეს მიერმან სასწაულმან უტყუე ქმნა ენაი ჩუენი. რამეთუ ვიხილეთ დღეს გრიგოლის ზედა მოუწოდომელი დიდებაჲ“. და აღუწერეს გრიგოლ ხანძთელთან დაკავშირებული სასწაული „და მეყსეულად იხილეს წმინდაჲ იგი მომავალი კარაულითა შორის კრებულსა მას მამათასა საკრველად ხილვითა, რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხო, რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრჳთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაი, ხოლო თავსა მისსა კუკული იხილვებოდა, ვითარც გვრგვნი სამეფოჲ პატიოსანთა თუალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმკული“. სასწაულის თხრობამ გარდატეხა მოახდინა. „მაშინ ზარ ჰხდა ხელმწიფესა მას“. სასწრაფოდ დათმო თავისი პოზიცია, უარყო ის რისთვისაც იბრძოდა და მსწრაფლ დაეთანხმა გრიგოლს, ჩაუვარდა ფეხებში და პატიება ითხოვა. გრიგოლის შეურაცხმყოფელი გუარამი შენდობას ითხოვს და თანახმაა არსენი გახდეს კათალიკოსი.

ამრიგად, ჯავახეთის კრებაზე დამაბული სიტუაციაა შექმნილი, გარკვეული განწყობილება და გეზია აღებული, რაღაც ზებუნებრივი ძალაა საჭირო სიტუაციის შეცვლისათვის. მარტო ავტორიტეტი, თუნდაც გრიგოლისი საკმარისი არაა, გრიგოლის პოზიცია განმტკიცებულ უნდა იქნას და, მართლაც, მისი გამოჩენა სასწაულებრივია, რაც გადაწყვეტს კიდევ საკითხს. ასეთი უეცარი ცვლილება, გარდატეხა გამოწვევია არა გრიგოლის საერთო ავტორიტეტმა, არა მისმა ბრძნულმა მსჯელობამ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სასწაულმა. ამ უკანასკნელმა

განაპირობა გუარამ ხელმწიფის გადაწყვეტილება, სასწაულითაა მოტივირებული ასეთი დიდი სულიერი ძეგრა, სახეცვლა ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟისა.

გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის წარმატებაში, მის მიერ სხვების მიმართ ზემოქმედებაზე, ნაწარმოების სხვა გამირებთან ურთიერთობის წამართვაზე გარკვეულ როლს ასრულებს სასწაულები. რიგ შემთხვევაში სასწაულის საშუალებით ახდენს გრიგოლი ზეგავლენას ამა თუ იმ პიროვნებაზე და ამ უკანასკნელის მოქმედებაც მოტივირებულია მხოლოდ და მხოლოდ სასწაულით.

როგორც ცნობილია, გრიგოლი მეტად აქტიურად ჩაერია აშოტ კურაპალატის კერძო ცხოვრებაში. თავისი დიდი ავტორიტეტის წყალობით და პიროვნული ზემოქმედებით სავსებით დაიმორჩილა აშოტი და წარმართა კიდევ მეფის პირადი ცხოვრება. აშოტმა გრიგოლის დიდი ზეგავლენა განიცადა და თავისი ნება დაუმორჩილა არქიმანდრიტის გადაწყვეტილებას.

სულ სხვა სურათს წააწყდა გრიგოლი ადარნასესთან ურთიერთობაში, აქაც გადაწყვიტა გრიგოლმა, რომ ადარნასე ჩამოეშორებინა „სიძვის დიაცისაგან“ და აღედგინა მისი წესიერი, ოჯახური ცხოვრება. მაგრამ ადარნასეს სახით გრიგოლს, აშოტისაგან განსხვავებით, შეხვდა სხვა ტემპერამენტის, განცდისა და ხასიათის პიროვნება. გრიგოლის მხილება და ტუქსვამ ვერ იქონია მასზე გავლენა, ის კვლავ ჯიუტად განაგრძობდა ურთიერთობას „სიძვის დიაცთან“. „ველმწიფე იგი ცუდითა თავმოთნეობითა იძლია და მხილება მართლისა მის კაცისაჲ არა თავს იღვა, არამედ შესძინა ძვრი ძვრსა ზედა თუსსა და სხუაჲ ცოლი შეირთო“<sup>1</sup>. გრიგოლი, მიუხედავად ყოველი ღონისძიებისა, უმწეო აღმოჩნდა ადარნასეს წინაშე, ვერავითარი ადამიანური ძალით ვერ იმოქმედა ვნებაყოლილ მეფეზე. ადარნასე ჯიუტად ანხორციელებს თავის გადაწყვეტილებას. იგი მოქმედებს თანმიმდევრულად და უკომპრომისოდ. მის ხასიათში არავითარი ცვლილება და გარდატეხა არაა, მაშინ გრიგოლმა მიმართა სასწაულს. ადარნასეს უწინასწარმეტყველა უსიამოვნებები და ავადმყოფობა. სულ მალე ადარნასე დაავადდა და მხოლოდ მონანიებითა და ცოლისაგან პატიების გამოთხოვით განიკურნა საშინელი სენისაგან, შვილებსა და „სიძვის დიაცსაც“ უბედურება ეწია და მხოლოდ ლოცვითა და „სიძვის დიაცის“ მონაზონად აღკვეცის შემდეგ

<sup>1</sup> შრომა და მოღვაწეობა ღირსად-ცხოვრებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, ჩუენი ხაუნჯე, I, 1960, გვ. 197.



გამოსწორდა მდგომარეობა. აქაც სასწაული იქცა პერსონაჟთა მოქმედების მამოძრავებელ ძალად, სასწაულის საშუალებით მოხდა გარდატეხა აღარნასეს ხასიათში: სასწაულია ის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ახდენს აღარნასეს მოქმედების ახსნას, მის მოტივირებას.

სარწმუნოების გამოცვლა, ერთის უარყოფა და მეორის აღიარება დიდ გარდატეხას იწვევდა პიროვნებაში. ეს ხდებოდა მეტად იშვიათად და განსაკუთრებულად დიდი ზემოქმედების შედეგად. ასეთ დიდ მსოფლმხედველობით ცვლილებას სათანადო გამამართლებელი მიზეზები უნდა ჰქონოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არაღამარწმუნებელი იყო. ვერც უხეში ძალდატანება და ვერც ღრმა, დამარწმუნებელი მსჯელობა ვერ იწვევდა ადამიანის ხასიათში, მის შეგნებაში ასეთ არსებით ცვლილებას. და თუ მოხდებოდა ისეთი იშვიათი შემთხვევა და მოქალაქე გამოიცვლიდა სარწმუნოებას, დაგმობდა თავის მამაპაპეულ რჯულს და აღიარებდა ქრისტიანობას, ასეთ ქცევას განსაკუთრებულად დამარწმუნებელი ახსნა სჭირდებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ეპიზოდი იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებიდან.

„მათ დღეთა შინა იყო ვინმე კათალიკოზი თესალონიკეს, საღმრთო და სულიერი, მეგობარი მამათა ჩუენთაი და აქუნდა ჩვეულებაი მამასა ეფთჳმეს და მრავალ გზის მივალნ მისა და ოდესმე მან მიიყვანის იძულებით. ხოლო იყო თესალონიკეს ჰურიამ ვინმე შჯულის მეცნიერი, და უნდა კათალიკოზსა, რაათამცა მოაქცია იგი ქრისტიანედ და ზედაჲს-ზედა ეუბნებიან. და იყო რამ მის თანა მამამ ეფთჳმე, ევედრა კათალიკოზი, რაათა ეზრახოს ჰურიასა მას. და ვითარცა მოუწოდეს, იწყეს ზრახვად სჯულისა. და ვითარცა შეიწრდა და უღონო იქმნა ურიამ იგი წინაშე ნეტარისა მამისა ეფთჳმესა, იწყო გმობად ქრისტიანეთა უბიწოსა სარწმუნოებასა. და ვითარცა ესმა მამასა ეფთჳმეს, შეწუხნა და შეპრისხნა და ჰრქუა მას: „დაიყავნ პირი შენი, ბილწო ჰურიამ“ და მასვე ჟამსა უტყუ იქმნა და გარე-მიექცა პირი მისი. იყვნეს მუნ მდგომარე სხუანიცა ჰურიანი, და შეუვრდეს ფერხთა მამისა ეფთჳმესთა, რაათა შეუნდოს და მან მიუგო ვითარმედ: „რომელი — იგი გმო, მისგან შეინდოს. და სარწმუნობად მოვიდეს, და მე შემინდობია“. და მერმე ევედრა კათალიკოზი, რაათა შეუნდოს და ლოცვა-ყოს. და ვითარცა ლოცვა-ყო და ჯუარი დასწერა, მასვე ჟამსა მოიქცა პირი მისი და სიტყუად იწყო. და მეყსეულად შეუვრდა ფერკთა მისთა და ქრისტიანე იქმნა და დიდად მორწმუნედ კაცად გამოჩნდა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ცხოვრებამ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი, ჩუენი საუჯე, I, 1960, გვ. 312.

როგორც ვხედავთ, თესალონიკელ კათალიკოსს მიზნად ჰქონია განსწავლული ებრაელი გაექრისტიანებინა, ამისათვის ექვთიმესაც კი მიმართა თხოვნით, რადგან იცოდა რომ ექვთიმე სარწმუნოებრივ საკითხში ღრმად ერკვეოდა და გააჩნდა ლოგიკური მსჯელობისა და დარწმუნების უნარი, მაგრამ ექვთიმეს ეს თვისებები საკმარისი არ აღმოჩნდა. მართალია, ექვთიმეს ორატორულმა ნიჭმა ებრაელი ჩიხში მიიყვანა, მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ჯიუტად იცავდა თავის სარწმუნოებას და უსასო მდგომარეობაში მყოფს ისღა დარჩა, რომ საპასუხო მსჯელობის ნაცვლად წყველა-გინება დაიწყო, ხოლო თავის რწმენას არ უღალატა. მაშინ ექვთიმემ სასწაულს მიმართა და ამ უკანასკნელმა მსწრაფლ შესცვალა ებრაელის რწმენა. ის სრულიად გარდაიქმნა, უარყო თავისი რჯული და აღიარა ქრისტიანობა. ასეთი არსებითი ცვლა, გარდატეხა მსოფლმხედველობაში, გამართლებულია არა შინაგანი ძიებით, არა მსჯელობითა და შთაგონებით, არამედ სასწაულის ზემოქმედებით, ამ უკანასკნელის საშუალებითაა დამარწმუნებელი ნაწარმოების პერსონაჟის ხასიათის არსებითი ცვლილება, მისი მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივირება ხდება სასწაულის შედეგად.

ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა ერთი ეპიზოდი დავით გარეჯელის „ცხოვრებაში“: ამხედრებული, ამაყი მონადირე დაედევნება ფრინველებს, ხოლო ესენი თავს დავით გარეჯელს შეაფარებენ. დავითი არ აძლევს მონადირეს უფლებას ფრინველები მოკლას. მონადირეს უმწუო ბერის წინააღმდეგობაზე გაელიმება და დაქადნებით ეტყვის არამც თუ ფრინველები, შენც ვერ გადამირჩები ცოცხალიო. მონადირე არავითარ ანგარიშს არ უწევს ბერს, მისთვის მოულოდნელი და ერთგვარად შეურაცხმყოფელიც არის ბერის წინააღმდეგობა. მეტად რეალისტურ ფერებში აქვს ავტორს დახატული გულზვიადი და ამაყი მონადირის სახე: „ხოლო ზუავი იგი ბარბაროზი ჰუნესა ზედა მჯდომარე სილადით იტყოდა წმინდისა მიმართ: ჟ საწყალობელო ბერო, მე მოკუდინებაჲ შენი მეგულეების და შენ განრინებასა მეტყუა ამის მფრინველისასა სიკუდილისაგან“<sup>1</sup>.

უმწუო ბერი არავითარ ავტორიტეტს არ წარმოადგენს ლაღი მონადირისათვის, ბერს არ შეუძლია ზემოქმედება იქონიოს ბარბაროსზე — მონადირე არამცთუ ანგარიშს არ უწევს დავით გარეჯელს, არამედ ამ უკანასკნელის მოკვლაც კი არაფრად მიაჩნია: „ბარბაროზმან იხადა მახ-

<sup>1</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, 1955, გვ. 169.

ვილი მრისხანებით, რაითა სცეს ქედსა წმინდისას“. დავეითსადმი ასე აგრესიულად, დაუნდობლად და მტრულად განწყობილი ბარბაროზი, რომელმაც დავითის თავის მოკვეთისათვის აღმართა მახვილი, რამდენიმე წუთის შემდეგ თვით დაემხო დავითის წინაშე და პატიება შელალა: ... „ამისა შემდგომად კუალად იწყო ტირილით ვედრებაი წმინდისა მიმართ“. <sup>1</sup> რა მოხდა? რამ გამოიწვია ბარბაროზის ხასიათში ასეთი უეცარი ცვლილება? ვედრება მას, ვისი მოკვლაც კი არაფრად მიაჩნდა, რითია გამართლებული, მოტივირებული ბარბაროზზე ზემოქმედება? ამის მიზეზია ის სასწაული, რომლის ძალით ბერის თავის მოსაკვეთად აღმართული მარჯვენა გაუშეშდა კაცს. ამ სასწაულმა გამოიწვია ასეთი არსებითი გარდაქმნა მონადირისა. სასწაულია ის ერთადერთი მიზეზი, რომელიც გასაგებსა და დამაჯერებელს ხდის გულზვიადი და უხეში მონადირის ასეთ თვინიერ აღამიანად გადაქცევას.

ანალოგიური ეპიზოდია მოთხრობილი ილარიონის ცხოვრებაში: „და წარიყვანა ძმამ ერთი /ილარიონმა/ და წარემართა იგი წმიდად ქალაქად იერუსალიმად. და ვითარ მიიწინეს იგინი ქუეყანასა მას შამისასა, დაემთხვნეს ავაზაკნი ბოროტნი გზასა ზედა და იკადეს მახვლები რათამცა სცეს წმიდასა ილარიონს. მეყსეულად განუქმეს კელნი მათნი და ვერ შეუძლეს ქუე ჩამოდებად.

მაშინ იწყეს ტირილად და ვედრებად მისა, და მიუღვეს უკუანა, ვითარ ხუთ უტევან, მაშინ მიექცა წმიდაა ილარიონ და დასწერა ჯუარი და განკურნნა იგინი და წარგზავნნა ცოცხლებით. ხოლო მათ ვითარ იხილეს მსწრაფლ განკურნებაა, მოართუეს მას პური და კერატი, და ითხოვდეს შენდობასა და ეტყოდეს მას ენითა მათითა, რათა არასადა-ყონ ესრეთ მონაზონთა ზედა: და ერთი მათგანი წარჰყვა ვიდრე მთამდე“ /თაბორისა/. <sup>2</sup>

ეს თითქმის ტრაფარეტული ხასიათის სასწაულები მკითხველის ყურადღებას იპყრობს იმით, რომ ამ სასწაულთა ზეგავლენით იცვლება სიტუაცია, ნაწარმოების პერსონაჟის განწყობილება და, საერთოდ, მოქმედება, სასწაული არის წარმმართველი პერსონაჟის მოქმედებისა, მისი შეხედულებებისა.

სასწაული გარკვეულ როლს ასრულებს არა მარტო ისეთ ცალკეულ, შემთხვევით ეპიზოდებში, არამედ რთულ ‘სოციალურ კონფლიქტთა

<sup>1</sup> ი კ ვ ე, გვ. 170.

<sup>2</sup> ცხოვრებაა და მოქალაქეობაა წმინდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა, ჩუენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 282.

გაშლასა და წარმართვაში, ხასიათების ჭიდილსა და დაპირისპირებაში.

გრიგოლ ხანძთელს მოღვაწეობა უხდება უამრავი დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობათა გადალახვით. მის მდგომარეობას ართულებს არა მარტო უდაბური ადგილების გაშენებასთან დაკავშირებული სიძნელეები, არამედ მთელ რიგ უფლებამოსილ და გავლენიან პირთა ინტერესებთან დაპირისპირება. ზოგი მათგანი არამც თუ უბრალოდ უკმაყოფილოა გრიგოლის მოღვაწეობით, არამედ აშკარა ბრძოლასაც იწყებს მის წინააღმდეგ და ტერორისტულ გადაწყვეტილებისაგანაც კი არ იკავებს თავს. გრიგოლის დიდმა ავტორიტეტმა, მისმა საგანმანათლებლო სახელმწიფოებრივმა მოღვაწეობამ დააფიქრა და შეაწუხა კიდევ იმდროინდელი ზოგი ფეოდალი თუ სასულიერო პირი. გრიგოლი იქცა დიდ დაბრკოლებად მათი ანგარებით აღსავსე პირადი მიზნებისა. დიდი ეროვნული საქმიანობით გატაცებული გრიგოლ ხანძთელი უსიამოვნების მომგვრელია შინააშლილობის მოსურნე უცხო დამპყრობელთათვის. ამიტომ გადაწყვეტენ, რაღაც არ უნდა დაუჯდეთ გზიდან ჩამოიცილონ გრიგოლ ხანძთელი. მას ტერორსაც კი დაუნიშნავენ, კერძოდ, ანჩის საყდრის ძალით დამპყრობ ვინმე ცქირს, ეშინია, გრიგოლმა არ ამხილოს და არ გაკიცხოს, არ გაუწიოს მის უსამართლო მოქმედებას წინააღმდეგობა, ხოლო გრიგოლთან საერთო ენის გამოძებნა ამ თვითნებურ საქმეში შეუძლებლად მიაჩნია. პირად სურვილს აყოლილი, განდიდების ჟინით შეპყრობილი ცქირი გადაწყვეტს, რაღაც არ უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს ანჩის საყდარი და ამ სურვილის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე გრიგოლი თავიდან მოიცილოს, მოაკვლევინოს ვინმე „მაგრიად მოისარსა“. საყურადღებოა, რომ ცქირის ასეთი ბოროტი განზრახვის ერთგვარად გამამართლებლად გიორგი მერჩულე თვლის იმ ფაქტს, რომ ეს ცქირი იზრდებოდა ტფილისში, საპაპ ამირის ისმიალის ძისაგან. ეს ერთგვარი მოტივირებაა ცქირის ზნეობრივი, ეროვნული გადაგვარებისა. ქართველი აგიოგრაფი შემთხვევით არ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ქართველი კულტურტრეგერის მტერი ამირას კარზე აღზრდილი პირი იყო, ამით, ჯერ ერთი, იძლევა მინიშნებას უცხო დამპყრობელთა როლსა და მიზნებზე ჩვენი ქვეყნის მიმართ, და მეორეც, ქართველი ცქირის მიერ ერის საზიანო მოქმედებაში, ძირითად მიზეზად იმას თვლის, რომ ცქირი ამირას მიერ, მისი სულისკვეთებით აღზრდილი იყო და, თითქოს ერთგვარად, ამსუბუქებს მის მდგომარეობას.

ამირას მხარდაჭერითა და ცქირის უშუალო მითითებით გაიგზავნება ვინმე „ერის კაცი ლიბრი და გლახაკი, მაგრად მოისარი“ გრიგოლის მოსაკლავად. ამ რთული სოციალური კონფლიქტის, ეროვნულ ინტერესთა დაპირისპირების შედეგად გადაწყვეტილია გრიგოლის მოკვლა, და ეს უკანასკნელი, როდესაც თავის აგარაკიდან ხანძთას მარტო მოდიოდა, იქ ჩაუსაფრდა. თითქოს განწირულია გრიგოლი, მაგრამ თავი იჩინა სასწაულმა, რის გამოც ამ „მაგრად მოისარმა“ უარყო ის გასამრჯელო, რაც მას გრიგოლის მოკვლით უნდა მიეღო, არ შეუშინდა ამირასა და ცქირის რისხვას და გრიგოლის მოკვლის ნაცვლად ჩაუვარდა მას ფეხებში და პატიება ითხოვა. სასწაულმა გარდაქმნა ის და დაიმსხვრა დიდი ხნით მოფიქრებული გეგმები ამირასა და ცქირისა. სასწაულის საშუალებით მოტივირებულია მოქმედება, რომლის საპირისპირო მიზანს საფუძვლად ედო რთული სოციალური და ეროვნული ინტერესები.

ასევე სასწაულს უკავშირებს რთული ეროვნული სახელმწიფოებრივი საკითხის გადაჭრას ნინოს „ცხოვრების“ ავტორი. ნინოს ენერგიულმა მოღვაწეობამ, თვით დედოფლის განკურნებამაც კი ვერავითარი ზემოქმედება ვერ მოახდინა მირიან მეფეზე. კერძთაყვანისმცემლობის ერთგულ დამცველს, ქვეყნის გამგებელ მირიანს წარმოუდგენლად მიაჩნია სხვა სარწმუნოების მიღება. მას ვერც კი შეკადრეს საუბარი ქრისტიანობის შესახებ, ის მკაცრი და თანმიმდევრულია თავის გადაწყვეტილებებსა და მიზანდასახულობაში. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ნადირობის დროს მომხდარიყო სასწაული, დაბნელებულიყო არემარე და ნინოს ღმერთის აღიარებით კვლავ განათებულიყო, რომ მირიან მეფეს მთლიანად შეცვლოდა მსოფლმხედველობა. ასეთი არსებითი გარდაქმნა, რთული ფსიქოლოგიური და გონებრივი გარდატეხა, უეცრად დაგმობა მამაპაპეული რწმენისა, რომლის დაცვისათვის ის მთელი არსებით, მახვილით ხელში იბრძოდა და აღიარება სრულიად ახლისა და, რაც მთავარია, ამ ახალი სარწმუნოების სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადება, დიდი შინაგანი გარდატეხის შედეგად შეიძლებოდა. ასეთი არსებითი გარდაქმნა მარტო მომენტალური განწყობილებით და აფექტით არ შეიძლება აიხსნას. ის შედეგია დიდი სულიერი ძვრისა და ამ სულიერი ძვრის სტიმულის მიმცემი, გამამართლებელი, ნაწარმოების მიხედვით არის ის სასწაული, რომელიც უშუალოდ განიცადა მირიან მეფემ.

იგივე მხატვრული ფუნქციით მოტივირების მთავარ ფაქტორად. სასწაულების მსგავსად, აგიოგრაფები იყენებენ სიზმარ-ჩვენებებს, საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად შევჩერდებით შემდეგზე:

ილარიონ ქართველი და „ორნი ძმანი“ საბერძნეთში მოგზაურობისას დროებით დაემკვიდრნენ ერთ პატარა მონასტერში ულუმბოს მთაზე. მონასტრის ბერძენ მამასახლისს არ ესიამოვნა სხვა ერის შვილთა იქ ყოფნა და „აღშფოთნა და... ბრძანა შეურაცხებით განძება მათი“, განრისხებულ მამასახლისს ქართველმა ბერებმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეკადრეს და იძულებული იყვნენ მეორე დღეს შეურაცხყოფილთ დაეტოვებინათ მონასტერი, მაგრამ წასვლის დღეს მამასახლისი „ტირილითა მწართა წარვიდა და შეუერდა ფერხთა ილარიონისთა და ითხოვდა შენდობასა პირველისა მისთვის კადნიერებისა და აფუცებდა, რათა არა წარვიდეს მიერ“<sup>1</sup>. რამ გამოიწვია ბერებისადმი დამოკიდებულების ასე რადიკალურად გამოცვლა? რატომ გახდა მტრულად განწყობილი მამასახლისი ქართველ ბერთა ასეთი კეთილმოსურნე? რა ამოძრავებს მამასახლისს? რით აიხსნება მასში ასეთი უცნაური და მოულოდნელი ცვლილება? ამის მიზეზია ის ჩვენება, რომელიც წინა დამით იხილა მამასახლისმა. კერძოდ, სიზმარში გამოეცხადა ღვთისმშობელი და რისხვით უთხრა „რაჲსა ინებე მათი /ილარიონისა და მისი ძმების/ განძებაჲ, რომელნი მოსრულ არიან სიყვარულისათჳს ღმრთისა, და არა დაიმარხე მცნებაჲ უცხოთა შეწყნარებისათჳს ვითარ ეტყჳს უფალი და ძე ჩემი მდიდარსა მას? ანუ არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკვდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი და ცხოვნებად არიან! და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან“<sup>2</sup>. აი, ამ ჩვენებაში განაპირობა მამასახლისის ბერებისადმი დამოკიდებულების ასეთი რადიკალური ცვლილება. ამ ჩვენებით ხდება მამასახლისის მოქმედების გამართლება.

აგიოგრაფები სიზმარ-ჩვენებებს იყენებენ არა მარტო ხასიათის გარდაქმნის მოტივირებისათვის, არა მარტო იმ მიზნით, რომ პერსონაჟის მოქმედების, მიზანდასახულობის უეცარი სახეცვლა გახადონ დამაჯერებელი, არამედ სიზმარ-ჩვენებების საშუალებით დამარწმუნებელს ხდიან ისინი, აგრეთვე, აგიოგრაფიული ნაწარმოების გმირის ღიღი მასში-

<sup>1</sup> ჩვენი საუნჯე. ტ. 1, გვ. 284.

<sup>2</sup> ცხორება და მოქალაქობა წმინდასა მამისა ჩვენისა ილარიონ ქართველისაჲ. ჩვენი საუნჯე, 1, გვ. 284.

ტაბის მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას. ასე მაგალითად, იოვანესა და ექვთიმეს „ცხოვრებაში“ აღწერილია ექვთიმეს განმაცვიფრებლად ნაყოფიერი მოღვაწეობა, მკითხველი გაოცებულია, თუ როგორ შესძლო ამ ერთმა ადამიანმა ასეთი დიდი მუშაობის გაწევა როგორც ორგანიზაციულ-სახელმწიფოებრივ სფეროში, ისე ლიტერატურულ-მეცნიერულ დარგში; მან შექმნა კულტურის დიდი კერა, რომელიც იქცა ერთგვარ აკადემიად, სადაც წარმოებდა ინტენსიური მეცნიერული მუშაობა და ამ დიდ საქმიანობასთან ერთად თვითაც ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ ლიტერატურულ-მეცნიერულ მუშაობას. გიორგი მთაწმინდელი ჩამოთვლის ექვთიმეს მიერ პირადად თარგმნილ ორმოცდაათზე მეტ ლიტერატურულ-მეცნიერულ ძეგლს, რაც თითქმის წარმოუდგენლად ნაყოფიერი მუშაობის ნიმუშია. ასეთი ძნელად სარწმუნო დიდი მასშტაბის საქმიანობა რომ ეჭვს არ ბადებდეს, რომ ის აშკარად დამარწმუნებელი იყოს, ამ მიზნით ავტორი აგვიწერს ერთ-ერთ სიზმარ-ჩვენებას, რომელიც თითქოს, განაპირობებს კიდევ ექვთიმეს ამ არაადამიანურ შრომისუნარიანობას და ქართული ენის ცოდნას, რომელიც აღბეჭდილია მის მიერ ნათარგმნ ძეგლებში. კერძოდ, საბერძნეთში გაზრდილ ექვთიმესათვის პრობლემა გახდა ქართული ენის სრულყოფილად შესწავლა, რამაც მეტად დააფიქრა და შეაწუხა ექვთიმეს მამა იოანე; ეს სიძნელე შემდეგნაირად იქნა დაძლეული: „წარვედ ტაძარსა წმინდისა ღმრთისმშობელისასა — მოგვითხრობს იოვანე — და დავეარდი წინაშე ხატსა წმინდისა დედოფლისასა და ცრემლითა მხურვალითა ვვედრებოდე უხწნელსა მარადის ქალწულსა ღმრთისმშობელსა, რაითა შემწე ეყოს და ყოს ლხინებაი. და ვამცნე მღვდელსა, რაითა მსწრაფლ აღმოვიდეს და აზიაროს ხორცსა და სისხლსა უფლისასა. და ვითარ-იგი შემფოთებულ ვიყავ და აღვისწრაფდი ხილვად, თუ რაი-ძი იქმნა; განვაღე კარი სენაკისი სადა-იგი /ექვთიმე, რ. ბ./ დამეტევა მწოლარე და მეყსეულად ვიყნოსე სული სულნელებისაი საკვირველი, რამეთუ იქმნა მოხედვაი წმინდისა ღმრთისმშობლისა და ვიხილე ეფთჳმე, რამეთუ მადლითა მისითა აღდგომილ იყო და ჯდა ცხედარსა ზედა ყოველთურთ მრთელი და უვნებელი.

და ვითარ-იგი გაჰკრთა გონებაი ჩემი და ვჰკითხვედ მას, ვითარმედ „რაი არს ესე, შვილო“? მომიგო და მრქუა მე, ვითარმედ-აწლა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქუა ქართულითა ენითა: „რაი არს, რაი გელმის, ეფთჳმე?“ ხოლო მე ვარქუ, ვითარამედ „მოვეუდები, დედოფალო“ და ვითარცა ესე ვთქუ, მომეახლა და მიპყრა ხელსა და

ბრქუა: „არარაი არს ვნებაი შენთანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობლი“. და აჰა ესერა. ვითარცა მხედავ, ყოველადვე აღარაი მეღმის“. და იტყოდა ნეტარი იოვანე. „ვითარმედ: „მუნ ჟამამდე ძნიად უბნობნ ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავ ამის პირისათვის, ხოლო მიერიტგან დაუყენებლად, ვითარცა წყაროი აღმოდინ უწმინდეს ყოველთა ქართველთასა“<sup>1</sup>.

ამ სასწაულებრივი სიზმარ-ჩვენების მოშველიებით ავტორი ცდილობს ზემოქმედება იქონიოს მკითხველებზე და დაარწმუნოს, რომ ექვთიმეს მიერ ქართული ენის ასე სრულყოფილად ცოდნა და ასეთი ნაყოფიერი მუშაობა აღემატებოდა რა აღამიანურ უნარს, შედეგია მხოლოდ და მხოლოდ ზებუნებრივი ძალისა; ღვთისმშობლის ასეთმა აქტიურმა დახმარებამ განაპირობა და შეაძლებინა ექვთიმეს ესოდენ დიდად ნაყოფიერი მუშაობის გაწევა. შემთხვევითი არ არის, რომ ავტორმა ექვთიმეს მოღვაწეობის აღწერას ეს სასწაულებრივი ჩვენება წარუძღვარა წინ, რამეთუ „სიყრმითგანვე მაღლი ღმერთისაი იყო მას /ექვთიმეს/ ზედა“ და ესაა ერთ-ერთი მიზეზი ექვთიმეს დიდი მოღვაწეობისა. ასევე ღვთისმშობლის ჩვენებაში ხილვით არის მოტივირებული ილარიონ ქართველის მოღვაწეობაც, კერძოდ, ილარიონმა „ღამესა ერთსა იხილა ჩუენებაჲ ესე: რეცა მიიტაცა [იგი] მთასა ზეთისხილთასა, სადა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ამაღლდა დიდებით. და იხილა წმიდაჲ დედოფალი ღმრთისმშობელი [და] მარადის ქალწული მარიამ და ათორმეტნი კაცნი მბრწყინვალენი მღვომარენი მის წინაშე. ჰრქუა მას წმიდამან დედოფალმან: „ილარიონ; მიისწრაფე სახედ შენდა და განუშხადე სერი უფალსა“ და ვითარ განიღვძა ჩუენებისა მისგან, გულისკმყო ჩუენებაჲ იგი“<sup>2</sup>.

აგიოგრაფიულ ნაწარმოებში არაიშვიათია მოტივირების ის საშუალებები, რომელნიც თითქმის ნიშანდობლივია ზღაპრებისათვის, განსაკუთრებით ჯადოსნური ზღაპრებისათვის. ჯადოსნურ ზღაპრებში გვხვდება ჯადოსნური საგნები, რომელნიც, ერთი მხრივ, დახმარებას უწევენ ზღაპრის გმირს და, მეორე მხრივ, იძლევიან ამ გმირის მოქმედების მოტივირებას. ზღაპრებში ჯადოსნური საგნების ფუნქცია კარგად აქვს შესწავლილი პროფ. პროპს. მისი დაკვირვებით:

«Легко заметить, что эти предметы представляют собой лишь частный случай помощника. Помощники, живые существа и волшебные

<sup>1</sup> ჩუენი საუნჯე, ტ. I, გვ. 307–308.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 282.



предметы, принципиально функционируют совершенно одинаково. Число волшебных предметов в сказке так велико, что описательное рассмотрение их не приводит ни к каким результатам»<sup>1</sup>.

ზღაპრების ჯადოსნურ საგნებთან მთელი რიგი მსგავსების მიუხედავად აგიოგრაფიულ ძეგლებში გამოყენებული დამხმარე საგნები საგრძობლად განსხვავდებიან მათგან არა მარტო იდეურ-შინაარსობრივი დანიშნულებით, არამედ სხვა მხრივაც. კერძოდ, უფრო ერთფეროვნული არიან როგორც სახეობრივად (ე. ი. არ გვხვდება საგნების მრავალფეროვნება), ისე მიზანდასახულობის მხრივაც. მაგრამ მიუხედავად ამისა აგიოგრაფიული ძეგლის სასწაულებრივი საგნებისა და ზღაპრის ჯადოსნური საგნების მხატვრული ფუნქცია ხშირად ურთიერთმსგავსია, ორივე შემთხვევაში ეს საგნები პერსონაჟთა მოქმედების ხელშემწყობი ფაქტორებია. ამასთანავე ამ საგანთა საშუალებით დამაჯერებელი ხდება ესა თუ ის წარმოდგენელი, არაბუნებრივი მოვლენა. მაგალითად, ევაგრემ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გადალახა მტკვარი. უფრო ზუსტად, როგორც კი მიუახლოვდა ევაგრე მტკვარს დინება გაწყდა და ევაგრე მდინარის ფსკერზე გავლით მშრალად გავიდა მეორე ნაპირზე, ხოლო მტკვრის დინება შეჩერებული იყო, სანამ ევაგრე გადიოდა. ეს ზღაპრული, წარმოდგენელი ფაქტი გამართლებულია იმით რომ მას შიომ მისცა სასწაულებრივი კუერთხი და ამ უკანასკნელის შეხებამიქონია ზეგავლენა დინებაზე. „შიომ მისცა მას /ევაგრეს, რ. ბ./ კუერთხი თვისი რომელი აქუნდის ხელთა მისთა და ჰრქუა: წარვედ შეილო და წარიდე ესე და მი-რაი-ხვიდე მტკუარსა ზედა, შთაყვ ევე წყალსა შინა და შეწევნითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა გზას-გცემს მდინარე იგი წიად-ხედ ხმელად ...ხოლო მან /ევაგრემ, რ. ბ./ შთაყო კუერთხი იგი წიად-ხედ ხმელად... ხოლო მან იყო მისთვის ბერისაგან, და /საკვირველი 1/ მეყუსეულად მდინარე ესე დიდი, რომელსა ყოველნი მეცნიერ ხართ, განიპო საშუალო შეკდიმებულ განხმელისა კუერთხისაგან და გზა-სცა ევაგრეს. დაულტოლველთა ფერხითა სლვად მას შინა“<sup>2</sup>. ევაგრეს ამ უჩვეულო, სასწაულებრივ მოქმედებას მკითხველში დამაჯერებელს ხდის მხოლოდ და მხოლოდ კუერთხის ღვთაებრივი ზემოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა ევაგრეს მოქმედება.

<sup>1</sup> В. Л. Пропп, Исторические корни волшебной сказки, 1946, стр. 173.

<sup>2</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქცია, 1955, გვ. 100 – 101.

მეორე ქართველი აგიოგრაფი ბასილი ზარზმელი თავისი თხზულებების მთავარი მოქმედი გმირის, სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობის განმაპირობებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად წარმოგვიდგენს შემდეგ სასწაულს: „ხოლო განგებითა საღმრთოითა იყო კედელსა ეკლესიისასა რტოჲ ბაიასსაჲ მრავალჲამეული, და აღიღო ხელითა თვისითა მამან მიქაელ და მისცა წმიდასა სერაპიონს და პრქუა: „შვილო დანერგე ესე მახლობლად ეკლესიისა და უკუეთუ განედლდეს, უწყოდე ჭეშმარიტად, რამეთუ ნაყოფიერებაი არს ადგილისა მის, წარვედ და გულს-მოდგინედ აშენებდი“, ვინაიცა განკვირებამან შეიპყრნა ყოველნი მუნ მსხდომარენი და პრქუეს ურთიერთას: არა დიდ არს ორთავე ამათ მიერ სიდიდე სასწაულისაი“<sup>1</sup>.

აღნიშნულ ეპიზოდში რტო ბაიასის ზღაპრის ჯადოსნური საგნის მსგავსად სასწაულებრივი თვისების შემცველია, ესაა ერთგვარი პირობითი ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს სერაპიონის შემდგომ საქმიანობას და დამარწმუნებელს ხდის სერაპიონის მოღვაწეობას, რომელიც „ფიცხელ ადგილთა“ გამო დიდ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული, ხმელი რტოს განედლება ბიბლიური მოტივია, გავიხსენოთ არონისა და მოწამე ხარლამპის სასწაულები. ორივე შემთხვევაში, როგორც ბიბლიაში, ისე ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლში ეს მოტივი გამოყენებულია ერთი მიზნით, პერსონაჟის მოქმედების მოტივირების მიზნით.

ამრიგად, აგიოგრაფები მოტივირების ერთ-ერთ საშუალებად იყენებენ სასწაულებრივ საგნებს, რომელნიც წარმოადგენენ, ერთი მხრივ, მოქმედების წინაპირობას, და მეორე მხრივ, დამაჯერებელს, გამართლებულს ხდიან ნაწარმოების პერსონაჟის მეტად ძნელ საქმიანობასაც კი.

„სასწაულებრივი საგნების“<sup>2</sup> მსგავსად, აგიოგრაფიულ ძეგლებში, აგრეთვე, გარკვეული სასწაულებრივი დანიშნულებით გამოყენებულია

<sup>1</sup> ჩუენი საუნჯე, ტ. 1, გვ. 116.

<sup>2</sup> გამოთქმას „სასწაულებრივი საგანი“ ჩვენ ვხმარობთ პირობითად, „ჯადოსნური საგნის“ ანალოგიით. საქმე ისაა, რომ ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით სასწაული შეუძლია მხოლოდ ღვთაებას, ხოლო საგანს არავითარი უნარი სასწაულისა არ გააჩნია. თუ ის მოქმედებს სასწაულებრივად მხოლოდ და მხოლოდ ღვთაების ნებით. საგანი ამ შემთხვევაში არის მხოლოდ საშუალება, ფორმა, რომლითაც გამოხატულება, კონკრეტული ნივთიერი გამოვლენა ხდება ღვთაების ნებისა, მაშინ როდესაც ზღაპრის „ჯადოსნურ საგანს“ თვით გააჩნია ამა თუ იმ მოქმედების თვისებები. ზღაპარში საგანი დამოუკიდებელი, გარკვეული თვისებების ქმედობის მქონე მოვლენაა, ხოლო აგიოგრაფიულ ძეგლში საგანი არის პირობითი ნიშანი, ფორმა ღვთაების გამოვლენისა.

ცხოველთა და ფრინველთა სახეები. ბუნების შესანიშნავი სურათების აღწერისას აგეოგრაფები ხატავენ ცხოველთა და ფრინველთა სახეებს, რომლებიც მუდამ ფსიქოლოგიური მოტივირების მიზნით როდი არიან გამოყენებულნი. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „და ვგრეთვე ხანძთას რაი იყო თვისსა სენაკსა შინა, მონადირეთა მრავალთა მახლობლად მონასტერსა მას მოიცვენეს ოთხნი გარეთ — თხანი. ხოლო იგინი სრბით შევიდეს სენაკსა მას, სადა იყო მაძაი გრიგოლ მჯდომარე, და გარე მოადგეს წმინდასა მას. ხოლო მან გულისხმა ყო მიზეზი მოსვლისა მათისაჲ და ნუგეშის სცა მათ, და უბრძანა, რათა მონადირენი იგი ისტუმრნენ და წარგზავნენ და ნადირთა მათ ჭამადი სცა და განუტევენა მშვიდობით“. აღიშნულ ეპიზოდში ცხოველთა საშუალებით ავტორი არავითარ მოტივირებას არ ახდენს, ცხოველთა გამოჩენა არავითარ ზეგავლენას არ ახდენს არც მონადირეებზე და არც სხვებზე. მხოლოდ ნაჩვენებია გრიგოლის სათნო ბუნება, თუ როგორ ზრუნავს გრიგოლი არა მარტო ადამიანებზე, არამედ ცხოველებზეც.

სულ სხვა მიზანდასახულობა, მხატვრული ფუნქცია აქვს ცხოველთა და ფრინველთა სახეების ჩვენებას დავით გარეჯელის „ცხოვრებაში“. ამ ძეგლში წარმოდგენილია შემდეგი საინტერესო სურათი: „მოიწივნეს მუნ კაცნი ვინმე მონადირენი კერძოთაგან კახეთისათა, ვინათგან ფრიადი ნადირი არს ამათ უდაბნოთა შინა, ირემი და გარეთხაი და სხუათა ნადირთა თვით სახეთა სიმრავლე ურიცხვ, რომელნიცა იმსტურობდეს რაიაქა და იქი, იხილნეს ირემნი იგი მსგავსად ჩვეულებისა შემავალად ნაპრალსა მას კლდისასა, რომელსა შინა მკვდრობდა წმინდაი დავით მოწაფითურთ. და მოსწრაფებით შეუდგეს კუალსა ირემთასა, რამეთუ სასოებდეს, ვითარმედ იწრუებასა მას თანა კლდისასა მოაკუდინენ და ხელთ — ისხნენ იგინი. ხოლო ვითარცა მიიწივნეს იგინი ქუაბად ბერისა, იხილნეს ირემნი, რამეთუ მდგომარე იყვნეს ყოვლად სიმშვიდით, ვითარცა ცხოვარნი, და ლუკიანე ჩვეულებისაებრ მწუხელელი მათი, რომელიცა იხილეს რაი მონადირეთა მათ, ზარ-განხდილნი მირბიოდეს შევრდომად ფერხთა ბერისათა და განცფურებულნი ეტყოდეს, წმინდაო ღმერთისაო, რაი არს უცხო ესე საკურველი, რომელსა ვხედავთ, ვითარ ირემნი ესე ნადირნი ველისანი ესრეთ სიმშვიდით მდგომარე არიან, ვითარცა ეზოთა შინა სახლისათა აღზრდილნი კაცთა მიერ ცხოვარნი“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქცია, 1955, გვ. 163.

ამ შემთხვევაში, ცხოველთა სახის ჩვენებით აგიოგრაფი გარკვეულ მიზანდასახულობას ავლენს, კერძოდ, იძლევა მონადირეთა ქცევის მოტივირებას, ნადირობით გატაცებული ადამიანები, უეცრად „ზარგანხდის ფერხთა“ უვარდებიან ბერს, და მათი ასეთი ქცევა განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ ირმები მორჩილად, შინაური ცხოველების მსგავსად იდგნენ ბერების წინაშე, რათა ამ უკანასკნელთ მოეწველათ იგინი. ნადირთა უწვეულო ქცევამ ზეგავლენა იქონია მონადირეებზე და განაპირობა მათი მოქმედება. ეს ფაქტი იმდენად დიდი შთაბეჭდილების მომხდენი იყო, რომ არა მარტო მონადირეები, არამედ ახლომახლო სოფლის მცხოვრებლებიც გაოცებულნი გამოეშურნენ ბერთან და შეევედრნენ მას, რათა მათთვის დავითს დაერთო ნება მონაზვნად აღკვეცისა. როგორც მონადირეების, ისე მათი თანასოფლელების გადაწყვეტილების, ცხოვრების ხასიათის ასეთი არსებითი და უეცარი გარდატეხის საფუძველი გახდა ირმების გამოჩენა და მათი ბერებისადმი დამორჩილება. ასეთივე არსებითი ზეგავლენა იქონია ვვაგრეს ცხოვრებაზე მტრედთან დაკავშირებულმა სასწაულმა. კერძოდ, სანადიროდ მყოფმა ვვაგრემ, როდესაც დაინახა რომ მტრედს მოაქვს საზრდო მონაზვნად დაუდებულ შიოსათვის, ხელი აიღო ერის კაცობაზე, უარყო თავისი გავლენიანი და შეძლებული მდგომარეობა და შეევედრა ბერს: „დაღაცათუ დღესვე იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა, არცა ესრეთ დაგიტეო შენ, დმერთ-შემოსილო მამაო — არამედ აქა დავადგრე შენ წინაშე და შენ თანა ძვრახილულობაი და იწროება აღვირ-ჩიო, ვიდრეღა უკუნქცევა კუალად მსოფლიოთა შუებათა მიმართ და განსუენებათა, რომელნი მრავალთა შფოთთა მიერ აღსავსე არიან“<sup>1</sup>.

ნებიერი, ლალი ფეოდალი, რომელიც „მრავლითა ფუფუნებით აღზრდილი“ იყო, უეცრად ხელს იღებს „ამა ქვეყნიდან“ და ირჩევს ასკეტურ „მოთმინებას სიფიცხისა და უღონობისა ამისა უღაბნოისაისა“, ცხოვრებაზე შეხედულებების ასეთი რადიკალური ცვლის, დიდი სულიერი გარდატეხის ბიძგის მიმცემი გახდა მტრედის სასწაულებრივი მოქმედება. ეს უკანასკნელი არის ერთადერთი, არსებითი ფაქტორი, რომელიც გამართლებულსა და სარწმუნოს ხდის ვვაგრეს მოქმედებას.

ამრიგად, აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში სასწაულები, ჩვენებები და

<sup>1</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, 1955, გვ. 100.

სიზმრები გამოყენებულია ფსიქოლოგიური მოტივირების მიზნით. სასწაულებისა და სიზმარ-ჩვენებების შედეგად ხდება პერსონაჟის მოქმედების, ქცევის გამართლება. აგოგრაფიული ნაწარმოების გმირის მსოფლმხედველობის, ხასიათის, ქცევის უცარი და რადიკალური ცვლილების, რიგ შემთხვევაში, ერთადერთი გამამართლებელი და დამარწმუნებელი ფაქტორია სასწაულები და სიზმარ-ჩვენებები.

აგოგრაფიული თხზულებების კომპოზიცია უციდურესი შაბლონურობით ხასიათდება. სპეციალისტების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ცხოვრებანი“ შედგენილი უნდა იყოს ცნობილ ადამიანთა ბიოგრაფიების ნიმუშების მიხედვით, ისეთი ბიოგრაფიებისა, რომელთა ავტორები არიან ქსენოფონტი, ტაციტი, პლუტარქე, როგორც ლიტერატურული ძეგლი, ასეთი ბიოგრაფია შედგება სამი ნაწილისაგან: წინასიტყვაობა, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

აგოგრაფიული ძეგლების კომპოზიციის შედარებით სრული დახასიათება მოგვცა ცნობილმა რუსმა მკვლევარმა ვ. ლოპარევმა, რომელიც მკვეთრად განსაზღვრავს აგოგრაფიული ჟანრის კომპოზიციურ ტრაფარეტს. ხოლო ვ. ლ ა ტ ი შ ე ვ ი, აღნიშნავს რა აგოგრაფიულ თხზულებათა შაბლონურობას, ამავ დროს „ცხოვრებების“ შესავლის ერთმანეთისაგან განსხვავებათა დაჭერის საფუძველზე ახერხებს აგოგრაფიულ ძეგლთა 4 სახეობად დაჯგუფებას.

მიუხედავად ვ. ლატიშევის მიერ შერჩეული ვარიაციისა, აგოგრაფიული ძეგლების დასაწყისი ძირითადად ერთმანეთს ჰგავს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ვ. ლატიშევის მიერ განსხვავებული დასაწყისები თანამიმდევრობით გაერთიანებულია ერთი და იმავე ძეგლის წინასიტყვაობაში, ასე რომ, აგოგრაფიული ძეგლების შესავალი ნაწილი, მიუხედავად მცირედი განსხვავებისა, შეიძლება ითქვას, სტანდარტულია და საერთოა არა მარტო სხვადასხვა მწერლის, არამედ სხვადასხვა ერის აგოგრაფიული ნაწარმოებებისათვისაც. მცირედი სხვაობის გამოკლებით ასეთივე შაბლონურობით ხასიათდება მარტიროლოგიური ძეგლების ძირითადი და დასკვნითი ნაწილებიც.

მარტიროლოგიურ ძეგლებში შედარებით მკვეთრადაა გამოყოფილი კომპოზიციის ძირითადი მომენტები: ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> რევაზ ბარამიძე, ნარკვევები ქართული აგოგრაფიის ისტორიიდან, 1957 წ.

ექსპოზიციურ ნაწილში აგიოგრაფი გეაცნობს „წმინდანის“ ვინაობას. კვანძი იკვრება იმ მომენტიდან, როდესაც „წმინდანის“ წინაშე აყენებენ სარწმუნოების გამოცვლის საკითხს. კონფლიქტი კულმინაციას აღწევს იმ დროს, როდესაც „წმინდანის“ დაკითხვისა თუ წამების სცენა ყველაზე მწვავე, დაძაბულ ხასიათს ღებულობს. კვანძი იხსნება „წმინდანის“ სიკვდილით. სანიმუშოდ მოვიყვანოთ იაკობ ცურტაველის „მარტულობაა შუშანიკისი“. ექსპოზიციურ ნაწილში მოთხრობილია შუშანიკისა და ვარსკენის ვინაობა და ამ უკანასკნელის დამოკიდებულება სპარსთა მეფესთან. კვანძი იკვრება მას შემდეგ, როდესაც შუშანიკი გაიგებს: „ვარსკენ უჯარყო ჭეშმარიტი ღმერთი“, რასაც მოჰყვებოდა ვარსკენის სპარსთა მეფისადმი დაპირების შესრულება. ამის შემდგომ კონფლიქტი ვარსკენსა და შუშანიკს შორის უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს, სიტუაცია უფრო დაძაბული ხდება და კულმინაციას აღწევს შემდეგ სცენაში: „მოვიდა მგელი იგი ტაძრად და ჰრქუა მსახურსა თჳსა: „დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსვლად“. და რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭამაჲ, რაითამცა მოიყვანეს წმინდაჲ შუშანიკცა, და ვითარცა მოიწია უამი პურისაჲ, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმინდისა შუშანიკისა, რაითამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევიდნეს. და ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით წარიყვანეს ტაძრად. ხოლო გემოჲ არა რაისაჲ იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღჳნოჲ ჭიქითა და აიძულებდა მას, რაითამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ და განყარა ხელი და ჭიქაჲ იგი პირსა შეაღწეა და ღვინოჲ იგი დაითხია.

მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსკენ და ფეხითა თჳსითა დასთრგუნვიდა მას“.

როგორც მარტიროლოგიური ხასიათის სხვა ძეგლებში, ისევე „შუშანიკის მარტულობაში“ კვანძი იხსნება „წმინდანის“, ამ შემთხვევაში შუშანიკის, სიკვდილით. ამრიგად, ქართული ორიგინალური მარტიროლოგიური ხასიათის ძეგლები კომპოზიციურად ურთიერთს ჰგავს, მაგრამ ეს გარემოება არ ნიშნავს, რომ ადგილი არ ჰქონდეს გამოხატვის. ექსპოზიციის, კვანძის შეკვრის, კულმინაციისა და კვანძის

გახსნის განაწილების მიხედვით მარტიროლოგიის ზოგაერთი ნიმუში თავისებურებას იჩენს. ხანდახან ინტრიგაში მოცემულია არა ერთი მომენტი უკიდურესი დაძაბულობისა და ამდენად კულმინაციისა, არამედ ორი და შეიძლება მეტიც. არის შემთხვევა, როდესაც კულმინაცია და კვანძის გახსნა ერთდროულად ხდება.

ამ შემთხვევის საილუსტრაციოდ გამოდგება „მარტვლობაი ცხრათა ძმათა კოლაელთაჲ“. ამ ძეგლის ერთ აბზაცშია მოთხრობილი თანასოფლელთა უკიდურესი მძვინვარება ყრმათა საქციელის გამო და ამ უკანასკნელთა სიკვდილიც, ე. ი. კულმინაცია და კვანძის გახსნა ერთმანეთს თანხვდება.

მარტიროლოგიურ ძეგლებში მოცემულია ერთი სიუჟეტური რეალი, თხრობა არაა გართულებული სხვადასხვა ეპიზოდებით, შემოფარგლულია ერთი გარკვეული ამბის გადმოცემით. ვერ ვხვდებით ერთი ძირითადი, მაგისტრალური ხაზიდან გადახვევას. მარტიროლოგიური ძეგლების კომპოზიცია მეტად მარტივია, მასში არაა გადახლართული რამდენიმე სიუჟეტური რგოლი. ამიტომ კვანძის შეკვრაც, როგორც წესი, მხოლოდ ერთხელ გვხვდება.

ქართულ მარტიროლოგიურ ნაწარმოებთა შორის კომპოზიციის თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უკავია იოანე საბანისძის თხზულებას „მარტვლობაი ჰაბოისი“. ეს არის ერთადერთი ნაწარმოები, რომელიც დაწერილია ავტორის მიერ წინასწარ ჩამოყალიბებული გეგმის მიხედვით. როგორც კ. კეკელიძე წერს: „მისი /ი. საბანისძის/ თხზულება არ მისდევს ყველაფერში აგოოგრაფიულ შაბლონს. ის თავისებური მხატვრული პროზის ერთ-ერთი ადრინდელი ნიმუშია. ავტორი თავის შრომას გარკვეული გეგმით წერს, ყველაფერი წინასწარ აქვს გათვალისწინებული და გაზომილი. თხზულება მას ოთხ ნაწილად გაუყვია. სათაური თვითნული ნაწილისა მოცემულია ჯერ კიდევ თხზულების თავში, იმ მიწერ-მოწერის შემდეგ, რომელიც გამართული ყოფილა ავტორსა და შემკვეთელს შორის და რომელშიც გათვალისწინებულია საბაბი და გარემოებანი თხზულების დაწერისა,<sup>1</sup> იოანე საბანისძე შემდეგ ოთხ თავად ყოფს თავის ნაწარმოებს:

1. „ღმერთის მსახურთა და მარტვლთ-მოყუარეთა კრებულისათვის თხრობაჲ და მოძღვრებაჲ და ახლისა ამის მოწამისა ჰაბოისს ხსენებაჲ“;
2. „ქართლად შემოსვლაჲ და ნათლის-ღებაჲ ნეტარისა ჰაბოისი“;

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ადრინდელი ფოლკლორის ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 50.

3. „მარტულობა“ წმინდისა ჰაბოისი“;

4. „ქებაჲ სანატრელისა წმინდისა ჰაბოისი“.

ძირველ თავში, რომელიც შესავლის ხასიათს ატარებს, აღწერილია საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამჟვე ნაწილში ავტორი იძლევა თავისი ნაწარმოების იდეურ მიზანდასახულობას, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ვრცლად არის გაშლილი მეოთხე, დასკვნითს ნაწილში, რომელშიაც ხაზგასმულია აბოს წამების ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თვალსაზრისით. რასაკვირველია, ეს პროპაგანდა მოცემულია სარწმუნოებრივ საბურველში. ნაწარმოების სიუჟეტს, რომელიც გაშლილია მარტიროლოგიის კომპოზიციური შაბლონის მიხედვით, დათმობილი აქვს მეორე და მესამე თავები.\*

იოანე საბანისძეს შეაქვს ერთგვარი ცვლილება კომპოზიციურ შაბლონში. კერძოდ ნაწარმოებს ურთავს მკვეთრად გამოყოფილ პროლოგსა და ეპილოგს, რომლებშიც ახდენს ნაწარმოების ღრმა იდეურ გააზრებას და ფართო რეზონანსს აძლევს მეორე და მესამე თავებში გაშლილ სიუჟეტს. იოანე საბანისძემ აგიოგრაფიული ჟანრის კომპოზიციაში შეიტანა სიახლე, რითაც უფრო მიზიდველი საკითხავი გახადა თავისი ნაწარმოები.

მარტიროლოგიური ხასიათის ძეგლების სიუჟეტი, როგორც აღვნიშნეთ, მარტივია; თხრობის ყოველი ცალკეული მონაკვეთი შინაგან კავშირშია, ერთიმეორისაგან გამომდინარეობს, წინა ამბავი ხსნის და განსაზღვრავს მომდევნოს. სიუჟეტის ყოველი ცალკეული მომენტი ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან, ავტორი ახდენს მათ მოტივირებას.

მარტიროლოგიურ ძეგლებში მოტივირება ძირითადად ერთი მოვლენის მეორესთან დაკავშირებით ვლინდება. იოანე საბანისძეს შემდეგი შინაგანი კავშირით აქვს წარმოდგენილი სიუჟეტის განვითარება: ნერსე ერისმთავარი იმიტომ დააპატიმრა ამირამ, რომ ის დააბეზღეს „ბოროტთა კაცთა“, ხოლო ღვთის ჩარევით მოკვდა ხალიფა და ნერსე გაათავისუფლეს. ნერსემ დაიახლოვა აბო იმიტომ, რომ იგი იყო „ხელოვან, კეთილად-შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა“. ეს უკანასკნელი კი კვლავ ღვთაების ჩარევით ტოვებს სამშობლოს, ეცნობა ქრისტიანულ სარწმუნოებას, მაგრამ აშკარად ვერ აღიარებს ქრისტიანობას, რადგანაც ეშინია „სოფლისა-მპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩუენთა სარკინოზთაგან“. ნერსე იმიტომ გადაიხვეწა ხაზარეთში, რომ კვლავ განურისხდნენ სარკინოზნი; ნერსეს გაყოლილმა აბომ აშკარად



იმიტომ აღიარა ქრისტიანობა ხაზარეთში, რომ „მადლითა სულისა წმინდისაითა მრავალ არს ქალაქები და სოფლები ქუეყანასა მას ჩრდილოისასა, რომელნი სარწმუნოებითა ქრისტესითა ცხონდებიან უზრუნველად“. ნერსემ იმიტომ ითხოვა აფხაზეთში გადასვლა, რომ „პირველადვე წარეგზავნეს მას დედა და ცოლი და შვილნი და მონაგებნი და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანად იგი შიშისაგან სარკინოზთაისა“. ნერსე კვლავ ქართლში დაბრუნებას იმიტომ აპირებს, რომ „წარმოავლინა მაჰლო ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმრთისაითა სტეფანოზ, ძეა გურგენ ერისთავისა, დისწული ნერსისი, ნაცვლად დედის ძმისა თვისისა ნერსისა, ერის-მთავრად ქუეყანასა ამას ქართლისასა. მაშინ მხიარულ იქმნა ნერსე, რამეთუ უფლებად იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა უფალმან“. აბოს აფხაზები იმიტომ უშლიან ნერსეს გაჰყევს, რომ ითვალისწინებენ არაბ მმართველთა განრისხებას აბოს მიერ სარწმუნოების გამოცვლის გამო, ხოლო აბო იმიტომ არ რჩება აფხაზეთში, რომ მან განვლილი დროის მანძილზე ღრმად შეისწავლა ქრისტიანული სარწმუნოება და აცხადებს: „რამეთუ ვისწავლე მე წმიდისა მისგან მოციქულისა, ვითარმედ „არცა ჩუენთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიკვდრონ. ამისათვის არა მეშინის მე სიკუდილისაგან“. ქართლში მოსვლისთანავე არაბებმა აბო იმიტომ არ დაიჭირეს, რომ „რომელნიმე ჰყუედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშვიდობისა სიტყვთა შეაჯერებდეს“. ხოლო ამასობაში გავიდა სამი წელი და შემდეგ დააპატიმრეს, რადგანაც სხვაგვარად არ შეეძლოთ არაბებს მოქცეულიყვნენ. რამდენიმე დღის შემდეგ გამოუშვეს აბო, რადგან ქართლის ერისთავმა სტეფანოზმა იშუამდგომლა. გამოიცვალა ამირა და არაბებმა გამოიყენეს მდგომარეობა და კვლავ დააბუზდეს, იმიტომ რომ მათ არ შეეძლოთ შეგუებოდნენ თავიანთი ტომის კაცისაგან სარწმუნოების გამოცვლას.

ასეთი შინაგანი ლოგიკური კავშირით ავტორს მკითხველი მიჰყავს აბოს წამების აღწერამდე. აგოგრაფი ყოველ მომდევნო მოვლენას წინდაწინვე განაპირობებს. მსგავსი კომპოზიციური მთლიანობა, როდესაც სიუჟეტის ყოველი რგოლი მჭიდროდ არის ერთიმეორესთან დაკავშირებული, დამახასიათებელია საერთოდ ქართული აგოგრაფიული ძეგლებისათვის. გამონაკლისს ვხედავთ მხოლოდ ისეთ ძეგლებში, რომელთაც განიცადეს ე. წ. მეტაფრასული სკოლის გავლენა. ასეთი ხასიათის ნაწარმოებებში არაა იშვიათი ძირითადი ამბიდან გადახვევა, განყენებული მსჯელობები, სიუჟეტური ხაზის გაწყვეტა, ხოლო კომპოზიციუ-

რი მთლიანობის აღდგენას ცდილობენ სტერეოტიპული ფრაზების მოშველიებით: „ხოლო ჩუენ კუალად აღვიდეთ პირველსავე სიტყუასა და ძალისაებრ ვიპყრათ წესი თხრობისაჲ“. ასეთი ავტოგანცხადებანი, მცირე განსხვავებათა გარდა, ერთმანეთს ჰგვანან და მიზნად ისახავენ სიუჟეტური ხაზის მთლიანობის დაცვას. მართალია, არაბუნებრივად, მექანიკურად მაგრამ მინც უკავშირებენ თხრობის ცალკეულ მონაკვეთებს ერთმანეთს.

კომპოზიციის თვალსაზრისით „ცხორებანი“ ერთგვარად განსხვავდებიან მარტივოლოგიური ხასიათის ძეგლებისაგან. ამ უკანასკნელებთან შედარებით „ცხორებების“ სიუჟეტი უფრო რთულია, ერთი გარკვეული ამბის გადმოცემის პარალელურად ვხვდებით მრავალ დამატებით მოტივს, ეპიზოდს, რომელნიც ძირითად თემას ორგანულად არ უკავშირდებიან, მის განშტოებებს წარმოადგენენ. „ცხორებებს“ კომპოზიციური შეკრულობა არ ახასიათებს. მათში გამოკვეთილად ვერ ვხვდებით კვანძის შეკვრას და ამდენადვე ვერც კულმინაციას, ხოლო რაც შეეხება კვანძის გახსნას, ეს შედარებით ნათლად იგრძნობა ნაწარმოებში, რადგანაც კვანძი ძირითადად იხსნება მთავარი გმირის გარდაცვალებით.

„ცხორებებში“ თხრობის ცალკეული მომენტები ხშირად ერთმანეთთან მჭიდროდ, უშუალოდ, ორგანულად არ არის დაკავშირებული, ერთი ამბავი მეორისაგან არ გამომდინარეობს, ერთი მეორეს არ განაპირობებს, არ ახდენს მის მოტივირებას. ეს ეპიზოდები გაერთიანებულია იმდენად, რამდენადაც ცალკეული თავები ასე თუ ისე ეხება მთავარ მოქმედ გმირს, მაგრამ ეს გაერთიანება ზოგიერთ შემთხვევაში ხელოვნურად, არაბუნებრივად ხდება. ამ მხრით სანიმუშოა გ. მერჩულეს „ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ“. როგორც მართებულად აღნიშნავს აკად. კ. კეკელიძე, „მას ფაბულური მთლიანობა აკლია“. მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცალკეული ეპიზოდი ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული და ერთ მთლიანობას ქმნის. ამ გაერთიანების ხერხებია არა მარტო მთავარი გმირი — გრიგოლ ხანძთელი, არამედ ის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და მსოფლმხედველობრივ-ეთიკური იდეა, რომელიც ნაწარმოების კომპოზიციურ ღერძს ქმნის. ავტორი თვითონაც გრძნობს ძირითადი თემიდან გადახვევებს. მთლიანი ხაზის აღდგენის საჭიროებას და იძულებულია სტერეოტიპული განცხადებით მექანიკურად დააკავშიროს თავები: „არამედ აქ კუალად ნეშტი იგი პირველი განვაახლოთ“. ხოლო თვით ცალკეული

თავები, ეპიზოდები, რიგ შემთხვევაში, დასრულებული ნოველის შთაბეჭდილებას ტოვებს. ისინი წარმოადგენენ კომპოზიციურად ძქვად შეკრულ მთლიან თხრობას. თხრობის ტექსტი, რიტმი ცოცხალი და მიმზიდველია. ყოველი ფრაზა მოკვეთილია, ყოველი სიტყვა ზომიერად და ადგილზეა ნახმარი. „გრივოლ ხანძთელის ცხორებაში“ არა ერთ ასეთ ეპიზოდს ვხვდებით, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა აშოტ კუროპალატისა და მეძავი დედაკაცის თავგადასავალი.

ასევე დასრულებული მოთხრობის შთაბეჭდილებას ახდენს გიორგი მთაწმინდელის მშობლების შეუღლების ეპიზოდი, მოყვანილი გიორგი მცირის მიერ. აღნიშნული ეპიზოდები, ისე როგორც რიგი სხვა ეპიზოდები, კომპოზიციურად უაღრესად შეკრულია, თხრობა დინამიურია, ყოველი მომენტი ურთიერთთან ორგანულადაა დაკავშირებული და ერთ მთლიან დასრულებულ სურათს ქმნის.

„ცხორებაში“ კონფლიქტი „წამებისაგან“ განსხვავებულად არის წარმოდგენილი. თუ „წამებებში“ კონფლიქტი ისახება „მწამებელსა“ და „წამებულს“ შორის დაპირისპირებაში, ბრძოლაში, რომელიც თანდათან ვითარდება და კულმინაციას აღწევს, „ცხორებებში“ შედარებით განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, როცა „ცხორების“ მთავარი მოქმედი გმირი ეწევა გარკვეული ხასიათის მოღვაწეობას, მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი დაბრკოლების გადალახვა — იქნება ეს მონასტრის ასწენება, მოწაფეთა აღზრდა, ლიტერატურულ-მეცნიერული მუშაობა, „ცდუნების“ დაძლევა თუ სხვა, — თითოეული ცალ-ცალკე წარმოადგენს კონფლიქტს. ამ კონფლიქტების ჯაჭვია მოცემული „ცხორებებში“, მაგრამ ეს არ ხდება გრადაციის გზით, კულმინაციისაკენ არ მიისწრაფვის, კონფლიქტის ცალკეული შემთხვევა დამოუკიდებელია, თავისთავადია. სწორედ ამით აიხსნება, რომ „ცხორებების“ კომპოზიციაში კვანძის შეკვრა და ამდენად კულმინაციაც მკვეთრად არაა გამოყოფილი.

აგიოგრაფიული ძეგლების / როგორც „ცხორებების“, ისე მარტივოლოგიური ხასიათის ნაწარმოებების / კომპოზიციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფსიქოლოგიურ მოტივირებას, პერსონაჟთა მოქმედება ბუნებრივად გამომდინარეობს მათი ფსიქოლოგიური განწყობილებებიდან. აგიოგრაფიულ ძეგლებში ფსიქოლოგიური მოტივირება საკმაოდ მკაცრად არის დაცული, მაგრამ, რადგანაც, ზოგიერთი გამოჩინების გარდა, აგიოგრაფიული ძეგლების პერსონაჟები შაბლონური არიან, ამიტომ ფსიქოლოგიური მოტივირებაც, ბუნებრივია, თავს ვერ აღწევს

ამ შაბლონურობას. კერძოდ, აგიოგრაფი, ავითარებს რა რელიგიურ მსოფლმხედველობას, თავისი ნაწარმოების პერსონაჟებს წარმოგვიდგენს გარკვეული ფსიქოლოგიის მქონე ადამიანებად, რაც განსაზღვრავს მათ მოქმედებასა და განცდებს.

აგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებების კომპოზიციაში გარკვეული ადგილი უკავია ჩვენებს. ჩვენება მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს სიუჟეტის განვითარებაში, რიგ შემთხვევებში მასში კონცენტრირებულია მომავალში გასაშლელი ამბავი. ჩვენებაში მკითხველი გეგულობს, თუ როგორ განვითარდება მოქმედება.

მომავალი ამბის მოყოლა ჯერ კიდევ აღმოსავლური ქვეყნებისა და ანტიკურ ლიტერატურაში გვხვდება სიზმრების სახით. სიზმარს გარკვეული ადგილი უჭირავს ხალხურ სიტყვიერებაში, განსაკუთრებით ზღაპრებში. სიზმარშივეა მოცემული, თუ შეიძლება ასე ითქვას, გეგმა ამბის განვითარებისა, კერძოდ, სიზმარში ძირითადად მოხაზულია, თუ როგორი იქნება თავგადასავალი გმირისა. ქართულ ზღაპრებში მრავალი მაგალითის მონახვა შეიძლებოდა, მაგრამ საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი ზღაპარი: „ზღაპარი ხელმწიფის ცოლისა, გველი რომ გაუჩნდა“. ამ ზღაპარში მოთხრობილია ერთი სიზმარი: იმ „ღამეს ქალმა სიზმარი ნახა: „არ შეგეშინდეს, შენ უნდა ხელმწიფის რძალი გახდე. რო მიხვალ, ხელმწიფეი, რასაცა თხოვ, შეგისრულებს, შენ უთხარი: შენ რო ცხვარში ყვითელი ბატკანი გყავ, ის დამიკალ-თქო და მამიხარ-შე-თქო, ოქროს სინზე დამიწყე და მამიტა-თქო. დაგიკლამს, მოგიხარშამს, დაგიწყობს ოქროს სინზე. დაიდგი თავზე და რო დადამდეი, პირდაპირ ჩავარდი ორმოში, არ შეგეშინდეს“. მართლაც, შემდეგ მკითხველის თვალწინ იშლება სიზმარში მოთხრობილი ამბავი.

სწორედ ეს სიზმრები შეითვისა და გადაამუშავა ქრისტიანულმა ლიტერატურამ. ზმანება ფორმის მხრით მეტად ჰგავს ჩვენებას, მაგრამ ახალმა თეოლოგიურმა მოძღვრებამ ახალი შინაარსი მისცა მას, ამავე დროს ამ მოძღვრების მიხედვით „ჩვენება“ დამახასიათებელია მხოლოდ ამაღლებული, რჩეული, „წმიდა“ ადამიანისათვის.

ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნებში ჩვენებების გვერდით ვხვდებით სიზმრებს, რომლებშიაც მოთხრობილია, თუ როგორ უნდა განვითარდეს ამბავი. კერძოდ, იოსებმა ნახა სიზმარი: „ვითარმცა მზე და მთოვარე, და ათერთმეტნი ვარსკვლავნი თაყუანის მცემდეს მე“. ამ სიზმარს ჰქონდა სიმბოლური ხასიათი, რომელიც ახსნა მამამ, და შემდეგ მართლაც მოქმედება ამ სიზმრის შესაბამისად ვითარდება, რის გამოც

„მოეხსენეს იოსებს სიზმარი მისნი, რომელნი იხილა მან“. ახალი აღთქმის წიგნებში კი სიზმრებთან ერთად მრავლად ვხვდებით ჩვენებას. სახარებაში ვკითხულობთ: „და რა ჟამს მოკუდა ჰეროდე; მუნთქუესვე ეჩუენა ანგელოზი უფლისაჲ იოსებს ეგვპტეს შინა. და ჰრქუა მას: აღდეგ და წარიყვანე ყრმაჲ ეგე და დედაჲ მაგისი და წარვედ ქუეყანად ისრაჴლისა, რამეთუ მოწყდეს ყოველნი, რომელნი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა. იოსებიც მოქმედებს ამ ჩვენების მიხედვით. სწორედ ასეთი სახით შეიჭრა ჩვენება ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში და მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა მათ კომპოზიციაში. მაგალითად, „წმიდა“ ნინო მოქმედებს ჩვენების მიხედვით და მთელი ნაწარმოები ამ ჩვენების გაშლას წარმოადგენს. ასევე, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის შესახებ მკითხველს წინდაწინვე ექმნება შთაბეჭდილება ჯუდეოსის ჩვენების მიხედვით. მსგავსი ჩვენება ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში მრავალია, ისინი გარკვეულ როლს თამაშობენ როგორც მთლიანად ნაწარმოების, ისე ცალკეული ეპიზოდების გაშლაში. ასე რომ, ჩვენებას, განსაზღვრულ მსოფლმხედველობითს დანიშნულებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგიოგრაფიული ძეგლების კომპოზიციაში.

ამრიგად, აგიოგრაფიული ძეგლები შაბლონურობით ხასიათდება. კომპოზიციურად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან „ცხორებანი“ და მარტიროლოგიური ნაწარმოებები. „წამებაში“ მოცემულია ერთი სიუჟეტური ხაზი, ხოლო „ცხორებაში“ ვხვდებით ერთი სიუჟეტური ხაზისაგან გადახვევებს, სხვადასხვა ეპიზოდის შეტანას, რომლებიც არცთუ ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი; ცალკეული ეპიზოდი კი მეტწილად მტკიცედ შეკრულ დასრულებულ კომპოზიციურ მთლიანობას წარმოადგენს.

## ერთი უძველესი ლირიკული ლექსის ფრაგმენტი

ჯერ კიდევ გაურკვეველია ქართული მწერლობის სათავეები. ჩვენმა მწერლობამ „ფარნავაზის ცხოვრებიდან“ და იაკობ ცურტაველიდან მოყოლებული, მრავალი შესანიშნავი ძეგლი შემოგვინახა, რომელნიც ავლენენ ჟანრობრივ მრავალფეროვნებას, მაგრამ საკუთრივ ლირიკული ლექსები, სამწუხაროდ, თეიმურაზ I პოეზიამდე ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენ მდიდარ ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობას,<sup>1</sup> ვნახავთ, რომ ლირიკული ხასიათის ლექსები მე-17 საუკუნემდე თითქმის არ გვხვდება, მაშინ როდესაც ამ ჟანრის ლექსების გარეშე ძნელი წარმოსადგენია ლიტერატურის ისტორია. უდავოა, რომ თამარის ეპოქის ამსახველ ეპიკური ტილოების გვერდით აშკარად იქმნებოდა ასევე მაღალმხატვრული, ნაზი ლირიკაც, რომელთა შესახებ დამოწმებას თვით რუსთაველის პოემაში ვხვდებით: „მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად, სააშოკოდ, საღაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“.

რუსთაველის ეპოქის შემდეგ, აღორძინების პერიოდამდე, გაქრა როგორც ლირიკა, ისე, საერთოდ, მხატვრული მწერლობა. ე. წ. დაცემის პერიოდი საოცარი სიციარიელითაა მოცული; მე-13—მე-15 სს. მანძილზე აღარ გვხვდება თითქმის არავითარი, მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი.

ლიტერატურული პროდუქციის როგორი უკიდურესი სიღარიბითაც არ უნდა გამოიყურობოდა აღნიშნული ეპოქა, მაინც წარმოუდგენელია, რომ მოცემულ პერიოდში არ შექმნილიყოს თუ დიდი ტილოები არა, მცირე ჟანრის ნაწარმოებები მაინც. როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს: „მართალია, კულტურა და მწერლობა ამ ხანაში დაქვეითდა და

<sup>1</sup> უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩენაა პროფ. ზ. ალექსიძის მიერ გაშიფრული ატენის სიონის კედელზე არსებული ლექსის ფრაგმენტები. იხ. ზაზა ალექსიძე. „ატენის სიონის ოთხი წარწერა“, 1983 წ. თბილისი.

დაკნინდა, მაგრამ ეს ისე არ უნდა გაეიგოთ, რომ მდგომარეობა „გავე-  
ლურებამდე მივიდა, როგორც ჩვენი ისტორიკოსები ამბობენ. მცირე  
მასშტაბით, მაგრამ ზოგი რამ ამ პერიოდშიც გაკეთებულა“ /იხ. კ. კაკე-  
ლიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1959 წ., გვ. 22/ და,  
მართლაც, ქართველ მეცნიერთა ბოლოდროინდელმა კვლევა-ძიებამ  
გამოავლინა ამ პერიოდის ზოგიერთი ლიტერატურული ნიმუში, განსა-  
კუთრებით საგულისხმოა ამ მხრივ ქ-ნ ქრისტინე შარაშიძის მიერ  
აღმოჩენილი ერთი ძველი ლექსი და შ. ონიანის მიერ მიკვლეული ვანის  
ქვაბთა წარწერების პოეზია<sup>1</sup>.

ჩვენც მოგვეცა ბედნიერი შემთხვევა იოანე ოქროპირის თხზულება-  
თა შემცველ ნუსხა-ხუცურ ხელნაწერზე /A — 101/ მუშაობის დროს  
ამ ხელნაწერის ბოლო ფურცელზე ამოგვეკითხა ერთი უძველესი ლექსი.

აღნიშნული მინაწერი ჯერ კიდევ თ. ჟორდანიამ შენიშნა და წერდა,  
რომ აქ უნდა იყოს რაღაც ლექსი, რომლის ამოკითხვა არ ხერხდებაო,  
ხოლო პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით ათარიღებდა XIV საუ-  
კუნით.

ჩვენი აზრით, ეს ლექსი XV საუკუნისად უნდა ვივარაუდოთ. ეს  
ტექსტი მეტად ძნელი გასარკვევია, მაგრამ ჩვენ მაინც მოგვიხერხდა  
ზოგიერთი ადგილების ამოკითხვა და გამოირკვა, რომ ის არის შაირით  
დაწერილი ლირიკული ლექსი. ტექსტი მრავალ ადგილას არის გადაშ-  
ლილი, რის გამოც არ იკითხება, ხოლო შემორჩენილი სტრიქონების  
გამართვის შემდეგ დაახლოებით ასეთი სახე მიიღო:

„უწყი ჟამი იგი ოდეს შენდა ხორცთა განკურნებით,  
ჰე, წმინდანო მოციქულნო, გვედრებით შეპოვნებით  
და ჰე ნაქმნართა ჩემთა მსგავსად, ნუ წარმავლენტ განქიქებით  
ლუკა თქუა და ქადაგებდა და სასწაულნი დაითუალნი,  
ხარნი ბეთლემს შინა, ვის ვერ ხელეწ მრავალ თვალნი,  
ლოდსა გარდაგორებულსა განკირვებით სჭვრეტდეს ქალნი,  
და ლამსა შევიქ ცრემლისასა, რომ ჯოჯოხეთს დამსხნეს აღნი.  
პირველ უთხრა იოვანე, თავი მკერდსა მიაყუდე,  
პური მიეც გამცემულსა /?/ უფრო გააცუდე,  
პილატესას ჯვარცმად წასდევ და სამოთხეს დასდგი ზღუდე,  
და ღვთის შობებლო ცოდვა ჩემი ახოცე და გააცუდე-  
ღმერთმან აღსასრულისაგან უცხოოდ რამე შემაშინა,  
საწუთრომან ცოდვისამან დამაშრო და ამაქმივნა  
ხორცთა ჩემთა მატლნი ჭამდეს ქუესკნელს შინა.

<sup>1</sup> „საბჭოთა ხელოვნება“, 1959 წ. № 7.

როგორც ვხედავთ, მოყვანილი ლექსი მეცნიერული თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია. ჯერ ერთი, ის ვკუთვნის იმ პერიოდს, რომლის ნიმუშებით ჩვენი მწერლობა უაღრესად ღარიბია და ამიტომ ამ დროის უბრალო მინაწერსაც კი გარკვეული ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს, ხოლო აღნიშნული ლექსის სახით გვაქვს თითქმის თქვესმეტ სტრიქონიანი წერილობითი ძეგლი, რომელიც მნიშვნელოვან პალეოგრაფიულ და საენათმეცნიერო მონაცემებს გვაძლევს.

ამავე ლექსის საშუალებით ირკვევა, აგრეთვე, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანში“ ტაეპის ბოლოს დართული „და“ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა მეცნიერთა შორის, ხოლო ზოგიერთთა მოსაზრებით ეს „და“ უფუნქციოა და თავდაპირველად „ვეფხისტყაოსანს“ არც ჰქონდა, ის გაჩნდა აღორძინების პერიოდის გადამწერთა მიერ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, აღნიშნული ლექსის სახით „და“ კავშირი სტროფის უკანასკნელ, მეოთხე სტრიქონზე ნიშანდობლივია აღორძინების პერიოდის ნიმუშებზე ადრე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ლექსი თავის დროზე იმდენად პოპულარული ყოფილა, რომ მისი ერთი ტაეპი, როგორც შ. ონიანმა შენიშნა თეიმურაზ პირველსაც გამოუყენებია.

ამრიგად, ჩვენ მიერ ამოკითხული ლექსი, ერთადერთი უძველესი ლირიკული ქმნილებაა და ის ნაწილობრივ ავსებს დაცემის პერიოდის დიდ ლიტერატურულ სიცარიელეს.



## XVII—XVIII სს. ნორმატიკული ლიტერატურათმცოდნეობითი ტრაქტატები და მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“

(ზოგადი დასკვნები)

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულიადაა შენიშნული, რომ ადრეულ და განსაკუთრებით საშუალო საუკუნეებში ლიტერატურათმცოდნეობითი დისციპლინა ნელა, დაყოვნებით ვითარდებოდა. როგორც აკად. დ. ლიხაჩოვი აღნიშნავს: ლიტერატურათმცოდნეობის ასეთი სტატიკური მდგომარეობა განპირობებული იყო საერთოდ საშუალო საუკუნეების ლიტერატურის ნელი განვითარებით. საშუალო საუკუნეებში ლიტერატურა (და შესაბამისად ლიტერატურათმცოდნეობაც) უფრო ნელა ვითარდებოდა, ვიდრე ლიტერატურა ახალი პერიოდისა. ამის მიზეზი, — აკად. დ. ლიხაჩოვის დაკვირვებით, — მდგომარეობს იმაში, რომ მწერლები და მკითხველები არ ისწრაფვოდნენ ახლისაკენ, როგორც ასეთისაკენ. ახალი მათთვის არ წარმოადგენდა თავისთავად ფასეულობას, როგორც ეს ტიპურია XIX და XX სს. რადგანაც არაა სწრაფვა ახალი მხატვრული ფასეულობის მისაღწევად, რაკი მწერალსაც და მკითხველსაც სავსებით აწყობს ძველი ფასეულობები, ამიტომ არცაა სტიმული ახალი თეორიული ძიებებისათვის, რომლის ერთერთი მიზანი სწორედ აღმოჩენებია და ამის შედეგად მიღწეული ახალ მხატვრულ ფასეულობათა ახსნა და დამტკიცება. ამ ზოგადი კანონზომიერებიდან გამომდინარე საქართველოშიაც ადგილი ჰქონდა ასეთ დაყოვნებით პროცესს და ამიტომაცაა, რომ ნაკლებად შემოგვენახა ლიტერათმცოდნეობითი ტრაქტატები.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენში ადგილი არ ჰქონდეს ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების განვითარებას.

მართალია, ადრეული საუკუნეებიდან არ მოგვეპოვება ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის საგანგებო თეორიული ტრაქტატი, მაგრამ

სწორედ ადრეული საუკუნეების ძეგლებშივე გვხვდება ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის თეორიული შეხედულებები. ჯერ კიდევ აგიოგრაფიულ ძეგლებში, ეფრემ მცირესა თუ ათონელთა თხზულებებსა და კომენტარებში ჩამოყალიბებულია მეტად ფასეული ლიტერატურული შეხედულებები, ხოლო რუსთაველისა და არჩილის ლიტერატურათმცოდნეობითი ნააზრევო „პოეტიკის“ ტრაქტატების ტოლფარდოვანია.

ასე რომ, საქართველოში ლიტერატურათმცოდნეობის დიდი ტრადიციები ადრეული საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ამ დიდი ტრადიციის დაგვირგვინებაა მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“.

მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“ არის ჩვენამდე მოღწეული პირველი ნორმატიკული ხასიათის თეორიული ტრაქტატი, რომელშიაც ჩამოყალიბებულია ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები და ლექსწყობის პრინციპები. საშუალო საუკუნეებში ფეოდალური აბსოლუტური მონარქიის პერიოდში გარკვეული პოლიტიკური და სოციალური პირობების გამოქცევისა და ეთიკის რეგლამენტაციის მიზნით გაჩნდა მოთხოვნილება გამოუმუშავებულიყო ცხოვრებისა და აზროვნების თითქმის ყველა სფეროში გარკვეული სახელმძღვანელო ნორმატიკული ფორმები. მართებულად შენიშნავენ კურილოვი და პიგაროვი, რომ როგორადაც მეფე ცდილობდა ქვეყნის სამეურნეო-ადმინისტრაციული ცხოვრების, კერძოდ მეფის კარის ყოფის რაციონალიზირებას, გონებაზე დამყარებული წესებით, ასევე ბუალო სთავაზობდა მწერლებს: „მოიმარჯვე გონება: ღე ლექსმა მისგან მიიღოს მთელი თავისი მშვენება“.

როგორადაც მეფის უფლებები ახდენდა XVII ს. საფრანგეთის მთელი ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცხოვრების რეგლამენტაციას, ასევე ბუალოც მკაცრ რეგლამენტაციას უქვემდებარებდა პოეტურ შემოქმედებას. თავის „პოეტურ ხელოვნებაში“ 1674 წ. ბუალო განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა შექმნას მწერალმა ჭეშმარიტი სიტყვიერი ხელოვნება. ჩვენში, რასაკვირველია, არ იყო ისეთი ეროვნულ-პოლიტიკური ერთიანობა და აღმავლობა, როგორც ბუალოს დროინდელ საფრანგეთში, მაგრამ ვახტანგ VI ეპოქაში პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაქსაქსულობის მიუხედავად მაინც იყო დიდი სწრაფვა მოწესრიგებისა და რეგლამენტაციისაკენ. ამ შინაგანი მოთხოვნილებისა და ობიექტური აუცილებლობის გამოვლენა იყო ვახტანგის „სამართლის წიგნი“. ეს იურიდიული კოდექსი სწორედ საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებისა და კონტროლისადმი დაქვემდებარების მკვეთრი გა-

მოვლენა იყო. ვახტანგის „სამართლის წიგნმა“ სათავე დაუდო ცენტრ-რიდანული ძალების ალაგმვისა და მონარქის ნებისაღმი დაპორჩი-ლების გამოხატვის ტენდენციას. ეს იყო ნორმატიკული ხასიათის დიდი სახელმძღვანელო, რომელიც ახდენდა ქცევისა და იურიდიული უფლებების რეგლამენტაციას. არჩილის უმცროსი თანამედროვის, ვახტანგ VI ზრუნვა სახელმწიფო კანონმდებლობის მოწესრიგებაზე იყო უაღრესად დიდი განმანათლებლური ნაბიჯი. კანონი და გონება ურთიერთ-დაკავშირებული ცნებები იყო განმანათლებლებისათვის. მათი დევიზი იყო—კანონს ქმნის გონება, მონტესკიე თავის „კანონების სულში“ და-ბეჯითებით მოძღვრავდა—„კანონი, ზოგადად რომ ვთქვათ, არის ადამი-ანური გონება, რამდენადაც ის მართავს კაცობრიობას.“ „გონებისა“ და „კანონის“ პრობლემა მუდამ აქტიური ინტერესის საგანი იყო. ამასთანავე ვახტანგ VI კარი შეცნიერულ-კულტურული ცენტრალიზაციისა და მეცენატობის დიდ ეროვნულ ფაქტორს წარმოადგენდა. ასე რომ, პო-ლიტიკური კატაკლიზმების მიუხედავად ვახტანგის ეპოქის მოღვაწენი თეორიულად, იდეოლოგიურად ისწრაფოდნენ ცენტრალიზაციისა და აზროვნების რეგლამენტაციისაკენ. ამ ეპოქის ძირითადი ტენდენციი-სათვის ნიადაგი მომწიფებული იყო ცხოვრების თითქმის ყველა სფე-როში და მან, ბუნებრივია, გამოხატულება პპოვა ლიტერატურულ გემო-ვნებასა და აზროვნებაში. სწორედ ამ ისტორიულმა, ობიექტურმა აუცილებლობამ განაპირობა კიდევ ჩვენში ნორმატიკული ხასიათის პოეტიკური ტრაქტატის „ჭაშნიკის“ შექმნა. ეს იყო საუკუნის პრობლე-მა, ამ განწყობით იყო დამუხტული როგორც რუსეთი, ისე შუა და დასავ-ლეთი ევროპა. აქ სრული მონოპოლია ჰქონდა ბუალოს „პოეტურ ხე-ლოვნებას“. ხოლო რუსეთში ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვის ტრაქ-ტატების შექმნას დიდი წინაისტორია აქვს.

თავი რომ დავანებოთ ძველბერძნულ და ლათინურ ტრაქტატებს „პოეტიკისა“ და „რიტორიკის“ სფეროში, უკვე შუა საუკუნეებში ევრება საფუძველი ანტიკურისაგან განსხვავებულ, ახალ, ნორმატიკული ხა-სიათის სახელმძღვანელოებს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ხასიათის სახელმძღვანელოებს სათავე დაუდო 1520 წ. იტალიაში გამოსულმა ვიდას ლექსად დაწერილმა „პოე-ტურმა ხელოვნებამ“. ამას მოჰყვა 1561 წ. საფრანგეთში გამოსული სკა-ლიგერის ასეთივე ნაშრომი. ოცდაათი წლის შემდეგ 1594 წ. გერმანია-ში გამოდის პონტანის ტრაქტატი.

იტალიაში შეტად პოპულარული იყო ლათინური „პოეტისა“ დონა-ტისა (1631 წ.), გერმანიაში — მასსენისა (1654 წ.), პოლონეთში — სარ-ბევსკის (1640 წ.), საფრანგეთში — ფრენეს (1598 წ.), იტალიაში — სიდნეის (1595 წ.), გერმანიაში — ოპიცის (1624 წ.), ხოლო 1674 წ. საფრანგეთში გამოსული ბუალოს პოეტისა მთელ ეპოქას ქმნის ევროპაში. ბუალოს გავლენით ევროპაში შეიქმნა „ნორმატიკული“ სახელმძღვანელოები, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთი დედნის (ბუალოს) ვარიაციას; ესენია 1730 წ. გერმანიაში გამოსული გოტშედის „კრიტიკული პოეტისა“ და 1711 წ. ინგლისში გამოსული პოპის „ცდები კრიტიკის შესახებ“. ბუალომ დიდი გავლენა მოახდინა რუს მოაზროვნეებზეც, განსაკუთრებით ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვზე.

ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვის შრომები ახალ ეპოქას ქმნიან რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში. მაგრამ არც შათ დაუწყიათ ცარიელი ადგილიდან. ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვს დიდი ეროვნული ტრადიცია დახვდათ. თუმცა ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტრედიაკოვსკი და წინამორბედი ეპოქის ლიტერატურის რუსი თეორეტიკოსები ძირითადად ეყრდნობოდნენ ანტიკურ ბერძნულ და ლათინურ „რიტორიკისა“ და „პოეტისა“ სახელმძღვანელოებს.

ჯერ კიდევ 1596 წ. გამოცემულ «Грамматика словенска»-ში ლავრენტი ზიზანი მსჯელობს ლექსთწყობისა და ლიტმცოდნეობის თეორიულ საკითხებზე. იმავე ხაზითაა მსჯელობა წარმართული მელენტი სმოტრიცის მიერ 1619 წ. გამოცემულ „გრამატიკაში“. ხოლო ეპისკოპოსმა მაკარიმ ჩამოაყალიბა შეხედულება — «О тройных родах глагола нил» — თავის „რიტორიკაში“, და საგანგებო ადგილი დაუთმო ლიტმცოდნეობის ძირითად პრობლემებს (1617—19 წწ.). ასეთივე ხასიათისაა უსანოვის „რიტორიკა“ (1699 წ.), თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულეს აგრეთვე 1707 წელს გამოსულმა ლავრენტი გორკისა და 1746 წ. გამოსულმა გიორგი კონისკის „პოეტისა“ სახელმძღვანელოებმა.

ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვის ტრაქტატებამდე რუსეთში განსაკუთრებული ავტორიტეტულობითა და პოპულარობით სარგებლობდა თეოფანე პროკოპოვიჩის (1681—1736) „პოეტისა“ და „რიტორიკა“. თეოფანე პროკოპოვიჩის „პოეტისა“ იძლევა თვით კურსის სტრუქტურას. მასში სამი განყოფილებაა, რომელთაგან 1-ში ლაპარაკია მწერლობის არსზე, დანაშნულებასა და მთელ რიგ თეორიულ საკითხებზე.

ამ სახელმძღვანელოებმა გამოავლინეს იმ დროის თეორიული მიების ძირითადი პრობლემატიკა: 1. პოეზიის მიბაძვითი არსი, 2. მისი

აღმსრდელობითი დანიშნულება, 3. სამი სტილის თეორია, 4. პოეტური გვარები და სახეები, 5. ლექსთწყობის საკითხები.

ბუნებრივია ისმის საკითხი: რა მიმართებაშია მაჰუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“ მის წინ არსებულ ლიტერატურათმცოდნეობის ტრადიციებთან დასავლეთში, რუსეთსა და აღმოსავლეთში არსებულ ტრაქტატებთან?

სამწუხაროდ ჩვენში ჯერჯერობით შესწავლილი არ არის XVIII საუკუნის ცოდნის სფერო. საგანგებოდ არაა გამოკვლეული, თუ რას კითხულობდა XVIII საუკუნის მოქალაქე, რით საზრდობდა მისი სულიერი და გონებრივი სამყარო. რა წიგნებით, განსაკუთრებით უცხოურით, იყო გატაცებული ქართველი ინტელიგენცია: უკეთეს შემთხვევაში ჩვენ ვიცით ის ავტორები, რომელთაც ჩვენი მწერლები ამა თუ იმ შემთხვევასთან დაკავშირებით ახსენებენ თავიანთ თხზულებებში, მაგრამ არ ვიცით ის სამუშაო ლაბორატორია, წიგნებისა თუ ავტორების ნუსხა, რომელთაც ისინი ეცნობოდნენ, ითვისებდნენ თუ იწუნებდნენ და საერთოდ, რას წარმოადგენდა მათი ინტელექტუალური ცხოვრების წიგნთა სამყარო.

ყოველივე ეს ართულებს ჩვენი მწერლისა თუ მოაზროვნის შემოქმედების წყაროების დაძებნას.

თავისთავად ცხადია, ვერცერთი მწერლობა ვერ მიაღწევს განვითარების მაღალ დონეს, თუ იმ ეპოქის შემოქმედებმა არ აითვისეს მისი წინარე და თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევები, თავის თავში არ გადახარშეს და არ შეისისხლხორცეს თანამედროვეთა ნააზრევნი. განსწავლულობის ეს გზა განაპირობებს საკუთარის გამოკვეთას. როდესაც მწერალი თუ მოაზროვნე ასახელებს ან ციტირებას ახდენს სხვისი ნააზრევისას, ეს თვალნათლივი და აშკარაა, მაგრამ უფრო ხშირია და რთული მისაგნები, როდესაც მწერალი ეცნობა მდიდარ მემკვიდრეობას, ამდიდრებს თავის სულიერ სამყაროს და შემოქმედებითად ითვისებს მას. ასეთ შემთხვევაში წყაროები, მართალია, მითითებული არაა, მაგრამ სწორედ აზროვნების მაღალი დონე და ინტერესთა მასშტაბის სიფართოვეა მაუწყებელი ავტორის დიდი განსწავლულობისა. სწორედ ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მაჰუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ ლიტერატურული წყაროების შესახებ მსჯელობისას. ამ თეორიული ტრაქტატის შექმნის წინაპირობას წარმოადგენს არა მარტო მაჰუკას ნიჭიერება და აზროვნების ძალა, არა მარტო ობიექტური აუცილებლობის საჭიროება, არამედ ისიც, რომ ეპოქის ლიტერატურული ატმოსფერო

როსა და მოთხოვნილებების შესაბამისად რუსეთში მყოფი მამუკა გაეცნო და ჩაერთო რუსეთის და ამ გზით ევროპის მოწინავე მოაზროვნეთა სულიერ ცხოვრებაში. ვახტანგ VI კარის ქართველი სწავლულნი 20–30-იან წლებში რუსეთში არიან და ეტყობა უფრო ძვიდროდ უკავშირდებიან იქაურ ინტელიგენციას, ვიდრე ჩვენ ვიცით ლოკუმენტებისა და ფაქტების სახით. ჩვენები შეერწყნენ და ცხოვრობენ იმავე ინტელექტუალური ცხოვრებით, რა ცხოვრებითაც ცხოვრობდნენ პეტრე დიდის წყალობით ევროპული ცივილიზაციის გზაზე დამდგარი რუსი ინტელიგენტები. რუსეთში კი ამ დროს დიდი აღმავლობაა და ამ საერთო აღმავლობის ატმოსფეროში განსაკუთრებულ დონეს აღწევს ლიტერატურათმცოდნეობა, იწერება ნორმატიკული ხასიათის „ტრაქტატები“. ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ქართველ სწავლულთა დასს, ისინიც იმავე ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ეს ლოკუმენტურად არ დასტურდება, მაგრამ აშკარაა, რომ შემოქმედებითი პროცესების განვითარებით, ინტერესთა სფეროს გაფართოვებით ჩვენებიც ერწყმიან ამ დიდ პროცესს. მამუკა ცხოვრობდა და ტრიალებდა მეფის კარზე და არაა გამორიცხული რომ მას უშუალო კავშირი ჰქონოდა მოწინავე რუს ინტელიგენტებთან და ევროპელებთან. ჯერ კიდევ ევროპაში მიმავალ სულხანსაბას დაავალა ვახტანგ VI-მ, დაუკვირდი, შეისწავლე ევროპელთა მიღწევები, რათა შესაძლებლობის ფარგლებში მათი ყოველივე კარგი ჩვენთან გადმოვნერგოთ. ახლა, როდესაც ვახტანგ VI თვით იმყოფებოდა რუსეთში საქართველოს ნაღები ინტელიგენციით გარემოცული, განა ნაკლებად დაინტერესდებოდა რუსეთისა და ევროპის ცივილიზაციით, ნაკლებად იზრუნებდა მასთან ზიარებასა და ჩვენში გადმონერგვაზე. ჩვენი სწავლულები ცოდნის ყველა სფეროს დაეწაფნენ, ხოლო მამუკას წილად ერგო იმდროინდელი ლიტერატურათმცოდნეობის ათვისება და ამ მიზნით იგი გაეცნო შესაბამის პრობლემატიკას, ნორმატიკულ ძეგლებს და ამან განაპირობა საკუთარის შექმნა.

ბუნებრივია, დგება საკითხი, კონკრეტულად რომელმა ნორმატიკულმა სახელმძღვანელოებმა იქონიეს მასზე გავლენა. ტრედიაკოვისა და ლომონოსოვის ტრაქტატები „ჭაშნიკზე“ ვერ მოახდენდნენ ზეგავლენას იმიტომ, რომ ტრედიაკოვის ტრაქტატი ცნობილი გახდა „ჭაშნიკის“ დაწერიდან ოთხი წლის შემდეგ 1735 წელს, ლომონოსოვისა კი 8 წლის შემდეგ 1739 წელს.

„ჭაშნიკის“ წერის პროცესში რუსეთში უკვე ცნობილი და პოპულარული იყო ზემოთ დასახელებული ანტიკური და ევროპული ტრაქტატე-

ბი, განსაკუთრებით კი ბუალოსა და პროკოპოვიჩის „რიტორიკა“ და „პოეტიკა“. რომელთაც საეარაულოა, რომ მამუკა ზოგადად მაინც იცნობდა.

მართალია, ბუალო ამ დროისათვის რუსულად თარგმნილი არ იყო, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. საქმე ისაა, რომ რუსმა ინტელიგენციამ ისე საფუძვლიანად იცოდა გერმანული და ფრანგული ენები, იმდენად იყო ევროპის ცივილიზაციას ნაზიარები, რომ დედნებში შეისწავლეს იმდროინდელი უმნიშვნელოვანესი ძეგლები. მაგალითად, პროკოპოვიჩი ევროპაში განსწავლული კაცი იყო. მან სრულყოფილად იცოდა ლათინური და თავისი „პოეტიკა“ და „რიტორიკაც“ ლათინურად დაწერა. ტრედიაკოვსკიმ კი სორბონის უნივერსიტეტში მიიღო განათლება, ასევე ევროპაში მიიღო განათლება ლომონოსოვმაც. ამრიგად, გერმანული და ფრანგული ენები მოწინავე ინტელიგენციის სამეტყველო ენები იყო (საფუძვლიანად იცოდნენ აგრეთვე ბერძნული და ლათინური) და ისინი უშუალოდ დედნებში ეცნობოდნენ ევროპულ ლიტერატურას. ამიტომ სავსებით აშკარაა, რომ ბუალოს „პოეტიკას“ რუსი ინტელიგენცია ბევრად ადრე იცნობდა, ვიდრე მას თარგმნიდნენ რუსულად.

ანალოგიისათვის, დღეს ქართულად არაა თარგმნილი არც ლესინგი და ჰერდერი, არც ბრიუნეტიერი და ბრანდესი, არც ტენი და სენტოკი. ასევე არაა თარგმნილი ვესელოვსკი, კრაჩკოვსკი, კონრადი, ბახტინი, ლიხაჩოვი, ავერინცევი და ასობით სხვა მეცნიერთა ნაშრომი, რომელიც ქართული ინტელიგენციის ცოდნის წყაროა. ამდენად სპეციალისტები თარგმნით როდი იწყებენ ამ ძეგლების გაცნობას, არამედ თარგმნის მომენტი (თარიღი) დაგვირგვინებაა წლების მანძილზე ამ ლიტერატურით დაინტერესებისა და იქიდან ცოდნის შეძენის პროცესისა. ასევე მოწინავე ინტელიგენცია დაიმუხტება, განიმსჭვალება მნიშვნელოვანი უცხოური ძეგლით, მას აქცევს თავისი წრის მსჯელობისა და ინტერესის საგნად და მერე გაჩნდება მოთხოვნილება მისი თარგმნისა. ასე რომ, თარგმნის თარიღი არ ემთხვევა საზოგადოებისათვის ამ ძეგლის გაცნობის თარიღს. ამიტომაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ბუალოს ტრაქტატს რუს მეცნიერებთან დაახლოებული ქართული მოწინავე ინტელიგენცია ბევრად უფრო ადრე იცნობდა, ვიდრე იგი ითარგმნებოდა რუსულად. კულტურის ამ ატმოსფეროში მცხოვრები ვახტანგ VI და მისი ამაღლა, ამ შემთხვევაში მამუკაც, უცილოდ თანაზიარი იქნებოდნენ იმ ლიტერატურულ-მეცნიერული ინტერესებისა და საუბრებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პროკოპოვიჩისა და ლომონოსოვის ეპოქაში.

პროკოპოვიჩისა და ევროპული „პოეტიკების“ თეორიების სუსტი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ მათში არ იყო გათვალისწინებული ეროვნული მწერლობის არსი და სპეციფიკა და არსებითად წარმოადგენდნენ ძველი ბერძნული და ძველი რომაული ლიტერატურის თეორიების ვარიაციას.

XVI—XVII ს-ში ყოველი ეროვნული ლიტერატურისა და ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების წინაშე წამოიჭრა მოთხოვნა: კაცობრიობის მიერ ადრე გამოძუშვებული მთელი ლიტერატურათმცოდნეობითი მექვიდრეობა შეფარდებული ყოფილყო ეროვნულსადმი. ამ გზას დაადგა XVI ს-ში იტალია და ინგლისი, XVII ს-ში — საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი, ხოლო XVIII ს-ში — რუსეთი და საქართველო. რუსეთში ეს პრობლემა დააყენეს და გადაჭრეს ტრედიაკოვსკიმ და ლომონოსოვმა, ხოლო ჩვენში, მათზე ადრე, არჩილმა და მამუკა ბარათაშვილმა.

მამუკა ბარათაშვილმა ჩვენს სინამდვილეში ეროვნული ლიტერატურათმცოდნეობითი აზროვნების განვითარებაში იგავე როლი შეასრულა, რაც შემდეგ ლომონოსოვმა რუსეთის სინამდვილეში. ლომონოსოვამდე რუსულ „პოეტიკასა“ და „რიტორიკაში“ ეყრდნობოდნენ ანტიკურ და ევროპულ თეორიებსა და ლათინურ ლექსთწყობას, ხოლო ლომონოსოვმა ჩამოაყალიბა ახალი პრინციპი: ეროვნული ლექსთწყობა გაანალიზებული და გააზრებული უნდა იქნას ეროვნული ენის ბუნების შესწავლის საფუძველზე. ეს დიდი სიახლე და გარდატეხა იყო. უფრო ადრე იგავე პრინციპები ჩამოაყალიბა მამუკა ბარათაშვილმა. მან ანტიკური, ევროპული, რუსული და აღმოსავლური (ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი სფერო იყო მისი აზროვნებისა, იგი „ჭაშნიკში“ ხშირად ორიენტირებს სპარსულზე) „პოეტიკების“ საფუძვლიანად შესწავლის გზით, ქართული მწერლობის ღრმა ანალიზის საფუძველზე ეროვნული ინტერესებისა და ამოცანების შესაბამისად ჩამოაყალიბა ნორმატიკული ხასიათის „პოეტიკის“ სახელმძღვანელო, რომელშიაც შესრუტულია ადრეული „პოეტიკების“ თეორიული პრობლემატიკა და კლასიფიცირებულია ეროვნული ლექსთწყობის სახეობები<sup>1</sup>.

<sup>1</sup> 1981 წ. 7 აპრილს შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ დაწერისადმი მიძღვნილს სამეცნიერო სესიაზე, აკად. გ. ჯაბლაძემ თავის მოხსენებაში სავსებით მართებულად აღნიშნა, რომ „ჭაშნიკი“ სრულიად დამოუკიდებელია. როგორც ანტიკური ეპოქის „პოეტიკების“, ისე ბუალოს „პოეტურ ხელოვნებასაგან“.



ყოველად გაუმართლებელია, რომ მამუკას „ჭაშნიკის“ წყაროდ მივიჩნიოთ მის დროს არსებული პოეტიკის რომელიმე ერთი ნიმუში და მივუსადაგოთ მას. „ჭაშნიკი“ არის მის წინააღმდეგ აღტოტა „პოეტიკებით“ იმპულსირებული და ეროვნული მოთხოვნები და მონაცემებით განპირობებული თეორიული, ნორმატიკული ლიტერატურათმცოდნეობითი ტრაქტატი<sup>1</sup>.

ლიტერატურის შესწავლის თანამედროვე კომპარატივისტული მეთოდი ეყრდნობა რა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის დიდი წარმომადგენლების მ. პოზნეტის, ფ. ბრიუნეტიერის, პ. აზარის, პ. ვანტიგემის, ა. ვესელოვსკის, ვ. ჟირმუნსკის, ნ. კონრადისა და სხვათა მეთოდურ გამოცდილებებს, აყალიბებს ლიტერატურულ მოვლენათა ურთიერთმიმართების სხვადასხვა პრინციპებს, რომელთაგან უადრესად საინტერესოა დ. დიურიშინის, პ. დიშას, გ. ციგენგისტის, პ. გრასხოვის, მ. ვეგნერის, მ. ხრაპჩენკოს, ი. ნეუშაკოვას, ი. დოლანსკის, მ. ვაიდეს, ლ. ილეშის, დ. ლიხანოვის, ა. ფლაკერის, ი. ბოგდანოვის, ვ. კულიშოვისა და სხვათა მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც კლასიფიცირებულია სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის ლიტერატურულ მოვლენათა ურთიერთმიმართება. „ჭაშნიკი“ ანალოგიური „პოეტიკების“ ფონზე გააზრებული უნდა იქნას, როგორც ისეთი ფაქტი, რომელიც ა. დიშას კლასიფიკაციით ავლენს: ტიპოლოგიურ თანხვედრას, რომელიც არ ითვალისწინებს გენეტიკურ ნათესაობას, მაგრამ ვლინდება გარკვეული თემების, პრობლემების დამუშავებაში მსგავსი ლიტერატურული დინების დადასტურებით.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში განმანათლებლობის ნიშანთვისებები ჯერ კიდევ არჩილთან იკვეთება და თანდათან ზრდით თავის სრულყოფას ერეკლე მეფის ეპოქაში აღწევს. ანტონის სკოლა და ბატონიშვილთა ნააზრევი განმანათლებლობის ტიპური გამოვლენაა. ხოლო აღრეული პერიოდი კი, ეს იქნება არჩილი თუ ვახტანგ VI, მხოლოდ და მხოლოდ საწყისია ამ დიდი ლიტერატურული მიმდინარეობისა.

<sup>1</sup> სრულ-ნდობას იმსახურებს თვით ავტორის განცხადება: „პოვნილი მამუკა ბარათა-შვილის მიერ ძველთა ნათქვამთაგან“.

# გეორგიევსკის ტრაქტატის კულტურულ-განმანათლებლური წანამძღვრები

ცივილიზაციის ისტორიას ლიტერატურული თუ ისტორიული ნაწარმოების შექმნის იუბილის აღნიშვნის დიდი ტრადიცია აქვს. ახლახან უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლის „შუშანიკის წამების“ დაწერის თარიღი აღინიშნა, ხოლო უფრო ადრე „იგორის ლაშქრობის ამბავისა“.

სულ ახლახან კი დიდი ისტორიულ-პოლიტიკური ძეგლის—გეორგიევსკის ტრაქტატის შექმნის 200 წლისთავი აღვნიშნეთ. განუზომელია ამ ძეგლის მნიშვნელობა. იგი არა მარტო სიმბოლური გამოხატულებაა ორი ერის ინტერესთა გადაჯაჭვისა, არამედ თავისთავად უადრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია. ტრაქტატი იმ მხრივაცაა იშვიათი ძეგლი, რომ მასში დიდი ზიბრძნითა და ჰუმანიზმით ჩამოყალიბებულია პატარა ერთან მიმართების ის სტატუსი, რომელიც არ ბღალავს მის ღირსებასა და თვითმყოფადობას.

ტრაქტატმა, ერთი მხრივ, დააგვირგვინა რუსეთის ორიენტაციის მომხრე ქართველი მოწინავე ინტელიგენციისა და პოლიტიკურ მოღვაწეთა საუკუნეების მანძილზე გამოხატული მისწრაფება და, მეორე მხრივ კი საფუძველი ჩაუყარა რუსეთთან სახელმწიფოებრივ ურთიერთობას.

რუსეთზე ორიენტაციის პრობლემა კომპონენტთა რთულ სისტემას მოიცავდა, რაც მოღვაწეთა აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. სამხედრო-პოლიტიკური ასპექტის მომხრენი რუსეთთან დაკავშირებაში აღმოსავლეთის აგრესორებისაგან ხსნას ხედავდნენ, ამავე დროს, დამოუკიდებლობის დაკარგვის გარდაუვალობასაც ჭვრეტდნენ. საგულისხმოა, რომ რუსეთთან პოლიტიკური და სამხედრო დაკავშირების მოწინააღმდეგენიც აქტიურად გამოხატავდნენ რუსეთზე კულტურული ორიენტაციის აუცილებლობას.

ევროპის ცივილიზაციასთან ზიარების გზა რუსეთზე გადიოდა. ამავე დროს თვით რუსეთიც იმდენად მოწინავე კულტურის ქვეყანას წარ-

მოადგენდა, რომ მასთან კავშირი საკმაოდ სახარბიელოდ გამოიყურებოდა.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ქართველებს მსოფლიო ცივილიზაციის კურსში ყოფნის დიდი ტრადიცია ჰქონდათ. ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში ქართველები უშუალოდ დაუკავშირდნენ სირია-პალესტინის და ბიზანტიის კულტურის დიდ ცენტრებს, სადაც ააგეს ეკლესიამონასტრები, რომლებიც იქცნენ კულტურის დიდ კერებად და რომელთა საშუალებით აითვისეს მდიდარი ქრისტიანული სულიერი კულტურა.

კონსტანტინეპოლის დაცემამ, ხოლო შემდეგ ჩვენში მონღოლთა გადმორთარეშებამ მთლიანად მოგვწყვიტა დასავლეთ ევროპას და დააკინინა მეცნიერულ-ლიტერატურული დონე, მაგრამ როგორც კი შენელდა აღმოსავლელ ტირანთა ზემოქმედება, იმწამს დაიწყო ჩვენში ღტოლვა ევროპული ცივილიზაციისაკენ. ამ მისიის ერთ-ერთი პირველი თავკაცთაგანი სულხან-საბა ორბელიანი იყო. სულხან-საბას ევროპაში გამგზავრება მიზნად ისახავდა არა მარტო პოლიტიკური მოკავშირის შებნას, არამედ, ამასთანავე, ევროპული კულტურისაკენ გზების გაკვლევას. ამის ნათელი დადასტურებაა სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც იყო სიმბოლური გამოხატულება ქართველთა პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციისა.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან იწყება ქართველთა ცხოვრებაში მკვეთრი შემობრუნება აზიიდან ევროპისაკენ, რასაკვირველია, რუსეთის ჩათვლით. ამ მხრივ, სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა“ ერთგვარი გზამკვლევი იყო ქართველი მოქალაქისათვის, რომელიც ამ თხზულების საშუალებით პირველად ეცნობოდა დასავლეთ ევროპას, მის ყოფას, ისტორიასა და კულტურას.

ევროპისადმი სწრაფვა მხოლოდ დიდი ცივილიზაციის ძიებით არ იყო გაპირობებული. ამ მხრივ გადადგმულ ნაბიჯს, რასაკვირველია, ისტორიულ-პოლიტიკური სიტუაციაც განაპირობებდა.

სულხან-საბას ევროპაში გამგზავრება არ ვყო ნებიერი თავადის სურვილი გასეირნებისა, რათა დაესვენა ბრწყინვალე აგარაკებზე, დამტკბარიყო ლუვრის თვალწარმტაცი ბაღებით, ანდა დიდ ხელოვნებას ნატრული გაცნობოდა პარიზისა და რომის განსაცვიფრებელ არქიტექტურას, რაფაელისა და ტიცციანის მომაჯადოებელ ფრესკებს. მართალია, ყოველივე ეს მან საოცარი სიმახვილით შეიგრძნო და შეიმეცნა, განსაცვიფრებელი სისრულით და დამაჯერებლობით აღწერა, მაგრამ ეს ყველაფერი მისთვის არ იყო იქ წასვლის სტიმულის მიმცემი, ამისათვის

ძას ზრ ეცალა, ასე არ ანებივრებდა ქართველ შემოქმედს ჩვენი ყოფის მკაცრი სინამდვილე.

მართალია, ქართულმა დიპლომატიამ ცნობილი მიზეზების გამო მარცხი განიცადა ევროპისაკენ გზის გაკაფვაში—სულხან-საბას მისია პოლიტიკურ სფეროში უშედეგოდ დამთავრდა, მან ვერ შეძლო საქართველოს ევროპასთან დაკავშირება პოლიტიკურად, მაგრამ არანაკლებად მნიშვნელოვანი მეორე დიდი საქმე გააკეთა კულტურის სფეროში—მან ერთ-ერთმა პირველმა გადადგა ნაბიჯი ევროპისაკენ და ქართველ მოქალაქეს გაუღვიძა ინტერესი და მისწრაფება ახალი დიდი კულტურის გაცნობისა.

მოწინავე, ევროპულ ცივილიზაციასთან ზიარება სასიცოცხლო ინტერესად ექცა ქართველ კაცს. ამ მიზნის განხორციელების რეალურ პერსპექტივას მეზობელ ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოებაში ხედავდნენ. მით უფრო, რომ ეს დიდი ენერჯისა და პერსპექტივის ქვეყანა თვით განიცდიდა მძაფრ კულტურულ აყვავებას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ პოლიტიკურ სარბიელს ჩამოცილებულმა ქართველმა მეფეებმა და მათმა თანამოღვაწეებმა რუსეთში დაიწყეს ქართული კულტურის დიდი კერის შექმნა და იქ გაშალეს ფართო მასშტაბის განმანათლებლური მოღვაწეობა. ამ დიდ ეროვნულ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში ფასდაუდებელია არჩილ მეფისა და მისი ამალის წევრთა ენთუზიაზმი და საქმიანობა. არჩილის მიერ მოსკოვში დაარსებული ქართული კოლონია იქცა ეროვნული კულტურის იმ დიდ ცენტრად, რომელიც ეცნობოდა და ითვისებდა არა მარტო აღმავლობის გზაზე მყოფი რუსეთის მწერლობასა და მეცნიერებას, არამედ, ამასთანავე, იმავე გზით ეზიარებოდა დასავლეთ ევროპის დიდ ცივილიზაციას. ყველა ამ წამოწყებათა თავკაცი იყო საოცარი ენერჯის, ფართო ინტერესებისა და იშვიათი შორსჭვრეტის უნარის მქონე მეფე-მოღვაწე არჩილ ბაგრატიონი.

მოსკოვი ქართველთა თვალში უკვე XVII საუკუნიდან იქნა გააზრებული იმ ხალხის დედაქალაქად, რომელსაც არა მარტო სამხედრო დახმარების გაწევა შეუძლია, არამედ ხდება კიდევ განათლების დიდი ცენტრი.

არჩილ ბაგრატიონის ფართო მასშტაბის განმანათლებლურ მოღვაწეობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მისი ვაჟი ალექსანდრე დაიმეგობრა და თანამოღვაწედ გაიხადა პეტრე პირველმა. პეტრე და ალექსანდრე თითქმის თანატოლები იყვნენ და პეტრემ ბავშვობიდანვე დაიახლოვა იგი. პეტრე ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა სამხედრო საქმეებმა. ჯერ

კიდევ ბავშვობაში მისი ყველაზე სასიამოვნო გართობა იყო პრიობრაჟენ-სკოეში პოლკის ნაწილების მანევრებსა და სამხედრო თამაშ-ვარჯიშო-ბაში მონაწილეობის მიღება. პეტრემ ალექსანდრე ბატონიშვილიც ჩააბა ამ წვრთნაში და ისინი მუდამ ერთად იყვნენ. პეტრესთან ერთად ალექ-სანდრემაც დაიმსახურა დედოფალ სოფიოსაგან „შფოთისთავის“ სახე-ლი. ალექსანდრეზე, ისევე როგორც პეტრეს აღზრდაზე ზრუნავდა ისე-თი განსწავლული და გავლენიანი თავადი, როგორც იყო ვასილ ვასი-ლის ძე გოლიცინი. იმავე გოლიცინისა და თვით დედოფალ სოფიოს ინიციატივით ქართველი უფლისწული დააქორწინეს უახლოეს ნათე-საზე, მეტად გავლენიანი ოჯახის შეილზე თეოდოსია მილოსლავსკა-იაზე, ამის შედეგად ალექსანდრე პეტრე დიდის არა მარტო მეგობარი, არამედ ნათესავიც გახდა. ამ ქორწილში მონაწილეობა მიიღეს თვით დედოფალმა სოფიომ და პეტრე დიდმა. პეტრე თითქმის არ იცნობდა გვერდიდან ალექსანდრეს. ასე გასინჯეთ, პეტრეს დედის დაკრძალვის სამგლოვიარო პროცესიაშიც ალექსანდრე არჩილის ძე თანაგრძნობით, უშუალოდ პეტრეს გვერდით მიაბიჯებდა. ეკლესიაში ყოფნისას ღვთის-მსახურების დროსაც ალექსანდრეს მუდამ გვერდით იყვნებდა პეტრე. ხოლო „დიდი ელჩობის“ დროს საზღვარგარეთ ყოფნისას პეტრეს ოთახ-ში იწვა მისი ექიმი და ალექსანდრე ბატონიშვილი.

საყოველთაოდ ცნობილია პეტრესთან ალექსანდრეს საზღვარგარეთ თანამოღვაწეობა საზღვაო და განსაკუთრებით საარტილერიო საქმე-ების ათვისებაში, რის გამოც მეფემ ქართველ უფლისწულს ჩააბარა სა-ხელმწიფოში საარტილერიო მრეწველობისა და სარდლობის მოწესრი-გება და დანიშნა არტილერიის გენერალფელდცეხმაისტერად.

ალექსანდრეს ასეთი მდგომარეობისა და თვით არჩილის პიროვნუ-ლი ღირსებების გამო ქართველ მეფეს დიდ ანგარიშს უწევდნენ სამეფო კარზე, რაც წარმატებით გამოიყენა თავისი დიდი განმანათლებლური გეგმების განსახორციელებლად.

არჩილმა დააარსა სტამბა და საფუძველი ჩაუყარა რუსეთში ქარ-თული წიგნების გამოცემას. არჩილი და მისი თანამოღვაწე სწავლული ქართველები: დავით თურქესტანიშვილი, ბაგრატ სოლოდაშვილი, დი-მიტრი სააკაძე, გაბრიელ ჩხვიძე, პეტრე ნეჟაძე და სხვები დაუახლოვ-დნენ რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, ჩაერ-თვნენ რუსეთის ინტელექტუალურ ცხოვრებაში და მათთან დამყარებუ-ლი მჭიდრო კონტაქტის შედეგად ფართო მასშტაბის საქმიანობა წამო-იწყეს. ისინი შეეხნენ კულტურის თითქმის ყველა სფეროს.

არჩილის წრეს შემდეგში ვახტანგ VI თავკაცობით მიემატა ქართველ ემიგრანტ-სწავლულთა კიდევ უფრო დიდი ნაკადი, რომელთა შორის იყვნენ ქართული მწერლობისა და მეცნიერების ისეთი დიდი წარმომადგენლები, როგორებიც არიან: სულხან-საბა, დავით გურამიშვილი, უფლისწული ბაქარი, დიმიტრი ბაგრატიონი, გიორგი ავალიშვილი, მამუკა, ვახუშტი ბატონიშვილი.

არჩილისა და ვახტანგ VI თანამდგომი ქართველი სწავლულები დაშურებით დაეწაფნენ იმდროინდელ რუსულ მეცნიერებასა და ლიტერატურას, ღრმად შეისწავლეს იგი და თავიანთი თარგმანებით გაამდიდრეს მშობლიური კულტურა. თვით არჩილმა თარგმნა „ალექსანდრიანი“, „ხრონოგრაფი“ და პეტრე მაგილას ფილოსოფიური ტრაქტატი „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა“. საყურადღებოა, რომ შესანიშნავმა ქართველმა პოეტმა არჩილ ბაგრატიონმა რუსულადაც სცადა კალამი. მან ერთ-ერთმა პირველმა უძღვნა ლექსი პეტრე I-ს პოლტავის დიდ გამარჯვებასთან დაკავშირებით. არჩილი და მისი ვაჟი იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანი ფიგურები იყვნენ, რომ მათ თვით ნეკრასოვისა და პუშკინის ყურადღებაც მიიპყრეს.

რუსეთში მცხოვრები ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები იმდენად უშუალოდ ჩაერთნენ რუსეთის მეცნიერულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ისინი არა მარტო რუსულიდან ქართულად თარგმნიდნენ ამა თუ იმ თხზულებას, არამედ თვით რუსეთის კულტურულ საქმიანობაში იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას. ამ მხრივ მრავალთა შორის მარტო ვახუშტი ბატონიშვილის ნამოღვაწარიც მრავლისმეტყველია.

კერძოდ, ვახუშტი ბაგრატიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსეთის კულტურის განვითარებაში. იგი იყო ერთ-ერთი აქტიური წევრი იმ მოღვაწეთა შორის, რომელთა შრომითა და რუდუნებით 1755 წელს დაარსდა მოსკოვის უნივერსიტეტი. მოსკოვის უნივერსიტეტში მარმარილოს დაფაზე ოქროს ვარაყით ამოტვიფრული იყო უნივერსიტეტის დამაარსებელთა სახეები: დედოფალი ელისაბედი, გრაფი შუვალოვი, ლომონოსოვი და ვახუშტი ბაგრატიონი. ხოლო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საგანგებოდ იდგა ვახუშტი ბაგრატიონის ბიუსტი. საერთოდ, ქართველ მოღვაწეებს გარკვეული წვლილი მიუძღვით მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში. ბატონიშვილმა გიორგიმ უნივერსიტეტს შესწირა 10000 მანეთი, ხოლო

სწავლული სიმონ ეგნატაშვილი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პირველი კურატორი. არანაკლები ენერგიითა და სიყვარულით იღვწოდნენ ჩვენი თანამემამულეები მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში. აღარას ვამბობთ იმ ქართველთა ვაჟკაცობაზე, რომელნიც რუსი მეომრების მხარდამხარ დიდი სიმამაცითა და თავგანწირვით იბრძოდნენ.

სამხრეთისა და დასავლეთის ფრონტებზე, 1739 წ. ხოთინის ციხესთან ქართველ ჰუსართა პოლკის მამაცური ბრძოლიდან მოყოლებული /აქ სხვათა შორის თავი გამოიჩინა დავით გურამიშვილმა/, რუსეთს არ ჰქონია არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაცია, რომელშიც გამორჩეული სიმამაცით თანამონაწილეობა არ მიეღოთ ქართველ ვაჟკაცებს, რასაც მუდამ ხაზგასმით აღნიშნავენ რუსეთის სამხედრო ისტორიის სპეციალისტები. ბრძოლებში გამოირჩეოდნენ არა მარტო რიგითი მებრძოლები და დაბალი რანგის ოფიცრობა, არამედ რუსეთის გენერალიტეტს მუდამ ამშვენებდნენ ქართველი მხედართმთავრები. მარტო ის რად ღირს, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ ათობით ქართველი პოლკოვნიკი და გენერალი იბრძოდა. ქართველები მუდამ ერთგული და პატიოსანი პარტნიორები იყვნენ რუსთათვის. რუსეთის მფარველობასა და მზრუნველობისათვის ქართველებს მცონარობითა და კმაყოფაზე ყოფნით არ უპასუხიათ, ჩვენებიც თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმალური გამოვლენით მუდამ მხარში ედგნენ დიდ მოკავშირეებს, რაც შემდეგ დოკუმენტურად გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატში. ამისათვის კი ნიადაგი ადრეული საუკუნეებიდან მზადდებოდა, კალმითა და შაშხანით გადაჯაჭვულ თანამოღვაწეობას ჯერ კიდევ არჩილ მეფის ეპოქიდან ეყრება საფუძველი.

არჩილთან იღებს სათავეს ქართული განმანათლებლობა. არჩილი და მისი თანამედროვე თუ მომდევნო დროის მოაზროვნენი ჩვენში ავითარებენ და ამკვიდრებენ დასავლეთ ევროპიდან დაძრულ დიდ განმანათლებლურ სიახლეებს და ეს სიახლენი ხან უშუალოდ დასავლეთ ევროპიდან შემოდის (სულხან-საბა), ხან კი რუსეთის გზით იჭრება ჩვენში.

რუსეთთან მიმსგავსებული გარკვეული ისტორიულ-პოლიტიკური ცხოვრების შედეგად, ქართული განმანათლებლური ტენდენციები და თავისებურებები ზოგიერთი ასპექტით უშუალოდ ეხმიანება რუსულ განმანათლებლობას. ამით აიხსნება ისიც, რომ რუსეთის განმანათლებლური სკოლის სერმანისეული პერიოდიზაციის შესაბამისად ქართული განმანათლებლობის განვითარების ისტორიაში შეიძლება ზოგადად გამოვყოთ სამი ძრითადი ეტაპი:

1. ჩანასახი და წინაგანმანათლებლური ეპოქა /ჩვენში არჩილი და მისი სკოლა/.

2. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურტრეგერული სი-ახლენი; სწრაფვას ევროპისაკენ; ჩვენში ემატება რუსეთისაკენ სწრაფვა /ესაა ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანისა და დ. გურამიშვილის ეპოქა/.

3. კლასიკური, სრულყოფილი ფაზა /ჩვენში ერეკლე II-ისა და ანტონ ბაგრატიონის მოღვაწეობა/.

თითოეულ ამ ეტაპს ურთიერთთან უამრავი საერთო ნიშნის მიუხე-დავად ახასიათებდა რიგი თავისებურებები, მთლიანობაში კი ისინი ქმნიან ერთიან დიდ ლიტერატურულ სკოლას.

განმანათლებლობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანდობლივი თვისე-ბაა ზრუნვა ადამიანის განთავისუფლებაზე, გონების ყოვლისშემძლეო-ბის აღიარება. გონების უპირატესობის რწმენა იძლეოდა იმის საფუძ-ველს, რომ საზოგადოების გარდაქმნა შეიძლება სწორედ გონებრივ საწ-ყისებზე დაყრდნობით. გონებაა გააზრებული იმ დიდ კეთილ საწყისად, რომელიც განაგებს და წარმართავს ყოველივე დადებითს. ჭეშმარიტი სიბრძნე მდგომარეობს გონების მეუფეობაში. იგია ყოველგვარი ვნებისა და ცდუნების დამთრგუნველი, დამაოკებელი. სულხან-საბას დამსახუ-რებაა, რომ მან წამოაყენა ეპოქალური ლოზუნგი — „სიბრძნე /გონება/ ძლევს ყოველივე ცდუნებას“. სულხანისავე სიტყვით „გონება და საც-ნობელი“ აი, ის კრიტერიუმი, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს ადამიანის მოღვაწეობას.

როდესაც ქართულ განმანათლებლობაში გონების პრიმატის საკით-ხებზე ვმსჯელობთ, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ჩვენ-ნი ისტორიული სინამდვილით ნაკარნახევი თავისებურება.

ევროპელ განმანათლებლებთან გონების პრიმატის აღიარება იყო ამბოხი რელიგიის წინააღმდეგ. ევროპელმა განმანათლებლებმა სას-ტიკად შეარყიეს ეკლესიის ავტორიტეტი და ღმერთის ყოვლისშემძლე-ობას დაუპირისპირეს გონების ძალა და პიროვნების ღირსების დაცვის მოთხოვნილება. არა ღმერთი და რელიგია, არა ეკლესიის მამები და ოფიციალური დღთისმეტყველური მეცნიერება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გონება, როგორც ერთადერთი კრიტერიუმი, როგორც საგანთა და მოვლენათა საყოველთაო საზომი, — ასეთი იყო განმანათლებელთა იდეოლოგიის ამოსავალი პუნქტი. ასეთი იდეოლოგიური წინამძღვრე-ბით ხელმძღვანელობდნენ და ამ პოზიციას ამკვიდრებდნენ ევროპელი



რაციონალისტები. ჩვენთან კი გონების კულტის აღიარება არ მომხდარა სარწმუნოებასთან დაპირისპირების გზით. ჩვენთან არაა არავითარი ცლა ეკლესიაზე გალაშქრებისა, ღმერთთან დაპირისპირებისა და რწმენის შელახვისა. საქმე იმაშია, რომ მოძალადეებთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში დაღლილი და დაძაბუნებული ქვეყანა დასაშლელად და შთასანთქმელად იყო განწირული.

გამუდმებული ომებისაგან განადგურებული მეურნეობა და ამოწურვაზე მისული სამხედრო პოტენციალი ველარ ქმნიდა საიმედო საყრდენს პოლიტიკური მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ასეთ ისტორიულ ვითარებაში სარწმუნოება იქცა ერის გამაერთიანებელ ფაქტორად. მოქალაქეთა ცნობიერებაში რელიგია ასოცირებულია არა მარტო რწმენის, არამედ ეროვნული თვითმყოფადობის, სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და ცხოვრებისეული აქტუალური პრობლემების მოწესრიგებასთან. ამიტომ, ვეროპელების, განსაკუთრებით ფრანგებისაგან განსხვავებით, ქართველ განმანათლებლებს არ გაულაშქრიათ ეკლესიის წინააღმდეგ, არ უწარმოებიათ რელიგიური დოგმების ნგრევა; მათ იგრძნეს რა, რომ გარკვეული ისტორიული პირობების გამო ჩვენს სინამდვილეში რელიგიას, გარდა სარწმუნოებრივი პრინციპებისა, დაკისრებული ჰქონდა ეროვნულ-მოქალაქეობრივი პრობლემების მოწესრიგება, ამიტომ თავიანთი პროგრესული, განმანათლებლური იდეები ჩამოაყალიბეს ეკლესიასთან დაპირისპირების გარეშე.

მნიშვნელოვანი ფაქტია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ თუ დასავლეთში განმანათლებლობას ავლენდა აღმავალი ბურჟუაზია, რომელიც სოციალურადაც დაუპირისპირდა ჩიხში შესულ ფეოდალიზმს, ჩვენში, რუსეთის მსგავსად, განმანათლებლური იდეების დამამკვიდრებელი იყვნენ პროგრესულად განწყობილი, მოწინავე ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელი: არჩილი, ვახტანგ VI, ერეკლე II და სასულიერო წოდების საუკეთესო წარმომადგენლები /რუსეთში—პროკოპოვიჩი, ჩვენში—სულხან-საბა, ანტონი, ი.ხელაშვილი/.

კულტურის სფეროში რუსეთთან მჭიდრო კავშირზე მიგვანიშნებს ისიც, რომ ჩვენში, ისევე როგორც რუსეთში, ეკლესიის მესვეურთა მხილებას ახდენდნენ თვით სასულიერო წოდების მოწინავე წარმომადგენლები. ასე რომ, ეკლესიის ავტორიტეტის დაძლევა მოხდა არა გარედან მებრძოლი ახალი კლასის, საერო წარმომადგენლებისაგან, არამედ შიგნიდან—პროგრესულად მოაზროვნე სასულიერო პირებისაგან /სულხან-საბა, ანტონი, ი.ხელაშვილი/. ამგვარად, ქართული განმა-

ნათლებლობის ასეთი ერთგვარი უკონფლიქტო გამოვლენის ფორმა, რომელიც ნიშანდობლივია რუსეთისა და ჩვენი სინამდვილისათვის, აიხსნება იმითაც, რომ ამ პროგრესული, განმანათლებლური იდეების გამავრცელებლები და დამამკვიდრებლები საერო ფენის წარმომადგენლებთან ერთად სასულიერო პირებიც იყვნენ.

XVIII საუკუნეში ქართველი შწერლობისათვის და საერთოდ ინტელიგენციისათვის შორეული აღარაა დასავლეთ ევროპის და განსაკუთრებით რუსეთის ინტელექტუალური ცხოვრება. ჩრდილოეთთან შემოქმედებითი კონტაქტი გამოხატულებას არ პოულობს ცალკეულ, კონკრეტულ ფაქტში; ქართველი ინტელიგენცია ეცნობა რუსეთის სულიერი ცხოვრების მთლიან ატმოსფეროს და ესა თუ ის ლიტერატურულ-იდეოლოგიური მიმდინარეობა, სკოლა, დაკვირვებისა და გაცნობიერების ობიექტი ხდება. როგორც განმანათლებლობას, ისე კლასიციზმსაც /შემდეგში კი სხვა ლიტერატურულ სკოლებს/ რუსეთის გზაჯვარედინზე კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ჩვენები და ამიტომ საერთოც არანაკლები აღმოაჩნდათ. ჯერ ერთი, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც ორივე ეს მიმდინარეობა მოგვიანებით იკიდებს ფეხს და სწორედ ამ დაყოვნების გამო ისინი /განმანათლებლობა, კლასიციზმი/ თითქმის ერთდროულად და პარალელურად ვითარდება რუსეთშიაც და საქართველოშიც.

კლასიციზმის გამოვლენის სხვადასხვა ასპექტთა შორის როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში, განსაკუთრებით თვალშისაცემია ნორმატიზაციის ტენდენცია.

ამასთანავე ვახტანგ VI კარი როგორც საქართველოში, ისე რუსეთში ცხოვრების პერიოდში მეცნიერულ-კულტურული ცენტრალიზაციისა და მეცნაობის დიდ ეროვნულ ფაქტორს წარმოადგენდა. ასე რომ, პოლიტიკური კატაკლიზმების მიუხედავად, ვახტანგის ეპოქის მოღვაწენი თეორიულად, იდეოლოგიურად ისწრაფოდნენ ცენტრალიზაციისა და აზროვნების რეგლამენტაციისაკენ. ამ ეპოქის ძირითადი ტენდენციისათვის ნიადაგი მომწიფებული იყო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში და მან, ბუნებრივია, გამოხატულება პოვა ლიტერატურულ გემოვნებასა და აზროვნებაში.

სწორედ ამ ისტორიულმა ობიექტურმა აუცილებლობამ განაპირობა ჩვენში ნორმატიკული ხასიათის პოლიტიკური ტრაქტატის „ჭაშნიკის“ შექმნა. ეს იყო საუკუნის პრობლემა. ამ განწყობით იყო დამუხტული როგორც რუსეთი, ისე შუა და დასავლეთ ევროპა. აქ სრული მონობოლია ჰქონდა ბუალოს „პოეტურ ხელოვნებას“. ხოლო რუსეთში-ტრედია-

კოესკისა და ლომონოსოვის „ტრაქტატები“ გახდა ახრთა მყრობელი.

„ჭაშნიკის“ შექმნის წინაპირობას წარმოადგენს არა მარტო მამუკას ნიჭიერება, აზროვნების ძალა და ობიექტური აუცილებლობის საჭიროება, არამედ ისიც, რომ ეპოქის ლიტერატურული ატმოსფეროსა და მოთხოვნილებების შესაბამისად რუსეთში მყოფი მამუკა ჩაერთო ამ ქვეყნის, და ამ გზით, ევროპის მოწინავე მოაზროვნეთა სულიერ ცხოვრებაში. ვახტანგ VI კარის ქართველი სწავლულნი 20—30-იან წლებში რუსეთში არიან და ეტყობა უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან იქაურ ინტელიგენციას, ვიდრე ჩვენ ვიცით დოკუმენტებისა და ფაქტების წყალობით. ჩვენები ცხოვრობენ იმავე ინტელექტუალური ცხოვრებით, რა ცხოვრებითაც ცხოვრობდნენ პეტრე დიდის წყალობით ევროპული ცივილიზაციის გზაზე დამდგარი რუსი ინტელიგენტები. რუსეთში კი ამ დროს დიდი აღმავლობა და ამ საერთო აღმავლობის ატმოსფეროში განსაკუთრებულ დონეს აღწევს ლიტერატურისმცოდნეობა. იწერება ნორმატიული ხასიათის „ტრაქტატები“. ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ქართველ სწავლულთა დასს, ისინიც იმავე ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ეს დოკუმენტურად არ დასტურდება, მაგრამ აშკარაა, რომ შემოქმედებითი პროცესების განვითარებით, ინტერესთა სფეროს გაფართოებით, ჩვენებიც ერწყმიან ამ დიდ პროცესს. მამუკას, რომელიც ცხოვრობდა და ტრიალებდა მეფის კარზე, არაა გამორიცხული, უშუალო კავშირი ჰქონოდა მოწინავე რუს ინტელიგენტებთან და ევროპელებთან.

რუსეთში მყოფი ჩვენი სწავლულები ცოდნის ყველა სფეროს დაეწაფნენ, ხოლო მამუკას წილად ერგო იმდროინდელი ლიტერატურისმცოდნეობის ათვისება და ამ მიზნით იგი გაეცნო იმდროინდელ პრობლემატიკას, ნორმატიკულ ძეგლებს. ამან განაპირობა საკუთარის შექმნა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთში მცხოვრები ქართველი მოღვაწეები შემოქმედებით კავშირში იყვნენ რუს ინტელიგენციასთან, ეცნობოდნენ და ეზიარებოდნენ მათ ნააზრევს, იმუხტებოდნენ ახალი ცივილიზაციით და ეროვნული მიზნებისა თუ ამოცანების შესატყვისად ქმნიდნენ ქართულ ორიგინალურ თხზულებებს. ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მოხდებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის ჩამოყალიბება, ქართველ და რუს ინტელიგენციას უკვე თანაზროვნების საკმაო ტრადიცია ჰქონდა.

სამოცდაათიან წლებში, ანტონ ბაგრატიონთან ერთად, რუსეთში მიიღეს განათლება ანტონისავე მოწაფეებმა და მიმდევრებმა არქიმან-

დრიტ სტეფანემ, წინამძღვარმა მიხეილმა, მღვდელმა ზაქარიამ, პროტო-  
დიაკონმა გაბრიელმა, იეროდიაკონმა იოანემ, დიაკვნებმა პორფირიმ,  
ეფრემმა, ივანემ, გიორგიმ და განსაკუთრებით გამორჩეულმა გაიოზ  
რექტორმა, რომელთაც ზოგად განსწავლულობასთან ერთად შეისწავ-  
ლეს და აითვისეს რუსეთის საგანმანათლებლო სისტემა და ამის სა-  
ფუძველზე ქართლსა და კახეთში დააარსეს რუსეთის ტიპის სემინარი-  
ები და სასწავლებლები, რუსულიდან თარგმნეს, ზოგ შემთხვევაში კი  
თვით შექმნეს იმავე პრინციპების სახელმძღვანელოები და საქართვე-  
ლოში გაშალეს ფართო მასშტაბის საგანმანათლებლო მოღვაწეობა.

საქართველოს რუსეთთან სახელმწიფოებრივ დაკავშირებას წინ უძ-  
ღოდა დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო კონტაქტები. ქართველი  
მოღვაწეები ეროვნული კულტურის განვითარების ერთ-ერთ წინაპირო-  
ბას ევროპასთან და რუსეთთან მეცნიერულ-ლიტერატურულ თანაცხოვ-  
რებაში ხედავდნენ და ამიტომაც იყო, რომ ქართველ მოღვაწეთა ის  
ფრთაც კი, რომელიც აშკარა წინააღმდეგი იყო რუსეთთან პოლიტიკური  
კავშირისა, კულტურულ ორიენტაციას რუსეთზე იღებდნენ და ხაზგას-  
მით გამოკვეთავდნენ თავიანთ დადებით პოზიციას რუსეთზე კულტუ-  
რული ორიენტაციის გამო. გეორგიევსკის ტრაქტატის ერთ-ერთი თანა-  
მოღვაწეთაგანი გაიოზ რექტორი წერს: „და აპა დადგა სანეტარო დღე,  
მეფე ერეკლეს ხვდა წილად ბედნიერება, რათა მისი მეფობის დროს გა-  
მოეხედა ღმერთს მოწყალე თვალით... და შემდგომად ესე ვითარისა  
შრომისა და ესე ვითარისა ღელვა-გვემუღებისა და ნავი სამეფოსა თვი-  
სისა სიბრძნისა სახითა მიაყენა /ერეკლემ, რ.ბ./ნავთსაყუდელსა უღელ-  
ვოსა /რუსეთს, რ.ბ./“. ამ პერიოდის მეორე დიდი სწავლული და სახე-  
ლოვანი პიროვნება იოანე ხელაშვილი, ბატონიშვილების თანამოღვაწე  
და მათ პოზიციებზე მდგომი, ერთ-ერთი აქტიური წევრი იმ დასისა, რო-  
მელიც წინააღმდეგი იყო რუსეთთან შეერთებისა, ამ ქვეყანასთან კულ-  
ტურულ ურთიერთობაში დიდ ეროვნულ სიკეთეს ხედავს, რადგანაც  
რუსეთი, მისი თქმით: „აღანთებს განათლებისა ლამპარსა ქუეყანასა  
შიგან ჩუენთა ქართლოსიან იბერიელთასა... და ესრეთ იწყებს სიბრძნე  
და ხელოვნება სუფევასა სამარადისო ცხოვრებად, რომელ თითოეულთა  
თვისითა ნიჭითა და სწავლისა შაწყნარებათაგან იქმნებიან ნეტარეულ  
და ენებთა ევროპისა მეტყუელ და მთარგმნელ ჩუენისა დედასა ენასა  
ხედა“. იოანე აღფრთოვანებით, გატაცებით, შინაგანი კმაყოფილებითა  
და დიდი პერსპექტივის ჭვრეტით ლაპარაკობს, როდესაც საკითხი ეხება  
რუსეთზე ორიენტაციას კულტურის სფეროში, ე.ი. კულტურულ ორიენ-

ტაციას. იოანეს კონცეფციით ჩვენ უნდა გამოვკვეთოთ და ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ორი რამ: რუსეთზე კულტურული ორიენტაცია არის საქართველოსათვის მოკლენათა განვითარების ორგანული და შინაგანი აუცილებლობით ნაკარნახევი გეზი, ესაა ისტორიული ვითარებით განპირობებული ეროვნული ცივილიზაციის განვითარების ერთიანი ხაზი. რაც შეეხება რუსეთზე პოლიტიკურ ორიენტაციას, იგი ისტორიულად გამოუვალი მდგომარეობით იყო ნაკარნახევი და იმ დროისათვის თანამედროვეთა შორის მუდამ გამართლების დასაბუთებას საჭიროებდა.

გეორგიევსკის ტრაქტატის წინა და თანამედროვე ეპოქების გააზრებისას თვალში საცემია, რომ საქართველოს რუსეთთან პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ დაკავშირებას წინ უძღოდა კულტურულ-განმანათლებლური კონტაქტების ჩამოყალიბება ქართველ და რუს მწერალთა და სწავლულთა შორის.

გეორგიევსკის ტრაქტატი, ეს დიდი ისტორიული ძეგლი იმის ნათელი დადასტურებაა, თუ როგორ უნდა დაიცვას საკუთარი შეუვალობა და ღირსება მცირერიცხოვანმა ერმა დიდ ერთან თანაარსებობის შემთხვევაში.

## ეროვნული კულტურის ბურჯი გიორგი მთაწმინდელი

ქართულმა საისტორიო მწერლობამ შესანიშნავ მოღვაწეს, გიორგი მთაწმინდელს საესეებით სამართლიანად უწოდა დიდი გიორგი. მართლაც, დიდი და განუსაზღვრელია ადრეულ საუკუნეთა ამ დიდებული წარმომადგენლის ღვაწლი და დამსახურება ეროვნული კულტურის წინაშე.

შეუძლებელია აუღელვებლად გაეცნო გიორგი მთაწმინდელის საოცრად ნაყოფიერ მემკვიდრეობას. გაოცებას იწვევს ინტერესთა მრავალფეროვნება და შემოქმედებითი სიუხვე. ის იყო შესანიშნავი მწერალი. მაღალი გემოვნებისა და მეცნიერული სიზუსტის გამოძველები მთარგმნელი, მჭევრმეტყველი და ერუდიტი, თეოლოგი, ქართული კულტურის კერის ორგანიზატორი და გამჭრიახი წინამძღვარი, ფართო მასშტაბის პოლიტიკური მოღვაწე და ბაგრატ IV-ის ბრძენი მრჩეველი. აღელვებას იწვევს სამშობლოს სიყვარულის ის უსაზღვრო გრძნობა, რომლის შთაგონებით ზღაპრული ენერჯითა და თავგანწირვით იღვწოდა იგი ეროვნული კულტურის შექმნისა და განვითარებისათვის.

ფასდაუღებელია გიორგი მთაწმინდელის მრავალმხრივი და უადრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა. მისი სახელის უკვდავსაყოფად მარტო ბიბლიის თარგმნაც საკმარისი იყო, რომელსაც მხოლოდ თეოლოგიურ-კანონიკური დანიშნულება როდი ჰქონდა. ეს იყო იმ დროისათვის უდიდესი კულტურული მოვლენა. გიორგი მთაწმინდელის მიერ ბიბლიის თარგმნა ჩვენს სინამდვილეში. ისეთივე დიდი მნიშვნელობის ეროვნული მოვლენა იყო, როგორც ლუთერის მიერ გერმანულად ბიბლიის თარგმნა, რომლის შესახებაც გოეთე ამბობდა: ლუთერმა შექმნა ახალი გერმანული ენაო. ასევე, გიორგი მთაწმინდელმაც ბიბლიის თარგმნით განაპირობა ახალი ქართული ენის განვითარება.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი სფერო იყო გიორგი მთაწმინდელის უკიდურესად ნაყოფიერი მოღვაწეობისა. დღესაც გვაოცებს, თუ როგორ შეძლო ერთმა ადამიანმა ესოდენ დიდი მასშტაბის მრავალმხრივი მოღვაწე-

ეობა; ამ თვალსაზრისით ის ღირსეული წინამორბედი ჩვენი სახელოვანი კულტურტრეგერებისა: ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის და ივანე ჯავახიშვილისა.

ქართველთა მიერ საზღვარგარეთ აგებული ეკლესია-მონასტრები იყო იმ დროისათვის თავისებური საკონსულოები კულტურის სფეროში. იქ გაჩაღებული ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის შედეგად, ერთი მხრივ, ქართულ ენაზე გადმოჰქონდათ მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევები და, მეორე მხრივ, ქართულიდან ბერძნულად თარგმნიდნენ ჩვენი სულიერი საგანძურის შესანიშნავ ნიმუშებს და ამით მსოფლიოს აცნობდნენ ჩვენს ეროვნულ კულტურას.

ქართველ სწავლულთა საოცარი ენთუზიაზმის შედეგად მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში ჩვენში უკვე თარგმნილი იყო მსოფლიო კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები. ამით მათ მოამზადეს მტკიცე საფუძველი რუსთაველის ეპოქისათვის. ჩათი ნაამაგარის შედეგად რუსთაველის ეპოქის ქართველ მოქალაქეს შესაძლებლობა ჰქონდა მშობლიურ ენაზე გასცნობოდა მსოფლიოს ადრეულ და თანამედროვე ცივილიზაციას, რაც უადრესად დიდი კულტურული მოვლენა იყო და მნიშვნელოვანი ფაქტორი ეროვნულ-ორიგინალური მწერლობისა და მეცნიერების განვითარებისათვის.

ასეთი დიდი მიზნებით გამსჭვალულმა ქართველმა მოღვაწეებმა მიაშურეს ათონის მთას.

ათონზე ქართველთა კოლონიის ფუძემდებელი არის სამცხელი დიდებული იოანე ვარაზეაჩე ჩორღვარელი და მისი ძმა თორნიკე.

იოანესა და ექვთიმეს მიერ წამოწყებული დიდი სახელმწიფოებრივი საქმეების ღირსეული მემკვიდრე გახდა გიორგი მთაწმინდელი.

თუ იოანემ და თორნიკემ საფუძველი ჩაუყარეს „ივერიის“ მონასტერს, თუ ექვთიმემ დასაბამი მისცა ამ მონასტერში ლიტერატურულ-სამეცნიერო საქმეების წამოწყებასა და გაშლას, გიორგი მთაწმინდელმა პირადი ინიციატივით გააფართოვა და განამტკიცა ამ მონასტრის სიძლიერე, ხოლო სამეცნიერო-ლიტერატურული საქმიანობა კიდევ უფრო გააღრმავა და განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა. გიორგი მთაწმინდელი იყო არა მარტო დიდი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი აღმინისტრაციულ თუ შემოქმედებით საქმიანობაში, არამედ თვითონ ქმნიდა უადრესად ფასეულ მეცნიერულ თუ მხატვრულ პროდუქციას.

ჩვენდა საბედნიეროდ, ცნობები გიორგის მოღვაწეობის შესახებ საკმაოდ მდიდრად შემოგვწვინა; ათონისავე მოღვაწემ, გიორგი მცირემ

უადრესად მხატვრულად აღწერა თავისი დიდი მოძღვრის, გიორგი მთაწმინდელის მდიდარი და მრავალფეროვანი ცხოვრების გზა.

გიორგი მთაწმინდელი დაიბადა 1009 წელს გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწის იაკობის ოჯახში.

იაკობსა და მის მეუღლეს მარიამს ექვსი შვილი—სამი ვაჟი და სამი ქალი ჰყოლიათ. გიორგი იყო მათი მესამე შვილი.

შვიდი წლის გიორგი სასწავლებლად მიაბარეს ტაძრისის მონასტერში. სამი წლის შემდეგ გადაიყვანეს იმ ღროისთვის ცნობილ სამწერლობო კერაში ხახულის მონასტერში, სადაც მოღვაწეობდნენ იაკობის ძმები გიორგი მწერალი და საბა. აქ გიორგიმ გამოამყლავნა განსაცვიფრებელი ნიჭი და სწავლის დიდი უნარი. სწავლის გადრმავების მიზნით ბიძამ წაიყვანა კონსტანტინეპოლში. აქ ცოდნის გაფართოებასთან ერთად გიორგიმ საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა.

შემდეგ მოვლო იერუსალიმი და იქიდან დაბრუნდა შავ მთაზე, სადაც დაუახლოვდა მეტად განსწავლულ ბერს გიორგი შეყენებულს. ამ უკანასკნელმა შეიცნო გიორგის დიდი მეცნიერული უნარი და ურჩია წასულიყო ათონზე, სადაც გაშლილი იყო ინტენსიური შემოქმედებითი საქმიანობა.

აქ, მთაწმინდაზე, მთელი სიდიადით გამოავლინა გიორგიმ თავისი დიდი ნიჭი, მას მიეცა სათანადო ასპარეზი პირადი უნარისა და შესაძლებლობების გამომჟღავნებისათვის. კარგად აქვს ეს მომენტი შენიშნული გიორგი მცირეს, როდესაც წერს: „რამეთუ უკეთუ არა პოოს ხელოვანმან ნივთი შემსგავსებული საქმისა თვისისა, ვითარ გამოაჩინოს ბრწყინვალეობა საქმეთა თვისთა! ანუ ვითარ საცნაურ იქმნეს მენავეთ მოძღვარი, უკეთუ ღელვათა შინა ზღვისათა არა გამოიცადოს! გინა მხედარი ვითარ გვირგვინოსან იქნეს და იდიდოს უკეთე გაბრწყინებულთა განწყობილთა არა უკვეთოს მრავალგზის! აგრეთვე წმინდამან ამან ოდეს მიიღო კუერთხი მწყემსობისა, მაშინდა საცნაურ იქმნა სრულად დაფარული იგი სიბრძნე სულსა შინა მისსა“. ამ ორიგინალურ შედარებათა მთელი სისტემით ავტორი ავითარებს მართებულ დებულებას, რომ ყოველ დიდ ნიჭსა და უნარს სათანადო სამოქმედო არეც ესაჭიროება. გიორგი მთაწმინდელს წინამძღვრად არჩევის შემდეგ მიეცა შესაძლებლობა თავისი სიბრძნე და ორგანიზაციულ-სახელმწიფოებრივი ტალანტი სრულად გამოველინებინა.

მას შემდეგ, რაც გიორგიმ, „პოვა შემსგავსებული ნივთი საქმისა თვისისა“, კიდევ „გამოაჩინა ბრწყინვალეობა საქმეთა თვისთა“. გიორ-



გის პრაქტიკულ-ორგანიზატორული მოღვაწეობა სცილდება მონასტრის კედლებს და ფართო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იღებს, მის დიდ ავტორიტეტსა და ორგანიზატორულ ნიჭს იყენებს ბაგრატ მეფე სახელმწიფოებრივ საქმეებში.

სამღვდელოების იერარქიული დაწინაურების საკითხში გიორგი პირდაპირ რეფორმატორად გვევლინება. ის მოითხოვს პირადი ღირსების და არა გვარიშვილობის მიხედვით დაწინაურებას, რითაც მეტად დაეხმარა ბაგრატ IV-ეს დიდგვაროვან აზნაურებთან ბრძოლაში, რომლებიც მდგომარეობას ბოროტად იყენებდნენ და შინაური შფოთით სახელმწიფოს ასუსტებდნენ. გიორგიმ სასტიკად აძახილა დიდგვაროვანი ფეოდალებისა და სასულიერო წოდების ზნედაცემულობა, რაც იწვევდა სახელმწიფოებრივ უბედურებას: „პირველად ყოვლისა აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ მრავალთა უწესოებისათვის, უშიშად და თვალუხვად, სიბრძნით და გონიერად“.

ბაგრატ IV გიორგიში დიდ სახელმწიფო ძალას ხედავდა, და არაერთგზის სთხოვა საქართველოში ჩამოსვლა და მღვდელთ მოძღვრებაც შესთავაზა, რათა ამ ბრძენსა და სახელმწიფოებრივი იდეალების მქონე ადამიანს თავისი კვალი დაეჩნია საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

იერარქიული დაწინაურებისაგან გიორგი მთაწმინდელი პრინციპულად იკავებდა თავს, მით უფრო, რომ მას დიდი მიზნები ამოძრავებდა. განსწავლული მამულიშვილი წუხდა, რომ „ფრიადი სიგრილე იხილგების ჩუენ შორის“ და მწვავედ განიცდიდა საქართველოში მწიგნობართა ნაკლებობას. „ქართლისა ქუეყანა დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლიან“, აღნიშნავდა ის გულისტკივილით. ამ დიდი ხარვეზის ამოვსებისაკენ იყო გამიზნული მისი ნიჭი და ენერჯია. გიორგიმ კარგად იცოდა, რომ ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველია ერის ცივილიზაცია და ამ მიზნით მას საშურ საქმედ სწორედ მწიგნობრობის განვითარება მიაჩნდა.

დიდი მონღოლებითა და პასუხისმგებლობით დაიწყო გიორგიმ მეცნიერულ-ლიტერატურული საქმიანობა და მისი მოღვაწეობის ეს მხარე ყველაზე უფრო ფასეულია ჩვენი კულტურის ისტორიაში. მან როგორც თარგმანებით, ისე ორიგინალური თხზულებებით უაღრესად გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა. მისი „ღვაწლნი და შრომანი“ მართლაც, „აღურაცხელ და მიუწვდომელ არიან“. თანამედროვეთა გაოცებას იწვევდა მისი შრომისუნარიანობა „უფროსნი წიგნნი ღამით უთარგმნიან და ესრეთ შეუსრულებლად თარგმნიან“, ხოლო მის თარგმანთა ღირსება მარ-

თებულად არის შეფასებული შთამომავლობის მიერ. „ეგვიპტარი თარგმანი, თვინიერ წმინდისა მამისა ჩუენისა ეუთვიმესსა, სხუაჲ არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და ვჰგონებ თუ არცა გამოჩინებად არს“.

არ დარჩენილა სასულიერო მწერლობის არცერთი დარგი, რომელშიაც მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანოს გიორგი მთაწმინდელს. ის ერთნაირი ნაყოფიერებით მუშაობდა ბიბლიოლოგიის, აპოკრიფების, ებზეგეტიკის, დოგმატიკის, ლიტურგიკის, ჰომილეტიკის, საეკლესიო სამართლის, აგოგრაფიისა თუ ჰიმნოგრაფიის სფეროში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გიორგის წვლილი ბიბლიური წიგნების თარგმანის სფეროში. მთელი რიგი ბიბლიური წიგნები („დავითნი“, „პავლე სრული და საქმე მოციქულთა“) ახლად უთარგმნია, ხოლო სხვა წიგნები ხელახლა შეუჯერებია ბერძნულ დედნისთვის და გაუჩაღებია, რის შედეგადაც მივიღეთ ბიბლიის ახალი ე.წ. გიორგისეული რედაქცია.

გიორგის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მრავალმხრივ საყურადღებო თხზულება „ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი“. აღნიშნული თხზულებით გიორგი მთაწმინდელმა საფუძველი ჩაუყარა ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიის შესწავლას. გ. მთაწმინდელმა ათონის მოღვაწეთა საქმიანობა საგანგებოდ სრულად აღწერა, რადგანაც ათონის ქართული მონასტრის შესანიშნავმა ტაძარმა და იქ გაშლილმა ფართო მასშტაბის მოღვაწეობამ თავიდანვე მიიპყრო უცხოელთა ყურადღება, ხოლო ბერძნებს გაუჩნდათ სურვილი ამ ტაძრის მითვისებისა. „ვითა ცეცხლი აღეზნეს ჩუენზედა და სრულიად აღმოფხვრა ჩუენი ენება“, შემოფოთებით აღნიშნავს მემბტიანე. ამის გამო გიორგი მთაწმინდელმა მიხნად დაისახა აღეწერა ქართველთა ღვაწლი ამ ღიდი კერის შექმნაში და ეანდერძა შთამომავლობისათვის, რათა ეზრუნათ ქართული კულტურის ამ შესანიშნავი ცენტრის შენარჩუნებისათვის.

ამასთანავე, ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ „ცხოვრება იოვანესი და ექვთიმესი“ არ წარმოადგენს ათონის მონასტრის მშრალ მატრიანეს, არამედ უპირველესად ის არის შესანიშნავი მხატვრული მოთხრობა, რომელიც კომპოზიციური შეკრულობით, თხრობის დინამიურობით, ხასიათთა შინაგანი ჭიდილის სიმკვეთრითა და გამოძერწვის რელიეფურობით, სურათებისა და მოვლენების აღწერის რეალისტურობით, მხატვრულ სახეთა ორიგინალობითა და სადა, ძარღვიანი ენით დღესაც საამო საკითხავია და თანამედროვე ადამიანზეც ძლიერი ესთეტიკური ზეგავლენის მომხდენია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ გიორგი მთაწმინდელის მხატვრული ნიჭი პოეზიაშიც გამოვლინდა. მის მიერ თარგმნილი მდიდარი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა ნათელი დადასტურებაა ნაზი ლირიული განცდებისა და პოეტური კულტურისა.

გიორგი მთაწმინდელის ფაქიზ გემოვნებასა და მხატვრულ ალღოზე მეტყველებს ისიც, რომ მას შესწევს უნარი საოცრად მიმზიდველი სიუჟეტების მიგნებისა და მომხიბვლელად გადმოცემისა. მისი შემოქმედების ეს მხარე განსაკუთრებით იზიდავდა და ხიბლავდა ქართული სიტყვის მეორე ოსტატს აკაკი წერეთელს. ეს უკანასკნელი ხშირად მიმართავდა შთაგონებისათვის გიორგი მთაწმინდელს. ასე შექმნა აკაკი წერეთელმა პოემა „თორნიკე ერისთავი“ და პირი-მზისასა და პირი-მთვარისას მომაჯადოებელი ეპიზოდი „ბაში-აჩუკში“. ორივე შემთხვევაში დიდი მგოსანი დაესესხა გიორგი მთაწმინდელს.

იგი იყო ბრწყინვალე მჭევრმეტყველი და უბადლო პოლემისტი. როდესაც დადგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, გიორგი მთაწმინდელმა ანტიოქიის პატრიარქთან კამათში გამოამჟღავნა არა მარტო განსაცვიფრებლად ღრმა ცოდნა, არამედ დიდი სიბრძნე, ლოგიკური აზროვნებისა და შთამაგონებელი მეტყველების მომაჯადოებელი უნარი. საქმე ისაა, რომ იმ დროისათვის ქვეყნის ავტოკეფალიის საკითხი როდი იყო ვიწრო ეკლესიურ-ადმსარებლობითი საკითხი, არამედ იყო ერის თვითმყოფადი კულტურის ერთ-ერთი მთავარი დამადასტურებელი არგუმენტი. ასე რომ, სარწმუნოებრივი საკითხი უშუალოდ ეჯაჭვებოდა დიდ ეროვნულ პრობლემას.

ამით აიხსნება, რომ გიორგი მთაწმინდელი ილიასებური მრისხანეობითა და სიღინჯით წინ აღუდგა იმ უცხოელთა შემოტევას, რომელნიც აღმაცერად უყურებდნენ ქართული ეკლესიისა და კულტურის საკითხს.

გიორგი მთაწმინდელის მამხილებელმა სიტყვამ და მჭევრმეტყველურმა ოსტატობამ, „განაკვირა პატრიარქი ეპისკოპოსთა თვისთა თანასიმახვილისა გონებისა მისისასა, რამეთუ, ვითარცა მდინარე დაუწყუედელად, ესრეთ დიოდეს სიტყუანი წმიდისა წერილთანი პირით მისით“.

ბერძენ სწავლულებთან გამართულ მძაფრ პოლემიკაში გამოვლინდა გიორგი მთაწმინდელის პიროვნული სიღიაღე და გამარჯვებულ ქართველ მოპაექრეს ეპისკოპოსნი და პატრიარქი მოკრძალებით და ერთგვარი შფშის გრძნობითაც შეჰყურებდნენ.

გიორგი მთაწმინდელის სახით ეროვნული ღირსების სადარაჯოზე იდგა პიროვნება, რომელიც ნათელყოფდა, რომ მშობლიური კულტურის დაცვა საჭიროა არა მარტო ხმლით ხელში, არამედ სიბრძნითა და განსწავლულობითაც. ის არა მარტო იკვლევდა, არამედ თვით ქმნიდა ეროვნულ კულტურას; გიორგი მთაწმინდელის მრავალფეროვანმა და ნაყოფიერმა შემოქმედებითმა მოღვაწეობამ შექმნა მტკიცე საფუძველი რუსთაველის ეპოქისათვის. მის სახელთან დაკავშირებულია საწყისი ჩვენი მეცნიერებისა; მის დიდ შემოქმედებითს მემკვიდრეობას აქვს არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა, არამედ დღესაც უაღრესად ფასეულია. ცხრაასი წლის მანძილზე არამცთუ არ შენელებულა ინტერესი მისი ნა-მოღვაწარისადმი, არამედ პირიქით, ახლა კიდევ უფრო მეტი სიღიადით იკვეთება მისი შემოქმედების ღირსება, თანდათან უფრო ვლინდება მისი ფასდაუდებელი ღვაწლი ეროვნული კულტურის განვითარებაში, ხოლო მისი მთარგმნელობითი ოსტატობა დღესაც განუმეორებლად სრულყოფილია.

სამშობლოსათვის დიდად ნაღვაწი გიორგი მთაწმინდელი გარდაიცვალა 1065 წ. კონსტანტინეპოლში, დაკრძალეს მთაწმინდაზე ივერიის მონასტერში.

## სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისათვის

სულხან-საბა ორბელიანის უაღრესად მდიდარ ბიოგრაფიაში ერთ-ერთი რთული და კვლავ შესასწავლია მისი გაკათოლიკების საკითხი.

სულხან-საბა ორბელიანის კათოლიკობის საკითხი დიდი ხანია იპყრობს ქართველი მკვლევრების ყურადღებას და ამიტომ ამ სფეროში შექმნილი სერიოზული გამოკვლევების შედეგად საყურადღებო დასკვნებია გამოტანილი.

სულხან-საბას გაკათოლიკების საკითხის კვლევის სფეროში ერთ-ერთი არსებითია გაირკვეს მისი ბასილიანობის პრობლემა, ამ პრობლემას კი, ჩვენი აზრით, რატომღაც ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული და ჩვენი მიზანია შევიტანოთ ზოგიერთი სიზუსტე აღნიშნულ ასპექტში.

საბას ბასილიანური ორდენის წევრობა ერთ-ერთი არსებითი მომენტია ჩვენი სახელოვანი მწერლის ბიოგრაფიისა და მსოფლმხედველობის გასათვალისწინებლად. ამიტომ ეს საკითხი საგანგებო შესწავლასა და გააზრებას საჭიროებს.<sup>1</sup>

საბას გაკათოლიკების ისტორიის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა ჩვენ ამჯერად აუცილებლად არ მიგვაჩნია, მაგრამ აღვნიშნავთ ზოგიერთ არსებით, ძირითად მომენტს. მაგ., კათოლიკე მისიონერთა მოწმობით სულხან—საბამ კათოლიკობა მიიღო ჯერ კიდევ 1687 წელს. ამ ცნობის უმართებულობა დაადასტურეს ჩვენმა მეცნიერებმა /კ. კეკელიძე, აღ. ბარამიძე, ივ. ლოლაშვილი, ი. ტაბაღაძე, გ. ლეონიძე/.

კათოლიკები, მისიონერები და ნაწილობრივ მიხ. თამარაშვილიც იგი შემთხვევაში ტენდენციურობას ამჟღავნებენ და ამა თუ იმ მოღვაწის კათოლიკებისადმი სიმპათიურ დამოკიდებულებას იაზრებენ, როგორც კათოლიკობის ოფიციალურად აღიარების ფაქტს. ეს თავისებურება შენიშნული აქვთ ჩვენს მკვლევრებს, რის გამოც აკად. გ. ლეონიძე წერდა: „შესაძლოა 1687 წ.სულხანმა გამოთქვა მხოლოდ სიმპათია კა-

<sup>1</sup> საყურადღებო დაკვირვებები აქვს პ.ი.ი. შ. ქაეთარიას. XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1977

თოლიციზმისადმი, მისიონერმა კი ეს ამბავი გადაჭარბებულად აჩვენა რომს, როგორც ნაყოფი მისი გულმოდგინებისა. ასეთ ხერხს თბილისელი მისიონერები ხშირად მიმართავდნენ ხოლმე თავისი მოღვაწეობის გასამართლებლად საქართველოში<sup>1</sup>. ამასვე აღასტურებს აკად. აღ. ბარამიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ „სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური სიძაბითები დიდხანს დასავლეთისაკენ იყო გადახრილი. ამდენადვე იხრებოდა იგი კათოლიკობისაკენ აღმსარებლობითს სფეროში. აღნიშნულ ასპექტში სარწმუნოა იოსებ ლივორნელის ცნობა. ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ სულხან ორბელიანი 1687 წლიდან დაჯერებული ან მით უფრო ხელთდასხმული კათოლიკე გახდა. სულხანი კათოლიკებს თანაუგრძნობდა და იმათდამი შემწყნარებლობას იჩენდა. ასეთი „კათოლიკენი“ იყვნენ თავის დროზე გიორგი XI, ლევანი, ქაიხოსრო, ვახტანგი<sup>2</sup>. კათოლიკე მისიონერები რომ ტენდენციურად აღიქვამდნენ მოვლენებს, ეს აშკარად ჩანს რიშარის ერთ ინფორმაციაში, კერძოდ, ის წერს: სულხან-საბამ „მონაზონად შედგომამდე თავის ძმებს დაუტოვა ერთი დიდი პროვინცია, რომელიც მისი საკუთრება იყო. იმიტომ ჰყო, რათა უფრო ადვილად აღეარებინა კათოლიკე სარწმუნოება“. ამ ცნობაზე დაყრდნობით საბას გაკათოლიკება არაა სარწმუნო, რადგან ის ორ შეუსაბამობას შეიცავს. ჯერ ერთი ბერად აღდგომის წინ ძმებისადმი მამულების დაყოფა სრულიადაც არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამის გამო ის უფრო „ადვილად აღიარებდა კათოლიკობას“. ეს გადაწყვეტილება გამოწვეული იყო საერთოდ ბერად აღკვეცით და არა კათოლიკობით. კათოლიკე იქნებოდა თუ მართლმადიდებელი ბერი, მას ერთნაირად უნდა აეღო ხელი მატერიალურ დოვლათისაგან, ქონებისაგან. ეს საერთო ქრისტიანული დოგმაა და არა მხოლოდ კათოლიკური, მეორეც კათოლიკედ კურთხეული ბერი ვერავითარ შემთხვევაში ნავთსაყუდელს ვერ პოვებდა მართლმადიდებლურ დავით გარეჯის მონასტერში, ასე რომ, რიშარის ზემოთ მოყვანილი არგუმენტები არადაამაჯერებელია.

ლდეს არცერთი მკვლევრისათვის საეჭვო არ არის რომ სულხან-საბას გაკათოლიკებას საფუძვლად პოლიტიკური მოსაზრებები ედო. საგნებით მართებულად წერს აკად. კ. კეკელიძე: „რამ გამოიწვია საბას გადასვლა კათოლიკობაში? არც ეს აქტი იყო კონფესიური ხასიათისა, ის არ იყო გამოწვეული მართლმადიდებლობის წინაშე კათოლიკობის უპირატესობის შეგნებით, ამ შემთხვევაშიც საბა ხელმძღვანელობდა პო-

<sup>1</sup> კ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1949, გვ. 80.

<sup>2</sup> აღ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, 1959, გვ. 84.

ლიტიკური მოსაზრებით. საქმე ის არის, რომ საქართველო მუდამ ექებ-და აღმოსავლეთის ბარბაროსებისაგან დამცველსა და მფარველს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც XV საუკუნეში ქრისტიანული ბიზანტია ოსმალებმა დაიპყრეს“.<sup>1</sup>

ასევე დამარწმუნებლად დადგენილი, ის ფაქტი, რომ საბა სწორედ ევროპაში გამგზავრების წინ იქნა ოფიციალურად კურთხეული კათოლიკედ და არა ადრეულ წლებში, ისიც ბერად აღკვეცამდე. მართალია, ამ დებულების დამადასტურებელი რაიმე კონკრეტული ფაქტი არაა აღმოჩენილი, მაგრამ ამ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა თვით საბას სასულიერო ხასიათის ნაწარმოებთა ანალიზი. ამ კუთხით საყურადღებო დაკვირვებები აქვს წარმოდგენილი აკად.კ.კეკელიძეს: „ფორმალურად საბა 1701 წელსაც „მართლმადიდებელია“, ამ წელს მას დაუწერია „სამოთხის კარი“, რომელშიაც არავითარი კვალი კათოლიკობისა არაა, ის წმინდა მართლმადიდებლობითი თხზულებაა. არაა არავითარი კვალი კათოლიკობისა არც მის „სწავლანში“, რომელიც ყალიბდებოდა 1698—1710 წწ. და რომელიც საკითხავი წიგნი იყო ნათლისმცემლის უდაბნოში. ამ თხზულებაში არის ერთი ქადაგება „უდროოდ და ურგებად“ სინანულისათვის, რომელშიც გაკიცხული და უარყოფილია უდროო, ე. ი. დაგვიანებული სინანული. ასეთი სინანული კათოლიკურმა ეკლესიამ არ იცის, აქ მისაღებია ყოველი დროის სინანული, არა მარტო წარსულისა თუ აწინდელისა, არამედ მომავლისაც.

საბას კათოლიკობა უნდა მიეღო ფორმალურად დაახლოებით 1713 წელს, როდესაც მან გამოაქვეყნა კათოლიკური რედაქცია „სამოთხის კარისა“. აქ უკვე პაპისტური ღოგმატები გაშიშვლებულადაა წარმოდგენილი“<sup>2</sup>.

ამასვე ადასტურებს აკად. აღ. ბარამიძე: „სულხანი დავით გარეჯის უდაბნოში ბერად აღიკვეცა როგორც ე.წ. მართლმადიდებელი ქრისტიანი. დავით გარეჯის უდაბნოში /ნათლისმცემლის მონასტერში/ შეთხზა მან „სამოთხის კარის“ პირველი რედაქცია, რომლისთვისაც უცნობია კათოლიკური აღმსარებლობის ტენდენცია. სულხან-საბა „განცხადებული“ კათოლიკე უნდა გამხდარიყო ევროპაში გამგზავრების წინ. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ „სამოთხის კარის“ მეორე რედაქცია, შედგენილი 1713 წლის პირველ ნახევარში /როდესაც სულხან-საბა ევროპაში გამგზავრებისათვის ემზადებოდა/, კათოლიკური აღმ-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. XIII, გვ. 123.

<sup>2</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1968, გვ. 452.

სარებლობის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. სულხან-საბა იმედოვნებდა, რომ მას, როგორც კათოლიკეს, მეტ ანგარიშს გაუწევდნენ რომსა და პარიზში<sup>1</sup>.

სულხან-საბა ორბელიანის გაკათოლიკების საკითხს საგანგებოდ შეეხო პროფ. ივ. ლოლაშვილი და როგორც მოსალრდნელი იყო, იგი უპირველეს ყოვლისა აანალიზებს საბას თხზულებას — „საქრისტიანო მოძღვრებას“, რომელიც ოთხი რედაქციითაა შემონახული. პირველი რედაქციის შესწავლის შედეგად პროფ. ივ. ლოლაშვილი ასკვნის: „სახელმძღვანელო შედგენილია იმ თვალსაზრისით, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო მართლმადიდებლური და კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარ ყრმათა აღსაზრდელად. იმ კითხვების განმარტებისას, სადაც საბა ორბელიანის რელიგიური ტენდენციები უნდა გამოჩნდეს, ავტორი ნეიტრალურ პოზიციაზე დგას და ისეთ განმარტებას იძლევა, რომელიც ორივე ეკლესიისათვის სადავო არ არის“<sup>2</sup>.

ეს საყურადღებო დაკვირვებაა და საინტერესო ფაქტია საბას რელიგიური განწყობილების გამოსავლენად, კერძოდ მისი ამგვარი აღსარების ნეიტრალური ფორმის გამოძებნა აშკარად მეტყველებს, რომ იგი შინაგანად კათოლიკობისადმი არის განწყობილი, თავისი პოლიტიკური გეგმების შესაბამისად დასავლეთზე აქვს ორიენტაცია აღებული და „როდესაც საბა ორბელიანი „საქრისტიანო მოძღვრების“ პირველ რედაქციას წერდა, მაშინ ის იყო ფარული კათოლიკე, რომელსაც კათოლიკური ტენდენციების აშკარა გამომჟღავნება არ შეეძლო, ვინაიდან ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მას სულწაწყმენდილად გამოაცხადებდა“. 1713 წ. ევროპაში გამგზავრების წინ „მწერალმა პირველი რედაქციის საფუძველზე დაწერა ახალი, არსებითად გადაშუშავებული თხზულება“<sup>3</sup>, რომელშიც აშკარად აყალიბებს თავის კათოლიკურ პოზიციებს; იგივე ვლინდება ივ. ლოლაშვილის მიერ შესწავლილ საბა-სულხანის ევროპაში გამგზავრების წინ შედგენილ უბის წიგნაკიდანაც.

ამ მცირე ექსკურსიდან აშკარაა, რომ საბას გაკათოლიკებას ჰქონდა არა თეოლოგიური მიზანდასახულობა, არამედ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტა. ამით აიხსნება ერთგვარი ორჭოფობა და გაუბედაობა, ერთი მხრივ, კათოლიკობის აღიარებაში და, მეორე მხრივ, მართლმადიდებლობის დაცვაში.

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, 1959, გვ. 85.

<sup>2</sup> ივ. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, 1959, გვ. 107.

<sup>3</sup> ივ. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.



ყოველივე ეს კიდევ უფრო აშკარა გახდება, როდესაც ჩაეუკვირდებიტ იმ ფაქტს, რომ საბა გახდა სწორედ ბასილიანთა და არა სხვა ორდენის წევრი. ეს ფაქტი ძით უფრო მოულოდნელია, რადგანაც საქართველოში ძირითადად მოღვაწეობდნენ ის კათოლიკე მისიონერები, რომლებიც ეკუთვნოდნენ თეათინელების, კარმელიტების, დომინიკების, ბენედიქტინების, იეზუიტებისა და კაპუცინების ორდენებს: ბასილიანთა ორდენის წარმომადგენელი არც კი ყოფილა საქართველოში, მაშ რით აიხსნება, რომ საბა სწორედ ბასილიანთა ორდენის წარმომადგენელი ხდება? ამ ფაქტის ახსნა შესაძლებელი ხდება მას შემდეგ, როდესაც გავითვალისწინებთ, თუ რას წარმომადგენდა ბასილიანთა ორდენი და ამის შედეგად კიდევ უფრო აშკარა გახდება სულხან-საბას აღმსარებლობითი პოზიცია.

უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს შემდეგი ფაქტი. სულხან-საბას რომში ჩასვლისას იმ დროის პრესაში გამოქვეყნდა ასეთი ხასიათის ცნობა: „საქართველოს თავადი, რომელიც ატარებს ბერძნული ეკლესიის ერთ-ერთ ორდენის ტანისამოსს, რომელსაც ეწოდება წმინდა ბასილ, ეს-ეს არის საფრანგეთიდან დაბრუნებული ჩამოვიდა რომში გასული თვის /ივლისის—ი.ტ./ შუა რიცხვებში; პაპმა მის შესახვედრად გაგზავნა ორი ეტლი“.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ რომში, კათოლიციზმის ცენტრში, ბასილის ორდენი ბერძნული ეკლესიის, ე.ი. მართლმადიდებლური ეკლესიის ორდენად იწოდება. თითქოს იქმნება ერთგვარი გაუგებრობა: ერთი მხრივ, კათოლიკე მისიონერები ატყობინებენ პაპს, რომ სულხანი ბასილიანთა კათოლიკური ორდენის წევრიაო და, მეორე მხრივ, იგივე რომის კათოლიკური პრესა ბასილიანებს უწოდებს მართლმადიდებლური, ბერძნული ეკლესიის წარმომადგენლებს.

ბასილიანთა ორდენი იყო ერთადერთი ორდენი, რომელიც იღწოდა აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების შეერთებისათვის, ამ მიზნით აღიარებდა იმ დოგმებს, რომელიც ამ ორ ეკლესიას საერთო ჰქონდა და ამავე დროს განმასხვავებელი დოგმების მორიგებას ცდილობდა.

საკითხი რომ ნათელი იყოს, ამისათვის უპირველეს ყოვლისა უნდა გავარკვიოთ, თუ რას წარმომადგენდა ბასილიანთა ორდენი, მართლმადიდებლობას აღიარებდა თუ კათოლიკობას?

ბასილიანთა ორდენის არსის ჩამოყალიბების შემდეგ კი აღვიღად

<sup>1</sup> ილია ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, 1972, გვ. 220.

გაირკვევა თუ რატომ გახდა სულხან-საბა ევროპაში გამგზავრების წინ, სწორედ ამ ორდენისა და არა სხვა კათოლიკური ორდენის წევრი.

ბასილიანთა ორდენი, თუ შეიძლება ითქვას, ერთგვარად გაორებული ხასიათის ატარებდა, ის აღიარებდა როგორც მართლმადიდებლურ, ისე კათოლიკური აღმსარებლობის დოგმებს.

„ბასილიანთა ორდენი მიზნად ისახავდა ბერძნულ-რუსული ეკლესიის შეერთებას რომთან. ამ ორი, ერთმანეთთან შეუთავსებელი აღმსარებლობის მომრიგებლური როლი გაუმართლებელი იყო, რადგან ეს ამოცანა თავის თავში შეიცავდა წინააღმდეგობებს“<sup>1</sup>.

ბასილიანთა ორდენის დამაარსებელი არის ვილენის წმინდა სამების მონასტრის კათოლიკე ბერი, ეროვნებით პოლონელი იოსებ ვილიამინ რუცკი. რუცკის მიზანი იყო პოლონეთში მცხოვრებ მართლმადიდებლებს შორის კათოლიკობის გავრცელება, ხოლო შემდეგ კი იმავე მიხიის შესრულება რუსეთის მართლმადიდებლებს შორის. 1617 წ. რუცკიმ თავის მონასტერში დაიწყო ახალი ორდენის ჩამოყალიბების ორგანიზაცია. გარკვეული ღონისძიებების მიღების შემდეგ 1624 წ. იგი წავიდა რომში და პაპს შესთავაზა იდეა, რომ იგი მართლმადიდებელთა შორის გაავრცელებდა კათოლიკობას; ამ იდეას, რომი, რასაკვირველია, დადებითად შეხვდა. რომში რუცკი ეთათბირა პაპს პავლე V-ს, განსაკუთრებით დიდხანს იღებდა რჩევას კარმელიტ პეტრესაგან. ამის შემდეგ ის გამოემგზავრა რუსეთში და თვით მოსკოვში იცხოვრა, რათა უკეთ გაცნობოდა აქაურ ატმოსფეროს, აღმსარებლობით განწყობილებას. რუსეთში ყოფნისას რუცკი დარწმუნდა, რომ აქ შეუძლებელი იქნებოდა ხელაღებით კათოლიკობის გავრცელება, ამ მხრივ იგი დიდ და შეიძლება დაუძლეველ წინააღმდეგობასაც გადაყროდა. ამიტომ მან უფრო შენიღბული და ელასტიური გზა გამოძებნა.

რომის პაპთან მოთათბირებისა და დასტურის შედეგად თავის მონასტერში დაბრუნებულმა რუცკიმ საბოლოოდ ჩამოაყალიბა ახალი მონაზვნური ორდენი ბასილიანებისა, რომელიც გარეგნულად შენიღბული იქნებოდა მართლმადიდებლური მხარეებით, ხოლო არსებითად კი იქნებოდა კათოლიკური, რომის პაპის მადიარებელი.

მართლმადიდებელ მორწმუნეთაგან ნდობის დამსახურების მიზნით ბასილიანთა ორდენი გარეგნული ნიშნის მიხედვით მთლიანად აღმოსავლურ — მართლმადიდებლური ეკლესიის იერს ატარებდა.

<sup>1</sup> П. Петров. Очерки истории Базиллианского ордена /Труды Киевской духовной Академии, 1870, т. 1, стр. 429/.

რუცკის მიერ ჩამოყალიბებული ახალი მონაზვნური ორდენი თავის მასწავლებლად მიიჩნევდა ბასილ დიდს და ორდენის სახელიც ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს. ახალი ორდენის წევრები შეეფარნენ ბასილ დიდის მიერ ჩამოყალიბებულ სამონასტრო წესს და ბასილ დიდის სამონასტრო წესდება იყო მათი ერთადერთი პრაქტიკული სახელმძღვანელო.

ბასილიანთა ორდენის კონსტიტუციის კოდექსში შინაგანაწესის გადმოცემისას უპირველეს ყოვლისა ჩამოყალიბებული იყო ბასილ დიდის წესდების ტექსტი, ხოლო ბოლოში დამატების სახით ბასილიანელები ურთავდნენ ახალ პუნქტებს.

ბასილიანები თითქმის ყველაფერში იცავდნენ აღმოსავლური ეკლესიის პრინციპებს: ხელმძღვანელობდნენ ნიკეის კრების სიმბოლოთი, ჩაცმულობით, ღვთისმსახურების ყველა ღებტალით, რელიგიური საიდუმლოებისა და მარხვის დაცვით მთლიანად ეყრდნობოდნენ აღმოსავლური ეკლესიის ტრადიციებსა და წესდებას. ასე რომ, გარეგნულად ბასილიანთა ორდენი აშკარად აღმოსავლური მართლმადიდებლური აღმსარებლობის იერს ატარებდა. ამიტომ ყოველი მართლმადიდებელი მისადმი ნდობით იყო გამსჭვალული და რაიმე დაეჭვების საფუძველიც კი არ ეძლეოდა.

ამასთანავე ბასილიანთა ორდენის მესვეურები მოითხოვდნენ, რომ ორდენის ახალ წევრს, აღმოსავლურ ღვთისმსახურებასთან ერთად ეღიარებინა რომის პაპი და ნიკეის სიმბოლოსთვის დაემატებინა, რომ სული წმინდა გამოდის არა მარტო. მამისაგან, არამედ „ძისაგან“. აი ეს ორი პუნქტი იყო წმინდა კათოლიკური, მაგრამ ეს ისე იყო შენიღბული გარეგნული მართლმადიდებლური სამოსით, რომ გარეშე ადამიანისაგან შეუმჩნეველი რჩებოდა.

ბასილიანთა ორდენის წევრი ყველა ნიშნის მიხედვით სამოსით, ღვთისმსახურების შესრულებისა და მარხვის დაცვით მართლმადიდებლური ეკლესიის წევრის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ხოლო ის ფაქტი, რომ ის პაპს აღიარებდა, ამის შესახებ იცოდა თვითონ მან და ორდენის ხელმძღვანელმა მოძღვარმა, გარეშე მორწმუნესათვის ეს შეუმჩნეველი რჩებოდა და მის თვალში ბასილიანთა ორდენის წევრი მართლმადიდებლის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ამიტომ ბასილიანთა ორდენის წევრად გახდომა შეუმჩნეველი რჩებოდა მართლმადიდებლური მრევლისთვის და დაზღვეული იყო ყოველგვარი უსიამოვნებისაგან.

„ორდენის ასეთი გაურკვევლობა, ან უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვით, მისი ფორმალური, გარეგნული მხარის გაბუნდოვანება, პირველ ხანებში საკმაოდ ხელსაყრელიც იყო. ბევრი მართლმადიდებელი, რომელიც ვერც კი ამჩნევდა რაიმე განსხვავებას ორდენსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის, ორდენის წევრი ხდებოდა სინდისის ყოველგვარი ქეჯნის გარეშე“.<sup>1</sup>

ამასთან ამ ორდენის წევრობა ნაკლებ საშიშროებას ქმნიდა ორთოდოქს მართლმადიდებლებისაგან.

ამრიგად, ბასილიანელი იყო შენიღბული კათოლიკე, რომელიც ფორმალურად, გარეგნული ნიშნის მიხედვით მართლმადიდებელ იერს ატარებდა, ხოლო მისი შინაგანი, კათოლიკური არსი შეუმჩნეველი რჩებოდა სხვებისათვის.

ყოველივე ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, თუ რატომ გახდა სულხან-საბა ორბელიანი ბასილიანელი. მისი მიზანი იყო, რომ ამ ერთგვარად დიპლომატიური ნაბიჯით, თავიდან აეცილებია მისადმი მტრულად განწყობილთაგან მოსალოდნელი უსიამოვნებები.

ასეა თუ ისე, ბასილიანთა ამ ორდენს არ ჰქონია უკიდურესად ორთოდოქსალური პოზიცია და მის წარმომადგენლებს მომთმენლობით ეპყრობოდა როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ეკლესია; ყოველივე ამის შემდეგ სავსებით ლოგიკურად გამოიყურება სულხან-საბას მიერ გადადგმული ნაბიჯი. მართლმადიდებლურ ეკლესიაში აღზრდილი და ამ ეკლესიის წარმომადგენელი სულხან-საბა, რომელიც გარკვეული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მიზნით ორიენტაციას იღებს დასავლეთისაკენ, აღმსარებლობით საკითხშიც დიდ დიპლომატიურ გამჭრიახობას იჩენს და იმ ორდენის წევრი ხდება, რომლის წარმომადგენლობა მართლმადიდებელს კათოლიკებთან საერთო ენის გამონახვის საშუალებას აძლევს.

სულხან-საბა ორბელიანის ბასილიანთა ორდენის წევრად გახდომა ისეთივე მოზომილი და ფრთხილი ნაბიჯია, როგორც მის მიერ დაწერილი „საქრისტიანო მოძღვრების“ პირველი რედაქცია, რომლის შესახებ ივ.ლოლაშვილი მართებულად შენიშნავს: „სახელმძღვანელო შედგენილია იმ თვალსაზრისით, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო მართლმადიდებლური და კათოლიკური სარწმუნოების მიმდე-

---

<sup>1</sup> К о я л о в и ч М. О., История Базилианского ордена, ж., Христианское чтение, 1864, № 1, стр. 18.

ვარ ყრმათა აღსაზრდელად“. ეს ტენდენცია ვლინდება როგორც სულხანის თხზულებაში, ისე ბასილიანობაშიც.

სულხან-საბა ორბელიანის ბასილის ორდენის წევრად ყოფნა გვაგონებს ამ ბრძენი კაცის შესანიშნავ არაკს „მეფე და მხატვარს“, რომელშიაც შემოდავების შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

## დაკვირვებები ანტონ ბაგრატიონისა და ნიკოლოზ თბილელის ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობაზე

ფასდაუდებელია ქართული განმანათლებლობის ერთ-ერთი დიდი თავკაცის, ანტონ ბაგრატიონის ღვაწლი ეროვნული კულტურის განვითარებაში. ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი, დიდი პოლიტიკური მოღვაწე და კულტურტირვერი, ანტონ ბაგრატიონი ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ახერხებს ღირსეული წვლილის შეტანას. სასწავლო-საგანმანათლებლო კერებისა და სისტემის შექმნის ორგანიზაციიდან დაწყებული მხატვრული შემოქმედებითა და ფილოსოფიური ნააზრევით დამთავრებული იგი ქმნის უაღრესად ფასეულ მემკვიდრეობას, რომლის შესახებ სავსებით მართებულად შენიშნავს აკად. კ. კეკელიძე: „როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ ანტონის ლიტერატურულ მოღვაწეობას, განცვიფრებაში მოვდივართ — როგორ შეძლო ერთმა კაცმა, რომელიც ამასთანავე პრაქტიკული საქმიანობით იყო დატვირთული, ამდენ თხზულებათა თარგმნა და შეთხზვა“<sup>1</sup>.

თავისი დროისათვის დიდ ერუდიტსა და მოაზროვნეს, მრავალფეროვანი ნიჭის მქონე ანტონს უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულ ჰიმნოგრაფიაში. XVIII საუკუნის ჰიმნოგრაფთა შორის ანტონი განსაკუთრებით ნაყოფიერია. მის ჰიმნოგრაფიაში გამოვლენილ სამოქალაქო მოტივებზე ჩვენ საგანგებოდ ვმსჯელობთ ადრე გამოქვეყნებულ გამოკვლევაში<sup>2</sup>, ამაჟერად კი გვინდა წარმოვადგინოთ ორიოდე დაკვირვება ანტონის ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობასთან და-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 348.

<sup>2</sup> რ. ბარამიძე, სამოქალაქო მოტივები ანტონ პირველის ჰიმნოგრაფიაში, მეცნიერებათა აკად. შობაზე, 1959 წ. № 1; ანტონის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა საგანგებოდ აქვს შესწავლილი პროფ. მ. ქავთარიას (ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII—XVIII ს ს.).

კავშირებით. კერძოდ, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ანტონის სიმბოლიკის თავისებურებაზე — კონკრეტული ფაქტის განზოგადებისა და სიმბოლური გააზრების უნარზე. ასევე ანტონის ჰიმნოგრაფიულ კრებულთა ურთიერთმიმართების ზოგიერთ ფაქტსა და ნიკოლოზ თბილელის პოეტურ მემკვიდრეობაზე.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა კავშირშია ანტონ კათალიკოსი ადრეულ ჰიმნოგრაფებთან, სანიმუშოდ განვიხილოთ აბოს საგალობელი. ზემოდასახელებულ ნაშრომში ჩვენ აღვნიშნეთ ის განმასხვავებელი ნიშნები, რითაც გამოიყოფა ანტონის საგალობელი აბოსადმი ადრეულ საგალობლებისაგან, ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მსგავსებაზე.

ანტონ კათალიკოსი, ისე როგორც სტეფანე სანანოისძე და სხვა ჰიმნოგრაფები ერთ კონკრეტულ ფაქტს უკავშირებენ მეორე მოვლენას და აძლევენ სიმბოლურ მნიშვნელობას. აბოს ხსენება დადგენილი იყო რვა იანვარს, კერძოდ, ნათლისღების დღეს. ეს გარემოება ქართველ ჰიმნოგრაფთა მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ფაქტად იქნა მიჩნეული და მისცეს განმასხვავებელი ხასიათი; მით უფრო, რომ ამის საფუძველს იძლეოდა თვით ისტორიული ფაქტი, აღწერილი იოანე საბანისძის მიერ. კერძოდ, აბოს სხეული მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ დაწვეს და ფერფლი და ძვლები ჩაყარეს მტკვარში.

როგორც სახარებიდან ცნობილია, პირველი ნათლისღება მოხდა მდინარეში. ასე რომ, აბოს სხეულის ნაშფვარის წყალში ჩაგდებაც სიმბოლურად იქნა გააზრებული, როგორც მეორედ ნათვლა. ეს ფაქტი ხაზგასმულია სტეფანე სანანოისძე ჭყონდიდელის საგალობელში:

მცხოვართა თანა ღუაწლისა მძლეო ჰაბო,  
რაჟამს შთაჰედ ემბაზსა ღუაწლისასა  
ვითარცა მხსნელი ჩუენი იორდანესა,  
და სისხლისა მას დათხვეითა განჰბანე.  
გუამი შენი, რაჟამს  
დაიკალ უწყალოდ  
მახვლითა მტერთაჲთა.

იგივეს, მხოლოდ უფრო დაკონკრეტებით იმეორებს ანტონ კათალიკოსი:

აბო ღწუ—განბრძნობილო,  
რომელმან სისხლითა შენითა,  
ქურებულ—ქაფე ეკლესია ქართველთა,  
ხოლო წყალთა შინა, შთაბნევითა  
დაწულთა ნაწეუართათა,  
ემბაზი საღმრთოა განამშენე.

როგორც ვხედავთ, საკმაო თანხვედრაა. მაგრამ ეს თანხვედრა ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს არა იმით, რომ ანტონი იმეორებს სტეფანე სანანოისძე ჭყონდიდელის (ასეთივეა მდგომარეობა სხვა ავთოგრაფებთან) ჰიპნოს, არამედ იმით, რომ თითქმის ორივენი სიტყვასიტყვით იმეორებენ ი. საბანისძეს. ასე რომ, ანტონის უშუალო წყარო უნდა იყოს სწორედ ი. საბანისძე, კერძოდ, მასთან ვკითხულობთ: „და რა ეამს განთენა მეთჳ იგი დღჳ დღესასწაულისა მის მაცხოვრისა ნათლის-ადებისაჲ. რომელ არს თუესსა იანვარსა ექუსსა, იყო დღჳ იგი პარასკევი; და თქუა ნეტარმან მან: „დიდ არს ჩემდა დღჳ ესე, რამეთუ ვხედავ ორკერძოვე ძლევასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტჳსსა, რამეთუ დღესასწაულსა ამას შთახდა მდინარესა მას იორდანისასა განშიშულებული ნათლის-ღებად და სიღრმესა მას შინა წყალთასა დამალულსა მის ვეშაჰისა თავები ძალითა ღმრთიებისაჲთა შემუსრა“<sup>1</sup>.

ანტონის ასოციაცია უფრო ფართოა, ის უფრო მეტ თანამიმდევრობას იჩენს ყოველგვარი ფაქტის სიმბოლოურად გააზრებაში. სახელდობრ, ნათლის საიდუმლოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი წყალთან ერთად არის გარკვეული სურნელების მქონე, ე. წ. მირონის ცხება. როგორც ცნობილია, ი. საბანისძე მოგვითხრობს, რომ აბო „იყო ხელოვან, კეთილად შემზავებელი სულნელთა მათ საცხებელთა“<sup>2</sup>. ამ ისტორიულ ფაქტს ანტონი სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს, სიმბოლურ მინიშნებად წარმოგვიდგენს; საერთოდ, ქრისტიანული მწერლობისათვის დამახასიათებელია კონკრეტულიდან უცბად ზოგადში გადასვლა, რეალურის უცბად მისტიურში გადაზრდა, ანტონიც ამ შემთხვევაში კონკრეტული ფაქტიდან გადადის ზოგად მოვლენაზე, მრავალმნიშვნელოვნად ამახვილებს ყურადღებას ნელსაცხებელზე:

ნელ-საცხებელი იგი,  
რომელი წარმოიცადა მდიდარ-ქმნად,  
გლახაკ-ქმნილისა ბუნებისა (მის-თჳს) წარმოსცის  
სისხლისა თჳსსა ყოელითურთ  
დღეს ქჳს მოწამე,  
რათა ბარძამი იგი ვნებისა თჳსისა აღავსოს,  
და დამტვეი სუნნელთა ყნოსისა დამმავედრებელთა,  
მოიყიდოს სულითა თჳსითა სარწმუნოებისა  
ტრფიალებითა ზავებულსა სუნნელსა და  
თანა მენათესავეთა თჳსთა თანა...

<sup>1</sup> წამება ქაბოისი, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935, გვ. 73.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 63.



ნელსაცხებლის სურნელოვანებაზე ასეთი ყურადღების გამახვილება არაა შემთხვევითი. არაანტონისებურ სახეთა სირთულით, მაგრამ გარკვეულ მინიშნებას ვხვდებით ჯერ კიდევ სტეფანე სანანოისძე ჭყონდიდელის საგალობელში:

აღვსო მან (პაპომ)

ეკლესია

ნელსაცხებელთა სუნნელებითა.

კიდევ უფრო მეტი სიახლოვე და მსგავსება შეინიშნება აბოს შესახებ ანტონისა და წინა საუკუნეების საგალობელთა შორის ცალკეული თქმების, სიტყვებისა თუ სახეების მიხედვით, მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით, რადგან ისინი ზემოთ წარმოდგენილ სურათს არ ცვლიან, მით უფრო რომ ბევრი მათგანი სტერეოტიპული ხასიათისაა და ამდენად გვხვდება საერთოდ პიპსოგრაფიულ ძეგლებში.

საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში გამოვლენილი ფაქტი—მდინარეში ნათლისღებისა და სურნელების გამოვლენისა ეხმიანება სახარებაში ფიქსირებულ მოვლენას, მისი გამოძახილია, უფრო ზუსტად, სახარების დონეზე ამდღებულ ვითარებაა, ეს კი განსაკუთრებული ეროვნული პრესტიჟის მაუწყებელია ქრისტიანული სამყაროსათვის, ესაა ხაზგასმა ჩვენი ეროვნული ღირსებისა და მისი აღიარება. ამიტომაცაა აქცენტირებული ეს ფაქტი ქართველ მწერალთა მიერ: ჯერ თვით იოანე საბანისძისაგან წამოჭრილი, ხოლო შემდეგ ანტონისაგან განვითარებული — ქრისტიანული მოძღვრების ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პოზიციის ქართული კულტურის გამოვლენასთან გააზრება ქართველთა სულიერი სიწმინდისა და ღვაწლმოსილების დადასტურებაა, რაც ანტონის პოეზიის ეროვნული ტენდენციის მკვეთრი გამოხატულებაა.

ორიოდე სიტყვით გვინდა შევჩერდეთ ანტონის ჰიმნების მიმართებაზე სადღესასწაულოში, პატერიკსა და წყობილსიტყვაობაში. ყველაზე სრულად ანტონის ჰიმნები წარმოდგენილია სადღესასწაულოში, ხოლო პატერიკსა და წყობილსიტყვაობაში სადღესასწაულოდანაა გადმოღებული თითო-ოროლა მუხლი, ისიც მხოლოდ იამბიკოები.

პატერიკში (Sმ988) თითოეული წმინდანის ცხოვრებას ეპიგრამის სახით წამმდვარებული აქვს სადღესასწაულოდან აღებული იამბიკოს ერთი მუხლი. საილუსტრაციო მაგალითი არ მოგვეყვას იმიტომ, რომ ეს წესი მტკიცედ არის დაცული და არ გვხვდება არავითარი გამონაკლისი, კერძოდ, პატერიკში არ არის არცერთი იამბიკო, რომელიც არ იპოვებოდეს სადღესასწაულოში.

იგივე გარემოებაა წყობილსიტყვაობაშიც. იქ მოთავსებული ყველა იამბიკო გადმოღებულია სადღესასწაულოდან, მაგრამ არასრულად. სადღესასწაულოში მიძღვნილი იამბიკოები უფრო ვრცელია, ვიდრე წყობილსიტყვაობაში. სხვაობა ზოგჯერ ხუთ-ექვს მუხლამდე აღწევს. წყობილსიტყვაობასა და სადღესასწაულოს იამბიკოთა მიმართებისას შეინიშნება შემდეგი ფაქტი: წყობილსიტყვაობაში გვხვდება ყველა ის იამბიკო, რომელიც არის სადღესასწაულოში, ზოგიერთ შემთხვევაში წყობილსიტყვაობაში სადღესასწაულოდან ყველა არც კია გადმოტანილი (მხედველობაში გვაქვს იამბიკოები ერთი და იგივე წმიდანის შესახებ), მაგრამ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც წყობილსიტყვაობის იამბიკოს არ იცნობს სადღესასწაულო.

მაგ. ექვთიმე და გაბრიელისადმი მიძღვნილი შემდეგი ორი იამბიკო უცნობია სადღესასწაულოსათვის:

ანგელებრ კაცთა მატ, ოდეს აკუდინენ ხორცნი,  
დოდ მღვთომ წმიდაო, ამით იქმენ ბრძენ საღმრთო  
ვინათჳან ხარ შენ, შიარე კეთილისა  
ცეცხლი შინაი, აქვე ყოლ აღანთენ  
ჰსჯულს ხორცთა ხარ ზეს, მამაო იოანე.

გონება ჰსწმიდე, ჰსწმიდე, ქმენ უბრყლო სარკე,  
აბრწყინუჲ ხედუა, აელუჲ იგი საქებ  
ბრძენო გაბრილო, ვინა ზღუათაცა ზედ მღვთო,  
რომლითა ღუთის ღედას, სახე განიკუთერო,  
იოანე, ლატრიით ძღუნის მრთმელობ აწ.

აქ აკროსტიხია და იკითხება: „გაბრიელს ვაქებ მე აწ“. წინა ოთხი იამბიკო საერთოა სადღესასწაულოსა და წყობილსიტყვაობისათვის. ეს გარემოება გვაეარაუდებინებს, რომ ანტონმა გადმოიტანა რა წყობილსიტყვაობაში იამბიკოები სადღესასწაულოდან, შემდეგ ცალკეულ შემთხვევაში განავრცო წყობილსიტყვაობის იამბიკოები.

წყობილსიტყვაობის შეჯერებამ სადღესასწაულოსთან გამოავლინა, რომ სადღესასწაულოს იამბიკოები საგრძნობლად ავრცელებენ წყობილსიტყვაობის იამბიკოებს, ამიტომ გამოსაცემად მომზადებულ წყობილსიტყვაობის ტექსტს (წყობილსიტყვაობა, 1972, მეცნიერება) დამატებისა და სქოლიოების სახით დართული ჰქონდა სადღესასწაულოს იამბიკოები, მაგრამ ფორმათა სიმცირის გამო ვერ მოხერხდა მისი დასტამბვა.

საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ანტონის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა შორს სცილდება ლიტურგიკულ დანიშნულებას. მისი ჰიმნები

რელიგიურ იდეებთან ერთად გამსჭვალულია ღრმა ეროვნული ტენდენციებით, რომელნიც ეხმაურებიან თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს, რაც გამოხატულებას პოულობს როგორც მომხდურ მტრებთან ბრძოლისაკენ მოწოდებაში, ისე ქვეყნის საგანმანათლებლო-კულტურულ მშენებლობისათვის ზრუნვაში. ასეთი ღრმა იდეური შინაარსით გამსჭვალული ჰიმნები გადმოცემულია შესატყვის მაღალ პოეტურ ფორმაში და მჭიდრო კავშირშია საერო მწერლობასთან, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა თვით ჰიმნოგრაფიის ჟანრული სპეციფიკა. ანტონი, ერთი მხრივ, მჭიდროდაა დაკავშირებული მდიდარ ქართველ ჰიმნოგრაფებთან, აგრძელებს მათ ტრადიციას და, მეორე მხრივ, განიცდის რა თანამედროვეობის ცხოველმყოფელ ზეგავლენას, ეხმაურება რა ეპოქის მოთხოვნილებებს, გარკვეულად ამდიდრებს ჰიმნოგრაფიულ ჟანრს როგორც იდეური შინაარსის სიფართოვით, ისე გამოსახვითი ხერხების მრავალსახეობით. ამიტომ მისი ჰიმნები წარმოადგენენ შემდეგმ საფეხურს ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების ისტორიაში.

მეორე ჰიმნოგრაფი, რომელიც გამოირჩევა მე-18 ს-ში თავისი ნაყოფიერებით, არის ანტონის უფროსი თანამედროვე (1672—1735) ნიკოლოზ თბილელი. მართალია ნ. თბილელი არ არის ანტონსავით ფართო დიაპაზონის ჰიმნოგრაფი, მაგრამ ანტონის შემდეგ (მხედველობაში გვაქვს არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა) ის აღორძინების ეპოქის ჰიმნოგრაფთა შორის გამოირჩევა განსაკუთრებული სიმდიდრითა და მაღალპოეტურობით.

ნ. თბილელმა ანტონზე რამდენიმე ათეული წლით ადრე შეადგინა ყველა ქართველ წმინდანთა საგალობლები, ამ მხრივ ანტონი მისი მოწაფეა. ჯერ კიდევ ნ. თბილელთან ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში ვხვდებით ეროვნულ საკითხზე ყურადღების გამახვილებას, რასაკვირველია, არა ისეთი სიღრმითა და ფართო მასშტაბით, როგორც შემდეგ ანტონმა განავითარა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, თბილელთანაა აღნიშნული საკითხი წამოჭრილი და ეპოქის მოთხოვნილების შესაბამისად დაყენებული. პირველმა მან მოიყვანა სისტემაში ქართველ წმიდანთა ხსენება საგალობლებით.

გამეორების თავიდან აცილების მიზნით აღარ შევჩერდებით ნ. თბილელის იმ იამბიკოებზე, რომლებიც ეროვნული იდეით არიან გამსჭვალულნი, მით უფრო რომ ეს საკითხები არ არიან იმ სიმაღლეზე და გაქანებით დაყენებული, როგორც მას ადგილი ჰქონდა ანტონთან, აღნიშნავთ მხოლოდ ნ. თბილელის პოეზიის ერთ მეტად მნიშვნელოვან

მხარეს, რომელიც განსაკუთრებულ გაქანებას აძლევს მის პოეზიას და რომელიც სათავეს პოულობს ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში და გარკვეული ტრანსფორმაციით წარმოდგა შემდეგ დ. გურამიშვილთან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მთლიანი საქართველოს იდეა. ნ. თბილელი ილაშქრებს ვიწრო კუთხური, თემობრივი კარჩაკეტილობის წინააღმდეგ და ერთიანი საქართველოს კულტურულ აყვავებას უმღერის. ამიტომაც, რომ ქართული კულტურის მოამაგეთა ნამოღვაწარი გაახრებული აქვს როგორც უადრესად დიდი საქმე, რომელიც ხელს უწყობს მთელი საქართველოს ცივილიზირებას და ასეთი მოღვაწენი სიამაყენი არიან არა კონკრეტულად იმ კუთხისა, ტომისა, სადაც ისინი დაიბადნენ, არამედ მთელი ქართველი ერისა. ეს შესანიშნავად აქვს გამოთქმული ექვთიმე ათონელისადმი მიძღვნილ იამბიკოში:

ოქრო ნილოსით, მრწყუჭლი სიბრძნით ქართუჭლთა,  
ღრმა — გამოშეტუვ, კახანთ მინდორ მყოფელი,  
მესხთა მთიები, იმერთა მოივარი,  
მზე გურიელთა, ოდიშართა ცისკარი,  
სუნთა, აბხაზთა, ლიფლიფი კახო-ნათელი.

ნიკოლოზის თქმით, ექვთიმე ყოველი ქართველი ტომის სიამაყეა, რადგან ის ემსახურებოდა მთლიან საქართველოს, კერძოდ, ის იყო „მრწყუჭლი სიბრძნით ქართუჭლთა“. ასე მკვეთრად, რელიეფურად წარმოდგენა ერთიანი, ერთის სიცოცხლით მცხოვრები საქართველოსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სწორედ იმ ავბედობის ეპოქაში, როდესაც „ქართველების აღმა ხნული, კახელებმა დაღმა ფარცხეს“. რაც უფრო მნიშვნელოვანია, საქართველოს მთლიანობის იდეას ნ. თბილელი ხაზს უსვამს არა მარტო სამწერლობო, კულტურული ცხოვრების, არამედ პოლიტიკურ სფეროშიც. გარეშე მტრებთან ბრძოლა წმინდა მოვალეობა არაა ცალკეული რომელიმე ტომისა თუ კუთხისა, კერძოდ იმისა, რომელსაც პირველად მიაღგება მტერი, არამედ მთელი ქართველი ერისა, რათა დაიცვან მთლიანი საქართველო. ამიტომაც, რომ მტრებთან ბრძოლაში გამორჩეული გმირი ნ. თბილელს მიაჩნია არა კონკრეტული კუთხის შვილად, არამედ საერთოდ, ეროვნულ გმირად, რადგანაც სპარსელები იქნებოდნენ თუ არაბები, ლეკები თუ თურქები ებრძოდნენ არა რომელიმე კუთხეს, ტომს, არამედ ამაბუნებდნენ მთლიან საქართველოს და მათ წინააღმდეგ მებრძოლი კახელი თუ იმერელი იყო საქართველოს მთლიანობის სადარაჯოზე მდგომი გმირი. სწორედ ამის გამო მიმარ-

თავს ნ. თბილელი არგვეთის (იმერეთი) მთავრებს დავითსა და კონსტანტინეს: „იმერთ, ამერთ მნათობნი ქართუჴლთანი“.

ასეთ ასპექტში საკითხის დაყენება, იმ დროისათვის ამ მეტად მტკივნეული საკითხის ასე რიგად გადაჭრა, განსაკუთრებულ ზემოქმედებით ძალას ანიჭებდა ნ. თბილელის პოეზიას თანამედროვეთათვის. ასე მკვეთრად ხაზგასმა და ქადაგება ერთიანი საქართველოს იდეისა უაღრესად დიდ მიზნებს ემსახურებოდა შინაური აშლილობის იმ აუბედით ეპოქაში. აღნიშნული თვალსაზრისის განვითარება ნიშანდობლივია ნ. თბილელის პოეზიისათვის, რითაც ის განსხვავდება მისი თანამედროვე ჰიმნოგრაფებისაგან ეროვნული საკითხის დასმასა და გადაჭრაში, ამიტომაც საგანგებოდ შევჩერდით ნ. თბილელის ჰიმნების მხოლოდ ამ მხარეზე.

ნ. თბილელის ჰიმნები ძირითადად, ორიოდე გამონაკლისის გარდა, დაწერილია იამბიკოებით, რომელთა შორის გვხვდება რითმიანი იამბიკოებიც. მაგალითად, იამბიკო იესე წილენელზე:

უფსკრულ განუცდელ, ღღეს ქართლისა მენიშე,  
დიდი მთიები, ეპისკოპოსი იესე,  
უხუად მწყურნებ-ყოფს, მუხრანს გუალულს სხუმიესე,  
ქსანს ჟჳწროთხით ითრევს მომღღენდელად რუოსე,  
მტუჳრს წილკანს დაჳყრის, აღისახლებს ჴეცისე.

თუმც რითმები ერთგვარად ხელოვნურ იერს ატარებენ, მაგრამ არის გარკვეული ცდა იამბიკოში რითმის შეტანისა. მხატვრობის თვალსაზრისით უფრო ემოციურია ორიოდე ალიტერაციული სტროფი ნ. თბილელის იამბიკოებში: აბო თბილელს მიმართავს:

სხუად. მტუჳრი მტუჳრსა, ტრფილისამე აბო.

აღნიშნულ სტროფში ბგერა ტ-ს სამგზისი გამეორება განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას და თითქოს ამზადებს მკითხველს. მომღღენო სტრიქონში „ტ“ ბგერის მკვეთრად გამოყოფით ასოცირება ხდება მტკვარისა, სადაც ჩაიჳარა აბოს ფერფლი.

ალიტერაციათა შორის მხატვრობით გამოირჩევა იოანე ჴედანელისადმი მიძღვნილი იამბიკოს უკანასკნელი სტრიქონი:

ჴედა-ჴენს კობედ, ჴენად-ჴეცისა იდგამს.

ხუთსიტყვიან სტრიქონში ჴე-ს ოთხგზისი გამეორება მართლაც ქმნის ჴეადმაველობის განწყობილებას, რასაც ისახავს მიზნად ავტორი.

როგორც ვხედავთ, მე-18 ს-ის ორი დიდი ჰიმნოგრაფის ნ. თბილელისა და ანტონ კათალიკოსის პოეზია მრავალმხრივ იჳყრობს ყურადღებას. მე-18 ს-ის მდიდარი საერო პოეზიის გვერდით სასულიერო პოე-

ზიაც გამოხატავს ეპოქის მოთხოვნილებებს, ეხმაურება ცხოვრების მიერ დაყენებულ საჭირობოროტო საკითხებს.

მრავალსაუკუნოვანი ჰიმნოგრაფიული ტრადიციის დაცვასთან ერთად და საერო მწერლობასთან უშუალო კავშირის შედეგად ანტონ კათალიკოსისა და ნ. თბილელის ჰიმნები გამდიდრებულია ახალი მოტივებით, იდეური შინაარსის ფართო გააზრებითა და გამოსახვითი ხერხების მრავალფეროვნებით.

ყოველივე ამის შემდეგ უმართებულოდაც მიგვაჩნია მოსაზრება, თითქოს სასულიერო პოეზია ატარებდეს მხოლოდ დოგმატიკურ-თეოლოგიურ ხასიათს, ამოიწურებოდეს ლიტურგიკული დანიშნულებით, მაშინ როდესაც ქართველი ჰიმნოგრაფები თავიანთ შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობენ ეროვნულ საკითხებს, ემსახურებიან და ეკლესიის ამბიონიდან მოუწოდებენ როგორც მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისაკენ.

# ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელის ჰომილექტიკური მემკვიდრეობა

(ტექსტების საკითხი)

ჩვენამდე მოღწეულია ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელის საკმაოდ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა: საქართველოს ხელნაწერთა საცავებში მრავლადაა დაცული ანტონის ქადაგებათა ტექსტები. განსაკუთრებული სრული სახით ისინი მოიპოვებიან მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ანტონის ქადაგებები ერთხელაა გამოცემული. იგი გამოსცა თ. ჟორდანიამ 1898 წ. ქუთაისში. თ. ჟორდანიას მიერ გამოცემული ანტონის თხზულებათა კრებული მოიცავს 34 ქადაგებას.

გამოცემისადმი წამდგარებულ წინასიტყვაობაში თ. ჟორდანიამ აღნიშნავს, რომ ის ეყრდნობოდა სამ ხელნაწერს: „წინამდებარე ქადაგებანი ჩვენ დავბეჭდეთ სამი ხელნაწერთი: ერთი ხელნაწერი გრიგოლ დადიანისა, დაწერილი 1852 წ., რომელიც დიდად გადამახინჯებული აღმოჩნდა. მეორე ხელნაწერი კნ. ნატალია აღმასხან ნიჟარაძის ასულის ერისთავისა, გადაწერილი 1846 წლის ახლო ხანებს, რომელიც გადმოგვცა ჩვენ ილია ჭყონიამ და მესამე ჩემი ხელნაწერი, გადაწერილი 1842 წელს. ორი უკანასკნელი ხელნაწერი უფრო სრული და სწორი აღმოჩნდა. ამ სამივე ხელნაწერ ქადაგებათა შემოწმებით აღდგენილ იქნა ტექსტი ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებათა, როგორც აწ იხილევების“.

ხელნაწერთა დეტალურმა შესწავლამ ნათელყო, რომ ამ ცნობაში ზოგიერთი რამ დასაზუსტებელია; კერძოდ, გამოცემა არც ერთ ამ ხელნაწერს არ ეყრდნობა. ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა ხელნაწერთა ინსტიტუტში მიგვეკვლია სწორედ ის ხელნაწერი, რომელსაც სიტყვასიტყვით მისდევს გამოცემული ტექსტი. ესაა H-77.

ამ ხელნაწერში, ისევე როგორც გამოცემაში, 34 ქადაგებაა. ამ ხელნაწერის ტექსტებს არშიებზე მისდევს შენიშვნები წითელი მელნით.

ასევე წითელი მეღვინით არის ჩასწორებები თვით ტექსტში. პუნქტუაცია და აბზაცის ნიშნებიც იმავე მეღვინითა და ხელითაა შესრულებული. ყველა გასწორება ზუსტად არის დაცული გამოცემაში. აშკარაა, რომ ტექსტი დაბეჭდილია სწორედ ამ ხელნაწერში წითელი მეღვინით შეტანილი შესწორებებით. ასევე ქადაგებათა რაოდენობა, დასათაურება და თანმიმდევრობაც ზუსტად იგივეა, რაც თ. ჟორდანიას გამოცემაში. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ არც ერთ სხვა ხელნაწერში არაა ქადაგებათა რაოდენობა, დასათაურება და თანამიმდევრობა ისეთი სახით, როგორც ეს არის თ. ჟორდანიას გამოცემაში და ზემოთ დასახელებულ ხელნაწერში.

H-77 სწორედ ის ხელნაწერია, რომელზე დაყრდნობითაც გამოსცა ტექსტი თ. ჟორდანიამ. ეს ჩანს ხელნაწერის ბოლოში დართულ თ. ჟორდანიას ხელით შესრულებული მინაწერებითაც. მაგ., „აქამდე, მეტი არ დაბეჭდო“ (მინაწერი I). „მთლად ამ წიგნის დაბეჭდვა დაჯდება 1500 ცალი 380 მან. თ. ჟორდანია (ხელს აწერს, მინაწ. II). მინაწერი III—„წიგნი ესე ვპოვე და ვიყიდე 1902 წ. მაისის 27—სა დღესა ქალაქ ქუთაისში, როდესაც ბესარიონ მღვდელმთავარის ქონება გაიყიდა“.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს ხელნაწერი (H-77) უნდა იყოს თ. ჟორდანიას ის საკუთარი ხელნაწერი, რომელსაც ასახელებს გამოცემის წინასიტყვაობაში—„მესამე ჩემი ხელნაწერი“, ხოლო ამ ხელნაწერში შეტანილ გასწორებებს ახდენს სხვა ხელნაწერთა წაკითხვების მიხედვით, უპირველეს ყოვლისა იმ ორი ხელნაწერის მიხედვით, რომელთაც იხსენიებს გამოცემის წინასიტყვაობაში.

ამრიგად, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული H-77 ხელნაწერი უნდა იყოს ის სამუშაო ცალი, რომელშიც თ. ჟორდანიამ გამართა ტექსტი და რომელიც ჩააბარა სტამბაში გამოსაცემად. სწორედ ამ ხელნაწერის მიხედვით დაიბეჭდა ანტონის ქადაგებები.

რაც შეეხება წინასიტყვაობის ზოგიერთ უზუსტობას ხელნაწერთა შესახებ, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ეს წინასიტყვაობა აღრევე ჰქონდა დაწერილი, ასევე აღრევე ჰქონდა ტექსტიც გამზადებული გამოსაცემად, რადგან წინასიტყვაობა და გამოცემა შეცდომით აღრეულადაა დათარიღებული—1898 წ.

აღრე გამოცემა ალბათ არ მოუხერხდა, შემდეგ, ე.ი. 1902 წელს, შეიძინა ბესარიონ მღვდელმთავრისეული (H-77) ხელნაწერი, რომელშიც ტექსტები უფრო გამართულად და მისაღებად მიიჩნია, და ამ ახალ ხელ-



ნაწერზე დაყრდნობით დაბეჭდა ანტონის ქადაგებები. ეს გამოცემა, რასაკვირველია, უნდა განხორციელებულიყო 1902 წლის შემდეგ. ამდენად, თარიღი, რომელიც გამოცემას აზის — 1898 წ., ირავა ზუსტი.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მოსაზრებით, გამოცემულ 34 ქადაგებათა გარდა, „როგორც თ. ჟორდანიას ამბობს, კიდევ არსებობს მეორე კრებული დიდმარხვის დღეებში წარმოსათქმელ ქადაგებათა, რომელთა დაბეჭდვა მას ვერ მოუსწრია“.

რასაკვირველია, თ. ჟორდანიას მოწმობაში ეჭვის შეტანის საფუძველი ჩვენ არ გავიანჩია. არაა გამორიცხული, რომ მართლაც არსებობდა მეორე კრებულიც, ამ მოსაზრებას ისიც უნდა უჭერდეს მხარს, რომ ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა მიგვეკვლია ერთი ქადაგებისათვის, რომელიც თ. ჟორდანიას გამოცემაში არაა და აქამდე სამეცნიერო ლიტერატურაშიც არ არის ცნობილი. ამის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი, მაგრამ რაც შეეხება დღემდე უცნობ ქადაგებათა კრებულს, გულდაგულ ძიების მიუხედავად, მათ კვალს ჯერჯერობით ვერ მივაგენით.

ამასთან დაკავშირებით, ვარაუდის სახით გვინდა გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრება. სხვადასხვა ხელნაწერში ანტონის ერთი და იგივე ქადაგება სხვადასხვა სათაურითაა წარმოდგენილი, განსხვავებულია ქადაგებათა თანმიმდევრობა და ტექსტების დასაწყისი სტრიქონები. მაგ., გამოცემისა და ხელნაწერი H-77-ის მიხედვით ქადაგებათა ტექსტებს აქვთ ერთი და იგივე სათაური, ხოლო ხელნაწერ H-2014-ში განსხვავებული სათაურებია. აი რამდენიმე ნიმუში:

გამოცემა H-77

და H-2014

1. „მკუდართა აღდგომისათვის“

„განცხოველებისათვის“.

2. „მოწყალებისათვის“

„მშვიერთა და გლახაკთა პატივისცემისათვის“.

3. „ისმინე ცაო და ყურად იღე ქუჭყანაო“

„ანგელოზთა და კაცთა სმენისათვისა — 1163

4. „სიძვისათვის“ —

„ქალწულობისათვის“ და ა. შ.

როგორც ვთქვით, განსხვავებულია არა მარტო სათაურები, არამედ ქადაგებათა თანმიმდევრობაც, პირველი დასაწყისი აბზაციც. ყოველივე ამის გამო გვიჩნდება ვარაუდი, რომ ეს განსხვავებული სათაურებისა და დასაწყისების მქონე ქადაგებები, შეიძლება ერთი შეხედვით გააზრებული იყო, როგორც სხვა ქადაგებები, ხოლო თვით ტექსტის გაცნო-

ბამ გამომცემელი დაარწმუნა, რომ ისინი იგივე ქადაგებები იყო, რომელიც გამოსაცემად გააშხადა, და ამიტომ აღარ გამოსცა შეცვლილი სათაურის მქონე ფაქტიურად იგივე ტექსტი. ამას ისიც უჭერს მხარს, რომ, როგორც აღვნიშნეთ, გამოსაცემად გაშხადებულ ტექსტს ახლავს თ. ჟორდანიას კატეგორიული ხასიათის მინაწერი: „აქამდე, მეტი არ დაბეჭდო“. რა არის ეს მეტი? ან რატომ არ უნდა დაბეჭდონ? ამაზე ვგონებ შეიძლება გავცეს შემდეგი პასუხი, რომ ეს „მეტი“ არის სწორედ სათაური და დასაწყის შეცვლილი იგივე ტექსტები, რომელთა ხელ-ახლა გამოცემა, ბუნებრივია, გაუმართლებელი იქნებოდა.

## გ. წერეთელი — ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი

XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსი მწერლები გვიზიდავენ არა მარტო ღრმა აზროვნებით, საფუძვლიანი ცოდნით, არამედ ინტერესთა მრავალფეროვნებითაც. ისინი მწერლობისა თუ მეცნიერების საკითხებზე მუშაობასთან ერთად საოცრად ბევრ ენერგიასა და დიდ დროს ანდომებდნენ როგორც ქალთა ჭრა-კერვის სასწავლებლის, ისე სათავადაზნაურო ბანკის დაარსებას; ისინი წერილებს წერდნენ არა მარტო იმ დროის ურთულეს სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებზე, არამედ უადრესად ვიწრო, კონკრეტულ და თითქოს უმნიშვნელო საკითხებზე, როგორცაა მევენახეობა-მებოსტნეობის მოწესრიგებისა თუ ტყეებით სარგებლობის საქმე. თითქოს გაუგებარია, რატომ „ცდებოდნენ“ ამ „პატარა საკითხებით“ „განდეგილისა“ და „მინდიას“, „ბაში-აჩუკისა“ და „პირველი ნაბიჯის“ ავტორები. ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო იმიტომ იყო მათი დაკვირვებისა და ზრუნვის საგანი, რომ მათ წინაშე იდგა ერთი არსებითი პრობლემა, ეროვნული პრობლემა. მათი აზროვნების საგანი იყო ერი, მისი თავისუფლება, მისი კეთილმდგომარეობა; ხოლო ქვეყნის აღორძინებისათვის ერთნაირად აუცილებელია, როგორც ვიწრო სამეურნეო-პრაქტიკული საკითხების მოწესრიგება, ისე რთული კულტურულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრა. გაღვიძების გზაზე დამდგარ ერს კი ჯერ კიდევ არ ჰყავდა მეცნიერები და ცალკეული დარგის სპეციალისტები. ამიტომ ქართველმა მწერლებმა თავის თავზე აიღეს დიდი მისია, ნაყოფიერ მხატვრულ-შემოქმედებით მუშაობასთან ერთად, არ ზოგავდნენ დროსა და ენერგიას, რათა მოეწესრიგებინათ სამეურნეო საკითხები, განეხილათ მათი მეცნიერება და, მართლაც, ქართველი კლასიკოსი მწერლები იყვნენ აგრეთვე, იმ დროის მეცნიერებიც. მეცნიერულ გამოკვლევებს ვხედავთ როგორც ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, ასევე გ. წერეთლის ნაწერებშიაც.

გ. წერეთელს მეტად საინტერესო მოსახრებები აქვს გამოთქმული როგორც, საერთოდ, ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში, ისე, კერძოდ, ძველი ქართული მწერლობის საკითხებზე<sup>1</sup>.

გ. წერეთელმა ღრმად შეისწავლა ძველი ქართული მწერლობა და დაწერა ანგარიშგასაწვეი წერილები როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობის შესახებ. მას უყურადღებოდ არ დარჩენია ჩვენი ძველი მწერლობის არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა დაწყებული ორიგინალური ქართული აგიოგრაფიითა და გათავებული დ. გურამიშვილის შემოქმედებით.

1893—95 წწ. გ. წერეთელმა ჟურნალ „კვალში“ მოათავსა წერილების მთელი სერია ორიგინალური ქართული აგიოგრაფიის შესახებ. მას მიმოუხილველი არ დარჩენია იმ დროისათვის ცნობილი არც ერთი აგიოგრაფიული ძეგლი. აღნიშნულ ჟურნალში ათავსებს წერილებს შუშანიკის, ევსტათი მცხეთელის, აბოს, გობრონის, არჩილის, დავით და კონსტანტინეს „მარტვილობათა“ და „ნინოს ცხოვრების“ შესახებ.

ქართველ „მოწამეთადმი“ მიძღვნილ წერილებში გ. წერეთელი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას აგიოგრაფიულ ძეგლებში წარმოდგენილ პატრიოტულ მოტივზე. ამა თუ იმ ნაწარმოების შინაარსის ზოგადად და მეტად პოპულარული ენით გადმოცემის შემდეგ, გ. წერეთელი ხაზს უსვამს ეროვნულ გმირთა მამულიშვილურ მოღვაწეობას. ყველა წერილი გამსჭვალულია ერთი მიზანდასახულობით — გარდასულ გმირთა საშობლობოსადმი თავგანწირულობის ჩვენებით გაადვივოს ეროვნული გრძნობა თანამედროვეთა შორის.

გ. წერეთელი გობრონის, არჩილისა თუ სხვა მოწამეთა ნამოღვაწარის აღწერის შემდეგ, მკითხველთა ყურადღებას ამახვილებს თანამემამულეთა იმ ღიდ ბრძოლისუნარიანობაზე, რომელსაც ისინი იჩენდნენ მომხდურთა მიმართ: „მეთე საუკუნის დამდეგს არაბები მეოთხედ შემოესიენ საქართველოს. მაშინ მთელი აზიის ქვეყნები და სახელმწიფოები უკვე შეხქვეშ ამოღებული ჰქონდა მაჰმადის სარწმუნოებას. მხოლოდ ერთი საქართველო გადარჩა. ვერც ტანჯვა-წვალებამ, ვერც აუტანელმა ხარჯმა, ვერც მუფეთა მოკვდინებამ ვერ გასტეხა საქართველოს ერი, ვერ შეარყია მისი სარწმუნოება, ვერ აცვლევინა ფერი მის ეროვნებას, სარწმუნოება გვარს ამაგრებდა და გვარი სარწმუნოებას“. ქარ-

<sup>1</sup> გ. წერეთლის ლიტერატურული წერილები საფუძვლიანადაა გაანალიზებული პროფ. ლ. მენაბდის წიგნში „XIX საუკუნის კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა“, 1973, გვ. 218 — 245.

თველთა შორის შინაგანი ეროვნული რწმენის განმტკიცების მიზნით, დაპირისპირების ხერხს მიმართავს. ჯერ წარმოგვიდგენს არაბთა მიერ ისეთი დიდი სახელმწიფოების დამარცხებას, როგორც ბიზანტია და სპარსეთი იყო. შემდეგ აღნიშნავს, რომ თვით ასეთმა ძლიერმა მტერმა ვერ მოსპო ჩვენი ქვეყანაო: „არაბებთან ბრძოლაში ბიზანტიის იმპერია მოუძღვრდა, მთელი სპარსეთი არაბული ცხენების ფეხებმა გაჯეგრეს, მისი სარწმუნოება დაითრგუნა, მისი ეროვნება მაჰმადიანად გადაიცვალა და ხალხი გადაგვარდა. მხოლოდ საქართველოს ვერ მოუხერხეს რა“ („კვალი“, 1893, № 47).

გ. წერეთელი სასულიერო მწერლობის ანალიზს ახდენს გარკვეული თვალსაზრისით. მისი აზრით, აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა იდეური შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ქართველმა აგიოგრაფებმა სარწმუნოებრივ საფარ ქვეშ განავითარეს ეროვნული საკითხები და ამიტომაც გ. წერეთელი აღნიშნული მწერლობის მიმოხილვისას განსაკუთრებულად მკვეთრად გამოჰყოფს და ავითარებს მათში მოცემულ ეროვნულ ტენდენციებს. ამასთანავე, გიორგი წერეთელი ხაზს უსვამს ქართულ მწერლობაში სომეხთა და ქართველთა მეგობრობის გამოხატველ იდეას. ის მრავალი ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე ამტკიცებს, რომ ისტორიულად სომეხები და ქართველები ერთიანდებოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. კერძოდ, „გობრონის წამების“ გარჩევასას გ. წერეთელი წერს „საქართველოს და სომხეთის მეფეებს, ადარნასეს და სუმბათს, განსრახვა ჰქონდათ, აბულკასიმი თავისი ჯარით შუაში მოემწყვდიათ. დასავლეთიდან ადარნასე უნდა მოდგომოდა ჯარებით, ხოლო აღმოსავლეთით მეფე სუმბათს უნდა აებუნტებინა სომხეთის ერი.“

გ. წერეთელმა თავისი წერილებით შექმნა მოკლე, ერთგვარად კონსპექტური კურსი ძველი ქართული მწერლობის ისტორიისა. ის შეეხო ძველი ქართული მწერლობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან წარმომადგენელს, დაწყებული აგიოგრაფებით და გათავებული დ. გურამიშვილით. გ. წერეთელი განსაკუთრებით ხშირად უბრუნდება „ვეფხისტყაოსანს“. არა ერთგზისაა გ. წერეთლის ფიქრისა და მსჯელობის საგანი შოთა რუსთაველის ეს დიდი ქმნილება.

„ვეფხისტყაოსანი“ გ. წერეთელს, სრულიად მართებულად, მიაჩნია როგორც შედეგი, ერთი მხრივ, ძველი ქართული მწერლობის მდიდარი ტრადიციების განვითარებისა და, მეორე მხრივ, იმდროინდელი მსოფლიო კულტურის შერწყმის გვირგვინი. აი როგორ აყალიბებს აღნიშ-

ნულ დებულებას ჩვენი მწერალი: „თამარის დროს ძველი კლასიკური, არაბული და ირანული კულტურა შეერთდა ერთ დიდებულ ნაკადთ, რომელმაც მიიღო თავისებურება ნაციონალურ ნიადაგზე და ამის გამო განვითარდა ქართული უმწვერვალესი კულტურა“.

გ. წერეთელი შ. რუსთაველის დიდ დამსახურებას ხედავს იმაში, რომ ამ უკანასკნელმა დააღწია თავი აღმოსავლურ ფანტასტიკურობას და ზღაპრულის ნაცვლად ასახა რეალური ცხოვრება: „რუსთაველის თხზულებაში უზარმაზარი ვეშაპების და მგელ-კაცების უმსგავსო სურათებს ვერ იპოვნით“, ამის ნაცვლად „ვეფხისტყაოსანში“ ვხედავთ რეალურ აღამიანებს, აღამიანური განცდებით. გ. წერეთლის დაკვირვებით რუსთაველმა „დახატა მაშინდელი ყოფა-ცხოვრება, ჩვეულება, ხასიათი და განსაკუთრებით ღრმით არის გამოკვლეული კაცის გულის თქმა და სულის კვეთება“.

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი ხაზს უსვამს „ვეფხისტყაოსნის“ რეალიზმს, ეროვნულობასა და ღრმა ფსიქოლოგიზმს. „ვეფხისტყაოსნის“ ამ არსებითი მხარეების მიგნებით ძირითადად ჩამოყალიბებულია რუსთაველის ქმნილების დედაარსი. გ. წერეთელი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას პუმიანოზზე. სიყვარული და მეგობრობა მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ ხერხემლად. „რუსთაველმა, — წერს გ. წერეთელი, — აღიჩინა თავის თხზულების საგნად უმანკო გრძნობით გაცხოველებული სიყვარული“. ხოლო ავთანდილის თავგანწირული მეგობრული გრძნობის შესახებ იქვე დასძენს: „ამ მაღალს თავგანწირულობას დიდი ზემოქმედება აქვს მკითხველის გონებაზე. ის უღვიძებს მკითხველს მაღალს გრძნობას და სწვრთნის იმის ზნეს“.

გ. წერეთელმა ერთერთმა პირველმა მოგვცა „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა დახასიათება. იგი ტარიელს ახასიათებს როგორც ჭარბი გრძნობისაგან ნებელობადაკარგულ აღამიანს — „აქ რუსთაველის მაღალ-ზნეობრივმა გამოხატულებამ გვიჩვენა ნამდვილი კაცი, რომლის ზნეობითი სიდიდე და დამცრობა უმეტეს ნაწილად გარემოებაზეა დამოკიდებული“.

„მეორე გმირი ავთანდილი, — წერს გ. წერეთელი, — სრულებით არა ჰგავს ტარიელს: ერთია ცეცხლი, წყალი, ერთი ჰგავს მრისხანე ცას, რომელიც ელვით და გრგვინით ჰმუსრავს ყოველსავე, რაც იმის გამწვრალს სახეს წინ უდგება დედა-მიწის ზურგზე; მეორე ჰგავს მოწმენდილს ცას, ბრწყინვალე დღეს, რომელიც ერთს მხიარულად გამოანათებს და, რაც ცის კამარაზე შავი მრისხანე ცეცხლ-მომქმინავი ღრუბე-

ლია, სულ ერთიანათ გაფანტავს. ცხოვრების დარჯჯაჲში გატარებული ავთანდილი ყოველს საქმეში ისე გამოცდილია, რომ იმის მავნებელი გულისთქმა ერთს წამსაც ვერ ასცდება იმის გონების ბრჭყალებს: — არასოდეს არ აჩქარდება თუ არ გონიერება, ვნება ვერასოდეს ვერ შეიპყრობს იმას“. აღნიშნავს რა, რომ ავთანდილი თვით იყო გამიჯნურებული, გ. წერეთელი ხაზს უსვამს: „მაგრამ ავთანდილს კაცობრიული გრძნობით გული შესტიკივა მეგობრის უბედურებაზე და უსასყიდლოთ სწირავს საკუთარს ბედნიერებას, სიყვარულს და სიცოცხლესაც, რომ განსაცდელიდან დაიხსნას თავისი ღირსი მეგობარი“.

დასასრულს, გ. წერეთელი აყალიბებს იმ თვისებებს, რომელთა გამო ასე თავდავიწყებით შეიყვარა ქართველმა ერმა „ვეფხისტყაოსანი“, „ის ღრმა გრძნობა, რომელიც თითქმის ყოველს „ვეფხისტყაოსნის“ მუხლში მჩქეფარებს, მთიდან გადმოვარდნილის ნაკადულსავით, ის ღრმად შესწავება ცხოვრებისა, რომელიც ანდაზებით დაბნეულია საქართველოში, ის კეთილშობილური შეხედულება ბუნებაზე და კაცის თვისებებზე, ბოლოს ის მდიდარი გარეგანი შემკულობა ამა თხზულებისა შეიქმნენ მიზეზათ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გახდა საერო წიგნათ, რომლითაც ყოველი ქართველი კაცი თავს იქებს და იმით იწვრთნება“. და ამიტომაც, ამ ეროვნული სამყაროს გამომხატველი ნაწარმოების ნიჰილისტ შემფასებლებს, რისხვად დაატყდა გ. წერეთლის მძვინვარება. ჭავჭავაძესა და ნ. ნიკოლაძესთან ერთად გ. წერეთელმა სასტიკად ამხილა სენკოვსკისა და ჯაბადარის მსგავს მოხალისე ლიტერატორთა უცხოება. გ. წერეთლის აზრით, მხოლოდ ზერელე, ყურმოკრული ცოდნის შედეგად შეიძლება დაუკავშირო „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულ სამყაროს; აი რას წერს «Новое обозрение»-ს ფურცლებზე 1890 წ. გ. წერეთელი: «Грузинскому поэту, имевшему тогда перед собою, на своей родине, примеры подвигов великих полководцев, великих женщин времени царицы Тамары, не за чем было ходить в подавленную сельджуками и грузинами Персию и набирать в персидском гореме типы женщин и помешанных людей для своих поэтических идеалов». და იქვე საილუსტრაციოდ მოჰყავს ხვაშაგი ცოქალისა და კრავაი ჯაყელის საგმირო საქმეები. გ. წერეთლის მტკიცებით, თინათინისა და ნესტანდარეჯანის სახეების შექმნას ეროვნული საფუძველი ჰქონდა, რადგანაც „საქართველოს ისტორიაში დედა-კაცის მოღვაწეობას უწარჩინებულესი ადგილი უჭირავს. ეს გარემოება უტყუარს საბუთს გვაძლევს იმისას, რომ ქართველთ ტომში თავიდანვე დედაკაცი არ ყოფილა დაჩაგრული.

ამით აიხსნება მისი დიდი ზეგავლენა საქართველოს ისტორიულს ცხოვრებაზე“. ამრიგად, გ. წერეთელი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა შექმნის ეროვნულ საფუძველს პოულობს.

გ. წერეთელს ასევე საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაზე.

ქართულ მწერლობაში სპარსული პოეზიით დროებითი გატაცების გამო გ. წერეთელი წერს: „მაგრამ ერი მტრულად შესცქეროდა ამ სპარსულს კილოზე ღიღინს. ის ნათლად ხედავდა ამ ქეიფში თავის თვით — არსებობის მოსპობას. ყოველი ბაიათის ხმა იმას აგონებდა მინარეთიდგან მაჰმადის მოლის ყვირილსა, სარწმუნოების დაკარგვას, ზნის შერყენას და ქართველობის შემუსვრას. ამის გამო ის გულდამშვიდებით ვერ მიუგდებდა ყურს ამ სევდის გამქარებელს პოეზიას. როცა კაცს სიკვდილს ემუქრებიან, მაშინ მტარვალის სიმღერა სამარეს აგონებს.

ამისათვის ერმა დაიხშო გული ამ პოეზიისათვის, ყურები დაიცვა და დაუცხრომელი ბრძოლისათვის გამზადებულმა გამოიძახა ღრმა პატრიოტული საყვირითა. ტკბილი ბაიათებისა და სიმღერის მაგიერათ, იმან დაუკრა ბრძოლის ნაღარა და გული განიმხნევა თავისი გამოჩენილი კაცების ღვაწლის აღწერითა. არჩილ მეფემ და იოსებ თბილელმა მისცეს პოეზიას ნაციონალური მიმართულება“. ასე აქვს წარმოდგენილი გიორგი წერეთელს ქართულ მწერლობაში ნაციონალური თემატიკის შემოჭრა. გ. წერეთელი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც აღიარა არჩილი ნაციონალური თემატიკის დამამკვიდრებლად აღორძინების ხანის მწერლობაში. „არჩილიანისა“ და „ღიდმოურავიანის“ ანალიზისას გიორგი წერეთელი აღნიშნავს, რომ ამ თხზულებებში „არის გამოხატული ერის უბედური ცხოვრება; ეს ნაციონალური კილო ჰხდება წმიდა წყარო. რომელშიაც ერი ჰპოვებს დაუმრეტელს ზნეობის ძალას მტრის საწინააღმდეგოდ“.

გ. წერეთელს მისთვის ჩვეული გონებამახვილობით აქვს შემჩნეული ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებთა დედაარსი. „ზემოხსენებულს თხზულებებში, — წერს გ. წერეთელი, — ყოველგან ერთი თავი აზრია გატარებული, რომელიც საქართველოს მოუძღვრებას უფრო შინაურს ცუდს დაწყობილებას აბრალებს და არა გარეშე მტერს. მაღალ-წოდების თავად-აზნაურობამ და თავ-გასულმა ერისთავებმა შემოიზღუდეს თავისი ყოფა-ცხოვრება და ცდილობდნენ, რომ განსაკუთრებული იყვნენ დანარჩენ ერისაგან, რომელიც დასაჩაგრავათ და თავის მონათ თუ უნდოდათ, თორემ საზოგადო კეთილს არას დასდევდნენ. როცა სამშობლო



ქვეყანას მტერი მოადგებოდა, ყოველს ერისთავს თავისი საკუთარი სარგებლობა თვალწინ ედვა და იმის გულისათვის დალატობდა თავის სამშობლოს“. ასე ღრმად და მართებულად ჩაწვდა გ. წერეთელი „არჩილიანისა“ და „დიდმოურავიანის“ იდეურ შინაარსს. ის არჩილის დიდ დამსამხურებად თვლის აღორძინების ხანის მწერლობაში ნაციონალური თემატიკის დამკვიდრებას, ზღაპრულ-აღმოსავლური სიუჟეტების ნაცვლად, იმ პრობლემატიკის გაშუქებას, რომელიც იდგა თანამედროვეობის წინაშე. ეს მართლაც უაღრესად დიდი ნაბიჯი იყო გადადგმული მწერლობაში, მაგრამ ამ უცილობელი დამსახურების მიუხედავად ფაქიზი გემოვნებისა და ღრმა პრინციპულობის მქონე გ. წერეთელი აღნიშნავს აგრეთვე იმ ნაკლსაც, რომელიც გააჩნია როგორც „არჩილიანს“, ისე „დიდმოურავიანს“. ამ თხზულებებს („არჩილიანსა“ და „დიდმოურავიანს“) ერთი უაღრესი ნაკლულევანება აქვთ: „იმით აკლიათ ღრმა გრძნობა და ის სიცხოველე, რომელიც კბადებს მაღალს და ნამდვილს პოეზიას, რომელიც ასე უხვათ გაფენილია მთელს „კეფხისტყაოსანში“. „არჩილიანი“ და „მოურავიანი“ უფრო ისტორიულს ქრონიკებს გვანან, ვიდრემც ნამდვილს პოემებს. ისინი არიან მასალანი მაღალი გრძნობით გაცხოველებულ ნაციონალურ პოეზიისათვის, რომელიც ნამდვილად დაჰბადა დავით გურამიშვილის დიდმა პოეტურმა ნიჭმა“.

გ. წერეთელი არჩილის მიერ დამკვიდრებული ნაციონალური თემატიკის განვითარებასა და გაღრმავებას სამართლიანად ხედავს დავით გურამიშვილის შემოქმედებაში. გ. წერეთელი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც შენიშნა დ. გურამიშვილის შემოქმედებაში რეალიზმის ელემენტები. „დავით გურამიშვილის შემოქმედებაში მოჭორილი არა არის რა, — წერს გ. წერეთელი, — ავტორი რასაც ამბობს, სულ მისი თვალით ნახული და გამოცდილია. დავით გურამიშვილის თხზულებაში აღიბეჭდა თავის თანადროული სურათი ერის ცხოვრებისა: იმისი აზრი, სულის კვთება და გჭირება. ამით ის შეიქნა ნაციონალური პოეტი, რომელმაც მის დრომდის ნაციონალურ კილოზე მოლექსეთა ბევრათ გადაამეტა ღრმა პოეტურის გრძნობით, აზრით და უფრო გაცხოველებულის სურათების გამოხატვით“.

როგორც ცნობილია, „დავითიანი“ წარმოადგენს ლირიულ პოემას, რომელსაც თითქოს არ გააჩნია ერთი მთლიანი სიუჟეტური ხაზი. ეს გარემოება თავის დროზე შენიშნა გ. წერეთელმა და, ამავე დროს, გამოძებნა ის ძირითადი თემა, რომელიც წარმოადგენს პოემის დერძს. გ. წერეთელს გონებამახვილურად აქვს შენიშნული პოემის შინაგანი

მთლიანობა: „ცალ-ცალკე რომ ავიღოთ, — წერს გ. წერეთელი, — ყოველი თავი შეადგენს განწყობილს დასაბუთებლს ერთს რომელსაშიც საგანზე და ეს თავები ძვირფასი ქვებივით ბრწყინავს მრავალ გვაროვნებით.

ამ პოემაში თავიდან ბოლომდის გატარებულია ერთი აზრი, რომელიც იხატება წუთის-სოფლის უსამართლობის აღწერით. ამის გამო თუმცა გარეგანი ერთიანობა დაჰკლებია, მაგრამ ნაცვლად ამისა შინაგანი ერთიანობით განმტკიცებულია“.

დ. გურამიშვილის შემოქმედების კვლევის ისტორიაში გ. წერეთლის დამსახურებაა ისიც, რომ მან პირველთაგანმა შენიშნა დ. გურამიშვილის ვერსიფიკაციული სიახლენი და ის ღრმა ხალხურობა, რომელიც ასე ნიშანდობლივია „დავითიანისათვის“. გურამიშვილი, აღნიშნავს გიორგი წერეთელი, „ძალას არ ატანს თავის აზრის გამოხატვას. იმ განზრახვით, რომ ლექსი თექვსმეტ მარცვლოვან შაირად გამოვიდეს, ამისათვის ის თავის აზრს არ შეჰკვეცს და ზოგჯერ მომეტებულ და გამოხატულების დამამძიმებელ სიტყვებს არ ხმარობს.

ოღონდ სურათმა თავის სიცხოველე არ დაჰკარგოს და ლექსმა მუხიკა; თორემ გურამიშვილისათვის სულ ერთია, გინდ შაირი იყოს, გინდ სხვა ნაირი ლექსი.

ბევრი თავები სულ სახალხო სიმღერის ხმაზეა დაწერილი და ერთი ამთგანი ისეთი ტკბილ-გასაგონია, რომ როცა კითხულობ, თითქოს ტკბილი სალამურის ხმა გაისმისო. აი, ეს თავი: „სავარგონია, მგონია, ეს სიტყვა გასაგონია...“

ამრიგად, გიორგი წერეთელმა მოგვცა ძველი ქართული მწერლობის ზოგადი მიმოხილვა, რომელშიაც ჩამოყალიბებულია მეტად მნიშვნელოვანი დებულებები ჩვენი მწერლობის სხვადასხვა საკითხებზე. ძველი ქართული მწერლობის კონკრეტულ საკითხთა კვლევასთან ერთად გ. წერეთელს გამოთქმული აქვს საყურადღებო მოსაზრებები ზოგად თეორიულ სფეროშიც. კერძოდ, მას ჩამოყალიბებული აქვს დებულება ქართული ლექსის აღმოცენება-განვითარების შესახებ. სახელდობრ, ქართული რითმიანი ლექსის საწყისებს ის პოულობს არაბულ პოეზიაში: „ქართველებმა ლექსთა წყობა და ერთგვარი დაბოლოება არაბებისაგან შემოიღესო“, — წერს გ. წერეთელი.

ძველი ქართული მწერლობის შესწავლისას გ. წერეთელი ეცნობოდა როგორც პირველ წყაროებს, ისე მდიდარ მეცნიერულ ლიტერატურას. ასე მაგალითად, „ვესტათი მცხეთელის მარტვილობის“ ანალიზისას მას შეუსწავლია შემდეგი წყაროები: „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის

ისტორია და უხტანესის ისტორია „ქართველ სომეხთა დაშორებისა დვინის კრებაზე“, „მიწერ-მოწერა ქართლის არხიეპისკოპოსის კირიონისა (სვიმონის) სომხეთის კათალიკოსთან, აბრაამთან, უხტანესთან, „რჯულის კანონი, ახალთ თარგმნილი წმიდისა მამისა ჩვენისა ევთიმიონის“. ასევე მდიდარ მეცნიერულ აპარატურას იყენებს გ. წერეთელი, როდესაც ეკამათება ქართული კულტურის ნიპილისტ შემფასებლებს. ამ შემთხვევაში, საკუთარი პოზიციის გამაგრებისა და მეტი დამარწმუნებლობისათვის ის უფრო უცხო წყაროებს იშველიებს, როგორცაა ისტორიები სოკრატისა, სოზიმენისა, მოსე ხონელისა, პროკოფი ბიზანტიელისა, ვარდან დიდისა, მათე ედესელისა, გუსეინ-შეიხ-აბდაილ-ხაიდ ოღლისა, და გამოკვლევები ევროპელი მეცნიერებისა — შამპოლიონის, ყიულ სიურის, ფორჟ პერისა და სხვების.

გ. წერეთელი დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდა იმ ქართველ ახალგაზრდებს, რომელნიც იწყებდნენ ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულ შესწავლას. ის ცდილობს ხელი შეუწყოს, წაახალისოს ახალგაზრდები, რათა მათ უფრო მეტი გატაცებითა და მონდომებით მოკიდონ ხელი ძველი ქართული მწერლობის შესწავლას. რამდენი სიტბო, ზრუნვა და იმედია გამოთქმული გიორგი წერეთლის მიერ აღ. ხახანაშვილის წიგნზე დაწერილ რეცენზიაში: „ამ ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა (აღ. ხახანაშვილმა), — წერს გ. წერეთელი, — მთელი თავისი ნიჭი, ღონე და ძალა მონადომა სამშობლოს გონების საუნჯის შესწავლას იმ განზრახვით, რომ შემდეგ უცხო ენაზე გამოექვეყნებინა მთელი ორი ათასი წლის კულტურული მოძრაობა საქართველოს ერისა და მისი დამსახურება კაცობრიობის წინაშე. ამით მას ჰსურდა ევროპის ძლიერ ერთა შორის აღეძრათ თანაგრძნობა და სიყვარული ჩვენი პატარა ერისადმი, რომელიც აქამდის დავიწყების ჩრდილ ქვეშ იყო მიმალული“. ასევე დიდად აფასებს დ. ბაქრაძის ღვაწლს: „ღმიტრი ბაქრაძემ თავისი სიცოცხლე შესწირა ცალკე წერილობითი ისტორიული ფაქტების გამოძიებას, მათ შევსებას, ახალის ნაშთების აღმოჩენას“. და იქვე მიუკერძოებელი, საქმით დაინტერესებული და უადრესად პრინციპული გ. წერეთელი, იმავე ღმიტრი ბაქრაძის შესახებ წერს: „ისტორიული მასალის სიმრავლემ ისე დაამძიმა მისი გონება, დატვირთა მისი კვლევა, რომ ვეღარ შესძლო გზის გაკვლევა და თვით კომენტარიების სიმრავლეში დაიბნა“. ასევე, რამდენადაც აღფრთოვანებული არ უნდა ყოფილიყო აღ. ხახანაშვილის ნაშრომებით, გ. წერეთელი მაინც არ ერიდება ნაკლის აღნიშვნას და აყალიბებს ლიტერატურის ისტორიის დაწერის

პრინციპებს: „ჯობდა უფრო მეტი მასალა დაგროვებულიყო ამ წიგნში (იგულისხმება ალ. ხახანაშვილის ქართული სიტყვიერების ისტორია), იქნება კრიტიკული მხარეც ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა და ამათი ტიპური შესწავლა, ჩვენის აზრით არ იყოს აქ ღრმად გამოკვლეული და საკმაოდ დაფასებული, მაგრამ ასეთი მცირეოდენი ნაკლულეანი მაინც ვერ დაადებენ წუნს ამ თხზულებას“.

განსაკუთრებით ფასდაუდებლად მიაჩნია გ. წერეთელს მარი ბროსეს ღვაწლი ქართული მეცნიერების წინაშე: „ამ საუკუნის მეორეოცე წლებში თითქოს განგებით მოველინა ამ.ერს ერთი საკვირველი მკვლევარი მარი ბროსე, რომელიც მიმხვდარა საქართველოს ისტორიული ნაშთების მნიშვნელობას მსოფლიო ისტორიისათვის და თავი შეუწირავს იმის გულისათვის, რომ ქართული ისტორიული მასალებით გაბმული ქსელები წარსულსა და აწმყოში არ შეწყვეტილიყო. მას თავის კვლევით დაუმაგრებია ეს ქსელები და ხელი დაუფარებია ძვირფას სამეცნიერო წყაროსთვის, რომ შეუგნებელის კულტურის განუკითხავს ზვირთს ახალის დროისას არ წაელეკა და არ აღმოეფხვრა ეს შემაერთებელი კვალი გარდაცვლილისა და ცოცხალს კაცობრიობას შორის. მ. ბროსემ საკმაოდ მიაქცევინა ყურადღება ევროპის განათლებას ამ საკვირველის ერის ძვირფასს ისტორიულს საუნჯეზე და წაჰკრა ცხოველმყოფელი ქისტი ქართველს გონებაგანვითარებულს თაობას, რომ შემდეგ თვითონ როგორც ნამდვილი მეპევიდრე თავის მამა-პაპათა საუნჯისა, შესდგომოდა ქართული ისტორიის წყაროთა კვლევასა და შუქის მოფენას. ამასთანავე, როგორც მარი ბროსეს, ისე თავაიშვილის, ცაგარელის, ყორღანისა ნაშრომთა ერთ საერთო ნაკლად მიაჩნია ის, რომ „მათ გამოკვლევას ერთი სახელმძღვანელო პრინციპი, დედა-აზრი, სისტემა აკლია“.

ძველი ქართული მწერლობის ასე ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა უბრალო ცნობისმოყვარეობით არ იყო გამოწვეული, არამედ მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძველ თხზულებებში გამოიხატა ჩვენი ქვეყნის ბუნება; იქ ქართველს ესმის თავისი გულის ძგერა, თავისი სიხარული და წადილი, ნადველი და უიმედობა; ყოველი, რაც ცხოვრებასთან დაახლოვებულია; რასაც კითხულობს, კარგათ ესმის და ამიტომ უყვარს — უყვარს ღვიძლი დედასავით“.

და ესაა მიზეზი, რომ გ. წერეთელი განსაკუთრებული გულისხმიერებით სწავლობდა ძველი ქართული მწერლობის საკითხებს და თანამედროვეთა ყურადღებას ამახვილებდა იმ დიდ სულიერ კულტურაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე შექმნა ქართველმა ხალხმა.

გ. წერეთელი თავის მრავალ წერილში არა მარტო პოპულარიზატორი იყო ძველი ქართული მწერლობის, რაც ესოდენ საჭირო იყო იმ დროს, არამედ ის იყო მეცნიერი-მკვლევარიც, რომელმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიაქცია ყურადღება ქართული ლიტერატურის ისტორიის მრავალ საკითხს და წამოაყენა მეტად მნიშვნელოვანი დებულებები, საგულისხმო დაკვირვებები, რომელთაც მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ.

ამასთანავე, გ. წერეთელი არა მარტო იკვლევდა ძველ ქართულ მწერლობას, არამედ აუცილებლად მიიჩნევდა ჩვენი კლასიკოსების თხზულებათა დაბეჭდვას და ამ მხრივაც მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა გადადგა ნაბიჯი დ. გურამიშვილის თხზულებათა გამოცემის სახით.

## აკად. კ. კეკელიძის ჰიპოთეზების მეცნიერული საფუძვლები

მოსწავლე ახალგაზრდობას როდესაც წარმოუდგენთ ამა თუ იმ მეცნიერის დამსახურებას, მეტწილად ვიძლევით ამ მეცნიერის გამოკვლევების ანალიზს და წარმოვაჩინოთ იმ შედეგებს, რომლებსაც მან მიაღწია. ეს აუცილებელი და კარგია, მაგრამ არანაკლებად საჭიროა ყურადღების გამახვილება მეცნიერის კვლევის მეთოდებზე, მისი აზროვნების სტილზე, არგუმენტაციის თავისებურებებზე. ამ ასპექტით მნიშვნელოვანია საუბარი იმაზე, თუ რამდენად ფასეულია მეცნიერებაში ჰიპოთეზის დაშვება და რამდენად მყარ საფუძველს, წინაპირობებს უნდა ემსახურებოდეს ეს ჰიპოთეზები. ამ მხრივ სანიმუშოა აკად. კ. კეკელიძის კვლევის მეთოდი. მისი გაცნობა სწორ ორიენტაციას მისცემს როგორც მოსწავლეს ახალგაზრდობას, ისე დამწეებ მეცნიერს.

ყოველი დიდი მეცნიერის ღირსება ვლინდება არა მარტო არსებული ფაქტების ანალიზის დროს, არამედ ამასთანავე მეცნიერის ალლო, ინტუიციის ძალა მაშინაც პოულობს გამოხატულებას, როდესაც გარკვეული დოკუმენტების გააზრების შედეგად გამოთქვამს ვარაუდს მოსალოდნელი ფაქტის დასადასტურებლად.

ასე რომ, არსებული უდავო ფაქტის ანალიზი იძლევა საშუალებას სავარაუდო ფაქტის დაშვებისას.

საერთოდ, როგორც ცნობილია, მეცნიერულმა შემეცნებამ იცის არა მარტო ხილული, დადასტურებული ფაქტები, არამედ ე. წ. ფარული ფაქტებიც, რომელიც ადამიანს უშუალოდ არ აღუქვამს, მაგრამ რომლის არსებობაც ივარაუდება სხვა ცნობილი ფაქტების საფუძველზე.

ახლა სახელმძღვანელოებშიც აღნიშნულია, რომ ინგლისელმა ფიზიკოსმა ღირაკმა, პოზიტრონების არსებობა მანამდე დაადასტურა, სანამ ის ექსპერიმენტალურად იქნებოდა მიღებული.

როგორც ცნობილია, ლევერიემ უდავოდ არსებული ფაქტების ანალიზის საფუძველზე ივარაუდა, რომ სამყაროს გარკვეულ წერტილში უნდა არსებობდეს ჩვენთვის უცნობი პლანეტა. მან, როგორც იტყვიან, კალმის წვერზე აღმოაჩინა პლანეტა. შემდეგ ეს პლანეტა — ნეპტუნი — სწორედ იმ წერტილში გაუმჯობესებული ტელესკოპითაც იქნა დადასტურებული გალერის მიერ.

გავიხსენოთ აგრეთვე დიდი რუსი მეცნიერის მენდელეევის გენიალური აღმოჩენა. მან ზოგადი კანონზომიერების დადგენის საფუძველზე განსაზღვრა იმ ელემენტების ადგილი მის ცხრილში, რომლებიც იმ დროისათვის აღმოჩენილი არ იყვნენ. შემდგომმა კვლევა-ძიებამ სავსებით გაამართლა დიდი მეცნიერის ვარაუდი.

მეცნიერება ასეთი ვარაუდების დაშვების გარეშე არ ვითარდება. აკადემიკოსი კ. კეკელიძეც იმ მეცნიერთა რიგს ეკუთვნის, რომელიც გარკვეული ფაქტების ღრმა ანალიზითა და კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში გარკვევით, წინასწარ გამოთქვამდა და აყალიბებდა ისეთ დებულებას, რომელიც შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალის საფუძველზე სავსებით დასტურდებოდა.

ჩვენს სახელოვან მეცნიერს, მდიდარ „ერუდიციასა და გასაოცარ ენერჯიასთან ერთად იშვიათი მეცნიერული აღღო, ინტუიცია აქვს. არა ერთი და ორი დებულება, რომელიც მას აპრიორულად გამოუთქვამს, შემდეგში უტყუარად დადასტურებულა ახლად აღმოჩენილი დოკუმენტებით“<sup>1</sup>.

იმის ნათელსაყოფად თუ რაოდენ ღრმა მეცნიერული ჭვრეტის უნარი ჰქონია აკად. კ. კეკელიძეს, მრავალ მის წინასწარ გამოთქმულ დებულებებიდან ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმეზე.

ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსის ლეონტი მროველის მოღვაწეობის პერიოდი აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა მეცნიერთა შორის. ამ საკითხთან დაკავშირებული ქრონოლოგიური ჩარჩოები სამი საუკუნის ფარგლებში მერყეობდა /VIII—XI/. აკად. კორნელი კეკელიძემ ლეონტი მროველის თხზულებათა დეტალური შესწავლით, პროფ. კ. გრიგოლიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „საოცრად წინასწარმეტყველურად განსაზღვრა“, ლეონტი მროველის მოღვაწეობის ქრონოლოგია. მკვლევრის ვარაუდით, ლეონტი მროველი ცხოვრობდა XI საუკუნის 70-იან, 80-იან

<sup>1</sup> რ. შ ი მ ი ნ შ ვ ი ლ ი, კ. კეკელიძე — ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის მკვლევარი, სასუბილეთო კრებული კ. კეკელიძის 80 წლისთავეზე მიძღვნილი, 1951, გვ. 155.

წლებში. როგორც ვხედავთ, განსაზღვრულია არა მარტო საუკუნეები, არამედ წლებიც.

მართლაც, 1957 წ. 23 ივნისს სსრკ-ის მიდამოებში, სოფ. თრეხვის მახლობლად /ქარელის რაიონი/ მკვლევართა მიერ ერთ-ერთ გამოქვაბულში ნაპოვნი ქვაჯვარის ნუსხახუცური წარწერა ამოკვეთილი აღმოჩნდა სწორედ ლეონტი მროველის მიერ „დღესა ჭირისასა“, რომელსაც ადგილი ჰქონია: „ჟამთა შინა აღფარსლან სულტანისაგან ოხრობისთა ქორონიკონსა სჰვ“, ხოლო ქორონიკონი სჰვ /286/ იძლევა 1066 წელს /780+286=1066/. ამგვარად, ჩვენი სახელოვანი მკვლევრის ოდინდელი ვარაუდი ბრწყინვალედ დადასტურდა<sup>1</sup>. ლეონტი მროველი მართლაც XI საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების მოღვაწე გამოდგა“.

ქართული ისტორიოგრაფიის მრავალ საცილობელ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ბუნდოვანი საკითხი იყო დავით აღმაშენებლის მემბტიანის ვინაობის გარკვევა. აკად. კორნელი კეკელიძემ მისთვის ჩვეული არგუმენტაციითა და გონებამახვილობით ნათელყო, რომ დავითის ისტორიკოსი იყო არსენ ბერი.

კ. კეკელიძის გარდაცვალების შემდეგ ივ. ლოლაშვილმა გამოთქვა ახალი მოსაზრება.

აღნიშნული პრობლემა ამ ბოლო ხანებში საგანგებოდ შეისწავლა პროფ. კ. გრიგოლიამ და საფუძვლიანი მსჯელობისა და საყურადღებო მასალებზე დაყრდნობით ნათელი გახადა ივ. ლოლაშვილის მოსაზრებათა უსაფუძვლობა და მის საპირისპიროდ კიდევ უფრო განამტკიცა აკად. კ. კეკელიძის დებულებათა მართებულობა. კ. გრიგოლიამ ნათელყო, რომ „ის ოპერაცია, რომლის განხორციელებას აქ ივ. ლოლაშვილი გეთავაზობს, როგორც სრულიად უსაფუძვლო და თვითნებური ღონისძიება, გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს და ძალაში უნდა დავტოვოთ ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის დაკვირვება და იოანე ჭიმჭიმელი ჩვენც დემეტრე მეფის ცხოვრების ავტორად უნდა ვაღიაროთ“. მკვლევარი იქვე დასძენს: „ამგვარად, ივ. ლოლაშვილის არც ერთი დებულება დავითის ისტორიკოსის ვინაობასთან დაკავშირებით დასაბუთებული არ ჩანს და მთელი მისი ცდა, იოანე ჭიმჭიმელს მიაწეროს დავითის ცხოვრების ავტორობა, ჰაერში გამოკიდებული რჩება. ყოველ შემთხვევაში, კ. კეკელიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ

<sup>1</sup> კ. გრიგოლია, კორნელი კეკელიძე და ქართული ისტორიოგრაფია, საიუბილეო კრებული კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე მიძღვნილი, 1959, გვ. 115.



„ცხოვრება მეფეთ-მეფისა და ვითისი“ არსენ ბერის ნახელავი უნდა იყოს. მის მიერ ოდნავადაც შერყეული არ არის“<sup>1</sup>. აკად. კ. კეკელიძის მოსაზრებათა შერყევა არც თუ იოლი საქმეა, რადგანაც ისინი მტკიცე მეცნიერულ არგუმენტაციასა და მკაცრ ლოგიკურ აზროვნებას ეყრდნობიან. ესაა სწორედ ის წინაპირობა, რომლის ძალითაც აკად. კორნელი კეკელიძის მოსაზრებებს განსაკუთრებული დამარწმუნებლობა ენიჭება.

აკად. კ. კეკელიძემ „ბარამ-გურიანის“ ნოველათა სიუჟეტური პარალელების გამოკვლევის დროს წამოაყენა მეტად საინტერესო დებულებები. მათ შორის საყურადღებოა ერთ-ერთი დაკვირვება, კერძოდ, მკვლევარი ბარამ-გურიანის მეშვიდე ნოველას უკავშირებს სულხან-საბას არაქს „უნაღვლოთა მძებნელს“. ამ ორი არაქის ურთიერთმსგავსების მიუხედავად მკვლევარი თავს იკავებს მოსაზრებისაგან, რომ ერთი მომდინარეობდეს მეორესგან და აყალიბებს ჰიპოთეზური ხასიათის დებულებას „მათ სხვა საერთო ფოლკლორული წყარო უნდა ჰქონდეთ“.

აკად. კეკელიძის ვარაუდი დოკუმენტურად დადასტურდა შემდგომი კვლევა-ძიების შედეგად. კერძოდ, პროფ. ალ. გვახარიამ ქართულ ხელნაწერებში მიაგნო მართლაც ფოლკლორულ ქართულ წყაროს /H-1996/ და აგრეთვე სპარსულ წყაროს /ჯამი ულ-ჰეჰაიათში, არაკთა კრებულში/.

თითქოს სრული საფუძველი იყო ცდუნებისა, რომ აკად. კორნელი კეკელიძეს ემსჯელა „ბარამ-გურიანისა“ და სულხანის არაქების ურთიერთმიმართებაზე. მაგრამ უადრესად აკადემიური სტილის მეცნიერმა მისთვის ჩვეული საფუძვლიანობითა და სიფრთხილით განსჯვრიტა მისი დროისათვის უცნობი წყაროს არსებობა.

XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მწიგნობარისა და მოღვაწის ნიკოლოზ რუსთაველის გარდაცვალების თარიღი ჩვენს მეცნიერებაში დაუდგენელი იყო. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვარაუდი იყო გამოთქმული. თ. ჟორდანიას მტკიცებით, ნ. რუსთაველი უნდა გარდაცვლილიყო 1728 წ., ხოლო პლ. იოსელიანი ნ. რუსთაველის გარდაცვალების თარიღად 1729 წ. მიიჩნევდა.

აკად. კ. კეკელიძემ ბიჭვინთის იადგარის დეტალური შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ ნიკოლოზ რუსთაველი ჯერ კიდევ 1733 წ. ცოცხალია /ამრიგად, გამოირიცხა თ. ჟორდანიასა და პლ. იოსელიანის მოსაზრებები/.

<sup>1</sup> კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ისევ და ვითის ისტორიკოსის ჯინაობის შესახებ, „მრავალთავი“, III, 1973, გვ. 146.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულმა ორმა ხელნაწერმა /H — 4615 და დავით იმამყულიხანის „ღვთაების გუჯარი“/, ამ ხელნაწერების მიხედვით ირკვევა, რომ ნიკოლოზ რუსთაველი გარდაიცვალა 1735 წ.

ამრიგად, სავსებით გამართლდა აკად. კ. კეკელიძის ვარაუდი, რომ „ნ. რუსთაველი არ შეიძლება გარდაცვლილიყო 1728 ან 1729 წ., რადგანაც ის 1733 წ. ჯერ კიდევ ცოცხალია“.

პროფ. ილ. აბულაძემ ქ-ნ ქრისტინე შარაშიძესთან ერთად ომის წინა წლებში /1940 წ./ აღმოაჩინა ქართულ მწერლობაში სრულიად უცნობი პოეტის სვიმონ დეკანოზის, შოთაძის ლექსი „სადგერის წმიდის გიორგის ქება“.

მკვლევრის დაკვირვებით სვიმონ შოთას-ძე უნდა ყოფილიყო XV ს. მოღვაწე.

ამ საკითხს საგანგებო წერილი უძღვნა აკად. კ. კეკელიძემ. მართალია, კ. კეკელიძეს ხელთ არ ჰქონდა რაიმე კონკრეტული საბუთი, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა სვიმონ შოთაძის მოღვაწეობის წლების ზუსტად გარკვევა, მაგრამ რიგი მომიჯნავე ფაქტებისა და ისტორიული გარემოს გათვალისწინების საფუძველზე, ჩვენი სახელოვანი მკვლევარი აღნიშნულ წერილში გამოთქვამდა ვარაუდს, რომ სვიმონ დეკანოზი, შოთას-ძე, არის მოღვაწე არა XV საუკუნისა, არამედ XVI-სი.

მართლაც, ხუთი წლის შემდეგ, 1946 წ. მკვლევარმა პროფ. ტრიფონ რუხაძემ ჩვენს საცავებში მიაგნო სიგელს, რომელიც მეფე ლუარსაბ პირველს მიუცია სვიმონ დეკანოზის, შოთას-ძისა და მისი ძმებისათვის.

ამრიგად, დოკუმენტურად დადასტურდა აკად. კ. კეკელიძის მიერ აპრიორულად გამოთქმული მოსაზრება, რომ სვიმონ შოთას-ძე არის არა XV, არამედ XVI ს. მოღვაწე.

1924 წ. აკად. კ. კეკელიძემ ყურადღება მიამჩნია ნუზალის ეკლესიის წარწერას. მკვლევრის საგანგებო დაკვირვების ობიექტი გახდა პოემა „აღლუზიანი“ და მისი შესწავლის საფუძველზე იმ დროისათვის სათანადო საბუთების უქონლობის გამო გამოთქვა აპრიორული ხასიათის მოსაზრება, რომ პოემა „აღლუზიანი“ ორგანულად უკავშირდება ნუზალის ეკლესიის წარწერას, კერძოდ, ჩვენი სახელოვანი მეცნიერი წერდა: „საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს პოემასა და ნუზალის ეკლესიის

ლეგენდას შორის რაღაც იდუმალი კავშირია, საფიქრებელია ქრონოლოგიურიც<sup>1</sup>. ამ „იდუმალი კავშირის“ განცდა და შემჩნევა კიდევ ერთხელ მეტყველებს, თუ რაოდენ უტყუარი მეცნიერული ინტუიციისა და აღლოს უნარის მქონე იყო აკად. კ. კეკელიძე. კერძოდ, კ. კეკელიძის საგულისხმო ვარაუდის გამოთქმის შემდეგ გავიდა ოცდაათი წელი და დღეს. შ. ონიანმა საგანგებო კვლევა-ძიების შედეგად სავსებით დამარწმუნებლად დაადასტურა და გამოავლინა ის „იდუმალი კავშირი“, რომელზედაც მიგვანიშნებდა აკად. კ. კეკელიძე. სახელდობრ, გამოირკვა, რომ ნუხალის ეკლესიის ეპიტაფიისა და „იალღუზიანის“ ავტორი ერთი და იგივე პიროვნება ყოფილა.

ზემოთ მოტანილი მაგალითები ეჭვმიუტანელს ხდიან, რომ აკად. კორნელი კეკელიძის გუმანით გამოთქმული აპრიორული მოსაზრებები მუდამ სარწმუნო და ანგარიშგასაწევია. ამის წინაპირობა კ. კეკელიძის მეცნიერული აზროვნების სტილი. მისთვის უცხოა სენსაციებისა და მოჩვენებითი ეფექტურობისათვის ზრუნვა. მისთვის უცხოა აგრეთვე ზოგიერთი მკვლევრისათვის ნიშანდობლივი მეთოდი, რომლის ძალითაც გარკვეულ დებულებას ამტკიცებენ მაშინაც, როდესაც ათი არგუმენტიდან ცხრა უარყოფითია და ერთი — საექვო, საყოყმანო, მაგრამ სწორედ ამ ორტოფულ არგუმენტზე დაყრდნობით დადებითი დასკვნა გამოაქვთ. ამის საპირისპიროდ კ. კეკელიძე გადაჭრით მტკიცებისაგან მაშინაც კი იკავებს თავს, როდესაც ათი საბუთიდან ცხრა მის სასარგებლოდ მეტყველებს, ხოლო ერთი საბუთია საექვო. სწორედ ეს უკანასკნელი არ აძლევს საშუალებას თავის დებულებას მისცეს კატეგორიული ხასიათი. ამ სიფრთხილეს იჩენს არა თვითდაზღვევისა და გაუბედაობის მიზეზით, არამედ მას შინაგანი რწმენა და მაღალი მეცნიერული პრინციპულობა არ აძლევს უფლებას საზოგადოებას თავზე მოახვიოს ისეთი დებულება, რომლის არგუმენტაციაში იოტის ოდენი ეჭვის შეტანა შეიძლება.

აკადემიკოს კ. კეკელიძის ჰიპოთეზების მეცნიერულ საფუძველს ქმნის უადრესად ლოგიკური და ღრმა აზროვნება, მომიჯნავე პრობლემების აქტიური და ანალიტიკური გააზრება, დასკვნის წინაპირობის შემკმნელი არგუმენტების დეტალური შესწავლა, საერთო ატმოსფეროს ყოველმხრივი გააზრება და მოვლენებისა და ფაქტების განვითარების შინაგანი ტენდენციის დაჭერის იშვიათი აღღო.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1924, გვ. 201.

ყოველივე ამის გამო ჩვენი სახელოვანი მეცნიერის ჰიპოთეზები შემდეგში აღმოჩენილი ახალი დოკუმენტებით უტყუარად დასტურდება.

# აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე — ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი

ქართული მწერლობის სისრულით შესწავლისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ თვით ძეგლების გაანალიზება და მასთან დაკავშირებული გამოკვლევების გათვალისწინება. ყოველივე ამასთან ერთად საჭიროა იმ მკვლევართა მუშაობის მეთოდებში ჩაწვდომა, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ჩვენი ეროვნული საგანძურის გამოწვლილვა-გამომზეურებაში. მათ შორის აკად. გ. ჯიბლაძის ნამოღვაწარი მეტად ფასეულია.

იშვიათია მეცნიერი, რომელსაც ინტერესთა ისეთი ფართო სფერო ჰქონდეს, როგორც აქვს აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძეს. საკვლევ პრობლემათა მრავალფეროვნება აკად. გიორგი ჯიბლაძის მეცნიერული სტილის. ერთ-ერთი დამახასიათებელი მომენტია. ჩვენი სახელოვანი სწავლულის გასაოცრად დიდი მეცნიერული შემკვიდრეობა ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ ფართო მასშტაბის პრობლემებია მისი ფიქრისა და კვლევის საგანი.

ვერც ერთი კონკრეტული ლიტერატურული ფაქტი ვერასოდეს ვერ იქნება სათანადოდ გაანალიზებული, თუ მკვლევარი აღჭურვილი არ არის სათანადო ზოგადთეორიული აპარატურით. ამიტომაცაა, რომ გ. ჯიბლაძე 30-იან წლებში, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, შეუდგა ხელოვნებისა და სინამდვილის პრობლემის გარკვევას, საგანგებო გულისხმიერებით იმუშავა მშვენიერების პრობლემაზე, რის შედეგადაც მივიღეთ საყურადღებო გამოკვლევა „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“. ამ ასპექტში მუშაობის გაღრმავება დაგვირგვინდა ისეთი ფუნდამენტური ნაშრომით, როგორიცაა „ხელოვნება და სინამდვილე“. ფილოსოფიის, ესთეტიკისა და ლიტერატურის თეორიის რთული პრობლემების დამლევით და ამ სფეროში ღრმა მეცნიერული ცოდნის დაგროვების საფუძველზე გ. ჯიბლაძემ ადვილად შეძლო ლი-

ტერატურის ისტორიის საკვანძო საკითხების ახლებურად გაშუქება. სწორედ მისი ფართო და ღრმა ერუდიცია, მკაცრი ანალიტიკური გონება არის ის უცილობელი წინაპირობა, რის შედეგადაც ჩვენი სახელოვანი მეცნიერი წარმატებით იკვლევს ევროპისა და რუსეთის როგორც თანამედროვე, ისე მეცხრამეტე საუკუნისა და ძველი მწერლობის კარდინალურ პრობლემებს.

აკად. გ. ჯიბლაძე ისეთი დიდი ნაყოფიერებით მუშაობს ხელოვნების ისტორიის, ესთეტიკის, ლიტერატურისა (ქართული, რუსული თუ უცხოური) თუ პედაგოგიკის სფეროში და ყველა ამ დარგში იმდენად შედეგიანი და უხვმოსავლიანია, რომ მის კაპიტალურ ნაშრომთა ტომეულებში ერთგვარად თითქოს ნაკლებად შესამჩნევია ჩვენი სახელოვანი მეცნიერის ასევე უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა ძველი ლიტერატურის სფეროში. ნაკლებად შესამჩნევია, ვამბობთ იმიტომ, რომ აკად. გ. ჯიბლაძის უაღრესად მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობაში ძველი ქართული მწერლობის საკითხებს ერთი შეხედვით შედარებით მოკრძალებული ადგილი უჭირავთ, მაგრამ ეს შთაბეჭდილება მხოლოდ ერთი შეხედვით იქნება. თუ გულდასმით ჩავუკვირდებით კაპიტალური ნაშრომის „ხელოვნება და სინამდვილის“ იმ გვერდებს, რომლებზედაც საუბარია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე, ნათელი გახდება, რაოდენი სიღრმითა და ახლებური გააზრებით აქვს გადაჭრილი ჩვენი ძველი მწერლობის უაღრესად რთული და საინტერესო პრობლემاتيკა მეცნიერს. ეს რაც შეეხება ძველ ქართულ მწერლობას, სასულიერო იქნება ის თუ საერო, ხოლო რუსთველოლოგიის სფეროში ხომ მნიშვნელოვანი, ფუნდამენტალური ნაშრომი შექმნა.

გიორგი ჯიბლაძე ძველ ქართულ მწერლობას იკვლევს არა მარტო რომელიმე სხვა მომიჯნავე საკითხთან მიმართებაში, მას ჩვენი სულიერი ცხოვრების გამოვლენის ეს სფერო თავისთავადაც იტაცებს. ამიტომ, რომ იგი კვლევას იწყებს ჩვენი მწერლობის სათავეებიდან: იაკობ ცურტაველიდან დაწყებული იოანე ბატონიშვილით გათავებული ჩვენი ძველი მწერლობის განვითარების მთლიანი გზა აქვს შესწავლილი და გამოკვლეული.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია, რომ ჩვენს სახელოვან მეცნიერს მთელი სისრულით აქვს გააზრებული ძველი მწერლობის შესწავლასთან დაკავშირებული სირთულეები და ამიტომ ის იძლევა პირდაპირ სახელმძღვანელო ხასიათის მეთოდოლოგიურ რჩევა-დარიგებას: „ვინც შორეული წარსულის ლიტერატურულ მემკვიდრეობას იკვლევს, მან

კარგად იცის, თუ რა დიდი სიძნელეები შეიძლება აღიმართოს მეცნიერის წინაშე როგორც ტექსტების, ისე თვით პრობლემის ანალიზის დროს. საკმე უფრო რთულდება, თუ წომელიმე ერთი საკითხის შესწავლას ისახავ მიზნად: ზოგან სულ არაფერი და მარტოდენ ჰიპოთეზას უნდა დავემყაროთ, სადღაც მასალა არ გვეოფნის ან ორპროვან სტრიქონებთან გვიხდება ჭიდილი. ეს ერთი მხარეა, მაგრამ, არანაკლებ რთულია მეორე: ყველაფერი მოიყვანო გარკვეულ სისტემაში, ისე რომ, არც წარსული დაამახინჯო და თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე აღმოჩნდე. შესწავლა კი აუცილებელია, ვინაიდან კარგად უნდა ვიცოდეთ წარსული, თუ გვინდა ასევე კარგად გავარკვიოთ აწმყო და ასევე კარგად ვემსახუროთ მომავალს“. ეს უკანასკნელი დებულება — წარსულის უცილობელი ცოდნა აწმყოსა და მომავლის უკეთ გააზრებისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია ყველასათვის, ვინც იწყებს ადრეულ საუკუნეთა ფოლიანტების გადაფურცვლას. ეს მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული დებულება აკად. გ. ჯიბლაძემ ჩამოაყალიბა არა მარტომის მოსწავლეთა დამოძღვრისათვის, არამედ თავადაც ამ პრინციპს ეყრდნობოდა, როდესაც შეუდგა ძველი ქართული მწერლობის შესწავლას.

ძველი ქართული მწერლობის საკვანძო პრობლემებთან დაკავშირებით გამოთქმულ ძრავალ მნიშვნელოვან მოსაზრებასთან ერთად, აკად. გ. ჯიბლაძის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა ისიც, რომ მან ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლის საფუძველზე შექმნა ჩვენში თეორიული აზროვნების განვითარების მთლიანი კურსი. ორიოდენაშრომის გამოკლებით საქართველოში არ არსებობდა ლიტერატურათმცოდნეობის ან პოეტიკის საგანგებო ტრაქტატი. მიუხედავად ამისა, თვით მხატვრულ ლიტერატურულ ძეგლებში ხშირად გვხვდება მწერალთა მიერ გამოთქმული შეხედულებები პოეზიაზე, მის არსსა და დანიშნულებაზე. აკად. გ. ჯიბლაძემ სწორედ თითოეული ძეგლის ღრმად და საგანგებოდ შესწავლის საფუძველზე გამოავლინა ქართველ მწერალთა ლიტერატურული შეხედულებები და შექმნა ჩვენში ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების მთლიანი კურსი. მართალია, არც ფეშანგს, არც არჩილს და არც თეიმურაზსა თუ იოანე ბატონიშვილს არ დაუწერიათ საგანგებო ტრაქტატი ლიტერატურის თეორიაში, მაგრამ მათ თხზულებებში არაერთგზის ვხვდებით უაღრესად საყურადღებო მოსაზრებებს ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე. სწორედ ამ საკითხების ანალიზსა და შეფასებას მიუძღვნა აკად. გ. ჯიბლაძემ არაერ-

თი გამოკვლევა. ფეშანგისა და არჩილის ლიტერატურულ შეხედულებებზე მსჯელობას არაიშვიათად ეხვდებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ხოლო თეიმურაზისა და იოანე ბატონიშვილის თეორიული აზროვნება ნაკლებად იყო შესწავლილი. აკად. გიორგი ჯიბლაძის დიდი დამსახურებაა, რომ მან, ერთი მხრივ, ახლებურად გაიაზრა ფეშანგისა და არჩილის ლიტერატურული შეხედულებები და, მეორე მხრივ, მანვე ერთ-ერთმა პირველთაგანმა გააანალიზა თეიმურაზისა და იოანე ბატონიშვილის ლიტერატურათმცოდნეობითი მოსაზრებები.

აკად. გიორგი ჯიბლაძემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიაქცია ყურადღება მე-17 საუკუნის პოეტის სულხან თანიაშვილის ლიტერატურულ შეხედულებებს და ხაზგასმით გამოკვეთა ის სიახლე, რომლითაც სულხან თანიაშვილი განსაკუთრებულ ადგილს იმკვიდრებს ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიაში. აკად. გ. ჯიბლაძის მართებული დაკვირვებით: „საინტერესო მასალას გვაწვდის მე-17 საუკუნის პოეტი სულხან თანიაშვილი. „ამირან-დარეჯანიანის“ შესავალში გენიალური პოეტის (რუსთველის — რ. ბ.) ქება-დიდებასთან ერთად, სულხან თანიაშვილი აღფრთოვანებას გამოთქვამს, რომ „რუსთაველმა ამბო, ლექსები გულისა მსგავსად, მოსხმული“, „არა დაგვიგლო... ლექსისა და ჩვენ ქართულები“, „ბევრი თქვა“, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო დიდი ოსტატობით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ სიუჟეტის დრამატული განვითარება, სიმძაფრე და დაძაბულობა. შეიძლება ითქვას, რომ ეს დებულება სრულიად ახალია მე-17 საუკუნისათვის. ამ თვალთახედვით მანამდე ჯერ კიდევ არავის ჰქონდა დანახული გენიალური პოეტის ნაწარმოები“.

აკად. გ. ჯიბლაძის ნაშრომებში ახლებურადაა გააზრებული ფეშანგისა და არჩილის მიერ წამოყენებული „მართლის თქმის“. პრინციპი. საერთოდ, მკვლევრის საგანგებო ყურადღებას იპყრობს „რეალისტრობის“ პრობლემა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში და ამიტომ, ამ საკითხის გარკვევას მან ერთ-ერთი გამოკვლევა მიუძღვნა, რის გამოც დეტალურად შეისწავლა აღორძინების ეპოქის ლიტერატურული ძეგლები. მისთვის საინტერესო პრობლემისათვის განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლეოდნენ ფეშანგისა და არჩილის თხზულებები. ამ უკანასკნელის მიმართ იგი მართებულად შენიშნავს: „ძნელია არჩილის რომელიმე თხზულების პოვნა, სადაც ლიტერატურული სენტენცია არ იყოს“. ამ სენტენციათა თავმოყრითა და გამოწველივით აკად. გ. ჯიბლაძემ არჩილი წარმოგვისახა როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსი.



როგორც სულხან თანიაშვილის ლიტერატურული შეხედულებები, ასევე იესე ტლაშაძის თეორიული მოსაზრებებიც ნაკლებად იყო მეცნიერებაში გარკვეული და მასში ამ მხრივაც სიახლე შეიტანა აკად. გ. ჯიბლაძემ. მან საგანგებო დაკვირვების საგნად გაიხადა იესე ტლაშაძის მოსაზრებები და ჩამოაყალიბა ამ თითქოსდა მეორეხარისხოვანი მწერლის ლიტერატურული შეხედულებები.

არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკს“, მაგრამ გიორგი ჯიბლაძემ ახლებურად გაიანზრა ეს პირველი ქართული ტრაქტატი პოეტიკის დარგში და კიდევ უფრო გაამდიდრა ამ მხრივ ჩვენი ცოდნა. მეკლერის მართებული დაკვირვებით: „მამუკა ბარათაშვილს პოეზია მარტოდენ გართობის, თავშექცევის, დროსტარების სახით კი არა აქვს წარმოდგენილი, არამედ, სარგებლიანობის თვალთუყურებს მის როლსა და დანიშნულებას. ეს უთუოდ მნიშვნელოვანი მომენტია „ჭაშნიკის“ ესთეტიკურ იდეალთა შორის და ამ მომენტს ხაზი პირველყოვლისა უნდა გაესვას. „ჭაშნიკში“ ჩამოყალიბებულ დებულებებს მკვლევარი განსაკუთრებულ რეზონანსს აძლევს და ხაზგასმით შენიშნავს: „ჭაშნიკის“ ნომოტიმიზმი მრავალწახნაგოვანია, არ იზღუდება მარტოდენ ქრისტიანული ესთეტიკის მოთხოვნით, აფართოებს პოეზიის ფუნქციას და მის დიდაქტიკურ დანიშნულებას საზოგადოებრივ ხასიათს აძლევს“.

ასევე ერთ-ერთი პირველთაგანია აკად. გ. ჯიბლაძე, რომელმაც განსაკუთრებული სიღრმით შეისწავლა იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ და გამოავლინა მასში აღძრული ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიის საკითხები; ამ ძეგლის განსაკუთრებულ ღირსებას ჩვენი მეცნიერი იმაშიც ხედავს, რომ იოანე ბატონიშვილი არ იფარგლება პოეზიის რომელიმე ერთი საკითხით, ავტორი ეხება საერთოდ ხელოვნების თეორიის რიგ არსებით პრობლემებს. ეს ნაწარმოები მნიშვნელოვანია, პირველყოვლისა, როგორც ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული და ესთეტიკური აზროვნების შესწავლის ობიექტი. ესაა მიზეზი, რომ აკად. გ. ჯიბლაძე „კალმასობაში“ დასმულ პრობლემებს დიდი გულისხმიერებით იკვლევს და ადვილგასაგებს ხდის იმათთვისაც, რომელნიც ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიის საკითხებში ნაკლებად გაწაფულნი არიან.

იოანე ბატონიშვილი ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის გზაჯვარედინის მოღვაწეა; მის ნააზრევში; ერთი მხრივ, დასრულებას პოულობს ძველი მწერლობის ლიტერატურული პრინციპები და, მეორე

მხრივ, სათავე ედება ახალ ლიტერატურულ გემოვნებას. სწორედ ამ უაღრესად საინტერესო და რთული ლიტერატურული ფიგურის შესწავლით მეცნიერი ორგანულად უკავშირებს XIX საუკუნის ახალ ლიტერატურულ სტილს ძველ ქართულ მწერლობას.

როდესაც ვეხებით აკად. გ. ჯიბლაძის გამოკვლევებს ძველ ქართულ მწერლობაზე, შეუძლებელია გვერდი აუუაროთ მის ნაშრომებს რუსთველოლოგიაში, თუმცა გიორგი ჯიბლაძე, როგორც რუსთველოლოგი საგანგებო მსჯელობას იმსახურებს.

აკად. გიორგი ჯიბლაძის მონუმენტური ნაშრომი — „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“ არა მარტო რუსთველოლოგიის შენაძენია, არამედ ის უაღრესად საპატიო ადგილს იჭერს ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში. ამ მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომში მკვლევარმა დიდი ოსტატობით შეძლო რუსთველის თეორიულ-ესთეტიკური შეხედულებების წარმოჩინებასთან ერთად ძეგლის კონკრეტული ლიტერატურულ-მხატვრული ანალიზი რაც ავტორის ფაქიზი ლიტერატურული გემოვნებისა და თეორიული აზროვნების სინთეზის ნათელი დადასტურებაა.

## კონსტანტინე გამსახურდია — ლიტერატურის ისტორიკოსი

ერთხელ გალაკტიონს კონსტანტინე გამსახურდიასთვის უთქვამს: „სხვებიც რომ არ იყვნენ, ამ საუკუნეს მე და შენც ვეყოფოდითო“ და მართლაც, მიხეილ ჯავახიშვილთან ერთად, ბურჯად და ნიშანსვეტად უდგას სიტყვის ეს ორი დიდოსტატი უახლოეს ქართულ მწერლობას.

ყველა ჩვენთაგანს უშუალოდ აქვს განცდილი და სიყმაწვილიდანვე შესისხლხორცებული კონსტანტინე გამსახურდიას თხრობის იშვიათი მომხიბვლელობა, სახეთა სინატიფე და სილიადე, აზრის სიღრმე და მასშტაბურობა. მცირე ნოველიდან მოყოლებული და დიდი ეპიური ტილოებით დამთავრებული გამსახურდიასეული სამყარო ჩვენი ცხოვრების სფეროდ იქცა. ამ სამყაროში მცხოვრებთ და მისით გატაცებულებს თითქოსდა აღარ შეგვრჩა ენერგია, რომ სათანადო ყურადღება მიგვექცია ჩვენი დროის დიდი შემოქმედის ლიტერატურათმცოდნეობით მოღვაწეობაზე. არადა ამ სფეროში იგი იმდენად ხელხვავეიანი იყო, რომ ნაფიცი, პროფესიონალი მკვლევარი ვერ დაუღებს ტოლს მის ნაფიქრსა და ნააზრევს, ესეებსა თუ გამოკვლევებს.

კონსტანტინე გამსახურდია როგორც ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი საოცრად ფართო ინტერესებისა და დიაპაზონის მკვლევარია. მას მშობლიურ მწერლობასთან ერთად შესწავლილი და გამოკვლეული აქვს როგორც რუსული, ისე აღმოსავლური, როგორც ევროპული, ისე ამერიკული ლიტერატურა. მის მიერ თითოეულ ამ სფეროში შექმნილი მეცნიერული მემკვიდრეობა ერთი კაცის სპეციალისტად და რაც მთავარია, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტად წარმოსაჩენადაც საკმარისია. ხოლო ერთი კლმის მიერ რომაა გამოკვეთილი მხოლოდ გოცებასა და დიდ აღიარებას იწვევს და კიდევ უფრო ზრდის მისადმი მოკრძალებისა და მისით გაძლიერებულ ეროვნულსა თუ პროფესიონალურ სიამაყეს.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის დიდ წარმომადგენლებს, დანტე იქნება ის თუ გოეთე, ტოლსტოი თუ ბალზაკი, გოგოლი თუ თომას მანი, ბაირონი თუ ფრანსი, უიტმენი თუ იბსენი, რილკე თუ გეორგე, ავეტიკ ისააკიანი თუ დენერიკ დემერჭიანი და ათობით სხვა დიდი სახელი არ დარჩენია კონსტანტინე გამსახურდიას კვლევისა თუ მის შესახებ ნაფიქრ-ნააზრევის გადმოცემის გარეშე.

კონსტანტინე გამსახურდია მუდამ დიდ ინტერესსა და პროფესიულ გულისხმიერებას იჩენდა სხვადასხვა ხალხებისა და სხვადასხვა დროის მწერლობის მიმართ, მაგრამ მისი განსაკუთრებული გატაცებისა და შესწავლის საგანი მუდამ იყო მშობლიური მწერლობა, მშობლიური კულტურა საერთოდ.

იაკობ ცურტაველიდან მოყოლებული, თავის თანამოკალმეების ჩათვლით, არ დარჩენილა ჩვენი მწერლობის მეტნაკლებად მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, რომლის შემოქმედების შესახებ კონსტანტინე გამსახურდიას არ ჩამოეყალიბებინოს თავისი შეხედულება, ეს იქნება ცურტაველი თუ შერჩულე, ჰიმნოგრაფები თუ მემბტიანეები, რუსთაველი თუ გურამიშვილი, შავთელი თუ ჩახრუხაძე, სულხან-საბა თუ ათონელები, ვახტანგ მეექვსე თუ იოანე ბატონიშვილი, ბარათაშვილი თუ გრიგოლ ორბელიანი, ილია თუ აკაკი, ვაჟა-ფშაველა თუ გალაკტიონ ტაბიძე, ნიკო ლორთქიფანიძე თუ შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი თუ ალექსანდრე აბაშელი, პლატონ იოსელიანი თუ გიორგი ნატროშვილი. ანდა ფუნჯის ოსტატები: დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი. ხოლო ჩვენი წარსულის დიდ მკვლევრებს — ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძესა და სიმონ ჯანაშიას საგანგებო წერილები მიუძღვნა. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ლიტერატურული ეტიუდებისა, რომელნიც ესოდენ ამდიდრებენ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობით მემკვიდრეობას.

კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურისმცოდნეობითი კვლევის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ამა თუ იმ მწერლის ღირსება-თავისებურებათა გარკვევასთან ერთად აყენებს ზოგადი ხასიათის კარდინალურ პრობლემებს. ასე, მაგალითად, იაკობ ცურტაველის თხზულების საფუძვლიანი შესწავლით, მასში გამოვლენილი მხატვრული დიდოსტატობის გამოკვეთითა და მასზე ყურადღების გამახვილებით, კონსტანტინე გამსახურდია სავსებით ლოგიკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ცურტაველის ოსტატობის მაღალი მხატვრული დონე, მისი აზროვნების სიღრმე, სიუჟეტის განვი-

თარების დინამიურობა, კომპოზიციური შეკრულობა, სახეთა ინდივიდუალობა და თავისთავადობა იმის დადასტურებაა, რომ ცურტაველს წინ უძღოდა დიდი სამწერლო ტრადიციები. რომ ქართულმა ბელეტრისტიკამ განვითარების დიდი და სერიოზული გზა განვლო V საუკუნემდე და ცურტაველის შესანიშნავი ქმნილება ეროვნული მემკვიდრეობის ორგანიული დაგვირგვინება იყო და რომ იგი თავის სრულყოფით საწყისი კი არა, განვითარების მაღალი საფეხურია ქართული მწერლობისა. სავსებით დამაჯერებლად ჟღერს კონსტანტინე გამსახურდიას მეცნიერული თეზისი: „რა დასაჯერებელია, ცურტაველს ყოველივე წინამორბედის გარეშე კალმის ერთი მოსმით შეექმნას ისეთი შედეგრი პროზისა, როგორცაა „წმ. შუშანიკის წამება“, ასე რომ, ქართული აღფაბეტისა და ქართული მწერლობის სათავენი მეხუთე საუკუნეზე უფრო ადრეან ეპოქაში უნდა ვეძიოთ“ /677/. ეს უდავო ჭეშმარიტება შემდეგი დროის კვლევამ კიდევ უფრო სარწმუნო გახადა, კერძოდ თვით „შუშანიკის მარტივობის“ ანალიზმა და დამატებითმა არგუმენტებმა ნათელი გახადეს წინაქრისტიანული ქართული მწერლობის არსებობა და რეტროსპექტულად მოიხაზა წარმართული მწერლობის განვითარების კონტურები.

XIX და XX საუკუნეების ქართული პროზის მაღალ დონეს კონსტანტინე გამსახურდია სავსებით სამართლიანად იაზრებს, როგორც ადრეული ქართული პროზის განვითარების ლოგიკურ შედეგს. ჯერ კიდევ თვით პაგიოგრაფიის მხატვრული სრულყოფა მიაჩნია მას იმ მტკიცე საფუძვლად, რომელზე დაყრდნობითაც სისხლსავსე დინებით მიემართებოდა და მიემართება ჩვენი ბელეტრისტიკა. ცურტაველის ნაწარმოების შესახებ გულწრფელი აღტაცებით წერს კონსტანტინე გამსახურდია: „ამ გასაოცრად რეალისტურ ქმნილებას გააჩნია თითქმის ყველა კომპონენტი დიდი სტილის პროზაული ქმნილებისა: უაღრესად დახვეწილი ენობრივი ინსტრუმენტი, ფრიად კანონზომიერი პარმონიულობა. კომპოზიციისა და, მთავარია, უაღრესად ნათელი, რეალისტური მანერა ხატვისა და ხასიათთა გამომერწვისა... ქართულ პროზას, — განაგრძობს ჩვენი სახელოვანი მწერალი, — გავლილი აქვს სავსებით თავისთავადი გზა ვიდრე სხვა ერების სიტყვაკაზმულ ლიტერატურას“. მისივე სიტყვებით: „ჩვენი პაგიოგრაფია ც არაფრით ჰგავდა ბიზანტიურს, იტალიურსა და ფრანგულს. იაკობ ცურტაველისა და გიორგი მერჩულეს ეპოქებში ყოვლად წარმოუდგენელი იყო ევროპაში ადამიანური ვნებების, სიყვარულისა და ქალისადმი ტრფილის გამოვლენა. ასე რომ, ბო-

კაჩიოზე აღრე ბოკაჩიოსებურ მოტივებს ვხვდებით გიორგი მერჩულეს შესანიშნავ პროზაში“. ამ მცირე ანალიზში საფუძვლიანადაა წარმოჩენილი ქართული ჰაგიოგრაფიის ღირსება და თავისთავადობა. ამ თვისებათა ასეთი სიმკვეთრით გამოვლენა სწორედ რომ მწერლის თვალის დანახული მოვლენაა; მწერლის შემოქმედებითი ინტუიციის შედეგადაა მიგნებული სწორედ ის დეტალები და ნიშან-თვისებანი, რომელიც მხოლოდ თანამოკალმეს შეუძლია განიცადოს და სხვასაც დაანახოს.

კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც მკვლევრის ერთ-ერთი თავისებურებაა ისიც, რომ იგი ქართულ მწერლობას იხილავს მსოფლიო ცივილიზაციის ასპექტში და კიდევ უფრო გამოკვეთს ჩვენი ამა თუ იმ ძეგლის ნიშანდობლივ თავისებურებას. ასე აქვს მას წარმოჩენილი რუსთაველი, სულხან-საბა, ბარათაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვა ჩვენი მწერლები. მისი მართებული შენიშვნით სულხან-საბა ორბელიანი „თავისი უნივერსალური განსწავლულობით ძლიერ მოგვაგონებს ფრანგ ენციკლოპედისტებს“. არა მარტო განსწავლულობით, არამედ ეპოქალური პრობლემების წამოჭრითა და მსოფლმხედველობითი პოზიციებით სულხან-საბა განმანათლებლური დიდი სკოლის ტიპური წარმომადგენელია. კონსტანტინე გამსახურდია თვით აზროვნების სტილსა და წერის მანერაშიც კი ნახულობს სულხან-საბას მსგავსებას ვოლტერთან: „თავისი სარკასტული გონებამახვილობითაც მოგვაგონებს სულხან-საბა ვოლტერს, რომლის გესლიანი ენისა თვით მეფეებსაც ერიდებოდათ“.

როგორც ცნობილია, სულხან-საბა ორბელიანის არაკეთა კრებულის სათაურის გააზრება დიდხანს იწვევდა მეცნიერთა ცილობას. ფასდაუდებელია ილია ჭავჭავაძის წვლილი ამ სფეროში. ყოველივე ამის გათვალისწინებით კონსტანტინე გამსახურდია მისთვის ჩვეული კატეგორიულობით წერდა: „არაფერი ისე არ ახასიათებს მწერალსა და მის სტილს, როგორც სათაური. სათაური იგივეა, რაც თვალი ადამიანისა, ან სარკმელი კაცთა სამყოფელისი. სათაური ჰგავს მეომრის მიერ პირველ მოქნევას ხმლისას. მსოფლიო ნოველისტიკაში მე სულ რამდენიმე წიგნი მეგულება ისეთი, რომელთაც ეგზომ ბრწყინვალე სათაური ჰქონდეს-ო“.

ასევე მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა სულხან-საბას არაკეთა წყაროების კვლევას, ხოლო კონსტანტინე გამსახურდიამ კი პრინციპულ სიმადლეზე აიყვანა ეს პრობლემა. „ფაბულის სესხება, განსაკუთრებით ეზოპეს, ლაფონტენსა და კრილოვთან სააუგო არ ყოფილა. უდიდესი გენიოსები, — განაგრძობს კონსტანტინე გამსახურდია, — საერთოდ უდიდესი მსესხებელნიც ყოფილან ხანდახან. ახალი აზრი, ბრძნული

სენტენცია მარტო მისი საკუთრება როდია, ვინც იგი პირველად წარმო-  
სთქვა და გაამჟღავნა, არამედ იმისიც, ვინც მას თავათ მოუძებნა  
ახალი ფორმა გამოთქმისა და ახალი საწყაული, მაგრამ ერთის პირო-  
ბით, უფრო მაღალ ხარისხზე თუ აიყვანა მან თავისი საწყისი“. კონ-  
სტანტინე გამსახურდია სასტიკად უკომპრომისო იყო პრინციპულ სა-  
კითხებში და ამიტომაც ასე მკაცრად ეკამათება მკვლევარს, რომელმაც  
სულხან-საბას ლიტერატურული წყაროების ძიებისას საკითხი დაიყვა-  
ნა მხოლოდ ანალოგიებამდე: „საბას იგავების კრიტიკული მიმოხილვი-  
სას, — ვკითხულობთ კ. გამსახურდიას გამოკვლევაში, — ავტორი დიდ  
ერუდიციას იჩენს ამ იგავების ფესვების გამოსაჩხრეკად, მაგრამ საბო-  
ლოო ჯამში ეს ვრცელი ექსკურსი სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურათა  
და ფოლკლორის წიადში, ჩვენი აზრით, დადამუღია იმ სენით, რო-  
მელსაც ყოველივე უცხოურის წინაშე მონურად ქედის მოხრა უნდა ეწო-  
დოს.

ლიტერატურული ანალოგიები დასაშვებია და საჭიროც, მაგრამ ამ  
ანალოგიებს უნდა გააჩნდეს საგანი.

ხანგრძლივი უცხოელ ყოფნის დროს, შესაძლო იყო საბას ზოგ-ზოგი  
იგავის ან ანექდოტის ფაბულა ისპაჰანში, რომში, პარიზში, კონსტან-  
ტინეპოლში გაეგონოს ან წაეკითხოს, მაგრამ ყველაზე უფრო ხან-  
გრძლივად მაინც თავის ქვეყანაში უცხოვრია „სიბრძნე სიცრუის“ ავ-  
ტორს. სავსებით მართებულად დასძენს კ. გამსახურდია: „განა თუნდაც  
ერთი წუთით დასაშვებია ასეთი რამ, რომ ქართველი ხალხის მდიდარ  
ზეპირსიტყვიერებას არ იცნობდა საბა და მშობლიურ ფოლკლორიდან  
მას არ შეეძლო ამოეკრიბა მრავალი ფაბულა?“ ამ ზოგადი მინიშნების  
შემდეგ თვით იძლევა საბას არაკთა ანალიზს და ისტორიულ პირობებ-  
თან მიმართებით არკვევს ალეგორიის საფუძველს, რაც აიოლებს ნა-  
წარმოებთა იდეურ შინაარსში ჩაწვდომას. კონსტანტინე გამსახურდია  
დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ იმდროინდელი ისტორიული პირობე-  
ბის გამო დასჭირდა საბას ტფილისის, ქუთაისის, დმანისის ნაცვლად  
ეხსენებინა ბაღდადი, კონსტანტინეპოლი, ისპაჰანი და სხვა. „რა ვუყოთ  
რომ საბას იგავებში, — განაგრძობს მკვლევარი, — ნახსენებია შაჰინ-  
შაჰი, შირვანის შაჰი, ბაღდადის ხალიფა, ჰალაბელი ვაჭარი, იტალიე-  
ლი გრანდუკა, კაცი რომელი, კეისარი, თავრიზი, ვენა, სომხეთი და  
სხვა.

მეფის, დიდაზნაურის, ხუცის ნაცვლად — შაჰი, სულტანი, ყადი,  
შეიხი, დერვიში, მოლა და სხვა...

განა საბა ორბელიანს თვით არ დაატყდა თავზე უძალურ სეფეცია რისხვა, განა იგი თავადაც ისეთ მდგომარეობაში არ იყო ჩაყენებული, როგორც მეფის კარისკაცი, რომელშიაც მოექცა მისივე გმირი მხატვარი, რომელსაც ცალთვალა, ტირანი მეფე უნდა დაეხატა. განა ჩვენმა ავტორმა თავად არ იგემა ორთოდოქსული ქართული საზოგადოების მიერ უმართებულო გაქირდვა და დევნა?!" და იქვე დასძენს: „საბას შემოქმედების ამგვარი ანალიზის“ გზით უნდა წარიმართოს შემდგომი კვლევა. სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების ეროვნული ძირების კვლევა კიდევ უფრო ნათელს ხდის ქართველი მეიგავის თვითმყოფლობას. საერთოდ მშობლიური მწერლობის თვითმყოფლობა მუდამ იყო კონსტანტინე გამსახურდიას დაკვირვებისა და შესწავლის მიზანი. ამ ასპექტით იაზრებდა იგი ქართული მწერლობის განვითარების გზას. ამიტომაც იყო რომ ქართველ თერგდალეულთა — ილიას, აკაკის და ნიკო ნიკოლაძის ტრადიციებზე აღზრდილმა, მძაფრი პოლემიკა გაუმართა ვეფხისტყაოსნის ორიგინალობაში დაეჭვებულებს, უფრო ზუსტად, უცხოური ძირების მაძიებელთ.

განრისხებით იგონებდა კონსტანტინე გამსახურდია: „ვის არ ახსოვს, — წერდა იგი, — თუ რა გულმოდგინედ ეძებდნენ ზოგიერთი მეცნიერნი რუსთაველის უკვდავი პოემის პირველად თარგს ირანის პოეზიაში, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ.

გოეთეზე ადრე, — განაგრძობს მწერალი, — მარლომ დასწერა ტრაგედია დოქტორ ფაუსტისა, რომელმაც სატანას მიჰყიდა სული. ფაუსტის თემას უფრო ადრეც ვხვდებით ჩვენ ბიბლიაში. გოეთეს დამსახურება ისაა, რომ იგი თუმცა დაესესხა თავის წინამორბედებს, მაგრამ გამსახურდისებლებს გადააჭარბა რანგითა და გამოთქმის სიმძაფრით.

თანამედროვე ევროპული ერები დიახაც დავალებულნი არიან საბერძნეთისა და რომის კულტურათა წინაშე. ამ ურთიერთზეგავლენის გარეშე წარმოუდგენელიც იქნებოდა ხალხთა სხვადასხვა ოჯახების წინსვლა.“ არა მარტო სიუჟეტისა თუ ფაბულის სესხება, არამედ მსოფლმხედველობითი ძირების ძებნისას ერთი შემოქმედის მეორესთან ხელოვნური და მექანიკური მისადაგება კონსტანტინე გამსახურდიას მიაჩნია სავსებით გაუმართლებლად და ზედაპირულ ერუდიციომანად. ამიტომ იგი დაბეჯითებით გვარწმუნებს: „რუსთაველის ხელოვნება ისეთივე ორიგინალური იყო, როგორც მისი მსოფლმხედველობა. ასე რომ, მისი პოეზიის ძირების ძებნა თუნდაც პლატონურ, გინდა ნეოპლატონურ ფილოსოფიაში უსაფუძვლო ცდად უნდა მივიჩნიოთ.



მე არ მესმის რა საჭიროა დიდზე დიდი პოეტი რომელიმე ფილოსოფოსის ინტელექტუალურ სატელიტად რომ მივიჩნიოთ; გოეთე ისე კარგად იცნობდა სპინოზას ფილოსოფიას, როგორც რუსთაველი პლატონისას, მაგრამ არც გოეთე ყოფილა სპინოზას მოწაფე და არც რუსთაველი პლატონისა.

ბერძნულ, არაბულ და ირანულ კულტურათა კვინტესენცია პოეტური პარაბოლების ენით გადმოგვცა დიდმა რუსთაველმა, მანვე აითვისა ძველბერძნული და არაბული კულტურა, მაგრამ იგი აითვისა არა ისე როგორც ეს ეპიგონებს სჩვევიათ ხოლმე, არამედ გადაადნო ნაციონალური კულტურის ქურაში და ამის გამოც შეძლო რუსთაველმა ადრიან რენესანსზე ორი საუკუნით ადრე მოეცა ჩვენთვის ისეთი ქმნილება, რომელიც გამთბარია რენესანსის მაღალი ჰუმანიზმით“.

ვეფხისტყაოსანში ამა თუ იმ ქართულ დიალექტურ ფორმებზე მინიშნებით ჩვენს სწავლულებს გამოჰქონდათ დასკვნა, საქართველოს თუ რომელ კუთხიდან უნდა ყოფილიყო რუსთაველი. კონსტანტინე გამსახურდიას დაკვირვებით, ვეფხისტყაოსანში გაერთიანებულია ყველა დიალექტი, რადგან იგი გამოხატავს იმ დროის ერთიანი საქართველოს სალიტერატურო ენას, რომელმაც შეისისხლხორცა ყველა დიალექტი ერთად. იგი წერს: „ქართული ენის სინთეტური ერთიანობის ნაყოფია რუსთაველი. იგი იმ ეპოქაშია წარმოშობილი, როცა ქართული სიტყვა ტომობრივი დიალექტების გადაღმა იდგა, როგორც სპონტანური, უადრესად თავისებური მოვლენა; და სიტყვა ქართული დიალექტებით გამიჯნული როდი იყო, არამედ ერთობლიობის მწვერვალამდის ასული. რუსთაველი იყო ქართული პოეზიის უწარჩინებულესი მამფალი არა მარტო უბადლო მეტრი დიდოსტატობისა, არამედ დიდი შემკრები ქართული მეტყველებისა, ქართული ენის მაღალი კანონმდებელი და შეუმუსკრელი დუდაბი ქართული ენის კულტურისა“. კონსტანტინე გამსახურდიას მწერლური ინტუიციით ნააზრვეი დასკვნა აკად. არნოლდ ჩიქობავას ამ გზით წარმოებული დაკვირვებების სრული თანხვედრია.

კონსტანტინე გამსახურდიას რწმენით, რუსთაველის სილიადე ვლინდება არა მარტო მის ღრმა აზროვნებასა და სიტყვის ოსტატობაში, არამედ იმაშიც, რომ იგი საყოველთაო სახალხო კუთვნილებაა: „რუსთაველმა აამღერა რაინდი და პოეტი, მწყემსი და გლეხი, მეომარი და მიჯნური და ეს ხმა საუკუნეთა მანძილზე თანდათანობით შეერწყა ხალხისას და ამიტომაც იკარგება ხშირად სამანი მასსა და ხალხურ პოეზიას შორის.

რუსთაველის პოეზია უფრო მეტია, — წერს იგი, — ვიდრე შაირი. უფრო ღრმა, ვიდრე დიდაქტიკური ფილოსოფიის შეგონებანი, რადგან იგი პოეზიისა და სიბრძნის სამანზე იყო გამიზნული“.

კონსტანტინე გამსახურდიას რუსთაველოლოგიური ძიებანი საგანგებო კვლევას ითხოვს, მის შესახებ მსჯელობა ვერ ამოიწურება მცირე ნარკვევში. რუსთაველის შესახებ მას მოსაზრებები გამოთქმული აქვს არა მარტო საკუთრივ რუსთაველისადმი მიძღვნილ წერილებში, არამედ უამრავ სხვა წერილშიც, რომელშიც მსჯელობაა ამა თუ იმ მწერლისა თუ ზოგად თეორიული საკითხის შესახებ.

კონსტანტინე გამსახურდია რუსთაველს, ისე როგორც ილიას, იაზრებს არა მარტო როგორც დიდ მწერლებს, არამედ როგორც ეროვნული საუკეთესო თვისებების სრულყოფილად გამოვლინებულს. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა: „მე პირადად რუსთაველის შემდეგ არავისგან იმდენი შთაგონება არ მიმიღია, როგორც ილიასაგან“ . ილია მისთვის იყო მამულიშვილობისა და სიკეთისათვის ბრძოლის სიმბოლო. კონსტანტინე გამსახურდიას დიდი ღირსება იყო ისიც, რომ იგი არსებით პრობლემებზე მსჯელობისას მუდამ პრინციპული და შეუვალი იყო. მისთვის უცხო იყო კომპრომისი პროფესიონალურ და ეროვნულ საკითხებში. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ილია მისთვის სათაყვანებელი სიწმინდე იყო, ასეთ უსაზღვრო სიყვარულსა და აღიარებასთან ერთად იგი არ მალავდა, რომ წმინდა პროფესიონალური გემოვნებით იგი სხვა მიმართულების იყო, და გულწრფელად აღნიშნავდა: „ილიას მანერა წერისა ჩემთვის არც ისე მახლობელი იყო“. აქ ბევრი და სერიოზული რამაა თქმული. აქ ჩანს ორი დიდი მწერლის ურთიერთგანსხვავებული შემოქმედებითი მანერა და ეს კიდევ უფრო გამოკვეთს კონსტანტინე გამსახურდიას პიროვნულ ღირსებასა და შემოქმედებით პოზიციას. ყოველივე ეს სრულიადაც არ ზღუდავდა და არ უშლიდა მას ხელს დაენახა ილიას ის ზღვარდაუდებელი ღირსებები, რომელიც მას ერის თავკაცად ხდიდა. კარგად აქვს ფორმულირებული კონსტანტინე გამსახურდიას ილიას მასშტაბი: „ილია ჭავჭავაძე მარტოდენ მწერალი როდი იყო. ამგვარი ადამიანები შორეულ ეპოქებში ეროვნებებს აფუძნებდნენ, აღფაბეტებს გამოიგონებდნენ ხოლმე, ზოგს ერის ბელადი ერქვა, ზოგს წინასწარმეტყველი“. აქვე კიდევ უფრო აზუსტებს და ჩამოკვეთს ილიას ნაამაგარს ქვეყნის წინაშე: „ილია იყო ჩვენი კულტურის, ჩვენი ერისა და ჩვენი ენის განახლებისა და განათლების დიდი მესაყვირე“. სავსებით ლოგიკურია, რომ ილიას დიდ წინაპრად კონსტანტინე გამსახ-

ხურდია სულხან-საბას მიიჩნევს, „ორივენი / სულხან-საბა და ილია/ იყვნენ არა მარტო მწერლები, არამედ ერის მთავრები, ენის რეფორმატორები და მათი ქმნილებები უფრო მეტია, ვიდრე წიგნები, უკეთ რომ ვთქვათ, ესენია ერთგვარი „სააკიმოჲ სულისა“. კონსტანტინე გამსახურდიას მწერლის მოქალაქეობრივი პოზიცია მისი მორალური სახის გამომხატველად მიაჩნდა და ამიტომაც იგი მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნაწარმოებში ჩაქსოვილ ეთიკურ პრინციპებს.

იაკობ ცურტაველისა და მერჩულეს, რუსთაველისა და გურამიშვილის, სულხან-საბასა და ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, ვაჟასა და ყაზბეგის მიერ შექმნილი დიდი ტრადიციები არა მარტო ქმნიდნენ მის თანამოკალმეთა მყარ საფუძველს, არამედ ამასთანავე ამ უკანასკნელთა განახლებისა და სრულყოფის პერსპექტივებს ხსნიდნენ. ამას განსაკუთრებული სიფხიზლითა და პასუხისმგებლობის გრძნობით უპირველეს ყოვლისა თვით კონსტანტინე გამსახურდია გრძნობდა და ამიტომაც ახალი საუკუნის მესტიყვე გონებამახვილურად შენიშნავდა: XX საუკუნის დასაწყისში „საჭირო იყო ქართული პროზის განახლება, სიტყვისათვის ახალი ნაკეთობისა და ჟღერადობის მინიჭება. მოდერნიზება ფრაზისა და თემატური სიახლე“. თეზისად ჩამოყალიბებულ ამ ერთ ფრაზაში მწერლობის განვითარების მთელი პროგრამაა მოცემული, რომელშიც გამოსჭვივის ნოვატორი პროფესიონალის ავტორიტრეტული შტრიხები. ამ სიახლის ნაკადს იგი უპირველეს ყოვლისა თავის თანამოკალმეთაგან მოითხოვდა. სიახლისაკენ სწრაფვა კი დიდ ძიებებთანაა დაკავშირებული და ეს რთული წიადსვლები შეუძინეველი არ დარჩენია მის მახვილ თვალს. კერძოდ, უახლესი ქართული პროზის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, ნიკო ლორთქიფანიძის შესახებ კონსტანტინე გამსახურდია შენიშნავს: „ნიკო ლორთქიფანიძემ ხარკი მიუზღო იმპრესიონიზმს, მაგრამ ამ გარემოებამ ვერ დაახიანა მისი ჯანსაღი რეალიზმი, ამგვარ „გატაცებაში“ ტალანტი ყოველთვის იკაფავს გზას ნაციონალური მწერლობის ტრადიციებისაკენ, ხოლო ფეხის ხმას აყოლილი ეპიგონისათვის ეს ის ფონია, რომელიც ბოლოში ახრჩობს“. რა სინატიფითაა გამიჯნული სისხლმარღვიანი, ტრადიციებით გამსჭვალული მწერლის განახლებული პოზიცია, სიახლის თვითმიზნურად მოტრფიალე მოკალმის ზედაპირულობისაგან. საკუთარი დიდი გამოცდილების მქონემ კარგად იცოდა შემოქმედის სიზიფეს შრომის სიმძიმე და ამიტომაც მწერლისაგან განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვდა ყოველი დეტალის დამუშავებაში. მართებუ-

ლად შენიშნავდა თომას მანი, რომ დეტალების დამუშავებაში ვლინდება მწერლის გენიალურობაო. ამ ასპექტს ყველაზე უკეთ თვით მწერლები განიცდიდნენ და ამიტომაც კონსტანტინე გამსახურდია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დეტალის სრულყოფას. იგი ნიკო ლორთქიფანიძის შესახებ წერს: „ნიკო ლორთქიფანიძე დიდის გულმოდგინებით ამუშავებდა დეტალებს. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ მწერალი ისე მომჭირნედ უნდა ხარჯავდეს სიტყვას, როგორც რომელიმე ბუნწი ოქროს, რადგან სიტყვაა ჩვენი სიმდიდრე, ტონისა და ფერის ეკვივალენტი, სიტყვა ჩვენი უბასრესი იარაღია, ჩვენი საჭრეთელი და ჩვენი ფუნჯი.“ კონსტანტინე გამსახურდია შემოქმედებითად ითვისებდა ჩვენს მდიდარ ტრადიციებს და ამასთანავე მაღალი პროფესიონალური შეუვალობით აანალიზებს მის თანამედროვეთა ქმნილებებს. იგი ერთნაირი მიუკერძოებლობით განუჩხრეკდა ყოველ სიტყვას, ფრაზასა თუ სახეს. დამწეები მწერალი იქნებოდა იგი თუ თანაშეზრდილი თანამოკალმე. ამასთანავე ბავშვური გულწრფელობით ხარობდა თითოეული მათგანის შემოქმედებითი წარმატებებით. ამის დადასტურებაა მისი წერილები ნიკო ნიკოლაძის, შალვა დადიანის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ნატროშვილისა თუ სხვათა შესახებ.

საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ ნაწარმოებში გამოსჭვივის თვით მწერლის ბუნება. ამიტომაც იყო, რომ კონსტანტინე გამსახურდია დიდ ყურადღებას აქცევდა მწერლის პიროვნულ სრულყოფასა და თვითდახვეწას. იგი მოხიბლული და აღტაცებული იყო, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ალექსანდრე აბაშელის ჰარმონიული და ფაქიზი ბუნებით“.

კონსტანტინე გამსახურდიას ენის პრობლემა მეტად ღრმად და მრავალმხრივ აქვს გააზრებული. ის მისთვის, როგორც მწერლისთვის, არის არა მარტო, როგორც გორკი იტყოდა, „პირველელემენტი“, არამედ ამავე ღროს სასიცოცხლო ელემენტი, რომლის სიწმინდისა და ღირსების დაცვისათვის იბრძოდა იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე. ეს ნათლად ვლინდება როგორც მის შემოქმედებაში, ისე ენის საკითხისადმი მიძღვნილ რიგ მის წერილებში. მართებულად შენიშნავს შ. ძიძიგური, რომ „კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი ენობრივი პოზიცია გარკვეულად ჩამოაყალიბა იმ თეორიულ წერილებში, რომლებიც სალიტერატურო ენის საკითხებს მიუძღვნა“. არამც თუ ამ საკითხისადმი საგანგებოდ გამოიხვეწილ წერილებში, არამედ გაცხილებით ზუსტი იქნება თუ ვიტყვი, რომ კონსტანტინე გამსახურდია თითქმის არ შეხებია არც ერთ ლიტერატურულ პრობლემას, მწერლის მსოფლმხედველობისა თუ ოსტატო-

ბის რომელიმე საკითხს, რომ მისი ენის ღირსებისათვის, მისი ავ-კარ-გისათვის არ მიექცია საგანგებო ყურადღება. კონსტანტინე გამსახურ-დია სიამაყით წერდა, რომ „ქართულმა ენამ ადრეულ /ჯერ კიდევ აგიო-გრაფიულ/ ძეგლებში მიაღწია გამოთქმის შესაძლებლობათა მაქსიმუმ-სო“.

კონსტანტინე გამსახურდია საოცრად უკომპრომისო და მრისხანე იყო ენის სიწმინდისა და გამომსახველობითი სრულყოფის დაცვის სა-დარაჯოზე, სადაც იგი მუდამ შემართებული და ბასრკალამომარჯვე-ბული იდგა. საერთოდ მკაცრი პოლემისტი განსაკუთრებულ სიმძაფრეს ავლენდა, როდესაც საკითხი ენის ფენომენს ეხებოდა. აქ არ არსებობდა მისთვის არავითარი ავტორიტეტი. „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების კანონზომიერებისათვის, — წერდა იგი, — არა ერთი ათეული წლის მანძილზე გვექონია პოლემიკა ჩვენს ენათმეცნიერებთან.

ვერც ერთი გონიერი მწერალი, — განაგრძობს იმავე წერილში კონ-სტანტინე გამსახურდია, — ვერ უარყოფს იმ დიდ როლს, რომელსაც ას-რულებენ ამა თუ იმ ენის შესწავლის საქმეში ენათმეცნიერები და გრა-მატიკოსები, მაგრამ არც ერთ ხალხში, არც ერთ საუკუნეში ენათმეცნი-ერებს არ შეუქმნიათ ენა.

ახლო წარსულში ქართულ ლიტერატურულ ენას გეზს აძლევდნენ ილია, აკაკი, გრიგოლ ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი და არა მათი თანამედროვე ფილოლოგები. ნ. მარი იყო უდიდესი და უბრწყინვალესი ფილოლოგი თავისი ეპოქისა, მის სიტყვას საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ქართული ენის მეხომალდე იყო ილია ჭავ-ჭავაძე და არა ნიკო მარი“.

საგანგებო კვლევის საგანია ენის პრობლემა კონსტანტინე გამსა-ხურდიას შემოქმედებასა და კრიტიკულ წერილებში, რომლის შესახებ მსჯელობა მეტად შორს წაგვიყვანს, ამიტომ ამჯერად ყურადღებას გა-ვამახვილებთ მის მშობლიური ენისადმი დამოკიდებულების ერთ თავი-სებურებაზე. იგი არა მარტო კლასიკოსებისაგან სწავლობდა ქართულ ენას, არა მარტო ეძიებდა მის ხალხურ ძირებს ანდა იკვლევდა ბუნებასა და გამომსახველობით ნაირსახეობას, არამედ იგი ამავე დროს იყო წარ-მოუდგენლად ემოციურ დამოკიდებულებაში მშობლიურ ენასთან, შეჰ-ხაროდა, შესტრფოდა მას და ეს განცდა დიდი გულწრფელობით, მომ-ხიბვლელი უშუალოდ აქვს გამოხატული ჩვენს სახელოვან მწერალს: „წერისა და გადაწერის დროს მე დიდის სიყვარულით ვეთამაშები ქარ-თულ ასოებს, გოცმებული შევცქერის მათ. ანი ნამგლისათვის მიუმსგავ-სებია ქართველ ხალხს, ბანი ყელმოდერებულ ქართულ სურებს...

ყოველი ქართული ასო რაღაც უცნაური სიმბოლიკის აღმქვერელია ჩემს წარმოდგენაში. და მე დიდის სიამოვნებით დავსწერდი ანბანთქებასო“. ძნელი გასათვალისწინებელია თუ რა ჰქონდა ჩაფიქრებული ბატონ კონსტანტინეს, მაგრამ ზემოთ მოყვანილი სიტყვები თავისთავად წარმოადგენს დიდებულ ჰიმნს ქართული ანბანისადმი მიძღვნილს და ახალი ჟღერადობით, უამრავი ნიუანსის შემცველი ფერადოვნებითა და რაინდული გამიჯნურებით, იგი ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს ჩვენი მდიდარი ტრადიციის მქონე „ანბანთქებათა“ შორის.

კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის წერილებში აღძრულია ზოგადი, თეორიული ხასიათის მნიშვნელოვანი საკითხები. სულ ორიოდე ფრაზაში ჩვეული დატვირთულობით ჩამოყალიბებული აქვს მწერლის მიზანი და შემოქმედებითი პრინციპები. მის ერთ-ერთ თეორიულ ხასიათის წერილში ვკითხულობთ: „უდიდესთაგან უდიდესი ხელოვნება ამაში გამოხატულა მარადყამს: ურთულესის უმარტივესი საშუალებით გადმოცემა, გამოუთქმელის უფსკრულში მიჩქმალულის საშეოზე გამოტანა, უმაღლესის მიერ შენიშნულის უმდაბლესის გონების ლერწზე დაყვანა და უღრმესი სიბრძნის ნათელჩენა უბრთაგან უბირისათვისაც“. მისი მართებული დაკვირვებით ნაწარმოების სისრულით გააზრებისათვის აუცილებელია თვით ავტორის პიროვნების, მისი ბუნების შეცნობა, მისი ცხოვრების გზისა და სტილის შესწავლა. იგი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ „ყოველი ნაწარმოების გასაშიფრავად ყველაზე საიმედო და მარჯვე გასაღებია ავტორის პირადი ცხოვრებაო. ამ პრინციპს უპირველეს ყოვლისა თვითონ იმარჯვებდა, როდესაც ანალიზებდა სულხან-საბას, გ. ორბელიანის, ილია ჭავჭავაძისა და სხვათა შემოქმედებას.

ხაზგასასმელია ისიც, რომ კონსტანტინე გამსახურდია მწერლისაგან მოითხოვდა მაღალი მორალური პრინციპების დაცვას, მაგრამ დაცვას არა მარტო ნაწერებში, არამედ უპირველეს ყოვლისა თავისი ბიოგრაფიით, თავისი ცხოვრების სტილით. საფუძველმოკლებულად მიანია ყოველგვარი დამოძღვრება თუკი მწერალი საკუთარი ცხოვრების მაგალითით არ ამკვიდრებდა იდეალებს, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მწერლის შეფასებაში დიდად მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი მორალური ანაგობაო“.

მწერლობის უპირველეს დანიშნულებად მას მიაჩნდა საზოგადოების დახვეწა. „მწერლობა სხვა არაფერია, — წერდა იგი, — და თუ არა ემანაცია კეთილშობილებისა“. ეს განწმენდის ფუნქცია, არისტოტელესეული

კათარზისი გამსახურდიას მწერლობის მარადიულ მისიად მიაჩნდა.

კონსტანტინე გამსახურდიას მახვილი კალმის სიმწვავე თვით კრიტიკოსებსაც არაერთგზის უგრძვნიათ. იგი სასტიკად ტუქსავდა პარადული, საზეიმო განწყობილებით გაქლენთილი წერილების ავტორებს, რომელთაც ნაწარმოების პროფესიონალური ანალიზის ნაცვლად ქება-თა ქება, სიტყვათსიჭარბე ახასიათებდათ. „ქართულმა რომანმა და ქართულმა ნოველამ, — ვკითხულობთ მის ერთ წერილში, — დიდ წარმატებას მიაღწია საბჭოთა პერიოდში. ჩვენი გამარჯვება იუბილევების დროს პათეტური შექება ამა თუ იმ მწერლისა, მაგრამ გულდინჯი ანალიზი ამა თუ იმ მეთოდისა არსად სჩანს ჯერაც“.

ერთ დროს ჩვენი ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ არასასურველი, უკიდურესი სახე მიიღო, წაიშალა ზღვარი ფორმალიზმსა და ფორმის სრულყოფას შორის, რის გამოც კონსტანტინე გამსახურდია აღშფოთებით წერდა: „ფორმათა სრულყოფისათვის ბრძოლას ნურვინ აურევს ფორმალიზმში. დიდი და იდეური მწერლობა ფორმალიზმის ნაჭუჭში არასოდეს დატეულა“. დღეს უცხოეთსა თუ ჩვენში ლიტერატურათმცოდნენი ხშირად მიმართავენ ტიპოლოგიური, სტრუქტურალური სკოლის მეთოდებს, კვლევის ეს მეთოდები ჩვენში ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოიყენა კონსტანტინე გამსახურდიამ. ამ მეთოდით აქვს მას გაანალიზებული სულხან-საბას შემოქმედება და გამოვლენილი აქვს მისი თავისებურებანიც. უადრესად ფასეულია აგრეთვე ჩვენი დიდი მწერლის დაკვირვება შემოქმედებით თავისებურებებზე, კერძოდ, შემოქმედებითი თავისუფლება, ფანტაზიის სპეციფიკა, სრულიადაც არ გულიხსმობს უკონტროლობას, თვითღინებით წარმართულ ალოგიურობას. კონსტანტინე გამსახურდია პირდაპირ ფორმულის სახით აყალიბებს შემოქმედებით პრინციპებს: „ხელოვნება არის, — წერს იგი, — კანონიერ სიმეტრიულობაში მოქცეული მხატვრული მეტყველება, რომელშიც მათემატიკური სიზუსტით უნდა იყოს მოცემული ყოველი ელემენტი სათქმელისა და საუწყებლისა. ხელოვნება კანონზომიერების სალტეში მოქცეული თავისუფლება არისო“ — გვმოძღვრავს თავად დიდი ხელოვანი.

მწერლობის სპეციფიურობასა და მიზანდასახულობაზე მსჯელობისას კონსტანტინე გამსახურდია გამოკვეთს მწერლობის არსებით მისიას, მის მათრგანისებელ და შემმეცნებელ, აღმზრდელ ფუნქციას: „მწერლობა ერისმთავრობაა, მწერლობა ჰუმანიზმია, კაცთმოყვარება და ადამიანური მოღვმის უკეთესი მომავლისადმი ტრფიალიაო“ — წერს

იგი. ამ დიდი ამოცანის მიღწევისათვის მხოლოდ ნიჭი და ცოდნა არაა საკმარისი, ამასთან ერთად აუცილებელია პიროვნული სიძლიერე და მთლიანობა: „არასოდეს არცერთ მწერალს არაფერი მნიშვნელოვანი არ გამოსვლია, თუ იგი მონოლითური პიროვნება არ იყო-ო“, ამ უდავოდ მართებულ თქმაში ავტოპორტრეტული შტრიხი ადვილად გვეცნაურება. ყველა ამ თვისებებთან ერთად, ქართულმა მწერლობამ თავიდანვე ეროვნული მთლიანობის დამკვიდრების საგანგებო მისია იტვირთა. და ეს ასპექტი კონსტანტინე გამსახურდიას განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად და საპატიოდ მიაჩნია, რომლის გამოც იგი წერდა: „ქართული მწერლობა — ეს იყო მაღალი სამრეკლო, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე მოუწოდებდა სინათლისა და თავისუფლებისაკენ ქართველ ხალხს. ისეთ ეპოქებში, როდესაც საკუთარი სახელმწიფო არ გაგვაჩნდა, ქართული მწერლობა იყო ჩვენი ნაციონალური ყოფის მაღალი მედროშე. გასულ საუკუნეში ილია ჭავჭავაძე იყო ერის ბელადი, თავდადებული მამა სამშობლოსი, რომელმაც თავისი მოწამეობრივი სიკვდილით გამოაფხიზლა ჩვენი ხალხი. იგი იყო ყველა ჩვენთაგანის სულიერი მამა და შთამაგონებელი“. აი კრიტერიუმები, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია უყენებდა მწერლობას და მწერლობის თავკაცებს.



## ხალხთა მეგობრობის იდეა ადრეულ ქართულ მწერლობაში და ვეფხისტყაოსანი

ქართული მწერლობის ადრეულ ძეგლებშივე შეინიშნება ჰუმანისტური ტენდენციების გამოვლენა, რასაც ადასტურებს ქართულ ლიტერატურაში ხალხთა შორის მეგობრობის იდეის განვითარება და დამკვიდრება. ქართული მწერლობის გარიჟრაჟზე შექმნილი ნაწარმოებები გამსჭვალულია ამ მაღალი, კეთილშობილური იდეით.

ადრეულ ქართულ მწერლობაში აისახა ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ყოფის სხვადასხვა მხარეები, გამოხატულება ჰპოვეს ქართველთა ეროვნული ხასიათის სხვადასხვა თვისებებმა, რომელთა შორის განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს სხვა ერისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა.

ქართულ მწერლობაში თავიდანვე გამოვლინდა ერთა მეგობრობის იდეა. ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეთა მწერლები საგანგებო ყურადღებითა და გულისხმიერებით გამოხატავდნენ სხვა ერისადმი გულთბილ და მეგობრულ დამოკიდებულებას.

საქართველოს უძველეს დროიდანვე ინტენსიური კულტურულ-სახელმწიფოებრივი ურთიერთობა ჰქონდა სხვა ქვეყნის ხალხებთან. ხშირად ქართველი მოქალაქენი პირად მეგობრულ ურთიერთობას ამყარებდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან. ჩვენში ძველთაგანვე განმტკიცებული იყო ეროვნულ-სარწმუნოებრივი შემწყვალელობა, რის შედეგადაც საქართველოში თავისუფლად ცხოვრებისა და აზროვნების უფლება ჰქონდათ ყველა ეროვნების და რწმუნის მოქალაქეებს. თვით მაჰმადიანი მწერლები, თავისუფალი აზროვნებისათვის აღმოსავლეთიდან დევნილები, თავს საქართველოში აფარებდნენ, სადაც მაჰმადიანი მცხოვრებლები ისეთივე თავისუფლებით სარგებლობდნენ როგორც თვით ქართველები, მაშინ როდესაც მაჰმადიანური სახელმწიფოები არბევდნენ საქართველოს მიწა-წყალს.

ასევე წარმოუდგენელი იყო ქართველი მოქალაქისათვის მსოფლიო-ში მეტად გავრცელებული — „ებრაელთა დარბევა“. უცხო ერის წარმომადგენელთა მიმართ ქართველები განსაკუთრებულ ყურადღებას ავლენდნენ, რამაც, ბუნებრივია, გამოხატულება ჰპოვა მწერლობაში. თვით უძველესი ქართული ძეგლის, იაკობ ცურტაველის თხზულებისათვის საეხსებით უცხოა ეროვნული ჩაქეტილობა, პირიქით, მთელ ნაწარმოებს წითელი ზოლივით გასდევს მეზობელი ერის, სომხებისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა. მწერალი განსაკუთრებული სითბოთი და მოკრძალების გრძნობით წერს სომხების შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, შუშანიკის შესახებ, რომელიც ბავშვობიდანვე იშვილა და გაზარდა ქართულმა ოჯახმა; მეორეხარისხოვანი პერსონაჟის, მაგალითად, შუშანიკის მამის, ვარდანის სახეც საკმაოდ სიმპატიური ფერებითაა წარმოსახული. ქართველებმა გულდიად და გულწრფელად შეისისხლხორცეს წარმოშობით სომეხი, მაგრამ საქართველოში აღზრდილი შუშანიკიც, რომელიც იმავე გრძნობით პასუხობს ქართველებს; რა დიდ სიყვარულსა და პატივისცემას ამჟღავნებს შუშანიკი მისი აღმზრდელის, ქართველი ფეოდალის არშუშას მიმართ, როგორი მოკრძალებისა და მადლიერების გრძნობით ჩამოთვლის შუშანიკი არშუშას ღვაწლს! იაკობ ცურტაველს დიდი ოსტატობით აქვს წარმოჩენილი სომეხ-ქართველთა ურთიერთპატივისცემა და თბილი, მეგობრული, ერთმანეთის გამგები ურთიერთობა. ისინი თანაზიარნი არიან ჭირსა და ლხინში.

ასევე სხვა ერისადმი პატივისცემის ტენდენციაა გამოვლენილი „ნინოს ცხოვრებაში“, რომლის ყველა არაქართველი პერსონაჟი მხოლოდ და მხოლოდ დადებითი მხრითაა წარმოდგენილი.

უთუოდ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სპარსელები ევსტათი საქართველოში დამკვიდრდა არა მარტო სარწმუნოებრივი მოსაზრებით, არამედ იმიტომაც, რომ მან ქართველთაგან განსაკუთრებული სითბო და გულისხმიერება იგრძნო. ის უდაოდ მოხიბლა ჩვენმა ყოფამ და ეროვნულმა ტრადიციებმა, თვისებებმა, რის გამოც ის შეეცაბო აქაურ მცხოვრებთ, აქ დამკვიდრდა და დაოჯახდა. მცხეთელებმა ის მიიღეს თავის თანამოქალაქედ და როგორც თავისიანი. აკად. გ. ლეონიძემ ერთხელ გამოთქვა მოსაზრება: სხვა ერის წარმომადგენლის გაქართველება, გაქრისტიანება მარტო სარწმუნოებრივი ფაქტორით არ შეიძლება აიხსნასო, არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა უშუალო ცოცხალ კონტაქტსო. ევსტათი ხელოსანი კაცი იყო, მოხვდა ხელოსნებში, ქართველ

ხელოსნებს თავისი, მომხიბვლელი ყოფა ჰქონდათ, გემრიელი და ლამაზი პურისჭამა, ერთმანეთის გატანა, ურთიერთგაგება და დახმარება იცოდნენ და ალბათ სხვა ამბებთან ერთად ამანაც მიიზიდა უცხო კაცის გულით. მართლაც, წმინდა ცხოვრებისეული, ყოფითი მხარე არ იქნებოდა მთლად უმნიშვნელო ფაქტორი.

საქმიანობით ხელოსანი ევსტათი, ალბათ, დაიახლოვეს მცხეთელმა ხელოსნებმა, თავისი წრის კაცად გაიხადეს, აგრძნობინეს რა სითბო და ყურადღება, ხელი შეუწყვეს, რომ ახალ გარემოში, უცხო ქვეყანაში, ეკონომიურადაც მომაგრებულიყო (როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, მას მონა-მსახურნიც ყავდა), რის გამოც ევსტათი შეეთვისა ქართველთა და მიიყვანა რა ცოლად ქართველი ქალი, მთელი არსებით დაუკავშირდა ჩვენს ყოფას, ჩვენს კულტურას.

ასევე ქართულმა ხასიათმა და ადათ-ჩვევებმა არა ნაკლები გავლენა იქონიეს არაბ აბოზე, რომელიც ნერსე ერისთავის გაცნობის დღიდანვე უცხოდ აღარ გრძნობდა თავს ქართველთა შორის.

თვით ის ფაქტი, რომ ჩვენი მწერლობის ადრეულ ძეგლებში მეტად სიმპატიურ ფერებში არიან წარმოდგენილი სხვა ტომის მოქალაქენი: შუშანიკი, ევსტათი, აბო, უკვე თავისთავად მეტყველებს ქართველი მწერლის ჰუმანისტური კონცეფციის შესახებ. აქაც ჩანს თუ რა ამაღლებითა და სითბოთი შეუძლია ქართველ კაცს უცხოელის ღირსების დანახვა და მისი გამოკვეთა, მისადმი ტრფიალი და გულგახსნილობა.

ზემოთ ჩამოთვლილი და გაანალიზებული ფაქტები მხოლოდ ელემენტებია ერთა შორის მეგობრობის იდეის გამოვლენისა, შემდეგი საუკუნეების მწერლობაში ეს იდეა თანდათან უფრო მკვეთრად და ფართოდ იწყებს განვითარებას და სრულყოფას აღწევს რუსთაველის ქმნილებაში.

უცხო ერის შვილთა ასეთი შეგუება და დაახლოება არაერთ ძეგლშია გამოვლენილი.

„იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ აღწერილია თუ როგორი სტუმართმოყვარეობითა და სიხარულით მიიღეს ივერიის მონასტერში რომაელები, რომელთა მიმართ ქართველებმა დიდი გულისხმიერება და ზრუნვა გამოამყვანეს.

„ვიდრელა მამა იოვანე ცოცხალ იყო, მო-ვინმე-ვიდა მონაზონი ჰრომისა ქუეყანასა, კაცი განთქმული სათნოებითა, რომლისა სათნოებითა წამებდა ქვეყანა ჰრომისა და საბერძნეთისა, ძმა ვენევენტოს დუკისა; წარჩინებული ნათესავით. ესე მოვიდა ექუსთა მოწაფეთა თჳსთა თანა მთასა ამას წმიდისა ლოცვად და ვითარ იხილეს მამათა ჩვენთა მა-

დღითა შემკობილი სახე მისი, ვითარცა თვისი და მეცნიერი ესრეთ მოიკითხეს და სიხარულით შეიწყნარეს და ევედრებოდეს აქა ყოფასა და ეტყოდეს, ვითარმედ: „ჩუენცა უცხონი ვართ და შენცა უცხო ხარ“. და ძლით დაარწმუნეს, რამეთუ ენება, რაჟთამცა ერთგან იყვნეს მონასტერსა შინა“<sup>1</sup>.

ქართველი ბერები გულუხვად და სიამოვნებით ეპატივებოდნენ რომაელებს თავიანთ მონასტერში დასამკვიდრებლად, მაგრამ, ამავე დროს, არ სურთ მათი შეზღუდვა და დიდი უშუალობითა და გულწრფელობით ეუბნებიან, რომ თუ ჩვენს მონასტერში თავისუფლად ვერ ივრძნობთ თავს, მაშინ ჩვენვე ვიყიდით იქ ადგილებს, დაგეხმარებით მონასტრის აშენებასა და მოწყობაში და თქვენთვის თავისუფლად და თქვენს ნებაზე დაემკვიდრეთ; „ჩვენ გიყიდით ადგილი და ყოველთავე საკმრითა შეგეწინეთ“. ამასე მეტი ზრუნვის გამოხატვა წარმოუდგენელია. რომელი ბერები დაუახლოვდნენ და შეეთვისნენ ქართველ ბერებს, ხოლო მათი წინამძღვრის ლეონის უსაყვარლესი მეგობარი გახდა ქართველი გაბრიელ ათონელი: „პირველ მოკსენებულსა მას ღირსსა მღვდელსა გაბრიელს ქართველსა და ამას წმიდასა ბერს დიდსა ლეონს პრომსა ფრიადი სიყუარული აქუნდა სულიერი და, ოდესცა მოვიდეს ხილვად მამათა, მახლობლად სენაკსა გაბრიელისასა აქუნდა სენაკი და მუნ დაყვნის დღენი იგი. და თვისსა ენისაგან კიდევ არცა მან იცოდა, არცა მან და ვითარცა შეზღუდის, გამოვიდიან თვსთა სენაკთაგან და ლოცვა-ყვიან და დასხდიან და ვიდრე, ცისკარისა რეკამდე უზნობლიან სიტყუათა საღმრთოთა და ვიდრე წარსვლამდე ამას ესრეთ ჰყოფდიან მწუხარეთა და იტყოდეს მამანი ჩუენნი, ვითარმედ: „გარემოს მათსა იყვნეს სულიერნი ძმანი და ფიცით დაგუარწმუნეს, ვითარმედ: „ოდესცა მოვიდის დიდი ლეონ, მარადის ესრეთ ჰყოფენ იგი და გაბრიელი მღვდელი“ და წამებდეს, ვითარმედ: „მათისა სიწმინდისაგან ყოველივე შესაძლებელ იყო და სარწმუნო, რამეთუ დიდ იყვნეს იგინი წინაშე ღმრთისა და სრულ“<sup>2</sup>.

ათონელმა ქართველმა ბერებმა გაშალეს რა ფართო მასშტაბის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, უპირველეს ყოვლისა მეცნიერული კონტაქტები დაამყარეს უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებთან, დაუახლოვდნენ და დაუმეგობრდნენ სხვადასხვა ქვეყნის სწავლულთ. ლეონ რომელი როდი იყო ერთადერთი, ვისთანაც ასეთი მჭიდრო საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ათონზე მოღვაწე ქარ-

<sup>1</sup> ცხოვრება იოვანესი და ეუსუმიისი, 1946, გვ. 30.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 31.

თველ მწიგნობრებს. არანაკლებად მჭიდრო კავშირში იყო იოანე ათონელი, იმდროინდელი კულტურის ცენტრის თესალონიკეს კათალიკოზთან; „მათ დღეთა შინა იყო ვინმე კათალიკოზი თესალონიკეს, საღმრთო და სულიერი, მეგობარი მამათა ჩუენთა და აქუნდა ჩვეულება მამასა ეფთვიმეს და მრავალ გზის მივალნ მის და ოდესმე მიიყვანის იძულებით“<sup>1</sup>. საერთოდ, გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში განსაკუთრებით არის გამახვილებული ყურადღება ქართველ ბერთა მეგობრობასა და კულტურულ კავშირებზე სხვა ერის ხალხთან. ამავე ძეგლშია მოთხრობილი, თუ როგორ მოდიან სხვადასხვა ერის შვილები ათონის ქართულ მონასტერში, ინათლებიან და ეზიარებიან ქართულ კულტურას. ასე მაგალითად: „კუალად მოვიდა გვპელი, ჯოჯიკის მეგანძურთა-უხუცესი, და მოინათლა, რამეთუ სომეხი იყო, და არსენი უწოდეს“<sup>2</sup>. ათონის ივერიის მონასტრის ასეთი პოპულარობა მოწმობს იმ დიდ ავტორიტეტზე, რომელიც მას, როგორც კულტურის ცენტრს, მოუპოვა იქ გაჩაღებულმა მეცნიერულ-ლიტერატურულმა საქმიანობამ. მეორე მხრივ, ამ ეპიზოდებიდან ვეცნობით, რომ ათონელი ქართველი ბერები უცხო ერის წარმომადგენელს ხვდებოდნენ მეგობრულად, სიყვარულით და ეხმარებოდნენ ყველაფრით, რითაც შეეძლოთ, დაწყებული მატერიალური სახსრებითა და გათავებული მეცნიერული კონსულტაციებით.

ქართული კულტურის ცენტრში გაშლილი ასეთი მეცნიერულ-ლიტერატურული კონტაქტები, უცხოელებთან ასეთი პირადი მეგობრული ურთიერთობა და საქართველოში სხვა ერის წარმომადგენელთა კეთილთვისებით მიღება და დამკვიდრება, ყველა ეს ერთად აღებული ხალხთა მეგობრობის იდეის ერთ-ერთი გამოხატულებაა, რაც ასე დამარწმუნებლად და საკმაოდ რეალისტურ ფერებში აისახა ქართველ აგიოგრაფთა მიერ.

საგულისხმოა, რომ ჩვენი მწერლობის სხვა ძეგლებშიც საგანგებოდაა ხაზგასმული, თუ როგორი პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი ქართველი მოღვაწეები სხვა ერთა მიმართ, როგორ ზრუნავდნენ მათზე, როგორ აფასებდნენ მათ კულტურას. ამ მხრივ მრავლისმეტყველია ილარიონის ცხოვრებაში გადმოცემული ერთი ეპიზოდი: ბასილ მეფემ იხმო თესალონიკეში მყოფი ქართველი ბერები და უთხრა, ბერძენთა მონასტრებს შორის აირჩიეთ რომელი მონასტერიც გინდათ და თქვენ გადმოგცემთო. ამაზე ქართველმა ბერებმა უპასუხეს: „მეფე, არა შესაძლე-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 31.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 41.

ხელ არს ესე ჩუენ მიერ, რაფთამცა სხუათა აღშენებულ ჩუენ დავიპყროთ, უცხოთა კაცთა და იგიმცა განვასხენით, რომელთა აღშენებუის, და ესრეთმცა ნაცვლად ლოცვისა, წყევა მოვატყუთ მეფობასა თქუენსა, არა ვყოთ ესრეთ, მეფე, არა ვყოთ<sup>1</sup>.

მოყვანილ ეპიზოდში ქართველი მწერალი ტაქტის დიდი გრძნობითა და შორსგამიზნით ჩუმ პოლემიკას აწარმოებს ბერძენთა მიმართ. ქართველები თავიანთ სულგრძელობასა და კეთილშობილებას უპირისპირებენ ბერძენთა სიხარბესა და აგრესიულობას. საქმე იმაშია, რომ საბერძნეთში არსებული ქართული კულტურის ცენტრებს, ქართულ ეკლესია-მონასტრებს გამძაფრებით უტევდნენ ბერძენი ბერები, ავიწროებდნენ ქართველ მოღვაწეებსა და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მოეტაცათ ჩვენი საგანმანათლებლო კოლონიები; ასეთ საერთო სიტუაციის ფონზე მეტად ამაღლებულად და დიდსულოვნად მოქმედებენ ქართველი ბერები, როდესაც უარს ამბობენ თვით მეფისაგან შემოთავაზებულ ბერძენთა მონასტრების მითვისებაზე. და რაც მთავარია, სხვა ერისადმი პატივისცემას პრინციპულ სიმაღლეზე აყენებენ, როდესაც კატეგორიულად აცხადებენ: როგორ შეიძლება სხვების აშენებული მონასტრები ჩვენ დავიპყრათ და პატრონები გავაძეოთო. აქ ქვეტექსტში იგრძნობა მინიშნება და საყვედური თვით ბერძენთა მიმართაც, რომლებიც არაფერს არ ერიდებოდნენ რათა ჩვენი მონასტრები მიეტაცათ და მათი აღშენებული ქართველი ბერები გაეძევებინათ. ქართველი ბერები არა მარტო თავს იკავებენ სხვისი კერების მითვისებისაგან, არამედ ერთგვარად არაპირდაპირ ამხელენ სხვათა მონასტრების მიმტაცებელ ბერძნებს და ხაზს უსვამენ, რომ სხვა ერის ღირსებას, კულტურას, პატივისცემს და დაფასება უნდა. ამ აზრს ავტორი ანვითარებს ზომიერების გრძნობის დაცვითა და დიდბუნებოვნების სრული გამოვლენით.

უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ აღრეულ ქართულ პროზაში მისი იდეური შინაარსის სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი დანიშნულების მიუხედავად ეროვნულ საკითხს მუდამ თავისთავადი და არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

მთელ რიგ აღრეულ ძეგლებში ეროვნული და სარწმუნოებრივი საკითხები თითქმის გაიგივებულია, ისინი ერთ სიბრტყეზეა დასმული, მაგრამ ასეთ გააზრებას იძლევიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოელ დამპყრობთაგან საშიშროება ელის ეროვნულ თვითმყოფელობას. როდესაც საკითხი ეხება წმინდა აღმსარებლობით პრობლემას, მა-

<sup>1</sup> ათონის კრებული, 1901, გვ. 100.

შინ ქართველი მწერლები და მოაზროვნეები დიდ გამჭვრიახობას იჩენენ და არასოდეს არ აიგივებენ ეროვნულსა და აღმსარებლობით საკითხს; ასეთ შემთხვევაში ისინი ახდენენ სრულ გამოჯენას. და რამდენადაც მტრულად არ უნდა იყვნენ განწყობილი ამა თუ იმ რელიგიურ აღმსარებლობასთან, არასოდეს არ შეურაცხყოფენ იმათ ეროვნულ გრძნობას, რომელთა სარწმუნოებასაც ებრძვიან. ასეთი ფრთხილი დამოკიდებულება ეროვნული გრძნობისადმი განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა სომხებთან ურთიერთობაში. როგორც აღვნიშნეთ, ადრეულ ქართულ ძეგლებში არა იშვიათად არის გამოხატული პატივისცემა სომხებისადმი. მაგრამ სომეხ-ქართველთა ეკლესიური განხეთქილების შემდეგ განწყობილება შეიცვალა, აქა-იქ გამოვლინდა თითქოს ანტისომხური ტენდენცია. ჩვენ მოღვაწეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიაც თუმცა ისინი მძაფრად ებრძოდნენ გრიგორიანულ ეკლესიას, მაგრამ თვით სომეხ ხალხს, მათ ეროვნულ გრძნობას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოკრძალებითა და პატივისცემით ეყურებიან.

ამ თვალსაზრისით მეტად მრავლისმეტყველია არსენ კათალიკოსის თხზულება „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“.

ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი განხეთქილების საფუძველს ავტორი ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებაში პოულობს. მისი რწმენით, ქართველთა და სომეხთა ეკლესიური გათიშვა გამოწვეული იყო არა სარწმუნოებრივი ძიებით, არა მათი დამოუკიდებელი ეროვნული პოზიციებით, არამედ იმ რთული ისტორიული გარემოებით, როგორშიაც მოექცნენ იმ დროს ჩვენი ერები. კერძოდ, ქართველ-სომეხთა პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ერთიანობა დიდ სახელმწიფოებრივ ძალასა ქმნიდა ამიერკავკასიაში და მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნიდა სპარსთა ექსპანსიას. ამიტომ სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი გათიშვა, რაც იმ დროისათვის გადაიზრდებოდა სახელმწიფოებრივ არაკეთილმეზობლურ ურთიერთობაში, ხელსაყრელ პოლიტიკურ ატმოსფეროს ქმნიდა უცხოელთათვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სპარსელები განსაკუთრებულად იყვნენ დაინტერესებულნი ქართველ-სომეხთა აღმსარებლობის საკითხით და მეტად აქტიურად ერეოდნენ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში. ეს უადრესად მნიშვნელოვანი ფაქტი უყურადღებოდ არ დარჩენია არსენს და მასზე საგანგებოდ მსჯელობს: „და რამეთუ სპარსთა მეფენი აიძულებდეს სომეხთა, რათა განეშორნენ ბერძენთა სარწმუნოებას ვითარ პირველ ვახსენეთ. და რათა სიძულვილი შთავარდეს შორის მათსა განშორებითა სჯულითა და მით

უმეტეს მორჩილ იყვნენ სამეფოსა სპარსეთსა და ქრთამი დიდ-ძალი აღუთქვა. წინამძღვარება გრიგოლის სახლისაგან<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, ავტორი ამ განხეთქილებაში ბრალს სდებს იმდენად არა თვით სომეხებს, არამედ სპარსელებს. ასე რომ, ამ განხეთქილების თავი და თავი მიზეზი, არსენის აზრით, იყო არა თვით სომეხთა განწყობილება, არა მათი დამოკიდებულება ქართველებისადმი, არამედ შექმნილი პოლიტიკური გარემო, როცა სომეხები იძულებული იყვნენ დამორჩილებოდნენ სპარსთა ძალდატანებას. შორსმჭვრეტელი არსენისათვის სპარსთა განზრახვის მიზანი ნათელია: მართლმადიდებლურ სამყაროსაგან იზოლირებული სომხეთი აღვილად დასაპყრობი იქნებოდაო, ან როგორც თვით გონებამახვილურად აღნიშნავს: „ამით უმეტეს მორჩილ იყვნენ სამეფოსა სპარსისსა“. ამრიგად, არსენს საკმაოდ ნათლად აქვს წარმოდგენილი და ახსნილი ამ განხეთქილების პოლიტიკურ-ისტორიული საფუძვლები. როგორც ვხედავთ, მთავარ მიზეზად განხეთქილებისა არსენს მიაჩნია არა სომეხთა დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსი, არა მათი პირადი სიმპატიები და ორიენტაცია, არა იმდენად სარწმუნოებრივი ფაქტორი, არამედ გამოუვალ მიდგომარეობით გამოწვეული სპარსელთა ზეგავლენა; სპარსელები მიმართავდნენ ყოველგვარ ხერხს, როგორც უხეშ ძალდატანებას, ისე მოსყიდვა-მოქრთამვას: „ქრთამი დიდი-ძალი აღუთქვა წინამძღვართა სომეხთა“ — ამბობს არსენი. სომეხების მხრივ ინიციატივას იჩენდნენ და მოქმედებდნენ სწორედ ისინი „რომელნი იყუნეს სპარსთა კერძო“, ე. ი. სპარსეთის მხარეს. ამით არსენი ამხელს იმ რენეგატ სომეხებს, რომელნიც თავიანთი სპარსული ორიენტაციით საშიშროებას უქმნიდნენ სომხეთის ეროვნულ თვითმყოფელობას, მათ დამოუკიდებლობას. აი ასე აქვს წარმოდგენილი არსენს სომეხებთან სარწმუნოებრივი განხეთქილების საკითხი.

ამასთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევი და გასათვალისწინებელია შემდეგი ერთი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ფაქტიც.

არსენის თხზულების „განყოფისათვის“ ქართველთა და სომეხთა შესახებ გამომუშავებულია საერთო აზრი, რომ ის არის ანტისომხური ტენდენციის მატარებელი ნაწარმოები. ეს უმართებულო დებულებაა. გამოთქმას „ანტისომხური ტენდენცია“ დაზუსტება და კორექტივი სჭირდება. ეს თხზულება დადასტურებაა ქართველი მწერლის სიმპატიური დამოკიდებულებისა სომეხი ხალხისადმი. საქმე ისაა, რომ თუმცა ავტორი სიფიცხით მსჯელობს სარწმუნოებრივი განხეთქილების შესახებ,

<sup>1</sup> განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა, გორდანია, ქრონიკები, ტ. 1, გვ. 329.



მაგრამ იმ დროისათვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტის ანალიზისას, როდესაც სრულიად ადვილი იყო სარწმუნოებრივი და ეროვნული პრობლემების გაიგივება, ქართველი მწერალი ამჟღავნებს საოცარ უნარს, დიდ სიღინჯესა და ეროვნული საკითხისადმი ფაქიზ დამოკიდებულებას და მთელი ნაწარმოების მანძილზე ერთხელაც კი არ კარგავს წონასწორობას და ერთი სიტყვითაც კი არ იხსენიებს აუგად სომეხებს. ის გამკილავ კონტექსტში საერთოდ არ ახსენებს სომეხებს, როგორც ერს. ის ახდენს მკაცრ დიფერენციაციას და კიცხავს არა სომეხ ხალხს, არამედ სომხეთის ზოგიერთ რენეგატ წარომადგენელს, რომლებმაც სპარსეთისადმი დაქვემდებარებით უღალატეს უპირველესად თვით სომეხებს. არსენი მუდამ გამოყოფს „წინამძღვართა სომეხთა“ ან ზოგიერთ ეპისკოპოსსა და კათალიკოსს, რომელნიც, იყუნეს „სპარსთა კერძო“. ასე რომ, განხეთქილების მიზეზად მას მიაჩნია არა ქართველ და სომეხ ხალხთა მტრული ურთიერთმეზობლობა, არამედ, ერთი მხრივ, სპარსელთა ინტენსიური ზემოქმედება და, მეორე მხრივ, ცალკეულ რენეგატ მექრთამე „წინამძღვართა“ და ეპისკოპოსთა პირადი ინიციატივა, მათი პირადი ნება, რაც თავზე მოახვიეს მთლიანად ერს. ამით აიხსნება ის სიფხიზლე, გულისხმიერება და თავშეკავებულობა, რომელსაც ავტორი ამჟღავნებს სომეხი ხალხისადმი. ეს დიდი ტაქტიკური ნაბიჯი, რომელიც მიზნად ისახავს სომეხი ხალხისადმი პატივისცემის გამოხატვას და ტოვებს გზას, ამ ორი მეზობელი ერის ურთიერთდაახლოებისა და აღრინდელი კეთილმეზობლური დამოკიდებულების აღდგენისათვის.

„განყოფისათვის“ ისევე ვერ ჩაითვლება ანტისომხური ტენდენციის მქონე ნაწარმოებად, როგორც ი. ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“, რადგანაც ორივე ნაწარმოებში ერთნაირი სიფრთხილით, ერთნაირი დიდი ტაქტის გრძნობით, ერთნაირი გულისხმიერებით არის მსჯელობა სომეხი ერის შესახებ, გამოხატულია სომეხი ხალხისადმი პატივისცემისა და მოკრძალების გრძნობა, მაგრამ ამავე დროს ორივე ნაწარმოებში ერთნაირი სიმკაცრით, უკომპრომისოდ და პრინციპულობით არის გაკიცხული სომეხთა ზოგიერთი უღირსი წარმომადგენელი, რომელიც თავისი უგუნური სიტყვითა თუ საქმით დამაბრკოლებელ ზღუდელ დგებოდა ამ ორ ისტორიულად დაკავშირებული ერის მეგობრობის გზაზე.

მართალია, „განყოფისათვის“ არ არის მხატვრული ნაწარმოები, მაგრამ მასზე საგანგებოდ იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ თვით პოლემიკური ხასიათის ძეგლებშიაც კი ავტორი არ კარგავს წო-

ნასწორობას, არ ავლენს მიკერძობებასა და ცალმხრივობას ეროვნული საკითხის განხილვისას, ამჟღავნებს სიფრთხილეს და ამით გამოხატავს ქართველი ადამიანის საერთო დამოკიდებულებას სხვა ერისადმი. ძირითადი ტენდენციით, „განყოფისათვის“ ეხმაურება ქართულ მხატვრულ პროზაში გამოვლენილ სხვა ერებისადმი კეთილგანწყობილების იდეას.

ჩვენ საგანგებოდ გავეამახვილეთ ყურადღება, თუ როგორ არის ასახული ადრეულ ქართულ ძეგლებში უცხო ერებისადმი მეგობრული დამოკიდებულება, თუ როგორ სიმპატიებს ავლენენ ქართველი ბერები (ესენია ძირითადი პერსონაჟები ადრეული პროზისა) სხვა ერთა წარმომადგენლების მიმართ. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას კითხვა: ჩვენს ძეგლებში გამოვლენილი სხვა ერთა პატივისცემა ხომ არ არის გაპირობებული ქრისტიანული კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობით?

ეს ზოგადად თითქოს ასეა. მაგრამ ეს ზოგადი პრინციპები არაიშვიათად ირღვეოდა კონკრეტულ, ისტორიულ ვითარებაში. ჩვენს ძეგლებში სწორედ რეალური, ცხოვრებისეული სურათებია წარმოდგენილი. კერძოდ, ჩვენს მწერლობაში გამოვლენილი სიმპატიები სხვა ერის მიმართ გამოხატულებაა ჩვენი ტრადიციისა, და ეყრდნობოდა რეალურ ურთიერთობას და არა რელიგიურ პრინციპებს.

ქართველი კაცის ცნობიერებაში საკუთარი ეროვნული ღირსების შეგნება არასოდეს არ გადაზრდილა სხვა ერისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებაში. მისთვის მუდამ წმიდათა წმინდა და სათუთი იყო ეროვნული გრძნობა და ამ გრძნობას სხვაშიაც აფასებდა. ის მუდამ პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდა სხვების ეროვნულ სიამაყეს.

ეროვნულ საკითხში ქართველი მოქალაქე მუდამ დემოკრატი და სულგრძელი იყო. ეს არ იყო მხოლოდ ერის მოწინავე ინტელიგენციის თვისება. ეს იყო საერთო-სახალხო სულისკვეთება. მოსახლეობის ფართო ფენა, მიუხედავად ყოველგვარი სოციალური მდგომარეობისა ერთნაირი პატივისცემით გამოხატავდა სხვა ერებისადმი კეთილმეგობრულ განწყობილებას.

ძველთაგანვე საქართველოში გულდია მასპინძელივით ხვდებოდნენ უცხო ერის წარმომადგენლებს და ყოველგვარ პირობებს უქმნიდნენ მშვიდი ცხოვრებისათვის.

მემპტიანეებმა შემოგვინახეს ცნობები, რომ ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ზოგჯერ ხვდებოდნენ უცხოელები საქართველოსაკენ და აქ ნახუ-

ლობდნენ თავშესაფარს: „ხოლო მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი, ოტე-  
ბულნი, მისივე ქაიხოსროსაგან. გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყარს  
მტკვარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდარვა. და ეზრახნეს მამასახ-  
ლისსა მცხეთისასა, აღუთქვეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახ-  
ლისმან მცხეთელმან აუწყო ყოველთა ქართველთა. ინებეს დაშეგობრება  
მათ თურქთა.

ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი  
მცხეთას, დასავლეთ კერძო კლდეთა შორის გამოკუთილი, ღრმა და  
მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მიხცა და აღა-  
შენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა ადგილსა სარკინე.

და იყვნეს ესე თურქნი და ქართველნი ნებისყოფელ ერთმანეთი-  
სა“<sup>1</sup>.

ქართველებმა შემოიხიზნეს უმწეო მდგომარეობაში მყოფი თურქები,  
დაუთმეს საკარმიდამო და სწორუფლებიან თანამოქალაქეებად გაიხა-  
დეს, როგორც მემატიანე შენიშნავს ისინი ურთიერთს „დაუმეგო-  
ბრდნენ“. აღნიშნული ეპიზოდი ერთა შორის მეგობრობის ნათელი და-  
დასტურებაა. აქ აშკარად ვგრძნობთ, თუ როგორი სითბოთი და ზრუნ-  
ვით ეპყრობიან ქართველები უცხოელებს და ეს უკანასკნელნი როგორ  
თავისუფლად და ბედნიერად გრძნობენ თავს ახალ გარემოში. მათთვის  
არ დაუწესებიათ არავითარი შემზღუდველი პირობები.

ქართველთა კეთილმეგობრული განწყობილება სხვა ერების მიმართ  
საერთო აღიარებას პოულობდა მთელ მსოფლიოში და ამიტომ აქეთ  
ისწრაფოდნენ სხვა სახელმწიფოებში დევნილი და შევიწროებული ტო-  
მები. ნაბუქოდონოსორის მიერ დარბეულ ებრაელთა ერთმა ნაწილმა სა-  
ქართველოს შეაფარა თავი; „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარ-  
მოსტყუვნა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს  
ქართლს.“<sup>2</sup> საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო მიუხედა-  
ვად თავისი სიმცირისა, ოდითგანვე წარმოადგენდა რაღაც ზღაპრულ  
თავშესაფარს, რომლისკენაც ილტვოდნენ სხვადასხვა ქვეყნის შვილე-  
ბი. ქართველი მოსახლეობა მიუხედავად მცირერიცხოვნობისა არასო-  
დეს მტრულად არ დახვედრია კეთილ განზრახვითა თუ უმწეობით შემო-  
ხიზნულ უცხოელს. ქართველები ადვილად გებულობდნენ სხვის გასა-  
ჭირს და თავის მადლიან მიწაზე თავშესაფარს აძლევდნენ ყველას, ვინც  
კი შველას საჭიროებდა. ქართველი ხალხი სულგრძელად ითვისებდა

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 15.

<sup>2</sup> იქვე.

და იგუებდა უცხოელს და ეს უკანასკნელი ქართულ მიწაზე ფეხშედგმული თავს სამშვიდობოში გრძნობდა.

ქართველ კაცში მეტად იყო განვითარებული სხვა ერისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა, რის გამოც ის ყველას იკედლებდა და ყველაზე ზრუნავდა. ქართველების ეს დიდი ჰუმანური გრძნობა, ჯანსაღი კოსმოპოლიტიზმი კარგად აქვს შენიშნული ლეონტი მროველს: „მას ჟამსა შინა სადათცა ვინ მივიდის ძურისმოქმედთაგან საბერძნეთით, გინა ასურეთით, ოტებულნი, გინა ხაზარეთით ყოველნი დაიმეგობრიან ქართველთა“<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, დასავლეთით და აღმოსავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით, ყოველმხრივ ღია ჰქონდა კარი და დიდი ერისათვის შესაშური დიდბუნებოვნებით ეგუებოდა დევნილ ერებს.

საყურადღებოა, რომ ქართველები არა მარტო მშვიდობიანობის დროს, არამედ თვით ბრძოლაშიც არ კარგავდნენ წონასწორობას ეროვნულ საკითხში. ბრძოლის ჟინი ვერ ახშობდა მათი ბუნებისათვის დამახასიათებელ ეროვნულ თვისებას და თვით მტრის მიმართაც კი წარმოუდგენელ კეთილგონიერებას იჩენდნენ. ბრძოლის ველზე გაშმაგებული მეომრები საოცარ სულგრძელობას ამჟღავნებდნენ დამარცხებულთა მიმართ, ხოლო მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევასა და ვნებას ხომ არავითარ შემთხვევაში არ იკადრებდნენ. ასეთმა ამაღლებულმა გრძნობამ განაცვიფრა მოწინააღმდეგენი. კერძოდ, ვახტანგ გორგასლანმა პონტოელთა დამარცხების შემდეგ გასცა განკარგულება, რათა მოსახლეობისათვის არ ევნოთ. ეს ძნელად წარმოსადგენი დიდბუნებოვნება იყო, რის გამოც: „პონტოველნი გამოსრულ იყვნეს მიგებებად, დაშენხმიდეს ქებასა და ვახტანგ მეფისა მადლობასა, რამეთუ უკურიდა მათ არა მისცნა იგინი სიკუდილად“<sup>2</sup>.

ასევე დიდ კეთილშობილებასა და ადამიანურ სითბოს ავლენს ვახტანგ გორგასალი ტყვეთა მიმართ. როგორც ცნობილია, ადრეულ საუკუნეებში გამარჯვებულ ლაშქარს ტყვეები მონებად მიჰყავდათ და ამ საერთო სამხედრო ეთიკის ფონზე თითქმის წარმოუდგენელ ჰუმანობას იჩენს. ქართველი მეფე. ის გასცემს განკარგულებას რომ 70000 ტყვე ბერძენი გაათავისუფლონ და დააბრუნონ სამშობლოში. ვახტანგის დიდბუნებოვნებამ გააოცა როგორც კეისარი, ისე საბერძნეთის მთელი მოსახლეობა: „რაჟამს უთხრეს (კეისარს, რ. ბ.) ვითარმედ ტყუე პირველ

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 22.

<sup>2</sup> იქვე გვ. 172.

შეპყრობილი და ტყუე ერისაგან მეოტისა ყოველი დაუკლებელად განუტყეობია, მაშინ განიხარა ფრიად და ყოველთა დაუტყევს მწუხარება“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებების იდეურ: შინაარსში ერთ-ერთი არსებითი მომენტია ხალხთა შორის სოლიდარობის განვითარება. ეს ტენდენცია განსაკუთრებული სიმახვილითაა გამოვლენილი კავკასიის ხალხთა ურთიერთობაში.

ლეონტი მროველი ავითარებს კონცეფციას, რომლის მიხედვით კავკასიაში მცხოვრები ერები წარმოადგენდნენ ნათესაურად დაკავშირებულ ერთიან დიდ ოჯახს. მათ ჰყავთ ერთი საერთო წინაპარი და ამის გამო მათ მართებთ ურთიერთმეგობრობა და საერთო ინტერესით ცხოვრება. ავტორი დაბეჯითებით გვარწმუნებს: „სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოკაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, და კავკასიათა — ამით თუსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს“<sup>2</sup>.

ლეონტი მროველი არაერთგზის უბრუნდება კავკასიის ხალხთა ერთიანობის საკითხს, მას სურს, რომ ეს იდეა მტკიცედ დაამკვიდროს თანამემამულეთა და მის მეზობელ ერთა შორის. ის გადმოგვცემს რომ... შემდგომად აჩისა მცირეთა წელიწადია მოუწოდა ჰაოს შუდთა მათ გმირთა (ქართველთა, რანთა, მოვავნლთა, ჰერთა, ლეკთა, და კავკასიონთა, რ. ბ.) შემოკრიბნა და რქუა მათ: მოგუცა ღმერთმან მაღალმან ძალი და სიმრავლე ნათესავისა ჩუენისა. აწ შეწევნითა დამდაბელებასათა ვიყნეთ არა ვისა მონა, და არავისა ვმსახურებთა თვინიერ ღმრთისა და დამბადებლისა: ეწამნეს შუდნი იგი გმირნი და დამტკიცეს განზრახვა იგი, და განუღგეს ნებროთს და არღარა მისცეს ხარკი“. აქ სიმბოლიზირებულია კავკასიის ხალხთა ერთიანობა გარეშე მტრის წინააღმდეგ. რასაკვირველია, ეს ნახევრად ლეგენდარული ცნობა დღესაც საცილობელი და დასაზუსტებელია, მაგრამ ამჯერად მთავარია არა ისტორიული ჭეშმარიტება, არამედ ავტორის მიზანდასახულობა, რომ განავითაროს და განამტკიცოს კავკასიის ერთა ერთიანობა. ასეთი იდეური მიზანსწრაფვა შორს სცილდება ეროვნულ შეზღუდულობას და გამოხატავს, ერთის მხრივ, ფართო ინტერნაციონალურ სულისკვეთებას და, მეორე მხრივ, დიდ პოლიტიკურ გამჭრიახობასა და სიბრძნეს. ამით ის ამზადებს ნიადაგს გაერთიანებული კავკასიური სახელმწიფოს იდეის შექმნისათვის. რადგანაც ერთ სახელმწიფოებრივ მთლიანობაში მოქცეული ეს პატარა ერები შექმნიდნენ იმდენად მნიშვნელოვან სამხედრო

<sup>1</sup> იქვე, გვ. 177.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 3.

ძალას, რომელიც ადვილად დაუპირისპირდებოდა მეზობელ დიდ სახელმწიფოებს და ეს უკანასკნელნი ვედარ შეძლებდნენ კავკასიის ხალხთა დაპყრობასა და დარბევას, ამ იდეის განსამტკიცებლად იშველიებს ისტორიულ ფაქტს, როდესაც კავკასიაში შემოჭრილ ნებროთის რიცხვმრავალ ლაშქარს წინ მიეგება კავკასიის ხალხთა გაერთიანებული ჯარი და უკუაქცია მომხდური: „ხოლო ვითარცა მოიწივნეს სპანი იგი ნებროთისნი, მაშინ მიეგებნეს შვილნი იგი გმირნი ძმანი ჰაოსისნი სპითა ძლიერთა“<sup>1</sup> და სასტიკად დაამარცხეს მტერი, ხოლო შვიდნივე ესე ძმანი წარვიდეს თვსთ სად ქუეყნად“ სწორედ ესაა ავტორის იდეალი, რომ კავკასიის მოსახლეობა ძმურ ურთიერთობაში იყოს და გაერთიანებული ძალით წინ აღუდგნენ დამპყრობლებს.

ლეონტი მროველი კავკასიის ხალხთა სოლიდარობის პოპულარიზაციისას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართველთა და სომეხთა კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. ძველ ქართულ ძეგლთა შორის ლეონტი მროველის თხზულებაში განსაკუთრებითაა ყურადღება გამახვილებული ქართველ-სომეხთა მეგობრულ ურთიერთობაზე.

ქართველი მემატიანე დიდ პატივისცემასა და სიმპათიას გამოხატავს სომეხების მიმართ. ის მუდამ აღტაცებით მოგვითხრობს მათ გამარჯვებათა შესახებ, გულწრფელად გამოხატავს სიხარულს სომეხთა წარმატების გამო. აღფრთოვანებით გვესაუბრება სომეხ მებრძოლებზე და ქებით იხსენიებს მათ გმირობას.

ლეონტი მროველი ხშირად ამკობს სომეხ მეფეებსა და სარდლებს, დაწვრილებით აღწერს მათ ბრძოლას და თვალნათლივ წარმოგვიდგენს მათ რაინდულ სახეებს. ის განსაკუთრებით მოხიბლულია სომეხთა სამაყო ლეგენდარული გმირის ჰაოსის გმირობით: „ხოლო ჰაოს უმეტეს გმირ იყო ყოველთასა, რამეთუ ეგვევითარი არაოდეს ყოფილ იყო არცა წყლის წარუღნის წინათ და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა და სიმკნითა“. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში შეიძლება ლეონტი მროველი რომელიმე სომხურ წყაროს ემყარება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ზემოთ მოყვანილ ციტატაში გადმოცემულია არა მარტო ისტორიული ცნობა, არამედ აქ იგრძნობა თვით ავტორის სუბიექტური დამოკიდებულება სომეხი გმირისადმი, მისი სიმპატია და შინაგანი განწყობილება. მისი პათეტიური და თბილი ტონი მიგვანიშნებს მის პირად ემოციებზე და ეს უაღრესად მრავლისმეტყველი ფაქტია. მით უმეტეს, რომ სომეხ-

<sup>1</sup> იქვე. გვ. 21.

ქართველთა სარწმუნოებრივ განხეთქილების შემდეგ წამოჭრილ ზოგიერთ გაუგებრობას არ უმოქმედია პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მემატრიანეზე; ის ამადლებულა ვიწრო, შეზღუდული ინტერესებისაგან და სომეხი გმირის ღირსებათა გამოკვეთით, უნდა თანამოქალაქეებშიც აღძრას სიმპატია ამ სახალხო გმირისადმი და ამით კიდევ უფრო ხელი შეუწყოს ქართველ-სომეხთა ურთიერთნდობისა და პატივისცემის გრძნობის განმტკიცებას.

უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სომეხ-ქართველთა აღმსარებლობითი გათიშვის შემდეგაც ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ღიღის მონდომებითა და დაბეჯითებით ქადაგებდა ამ ორი ისტორიულად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ერის მეგობრობას, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ქართველთათვის დაენახებინათ სომეხთა დადებითი მხარეები და ხელი შეეწყობათ მათ შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისათვის.

გარდა ჰუმანისტური პოზიციებისა და სომეხთადმი შინაგანი სიმპატიებისა, ამ უკანასკნელთა მიმართ მეგობრობის იდეის ქადაგებას ჰქონდა, აგრეთვე, წმინდა პოლიტიკური მნიშვნელობა. სომეხ-ქართველთა ერთიანობის იდეის ქადაგებას განაპირობებდა აგრეთვე, ამ ორი ერის ისტორიულ-პოლიტიკურ ინტერესთა ერთიანობაც. ორივეს საერთო გარეშე მტერი ყავდა და სწორედ ეს გარემოება აუცილებელს ხდიდა სამხედრო ძალების გაერთიანებას, წინააღმდეგ შემთხვევაში თითოეული ცალ-ცალკე ადვილად მარცხდებოდა. აქედან გამომდინარე, ლეონტი მროველი საგანგებოდ მოგვითხრობს იმ ისტორიული მოვლენების შესახებ, როდესაც ქართველები და სომეხები ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ და ამით ადვილად ძლევენ საერთო მტერს.

„მაშინ პოვეს ჟამი მარჯუე სომეხთა და ქართველთა და განუდგეს სპარსთა და განმაგრეს ციხენი და ქალაქნი მათნი“. და იქვე პათეტიურად დასძენს: „შეერთნეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი“. ეს უკანასკნელი ლირიული შემახილი საუკეთესოდ გამოხატავს ჩვენი სახელოვანი მემატრიანის პოლიტიკურ-ეროვნულ კონცეფციას. ამასთანავე, აღნიშნული იდეის განვითარებით ლეონტი მროველი გამოხატავს საერთო-სახალხო განწყობილებას.

რუსთაველის წინაპრების მწერლობაში გამოხატული სხვა ერებისადმი პატივისცემისა და ზრუნვის გრძნობა, ერთა მეგობრობის იდეა არის ხალხის ფიქრების, მათი დამოკიდებულებისა და აზროვნების ნიშანდობლივი მხარე. ესაა საერთო-სახალხო მისწრაფების ნათელი და-

დასტურება, რაც ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთი ძირითადი თემაა. ეს ხალხური მოტივი, როგორც ენახულობთ, საკმაო სიმკვეთრითა და სიღრმითაა გამოვლენილი ჯერ კიდევ რუსთაველის წინა ეპოქის მწერლობაში.

ადრეულ ქართულ ლიტერატურაში ადრულმა ხალხთა მეგობრობის იდეამ სრული განვითარება რუსთაველთან ჰპოვა, ეროვნულ კულტურაზე აღზრდილმა შემოქმედმა ღრმად აითვისა ეს შესანიშნავი ტრადიცია და ახლებური გააზრებითა და გაქანებით ხორცი შეასხა ადამიანთა ამ უკეთილშობილეს იდეას, ხალხთა მეგობრობას.

საშუალო საუკუნეების დიდი ჰუმანისტი განსაკუთრებული სითბოთი და სიყვავიზის გრძნობით გვესაუბრება ადამიანთა ბედნიერების, მათი სიცოცხლის ხალისიანობის შესახებ. რუსთაველმა საოცარი რელიეფურობით გამოკვეთა ადამიანთა შინაგანი ბუნება, მათი მისწრაფება და ზრუნვა ურთიერთბედნიერებისათვის. ვეფხისტყაოსნის ამბავებული სულის მქონე პერსონაჟები გამსჭვალული არიან ერთმანეთისადმი თავგანწირვის გრძნობით, რაც განპირობებულია მათი მომავალგებელი სიყვარულით საერთოდ ადამიანისადმი. ნაწარმოების დედაარსი, მისი პათოსი სწორედ ღრმა ჰუმანიზმშია. რუსთაველი საოცარი გზნებითა და დამარწმუნებლობით უმღერის ადამიანს, მის ღირსებასა და ბედნიერებას. ის ამკვიდრებს სიყვარულს ადამიანისადმი, პატივისცემასა და თანაგრძნობას მის უკეთილშობილეს მისწრაფებებსა და იდეალებისადმი.

ადამიანისადმი ამ უსაზღვრო სიყვარულის გრძნობამ ქართველი შემოქმედი ბუნებრივად მიიყვანა ერთა შორის მეგობრობის იდეამდე.

რუსთაველმა თავისი გმირები საგანგებოდ წარმოგვიდგინა სხვადასხვა ერის შვილებად, რომელთა მეგობრობაში სიმბოლიზირებულია სწორედ ერთა მეგობრობა. სამი შესანიშნავი რაინდის მომხიბვლელი ურთიერთთავგანწირვა და მეგობრობა ორგანულად ეჯაჭვება სამი დიდი ერის მეგობრობას.

ვეფხისტყაოსნის გმირები წარმოგვიდგებიან სამშობლოს ღირსეულ შვილებად და ანხორციელებენ თავიანთი ქვეყნის საუკეთესო ეროვნულ თვისებებს. კაცთმოყვარეობის გრძნობით გამსჭვალულნი თავისუფალნი არიან ყოველგვარი ეროვნული შეზღუდულობისაგან. მშობლიური ერისადმი თავგანწირულნი ისინი ამავე დროს ღრმა პატივისცემით არიან განწყობილნი სხვათა ეროვნული ღირსებისადმი. ვეფხისტყაოსანში საოცრად ამბავებულიადაა წარმოდგენილი ერთა სოლიდარობის იდეა.



რუსთაველისათვის საეკლესიო უცხოა ეროვნული შეზღუდულობა და მიკერძობა, ის უმღერის საყოველთაო ადამიანურ ღირსებათა გამოვლენას, კაცობრიობის საუკეთესო მისწრაფებებსა და იდეალებს, ის შეხარის ყოველივე ჯანსაღსა და ადამიანურს, რის გამოც მის პოემას უჩვეულო გამჭვირვალობა და ერთგვარი სიკაშკაშე ახასიათებს.

ავთანდილის მომაჯადოებელი სახე ერთნაირად ხიბლავს მსოფლიოს სხვადასხვა ერის წარმომადგენელს, მას ერთნაირად შეტრფიან არა მარტო თანამემამულენი, არამედ უცხოელნიც, მას ხოტბას ასხამენ და უმღერიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ერის შვილნი.

„მოვიდიან შესამკობლად ქვევნი ყოველნი სულიერნი:  
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი,  
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი.“

ვეფხისტყაოსანში ხახვასმითა განვითარებული პიროვნული ღირსების პატივისცემის იდეა. პიროვნებაში ინდივიდუალურ თვისებათა ძიება და დაფასება ადამიანთა ურთიერთობის საფუძველია, ამიტომაცაა, რომ ერთმანეთისათვის სრულიად უცხო გმირები ადვილად შეიცნობენ ურთიერთს. მათი სხვადასხვა ეროვნულობა არ ხდება დამაბრკოლებელ ფაქტორად მათი უშუალოებისა და გულწრფელი გრძნობის გამომქლავებისას.

არაბმა ავთანდილმა და ინდოელმა ტარიელმა „ადვილად შეიცნეს ერთმანეთი და პირველი შეხვედრისთანავე: „მათ აკოცეს ერთმანეთსა უცხოობით არ დაჰრიდეს.“ ასეთივე მულღაზანზარელი ფრიდონისა და ავთანდილის შეყრაც:

„მოეხვივნეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს“.

ფრიდონის ქვეშევრდომნი, მულღაზანზარელთა ლაშქარიც ისეთივე სითბოსა და სიყვარულს ამქლავნებს ინდოელი ტარიელისადმი, როგორც მათი პატრონი ფრიდონი. ტარიელი ღრმა განცდით გადმოგვცემს განშორების დრამატულ სიტუაციას:

„თუცა ღია მოიჭირვეს, ვერცა ვგრე დამიჭირეს;  
მისთა სპათა მუხლ-მოყრილთა თავი მათი ჩემ-კერძ ირეს,  
მეხვეოდეს, მაკოცებდეს, ატირდეს და ამატირეს:  
ნუ წახვალო, დაგემონნეთ, სიცოცხლეა ჩვენი ვირეს.“

ფრიდონ გამოყვება, წავედით ორთავე ცრემლნი ვღვარენით,  
მუნ ერთმანეთსა ვაკოცეთ, ზახილით გავიყარენით.  
სრულად ლაშქარნი მტიროდეს გულითა მართლად, არ ენით.  
გაზრდილ-გამზრდელთა გაყრასა ჩვენ თავი დავადარენით.“

აქ აღწერილია არა მარტო ორი რაინდის ურთიერთდამოკიდებულება, არამედ საერთო-სახალხო განწყობილება უცხოელი ვაჟკაცის მიმართ. რუსთაველი არაიშვიათად საგანგებოდ გამოჰკვეთს ხოლმე დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენისადმი, როგორც საერთო ეროვნულ თვისებას. ინდოელმა ხალხმა გულწრფელად შეიყვარა არაბი ავთანდილი და მულღაზანზარელი ფრიდონი და ეს უცხოელი რაინდები თავიანთ თანამოძმეებად აღიარეს:

„სრულნი ინდონი ავთანდილს და ფრიდონს შვედ ხადოდიან:  
„თქვენგან გეჭირს კარგი ყველაი“, — მართ ამას მოიტყოდიან,  
ვითა პატრონსა სჭვრეტდიან, რაც სწადლის, მას იქმოდინ  
სადარბაზობლად ნიადაგ მათ წინა მოვიდოდინ.“

ერთა შორის მეგობრობის აშკარა დადასტურებაა ისიც, რომ არაბთა გამგებელი ზრუნავს მომხდურ მტერთაგან უსასოო მდგომარეობაში ჩავარდნილ ინდოელ ხალხზე, რომელთაც ხანგრძლივ ბრძოლებში დასუსტებულთ დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროება ელით. ბრძენი და კეთილშობილი როსტევენი მანუგეშებლად მიმართავს ტარიელს:

„როსტევენი ჰეადრა: მეფეო, რად ხართ რასაცა რიღითა?  
რაცა გიჯობდეს, იქმოდით, გასჭვრეტდით, გაიცდიღითა,  
ავთანდილ თანა შამოგყვეს, წადით ლაშქრითა დიღითა,  
ჩენთა მტერთა და ორგულთა დაჰფრეწდით, დცაჰჭრიღითა.“

ერთა სწორუფლებიანობისა და თავისუფლების მოტრფიალე ხელმწიფეს დაუშვებლად მიაჩნია, რომ ისეთი დიდი კულტურის ერი, როგორიცაა ინდოეთი, დაჰყობილი და დაჩაგრული იყოს მოძალადე მტერთაგან, ამიტომ ის ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე საშიშროების წინაშე აყენებს თავის თანამემამულეებსა და უსაყვარლეს აღზრდილს — ავთანდილს და აგზავენის ტარიელის დასახმარებლად. ინდოეთის განმათავისუფლებელ დიდსა და საშიშ ბრძოლაში.

როსტევენი ასეთი მსხვერპლის წინაშე აყენებს მეგობრობისა და ერთა თავისუფლების უკეთილშობილესი გრძნობა.

სამი რაინდის ძმადნაფიცობის სახით რუსთაველს დახატული აქვს თავისუფალ და გამარჯვებულ ერთა თითქმის იდეალური ბედნიერების ამსახველი სურათი:

„მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს  
ერთმანერთსა ნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს,  
ბრძანებისა შემცილენი მათთა ხრმალთა დავეწყულდეს,  
მოიმატეს საშეფონი, გახელმწიფდეს, გამორჭმულდეს“.

რუსთაველის ადამიანისადმი განსაკუთრებული სიბოძისა და სიყვარულის, ეროვნული ღირსებისა და კულტურისადმი პატივისცემის ერთ-ერთი დადასტურებაა ისიც, რომ ნესტანის დამატყვევებლად რომელიმე რეალურად არსებული ერი კი არ გამოიყვანა, არამედ არარსებული ქაჯთა ტომი. ნესტანის დამატყვევებელი ქაჯები ამავე დროს ბოროტების სიმბოლოები არიან. ასეთი მკაცრი განაჩენის გამოტანა რომელიმე ერისადმი იქნებოდა უმართებულო და რუსთაველის ჰუმანისტური მსოფლმხედველობისათვის სავსებით შეუფერებელი. ეს იქნებოდა, ერთი მხრივ, სასტიკი განწირვა და შეურაცხყოფა რომელიმე ერისა და, მეორე მხრივ, გარკვეული ტენდენციურობა და ეროვნული შეზღუდულობა, რაც ყოველად შეუთავსებელია რუსთაველის უადრესად პროგრესული აზროვნებისათვის, მისი ადამიანისადმი საოცარი სიყვარულისათვის. გონებამახვილურად შენიშნავს აკად. ს. ჯანაშია: რუსთაველმა დაზოგა მისთვის ცნობილი ყველა ტომი და თავისი პოეტური თხრობის სარბიელზე ხალხური მითოლოგიის სახეები — ქაჯები „გამოიყვანა“,<sup>1</sup> ამ თითქმის და უმნიშვნელო დეტალშიც აშკარად ჩანს ვეფხისტყაოსნის იდეური შინაარსის სიღრმე და ძალა.

„რუსთაველმა მხატვრულად დაასაბუთა ხალხთა ძმობა-მეგობრობის უკვდავება“<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ვეფხისტყაოსნის 750 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულის წინასიტყვაობა, „ენიშკოს შოამბე“, 1918, III, გვ. X.

<sup>2</sup> აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 109.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

იაკობ ცურტაველის ავტოპორტრეტი . . . . .	3
აღზრდისა და ოჯახის პრობლემა ძველ საქართველოში . . . . .	16
დეტალების ხელოვნება . . . . .	50
მოტივირების ხერხები და კომპოზიციის საკითხი ძველ ქართულ მხატვრულ პროზაში . . . . .	57
ერთი უძველესი ლირიკული ლექსის ფრაგმენტი . . . . .	86
XVII—XVIII სს. ნორმატიული ლიტერატურათმცოდნეობითი ტრაქტატები და მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“ . . . . .	89
გეორგიევსკის ტრაქტატის კულტურულ-განმანათლებლური წანამძღვრები . . . . .	98
ეროვნული კულტურის ბურჯი — გიორგი მთაწმინდელი . . . . .	110
სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისათვის . . . . .	117
დაკვირვებანი ანტონ ბაგრატიონისა და ნიკოლოზ თბილელის ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობაზე . . . . .	126
ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელის პომილეთიკური მემკვიდრეობა (ტექსტების საკითხი) . . . . .	135
გ. წერეთელი — ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი . . . . .	139
აკად. კ. კეკელიძის პიოთეზების მეცნიერული საფუძვლები . . . . .	150
აკად. გ. ჯიბლაძე — ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი . . . . .	157
კონსტანტინე გამსახურდია — ლიტერატურის ისტორიკოსი . . . . .	163
ხალხთა მეგობრობის იდეა ადრეულ ქართულ მწერლობაში და ვეფხისტყაოსანი . . . . .	177

**გამომცემლობის რედაქტორი ნ. მუზაშვილი  
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე  
კორექტორი ქ. გაჩეჩილაძე, ნ. წერეთელი  
სბ №1380**

**გადაეცა წარმოებას 29.12.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.05.88.  
შე 04352. საბეჭდი ქაღალდი 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. პირობითი ნაბეჭდი  
თაბახი 12,5 სააღრ.-საგამომც. თაბახი 10,19  
ტირაჟი 3000 შეკვეთის № 4040  
ფასი 85 კაპ.**

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.  
Издательство Тбилисского университета,  
Тбилиси, 380028, пр. И.Чавявадзе, 14.

საქართველოს სსრ მ/ა სტამბა, 380060, კუტუზოვის, ქ- 19  
Типография АН ГССР, 380060 ул. Кутузова, 19.